


ირაკლი მაველიძე

საქართველოს საგარეო
პოლიტიკის განვითარების
ტენდენციები

XVI–XVIII საუკუნეები



შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

ირაკლი მანველიძე

საქართველოს საბარეო კოლეგიის
განვითარების ტენდენციები

XVI–XVIII საუკუნეები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2009

ისტორიული განვითარების XVI–XVIII სს. ევროპელი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ სფეროებში განხორციელებულმა რადიკალურმა ცვლილებებმა გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსისა და ხასიათის სრული გარდაქმნა.

ევროპა XV ს-ის დასასრულისათვის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საბოლოოდ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფოები: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია (ჰაბსბურგების სახლის სამემკვიდრო მიწები), რომლებიც წინათ შედიოდნენ გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის საზღვრებში. ასევე ოურქეთი, არც ისე დიდი სკანდინავიური ქვეყნები – დანია, შვეცია და ნორვეგია, დასავლეთ გერმანელი მცირე სათავადოები, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები და ევროპის მცირე სახელმწიფოები აგსებდნენ კონტინენტის პოლიტიკურ რუკას. ევროპის აღმოსავლეთით თანდათან პოზიციებს აძლიერებდა მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ევროპის პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა XVI ს-ის II ნახევრიდან. ამ დროიდან მან დაასრულა პოლიტიკური გაერთიანება და ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულ სახელმწიფო, ხოლო შემდეგ – აბსოლუტურ მონარქიად.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სისტემა მნიშვნელოვანი და ცნობილი ფენომენია. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა საფუძველი დაუდო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას.

სისტემური საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი სუბიექტი გახდა ეროვნული სახელმწიფოები თავიანთი სახელმწიფო-ეროვნული ინტერესებით. სწორედ ეს ინტერესები ხდებოდა მიზეზი მსოფლიო პოლიტიკაში წინააღმდეგობრივი კერძების შექმნისა. ევროპაში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება დაემთხვა კაპიტალიზმის განვითარებას, ხოლო ეკონომიკაში

მერკანტელიზმის წარმოქმნამ კიდევ უფრო გააძლიერა დაპირისპირება ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

ევსტუალიის ზავმა სავსებით შეცვალა საგარეო პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში. მან შექმნა სრულიად განსხვავებული ძალთა ბალანსი, ჩამოაყალიბა სხვა პოლიტიკური პრიორიტეტები და ფასეულობები. მთლიანობაში, მან შემოიტანა საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძვლები ევროპულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში და განსაზღვრა მისი ხასიათი შემდეგ საუკუნეებში.

ევროპაში განხორციელებული კარდინალური ცვლილებების ფონზე, რადიკალურად განსხვავებული სურათი იყო საქართველოს საგარეო და შიდა პოლიტიკურ არენაზე.

XV ს-ის მიწურულიდან საქართველოს შემდგომ განვითარებას ორი გარემოება განსაზღვრავდა. პირველი ის, რომ ამ დროისათვის იგი არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს; მეორე მხრივ, XIII–XV სს-ის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მოვლენებმა მისი ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლა განაპირობა. ქვეყანა დრმა ფეოდალურ კრიზისში შევიდა. 1490 წელს მოწვეულმა სამეფო დარბაზმა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებისა და სამცხე-საათაბაგოს არსებობა დააკანონა. თუმცა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა შემდგომშიც გრძელდებოდა. არცერთი მეფე-მთავარი საქართველოს დაშლის ფაქტს არ ურიგდებოდა და თითოეულ მათგანს მიაჩნდა, რომ სწორედ მას, და სხვას არავის, პქონდა უფლება, სათავეში ჩასდგომოდა სამშობლოს გაერთიანებისთვის წარმოებულ მოძრაობას. მაგრამ ამ პერიოდში ქვეყნის გაერთიანების პრობლემა ბევრ წილად საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული.

საქართველო XV–XVIII ს.ს. გარე ძალთა სათარეშო ასპარეზად რჩებოდა. მოცემულ პერიოდში ქართველი ხალხის საგარეო-პოლიტიკური ტენდენციების ძირითადი შინაარსი იყო ბრძოლა გადარჩენისათვის.

XVI–XVIII ს.ს. იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა თუ თრიენტაციის გამოცდისა და ასევე, გამაერთიანებელ და გამთიშ-

ველ ძალთა ჭიდილის ეპოქა. XVI ს. შუა წლებში კი, ირან-ოსმალეთის სახელმწიფოებმა პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა შუა გაიყვეს და ამით, საქმაოდ დიდი ხნის მანძილზე, მისი შინაგანი ძალებით გაერთიანების საქმეს გადაუდახავი დაბრკოლება შეუქმნეს.

XVI ს. შუა წლებამდე საქართველო, მართალია, ოფიციალურად დაშლილი ქვეყანა იყო, მაგრამ მათ შორის არსებული პოლიტიკური მიჯნების მიუხედავად, მაინც ქართველთა ქვეყნის მიწა-წყლის გარეგნულ მთლიანობას განასახიერებდნენ. ამის წინაპირობას ისიც წარმოადგენდა, რომ პოლიტიკურ ერთეულებად დანაწილებას არც ერთი სამეფო კანონიერად არ თვლიდა. ქართველი ხალხი არ ცნობდა ირან-ოსმალეთის სახელმწიფოთა 1555 წ. შეთანხმებას, რომლის ძალითაც ორად გაყოფილი საქართველო ამ სახელმწიფოთა ფარგლებში ცხადდებოდა და მათ შორის საზღვარი ლიხისა და სამცხის მთებს შორის გადიოდა.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის ძირითადი მიმართულება, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გამოცდილებას ეყრდნობოდა. საგარეო მფარველის ძიება და მოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წაგებული ხალხის დროებითი ღონისძიება იყო და მკაცრი არჩევანის გზით უნდა მომხდარიყო. მართლაც, დაშლილობის ხანაში სამეფო-სამთავროების საგარეო ორიენტაცია კონკრეტული ვითარების შესაბამისად მერყეობდა და მფარველი ქვეყნის შინაგან თვისებებსაც ითვალისწინებდა. თუმცა კურსის ამგვარი მონაცემება ქვეყანას საქმაოდ ძირი უჯდებოდა.

XVI ს. 80-90-იან წლებში გაძლიერებულმა ოსმალეთმა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიცემო. საქართველოს კი სამცხე-საათაბაგო წაართვა. XVII ს. I ნახევარში ოსმალთა ძალმომრეობა შეცვალა შაპ-აბასის დროინდელი ირანის ტირანიამ აღმოსავლეთ საქართველოში.

XVIII ს. 20-იანი წლების დასაწყისში, ქართველი პოლიტიკოსები ვახტანგ VI-ის მეთაურობით შეეცადნენ, რუსეთის დახმარებით განთავისუფლებულიყვნენ ირან-ოსმალეთის ბატონობისაგან. ამ მიზნით

იყო, რომ ვახტანგი პეტრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ გეგმებში საკუთარი ინტერესებით ჩაება, მაგრამ ოსმალეთმა საქართველო მთლიანად დაიპყრო, თვით ვახტანგი კი თავისი მრავალრიცხოვანი ამაღლით რუსეთში გადაიხვდა.

XVIII ს. 20-40-იანი წლებში აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ ოსმალები, შემდეგ კი, ირანელები ბატონობდნენ. ქართველი ხალხი გამუდმებით იბრძოდა ორივე დამპყრობლის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ირანელთა ბატონობის დამხობით დასრულდა. ასევე დიდი წარმატება ხვდა ოსმალებთან ბრძოლაში იმერეთის სამეფოსაც, რომელმაც მათი ბატონობის უდელი გადაიგდო და ფაქტიური დამოუკიდებლობა მოიპოვა.

პოლიტიკური მთლიანობისათვის ბრძოლას თვალსაჩინო წარმატება ჰქონდა XVIII ს. II ნახევარში. ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა, ირანის ბატონობისაგან განთავისუფლება და სომხეთ-აზერბაიჯანის სახანოების დაქვემდებარება, ისევე როგორც სამეფო ხელისუფლების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში, იმის უმჯობელი მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო თავისთავადი, დამოუკიდებელი განვითარების ფართო ასპარეზზე გამოდიოდა.

XVI ს. შუა წლებიდან, როცა რუსეთი ვოლგის აუზში გაბატონდა, კავკასიის რეგიონს დაუსახლოვდა და აღმოსავლეთის ვრცელ ასპარეზზე ირან-ოსმალეთს დაუპირისპირდა, საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთისაკენ იხრებოდნენ. შემდგომი პერიოდის ისტორიული გამოცდილება სულ უფრო და უფრო ადასტურებდა, რომ ირანი და ოსმალეთი საქართველოს ისეთ მფარველ ძალად ვერ გამოდგებოდნენ, რომლებიც ამ ქვეყნის აღმაგალ განვითარებას ხელს შეუწყობდნენ. რუსეთის ორიენტაცია თანამიმდევრულად იმარჯვებდა და ხშირად ძლიერდებოდა ან სუსტდებოდა იმისდა შესაბამისად, თუ რამდენად აქტიურად ეხმაურებოდა თვით რუსეთის სახელმწიფო ამიერკავკასიის პოლიტიკურ კრთველებს.

გართულებული საგარეო-პოლიტიკური ვითარების კვალდაკ-ვალ, ქართული პოლიტიკური ელიტა ხშირად ევროპას მიაყრობდა იმედიან თვალს, საიდანაც ყოველთვის იმედოვნებდა დახმარების მიღებას, მაგრამ კონტინენტზე მიმდინარე ინტერესთა კოფლიქტები თუ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია, რეალურად გამორიცხავდა რაიმე ქემედითი დახმარების მიღებას. ამიტომაც იყო, რომ რუსული ორიენტაცია თანდათან უალ-ტერნატივო ხდებოდა.

XVI-XVIII სს. ორიენტაციის მონაცემების კურსს (ირანთან, თურქეთთან, ევროპასთან, რუსეთთან) სრულყოფილად იცავდნენ ქართველი პოლიტიკოსები. მაგრამ საბოლოოდ, ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, ისინი საბოლოოდ დადგნენ რუსეთთან სამფარველო კავშირის გზაზე. ასეთი ტენდენცია 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატით დასრულდა.

რუსეთის იმპერია საქართველოს დახმარების მთხოვნელის თანამშრომლობას თავისი დამპყრობლური მიზნებისათვის იყენებდა, ზოგჯერ ბრძოლის ველზედაც კი მიატოვებდა თავის მოკავშირეს, რომელიც „მფარველის“ პოლიტიკის მსხვერპლი ხდებოდა.

კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოებს შორის რუსეთი შედარებით უფრო ძლიერი, ცენტრალიზებული ქვეყანა იყო. იმ პერიოდში მართლმადიდებლური რელიგია ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო, რომელიც ჩვენს ქვეყანას განუხრელად მიაქანებდა რუსეთის ორიენტაციისაკენ. ერეკლეს სახელმწიფო დიდ იმედებს ამჟარებდა 1783 წ. ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებზე. იმედოვნებდა, რომ რუსეთი საქართველოს საგარეო მტრებისაგან დაიცავდა.

რუსეთის იმპერიამ პატარა ქართლ-ქახეთი თავის დიდსავე და ვრცელ გეგმებში ჩაითრია და სწორედ მაშინ უთხრა უარი დახმარებაზე, როდესაც ეს ერეკლეს სახელმწიფოსათვის ყველაზე აუცილებელი იყო.

დიდ სახელმწიფოებს შორის საქართველოს ნიადაგზე აღმოცვენებული წინააღმდეგობა უაღრესად როგორი აღმოჩნდა. 1783 წ. ტრაქტაზიდან 4 წლის შემდეგ, რესევტომა ამიერკავკასიის ასპარეზზი დროებით მიატოვა. შესაბამისად, თავისი ძალების ანაბარად დარჩენილ საქართველოს ამიერკავკასიის სახანოებთან და ორან-თურქეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება მნელად თუ შეეძლო.

XVIII ს. 80-იანი წლების მიწურული და 90-იანი წლების დამდეგი მძიმე იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოვივანათ. 1789 წ. გარევეული ხელისშემწყობი ვითარებაც შეიქმნა ქართლ-კახეთისა და იმერეთის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. ფეოდალური ხედაფენების დიდი ნაწილის მხარდაჭერის მიუხედავად, ეს წამოწევებაც ვერ განხორციელდა; არც 1790 წ. შეკრულ ივერიელ მეფე-მთავართა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს გამოუდია არსებითი ნაყოფი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. იყო მცდელობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლისაც. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, ხელიშემშლელ ფაქტორთა შორის, საგარეო ნიუანსები გადამწყვეტი აღმოჩნდა.

1795 წ. ირანელთა თავდასხმაშ თბილისი დაანგრია, ქართლი მოაოხრა და მისი სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლები საბოლოოდ შეარყია. დასუსტებულმა ქართლ-კახეთმა თავისი სახელმწიფოებრიობის დაცვა ვეღარ შეძლო. 1801 წ. იგი რესევტომა გააუქმდა და აღმოსავლეთ საქართველო გუბერნიად გამოაცხადა.

სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1784) დასავლეთ საქართველოშიაც დაძაბული ვითარება შეიქმნა. მართალია, 1789 წლიდან იმერეთში ერეკლეს შვილიშვილი, სოლომონ II-ის სახელით დავით არჩილის ძე გამეცდა, მაგრამ ამით მდგომარეობა არ გამოსწორებულა. იმერეთის მეფესა და მთავრებს შორის შინაფეოდალური ომი არ ცხრებოდა. რესევტომა შესანიშნავად გამოიყენა შექმნილი ხელსაყრე-

ლი საერთაშორისო კითარება და დასავლეთ საქართველოშიც გა-
ამჟარა პოზიციები.

ნაპოლეონის გაგიპტეში ლაშქრობით შეშინებული ოსმალეთი,
რომელიც ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო, რუსეთთან
იძულებით კავშირში აღმოჩნდა. რუსეთმა კი ამით დასავლეთ საქარ-
თველოში თავისუფალი მოქმედების საშუალება მიიღო; მეცე-მთავა-
რები ჯერ მფარველობაში აიყვანა, მერე იმერეთის სამეფოც გააუქმა
(1810 წ.), უფრო გვიან კი, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და
აფხაზეთის მთავართა ხელისუფლებაც მოსპო.

ამრიგად, რუსეთმა თავისი ბატონობა მთელ საქართველოზე გა-
ავრცელა, ადგილობრივი მმართველობა მოშალა და აქაც იმპერიის
გუბერნიებში არსებული წესრიგი შემოიდო. ქართული სახელმწიფო-
ებრიობის გაუქმება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ცხოვრების ისტორიაში განცდილ დიდ მარცხს მოახწავებდა.

რუსეთის ძალადობის მიუხედავად, იმ ისტორიულ კითარებაში,
როდესაც ქართველ ხალხს ფიზიკური გადაშენების საფრთხე ემუქ-
რებოდა, შედარებით მოწინავე რუსეთთან შეერთებას თბიექტურად
პროგრესული შედეგები მოჰყვა. რუსეთმა შეძლო საქართველოს
მიწა-წყლის სრულად გაერთიანება თავის მფლობელობაში. 1801
წლიდან სულ რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში, რუსეთის
მიერ საქართველოსა და მის საზღვრებთან საშინაო და საგარეო
ომების დასრულების შემდეგ, ქართველმა ხალხმა რამდენადმე სტა-
ბილური მშვიდობა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა
მოიპოვა.

ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება დაქმოხვა საერთა-
შორისო ურთიერთობათა ვესტფალიის სისტემის მსხვრევასა და
ახალი, ვენის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყა-
ლიბებას. ამ სისტემამ მსოფლიო პოლიტიკაში ახალი საერთაშო-
რისო წესრიგი შემოიტანა, რომელიც „ლეგიტიმიზმის“ სახელითაა
ცნობილი. მართალია, იგი ითვალისწინებდა ძველი მონარქიული
რეჟიმების აღდგენას ევროპაში, რომელიც რუსეთის იმპერატორის

ალექსანდრე I-ის განსაკუთრებულ სურვილს წარმოადგენდა, მაგრამ იგივე არ მოხდა საქართველოში. პირიქით, აქ რუსეთმა ადგილობრივი მონარქიული მმართველობა გააუქმა. ცხადია, ამ საქმეში გარკვეული და მნიშვნელოვანი როლი იმ საერთაშორისო-პოლიტიკურმა კონიუნქტურამაც შეასრულა, რომელიც ამ პერიოდში ევროპასა და აღმოსავლეთში შეიქმნა. რუსეთი ვენის საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იყო და მას ანგარიშსაც უწევდნენ. ამ პერიოდში ამიერკავკასიაში არსებული სიტუაცია კი მთლიანად რუსეთის ინტერესებს პასუხობდა, რაც მისი იმპერიული პოლიტიკის განხორციელებას ხელსაც უწეობდა.

რუსეთის კავკასიური პოლიტიკა უნდა შეფასდეს მსოფლიო პოლიტიკაში მაშინ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ვინაიდან საერთაშორისოს ურთიერთობებში მაშინ არსებული დაპირისპირებები თუ ინტერესთა კონფლიქტები ირიბად დაკავშირებული იყო და აისახებოდა კავკასიის რეგიონის საერთაშორისო პოლიტიკურ მდგრმარეობაზეც. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ რუსეთის ყურადღება მიმართული იყო დასავლეთისკენ, სადაც XVIII ს-ის II ნახევარში არანაკლებ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები ხდებოდა – ინგლისის ამერიკული კოლონიების აჯანყება მეტროპოლის წინააღმდეგ, რევოლუციისა და ვერსალის სასახლის ომები. ყველა ამ მოვლენას უდიდესი გავლენა ჰქონდა მსოფლიო პოლიტიკაზე. რეალურად კი, არც ევროპას და მით უფრო რუსეთს, როცა მათი რესურსების დიდი ნაწილი ამ მოვლენებისკენ იყო მიმართული, საქართველოს ბედ-იღბალი ნაკლებ საინტერეს იქნებოდა. აშკარა იყო, რომ საქართველო საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობის და მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის მსხვერპლიც იყო. მსოფლიო პოლიტიკა კი სისტემური ცვლილების მოლოდინში იყო, რომელშიც რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია ეპროპაში XVI–XVIII
საუკუნეებში და საქართველო

1.1. ეპროპის პოლიტიკური რეგი XVI საუკუნეში

ახალი ისტორიის პერიოდს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს სახელწოდება სავსებით შეესაბამება იმ ახალ ტენდენციებს, რომლებიც ამ დროს განვითარდა ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. ფაქტობრივად, ამ ცელის დებებმა განსაზღვრა მსოფლიოს შემდგომი განვითარების სახეც.

XVI ს. არის განსაკუთრებული ძრების პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა შემდეგი ეპოქის ევროპის განვითარება.

სწორედ ამ პერიოდიდან, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობების კუთხით მომზადდა ნიადაგი სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის. ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, აღნიშნული პერიოდი ჯერ კიდევ არის დინასტიური დიპლომატიის საუკუნე. ამ დრომდე არ არსებობდა სახელმწიფოთა შორის მკვერვად გამიჯნული საზღვრები. ხოლო ევროპის პოლიტიკურ ერთეულებს შორის მიმდინარეობდა კონფესიური წინააღმდეგობა.

ახალ პერიოდში, სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების წინაპირობებად მოგვევლინა ის საშინაო და საგარეო ცელილებები, რომლებსაც ადგილი პქონდა ევროპის კონტინენტზე. უპირველესად, ეს პროცესები დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარებასთან, რომელიც ევროპაში დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან იყო შესამჩნევი.

XV ს-ში ნაოსნობის განვითარებას მოჰყვა ევროპული იმპერიალიზმის ჩამოყალიბება. გემების საშუალებით შესაძლებელი გახდა დიდი ოდენობის ტგირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა შორეულ ქვეყნებში. პორტუგალია იყო პირველი ქვეყანა,

საიდანაც დაიწყო მსოფლიოს სხვა ქვეყნების აღმოჩენათა ეპოქა. მოგვიანებით, მსგავსი ინიციატივებით ასპარეზზე გამოვიდნენ ეს-პანეთი, ბრიტანეთი და საფრანგეთი. თავისი ძლიერი სამხედრო შეიარაღების წყალობით ევროპელებმა დაიმორჩილეს ოკეანის სანაპირო ზოლში განლაგებული ქალაქები და თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ძირითადი სავაჭრო მარშრუტები. ეტაპობრივად ევროპელების ქქსპანისია გავრცელდა ლათინური ამერიკის, მოგვიანებით კი, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიაზე.

XVI ს-ში ესპანეთმა ცენტრალური ამერიკის, ხოლო პორტუგალიამ ბრაზილიის ტერიტორია თავისი იმპერიის ფარგლებში მოაქცია. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა კოლონიები მოიპოვეს ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის კუნძულებზე. კოლონიებში მოპოვებულ სიმდიდრეს ევროპის მონარქები ჯარისა და სახელმწიფოს გასაძლიერებლად იყენებდენენ.

ახალი სამყაროს, ინდოეთისაკენ მიმავალი ახალი სახელვაო გზის, სამხერეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი მიწების აღმოჩენამ და სამყაროს გარშემო მოგზაურობებმა არა მარტო ჩამოაყალიბეს ევროპელების წარმოდგენა მთლიანად მსოფლიოზე, არამედ განაპირობეს ევროპული სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების შეცვლაც. ერთი მხრივ, დაიწყო ევროპის, როგორც ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის ფორმირება, რომელიც ცივილიზაციური განვითარების კუთხით წინააღმდეგობაში მოდიოდა დანარჩენ მსოფლიოსთან, ხოლო, მეორე მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა სტიმული მისცეს აქტიურ საერთაშორისო და ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობებს. მთლიანობაში კი, ეს ხელს უწყობდა მსოფლიო მასშტაბით საქონდის ბაზრის გაფართოვების შესაძლებლობას. პროცესების ამგვარი განვითარება, კიდევ უფრო ააქტიურებდა კონტინენტთა შორის ურთიერთობებს, რაც აახლოვებდა ევროპას ამერიკასთან, აზიასა და აფრიკასთან.

ევროპის კონტინენტზე მოხდა ქვეყნების შიდა პოლიტიკური კონსოლიდაცია, რომელებიც თანდათანობით გარდაიქმნენ ცენტრალიზებულ ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქებად. ასეთი სახელ-

მწიფოები საკმაოდ დიდხანს, ნიდერლანდების და ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგაც კი განაგრძობდნენ არ-სებობას ევროპის კონტინენტზე; მცირე სასენიორებს შორის ფეოდალური ომების შეწყვეტის კვალდაკვალ, რომლებიც დაემორჩილენ ძლიერ სამეფო ხელისუფლებას, შეიქმნა შედარებით მტკიცე შიდა წესრიგი. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობდა ქვეყნების შემდგომ ეკონომიკურ, კურძოდ კი, კაპიტალისტურ განვითარებას.

მართალია, აბსოლუტური მონარქია, როგორც ცენტრალიზებული და ძლიერი სახელმწიფო, დარჩა თავის აზნაურულ-კლასობრივი წარმომავლობის საწყისებზე, თუმცა, მაინც უნარიანად შეძლო თავი დაედრია წინა ეპოქების ფეოდალურ-ყაჩაღური ფუნქციისაგან (მემკვიდრეობისაგან) და დაეცვა მისი ქვეშევრდომების საგარეო პოლიტიკური ინტერესები. ახალ ეპოქაში სახელმწიფო ხელისუფლებამ ბურჟუაზია აღიქვა წესრიგის დასაყრდენად და პეთოლდეობის საფუძვლად სახელმწიფოში.

ევროპელი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, კულტურულ სფეროებში განხორციელებულმა XVI ს-ის კარდინალურმა ცვლილებებმა საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ხასიათითა და არსით გარდაქმნა.

ევროპა XV ს-ის დასასრულისათვის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ახალ სტადიაში შევიდა. საბოლოოდ, ამ დროისათვის ჩამოყალიბდა დიდი სახელმწიფოები: ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, პოლონეთი, ავსტრია (პაპსტურგების სახლის სამემკვიდრო მიწები), რომლებიც წინათ შედიოდნენ გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის საზღვრებში. ასევე თურქთი, არც ისე დიდი სკანდინავიური ქვეყნები – დანია, შვეცია და ნორვეგია, დასავლეთ გერმანული მცირე სათავადოები, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები და ევროპის მცირე სახელმწიფოები ავსებდნენ კონტინენტის პოლიტიკურ რუკას. ევროპის აღმოსავლეთით თანდათან პოზიციებს აძლიერებდა მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ევროპის პოლიტიკურ არქნაზე გამოვიდა XVI ს-ის II ნახევრიდან. ამ დროიდან მან დაასრულა პოლიტიკური გა-

ერთიანება და ჩამოყალიბდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ – აბსოლუტურ მონარქიად.

ამრიგად, ევროპის კონტინენტზე რამდენიმე ძლიერი და პატარა სახელმწიფო არსებობდა. ყველა ეს სახელმწიფო საკუთარი ინტერესების შესაბამისად, თავის აქტიური თუ პასიური მოქმედებებით, ევროპის კონტინენტზე ქმნიდა საერთო პოლიტიკურ კლიმატს XVI–XVIII ს.ს.

1.2. საერთაშორისო ურთიერთობების პერიოდიზაცია XVI–XVIII საუკუნეებში და ევროპის სახელმწიფოების ძირითადი საგარეო პოლიტიკური კურსი

ევროპაში, XVI–XVIII ს.ს. საერთაშორისო წინააღმდეგობის სამი ძირითადი კერა არსებობდა. აღნიშნული კონფლიქტები კვანძები ყოველ წელს შეიძლება გამხდარიყო დიდი ომის მიზეზი.

პირველი, XVI–XVIII ს-ში დასავლეთ ევროპაში ერთმანეთს დაეჯახა კონტინეტის დიდი სახელმწიფოების ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის და პოლანდიის (XVII ს-დან) სავაჭრო-კოლონიური ინტერესები.

მეორე, XVI ს-ში, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში წარმოიქმნა და საბოლოოდ, XVIII ს-ში ჩამოყალიბდა ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხი“ – ევროპის დიდ სახელმწიფოებსა და თურქეთს, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების პრობლემა.

მესამე, ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რეგიონის დიდი სახელმწიფოები სამი საუკუნის მანძილზე აწარმოებდნენ სისხლისმდგრელ ომებს ბალტიის ზღვაზე გაბატონებისათვის.

ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში დაპირისპირების ეს სამი კვანძი არა მარტო ენაცვლებოდა, არამედ გავლენასაც ახდენდა ერთმანეთზე. მთლიანობაში კი, ქმნიდნენ საკმაოდ მოულოდნელ და რთულ კომბინაციებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

XVI ს-ში, ამერიკის და ინდოეთის საზღვაო გზების გახსნის შემდეგ, დასავლეთის დიდი სახელმწიფოების წინაშე საქმაოდ მწვავე საკითხი წარმოიქმნა კოლონიების დაპყრობისა და ზღვისიქეთა სამფლობელოების გაფართოების შესახებ. ევროპაში მიმდინარე პოლიტიკურ ერთეულთა დაპირისპირებები კი ართეულებდა ბრძოლებს კოლონიებში. ხშირად, კონტინენტზე მიმდინარე კონფლიქტები სწორედაც რომ მწვავდებოდა დასავლეთის დიდი სახელმწიფოების კოლონიურ სამფლობელოებში მომხდარი ცვლილებების (გავლენის ახალი სფეროების მოპოვების) კვალდაკვალ.

XVI ს-ში, ყველაზე დიდი ევროპული კოლონიური სახელმწიფოები იყვნენ საფრანგეთი და ესპანეთი. თუმცა, XVI ს-ის II ნახევრიდან იწყება ინგლისის კოლონიური ძალის გაძლიერება. ამ პერიოდში მოხდა ნიდერლანდების რევოლუციაც და მათი აჯანყება ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. XVI ს-ის ბოლოსათვის, ევროპაში შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი, პირველი ბურჟუაზიული სახელმწიფო - შეერთებული პროვინციების რესპუბლიკა, რომელიც ისტორიაში პოლანდიის რესპუბლიკადაა ცნობილი.

უშუალოდ XVI ს-ში, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შინაარსი ევროპის კონტინენტზე იყო ესპანეთსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა, ინგლისისა და ესპანეთის წინააღმდეგობა ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ოქების შედეგად დასუსტდა ესპანეთი. მისთვის დამლუპველი აღმოჩნდა ინგლისთან დაპირისპირებები და განსაკუთრებით, ნიდერლანდების განმათავისუფლებელი ბრძოლა მის წინააღმდეგ. მადრიდის გავლენის შესუსტების პალდაკვალ ევროპაში გაძლიერდა ინგლისი, საფრანგეთი და პოლანდია.

ევროპაში, XVII ს-ში, საფრანგეთი გახდა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო და გაუჩნდა კონტინენტზე პეტერებია. ამ პერიოდში საფრანგეთი გადაიქცა დიდ კოლონიურ სახელმწიფოდ, ხოლო ინგლისში განხორციელდა ბურჟუაზიული რევოლუცია. ასევე, დაიწყო ბრძოლა ორ საზღვაო სახელმწიფოს - ინგლისსა და პოლანდიას შორის ზღვაზე ბატონობისათვის. ამ ბრძოლაში ინგლისმა მოიპოვა წარმატება. რეალურად, მას ევრო-

პაში მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგები, საფრანგეთი დარჩა. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა მთელი XVIII ს-ის მანძილზე. მიუხედავად ამ კონფლიქტში საფრანგეთის დამარცხებისა, მან მაინც შეინარჩუნა ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი კონტინენტზე. თუმცა, მან დაკარგა თავის ოკეანისგაღმა კოლონიური სამფლობელოების დიდი ნაწილი.

ამრიგად, XVIII ს-ის ბოლოსათვის ინგლისი გახდა არა მხოლოდ პირველი კოლონიური და სახლვაო სახელმწიფო ევროპაში, არამედ თანდათან გარდაიქმნა „მსოფლიოს მასტერად”, რომელიც აწარმოებდა საქონელს მთელი მსოფლიოსათვის.

ასეთი იყო დასავლეთ ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სტრუქტურა XVI–XVIII სს.

მოცემულ პერიოდში სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია შეიძლება დავყოთ შემდეგ პერიოდებად:

პირველი, ესპანეთის ბატონობის პერიოდი ევროპაში, რომელმაც მთელი XVI ს. მოიცავა. ეს იყო სისხლისმდვრელი რელიგიური ომების პერიოდიც, რომელშიც მადრიდის სასახლე აქტიურ მონაწილეობას დებულობდა, როგორც ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციის საყრდენი. საკუთრივ დასავლეთ ევროპაში ეს არის ესპანეთ-საფრანგეთის დაპირისპირებისა და ბრძოლების პერიოდი.

მეორე, ევროპაში საფრანგეთის პეგემონობის პერიოდია. მისი კულმინაციური მომენტია ვესტფალიის ზავი (1648) და მასთან დაკავშირებული ლუი XIV საგარეო პოლიტიკა. ეს ასევე იყო საფრანგეთსა და პოლანდიას შორის დაბაბული ბრძოლის, ახალგაზრდა პოლანდიის რესპუბლიკისა და მისი წარმომადგენლების ბრწყინვალე დიპლომატიური მოქმედების, ინგლისის მნიშვნელოვანი გაძლიერების დრო. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ბურუჟაზიული რევოლუციისა და ევროპაში მისი დიპლომატიური როლის გაძლიერების შემდეგ.

მესამე პერიოდი დაახლოებით ემთხვევა XVIII ს., როცა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბრძოლა კოლონიებისა და მსოფლიო პოლიტიკაში პირველი ადგილის მოპოვებისათვის კულმინაციურ წერტილს აღწევს.

აღმოსავლეთ ევროპაში, სწორედ ეს პერიოდი დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი მონაწილის სახით ახალგაზრდა რესენტის იმპერიის გასვლას ასპარეზზე.

ზემოაღნიშნულმა საერთაშორისო წინააღმდეგობებმა მკაფიო გამოხატულება პოვეს XVII–XVIII ს.ს. ოთხ მსხვილ საერთო ევროპულ ომში:

პირველი – ოცდაათწლიანი ომი (1618-1648);

მეორე – ომი ესპანეთის მემკვიდრეობისათვის (1701-1714);

მესამე – შვიდწლიანი ომი (1756-1763);

მეოთხე – რევოლუციური და ნაპოლეონის ომები (1791-1815), რომელიც ევროპაში მსხვილი და რადიკალური ცვლილებების მომტანი აღმოჩნდა.

ამ პერიოდში არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა იყო ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მეტოპოლის წინააღმდეგ, რომელიც 1783 წლის ვერსალის ზავით დასრულდა კოლონიების გამარჯვებით. შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო.

ყველა ეს მოვლენა პირდაპირ თუ ირიბი კავშირით გავლენას ახდენდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ყოველ შემთხვევისათვის, ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური თუ ლოკალური კონფლიქტები და მის შესაბამისად მოწყობილი ძალთა კონფიგურაცია კონტინენტზე, არ იძლეოდა საშუალებას საქართველოს ევროპულ პოლიტიკაში ჩართვისათვის. სამწუხაოოდ, იგი ირან-ოსმალეთის ცილობის საგანი გახდა და ევროპის პოლიტიკური ერთეულებიც მას განიხილავდნენ როგორც აღნიშნული სახელმწიფოების გავლენის სფეროებს.

1.3. საერთაშორისო ურთიერთობების ეფოლუცია და თავისებურებები ახალ პერიოდში

XVII ს-ის შუა ხანებში საერთაშორისო ურთიერთობები განიცდიდა თავისებურ ბიუჯეტაციას (გაყოფას, განაწილებას). XVI ს-

ის შუა ხანებში ჩამოყალიბებული პაბსტურგების სამოქმედო პრინციპი – *Cujus region, ejus religio*, რომლის თანახმად ქვეყანაში ბატონობს ის რწმენა, რომელსაც მხარს უჭერს მისი მმართველი – ამ დროიდან არსებით ტრანსფორმაციას განიცდის და ცვლის კონფესიური ფაქტორის როლს მსოფლიო პოლიტიკაში, თუმცა ჯერ კიდევ არ არის მომხდარი საერთაშორისო ურთიერთობების სრული სეკულარიზაცია.

სწორედ, საერთაშორისო პოლიტიკიდან რელიგიის ფაქტორის გამოყოფისაკენ მიღრეკილება გულისხმობს ბიფურკაციას. რელიგია ჯერ კიდევ რჩებოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ასპექტად და ეს კარგად გამოჩნდა ოცდაათწლიანი ომის მოვლენების დროს.

ევროპის შუასაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, კონტინენტს, ევროპის მონარქების და განსაკუთრებით, „გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის” იმპერატორების სახით, პქონდა რომის პაპის ხელისუფლებისადმი დაპირისპირების ტენდენცია. ვინაიდან იმპერატორებს, პაპის ხელისუფლების მსაგვსად, გააჩნდათ მსოფლიო თეოკრატიული მმართველობის სისტემის შექმნის პრეტენზია. ნიშანდობლივია, რომ გერმანიის პროტესტანტი მთავრების და ჩრდილოეთ ევროპის მონარქების ერთობლივი დაპირისპირება პაბსტურგების კათოლიკური უნივერსალიზმის სამეფო სახლის გერმანული წარმოშობის იმპერატორების ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რელიგიური ნიშნით თავისთავად წარმოადგენდა ბრძოლის უკანასკნელ აქტს კონტინენტზე ბატონობისათვის.

იმპერატორი ფერდინანდ II საბუთარ თავს სერიოზულად განიხილავდა, როგორც „ღმერთის წარმომადგენელს”. იგი ამ სულისკვეთებით ხელმძღვანელობდა ჭეშმარიტ ჯვაროსნულ ლაშქრობას გერმანიის პროტესტანტულ ოლქებში, ვინაიდან კონტრრეფორმაციის განხორციელების საფუძველზე განზრახული ჰქონდა შექმნა ევროპაში უნივერსალური კათოლიკური იმპერიის მსგავსი გაერთიანება.

კარდინალ რიშელიეს სახით ის შეეჯახა არა მარტო გაბეჭდულ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ საგარეო პოლიტიკის ახალი პრინციპის შემოქმედსაც. საერთაშორისო ურთიერთობებში რელიგიურად შეფერილი უნივერსალიზმის სანაცვლოდ შემოვიდა პრინციპი – *raison d'etat* – სახელმწიფო ინტერესები, რომლის არსიც მანამდე არსებული რელიგიური კრედოს გარდაქმნა იყო. ბევრი ევროპელი დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის ეს ახალი პრინციპი გახდა დოგმა და რწმენის სიმბოლო.

მკვლევართა აზრით, ოცდაათწლიანი ომის „ქურაში”, მოვლენების უშეალო მონაწილეთა ნებისგან დამოუკიდებლად, შესაძლოა საბოლოოდ „გამოიჭედა” თანამედროვე სახელმწიფო ისეთი ატრიბუტებით, როგორიცაა შიდა და საგარეო სუვერენიტეტი, ბიუროკრატია, რეგულარული არმია, მკვეთრად გამიჯნული და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების არსებობა, ტერიტორიაზე ცენტრალიზირებული კონტროლი და ა.შ. სწორედ, XVIII–XIX სს. მანძილზე, სახელმწიფო, „ეროვნული სახელმწიფოს” გვლევციური განვითარების, ანუ „ერი-სახელმწიფოს” ჩამოყალიბების შედეგად, საბოლოოდ, გახდა საერთაშორისო ურთიერთობების წამყვანი სუბიექტი.

თუკი პაპს და საიმპერატორო ხელისუფლებას შორის, პოლიტიკურ სფეროში შუასაუკუნოვანი კონფლიქტი განპირობებული იყო ალტერნატიული ძალის ცენტრის არსებობის შექმნის შესაძლებლობით და ევროპული კონსტიტუციონალიზმის წარმოქმნით, მაშინ ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დომინირებული ხელშეკრულების საფუძველი ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროიდან ბევრი რამით ახდენდა გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების სასიათზე. კერძოდ, ფეოდალური სახელმწიფო (ევროპის ნებიმიერი სახელმწიფო, ასევე იმპერია - რომის საღვთო იმპერია) თავისი არსით, თავისთავად წარმოადგენდა სხვადასხვა სტატუსის და რანგის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების რთულ სისტემას. რა თქმა უნდა, შესაბამისი ხელშეკრულების დახმარებით ხდებოდა ვასალიტეტოან ურთიერთობის რეგლ-

ამენტაციაც, რომელიც აფიქსირებდა ფეოდალური სამართლის სუბიექტებს (მონარქები, ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები, რაინდები, სასულიერო პირები, მოქალაქეები) შორის ურთიერთვალდებულებებს. იგი ასევე განამტკიცებდა შესაბამის სავაჭრო და პოლიტიკურ უფლებებსა და პრივილეგიებს. ვარაუდობენ, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს იმ თეორიის ფართოდ აღიარება, რომელიც მიიჩნევს ხელისუფლების წარმოქმნას „ხელ-შეკრულების პრინციპის“ საფუძველზე. ეს კი შესაძლებელი აღმოჩნდა ახალი ეპოქის გარიერაჟზე, სწორედ ევროპაში და შემთხვევითაც არა. დომინირებული ხელშეკრულების არსებობამ, რომელიც ასახავდა საზოგადოებრივი ორგანიზმის გარკვეულ საკითხებს, საფუძველი დაუდო საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებას. ამ უკანასკნელის ფარგლებში შესაძლებელი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმების მიღება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის. XVII ს-ში, კოლონიებისათვის ბრძოლისა და საერთაშორისო ვაჭრობაში მონოპოლიზმის მოპოვების გავლენით, საერთაშორისო სამართლის განვითარებამ მიიღო დამატებითი იმპულსი.

მოცემულ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის თავისებურება იყო საერთაშორისო ურთიერთობის მსოფლიო სისტემაში მისი ცალსახად ევროცენტრისტული მოწყობა. ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი მოვლენა მიმდინარეობდა ევროპაში. რა თქმა უნდა, არა მაგალითად, ჩინეთში ამ დროს ხდებოდა დინასტიის შეცვლა (მინის იმპერიის დაცემა და ცინების მანჯურიული დინასტიის დამყარება) და იმპერიის ტერიტორიული გაფართოება. კერძოდ, XVII ს-ის დასასრულს და XVIII ს-ის I ნახევარში იმპერიის საზღვრები მიიწვდა ჩრდილოეთით ამურამდე და დასავლეთით თანამედროვე კაზახეთის მიმართულებით.

ინდოეთის ნახევარკუნძულზე კი პირიქით. XVIII ს. დასაწყისში ხდება დიდი მოგოლის იმპერიის დაცემა, რომელსაც მოჰყვა საქმაოდ მიმდე პოლიტიკური შედეგები. შექმნილმა ვითარებამ ხელი შეუწყო ევროპელების შეღწევას სუბკონტინენტზე და ა.შ.

მაგრამ აღნიშნულ თავისებურებაში საქმე ეხება სხვა რამეს. კერძოდ, ამ პერიოდში, საერთაშორისო ურთიერთობების მსოფლიო სისტემა მოეწყო არა როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთი მთლიანი ორგანიზმი, (რეგიონალური სისტემების გაერთიანების შედეგად, როგორც ეს შესაძლებელია რომ ყოფილიყო მოსალოდნელი), არამედ საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული სისტემის აქტიური ექსპანსიის სფლაში ევროპის კონტინენტის გარეთ.

ამრიგად, ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპები და პარამეტრები ჩამოყალიბებული იყო სწორედ XVII ს-ის შეახებში კამებული ვესტფალიის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფარგლებში.

1.4. საქართველოს პოლიტიკური რუსა XVI–XVII სს.

ევროპაში აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების კვალდაკვალ საქართველოში სრული ანარქია და უკან დახევა აღინიშნებოდა. საქართველოს ყოფილი ერთიანი ფეოდალური მონარქიის ტერიტორიაზე აღნიშნულ ხანაში სამი სამეფო და ხუთი სამთავრო არსებობდა. სამივე სამეფოში (ქართლი, კახეთი, იმერეთი) ბაგრატიონთა ძველი სამეფო დინასტიის შთამომავლები მეფობდნენ. ახლახან წარმოქმნილ სამთავროებში ერთიანი სამეფოს დროინდელი მოხელე-გამგებლების (ერისთავთ-ერისთავების) მემკვიდრეები მთავრობდნენ: სამცხე-საათაბაგოში ათაბაგის ტიტულით—ჯაფელები, სამეგრელოში—დადიანები, გურიაში—გურიელები, აფხაზეთში—შარვაშიძეები, სვანეთში—ჯერ გელოვანები და შემდეგ დადეშქელიანები.

კახეთის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით შექის (შაქის) ფეოდალური სამფლობელო, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით დაღესტნის ფეოდალური სამფლობელოები ესაზღვრებოდნენ. ირანის აგრესიის შედეგად XVI–XVII სს. კახეთის სამეფომ ფაქტიურ-

ად დაკარგა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (წახური, კაპ-ენისელი და სხვა). კახეთის სამეფოს სამხრეთით ყარაბაღის საბერძნებელის ყაზახის სამფლობელო საზღვრავდა. დასავლეთით კახეთს ქართლის სამეფო ეპვროდა. ფშავი და ხევსურეთი კახეთში შედიოდა.

ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთით ყაზახისაგან ბერ-დუჯის (პაპაკარის) ქედი ჰყოფდა. სამხრეთით ქართლს ერევნის საბერძნებელის ეპვროდა. ქართლის უკიდურესი სამხრეთი პროვინციები ლორე და ბამბაკი იყო. 1604 წ. შაჰ-აბას I-ის ქართლის მეფეს წაართვა ლორე და დებედას ხეობა, სადაც ბორჩალუს ყიზილბაშური ტომი ჩაასახლა, ამიტომ ამ მხარეს ბორჩალოს სახელი დაუმკვიდრდა.

ჩრდილოეთით, ქართლის სამეფოს საზღვარი ორ ადგილას, დარიალის ხეობასთან და დვალეთში, მთავარ ქედს იქით გადადიოდა. დვალეთის აღმოსავლეთი ნაწილი ქართლის მეფეს დავით X-ეს ემორჩილებოდა, დასავლეთი კი იმერეთის მეფეს.

დასავლეთით ქართლს იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო ესაზღვრებოდა. ქართლის სამეფოს შემადგელობაში შედიოდა სურამის ქედის დასავლეთით მდებარე ტერიტორიის დიდი ნაწილი და საჩხერის რაიონის ზოგიერთი სოფელი.

სამცხეთ-საათაბაგოს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ვრცელი ტერიტორია ეკავა. თურქების მიერ ერზერუმის აღების (1522წ.) შემდეგ სამცხე-საათაბაგოს უკიდურეს სამხრეთის საზღვარს ერზერუმის ვაკის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე გასასვლელი წარმოადგენდა, რომელსაც თურქები გურჯი ბოდაზს, ე.ი. საქართველოს ყელს ეძახდნენ. XVI ს. შეა წლებისათვის თურქებმა ხელო იგდეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი, ხოლო ამავე საუკუნის 80-90-იან წლებში მთელი სამთავრო. ამიერიდან ქართლის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი ტაშისკარი იყო. თურქეთის შემადგელობაში მოექცა აჭარა და ჭანეთიც.

იმერეთის სამეფოს, სვანეთისა და აფხაზეთის ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარ ქედს მიჰყვებოდა. ჩრდილო-დასავლეთით იმერეთს სვანეთი ეკრა, დასავლეთიდან კი სამეგრელო. სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი (ლენტეხი) და თაკვერი (ლეჩხუმი) იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო.

სამხრეთ-დასავლეთით იმერეთს გურიის სამთავრო ეკრა. ხოლო გურიის სამთავროს სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხზე გადიოდა.

სამეგრელოს სამთავროს გურიისაგან მდ. რიონი ყოფდა. აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის საზღვარი ჯერ მდ. კოდორზე გადიოდა, შემდეგ კი (XVII ს. 80-იან წლებიდან) მდ. ენგურზე. აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთით ჯიქეთი საზღვრავდა, რომელიც ადრე საქართველოს ეკუთვნოდა, ამ დროს კი თურქეთის გავლენის ქვეშ იყო.

თითოეული ქართული სამეფო-სამთავრო ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. თუმცა დასავლეთ საქართველოს სამთავროები აღიარებდნენ იმერეთის მეფის უფროსობას, მაგრამ ეს რეალურ შინაარსს მოკლებული იყო.

საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს ძალთა წონასწორობის პრინციპი განსაზღვრავდა. 1490 წ. საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი ქართლის მეფის კონსტანტინეს მიერ მოწვეულმა სამეფო დარბაზმა, რომელიც იხილავდა საკითხს, თუ რა ედონათ ქვეყნის ერთიანობისათვის, ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: ბრძოლა მიზანშეუწოდებია, რადგან ერთს რომ ვაჯობოთ, „არღა-რა მოგვცემს მეორე ნებასა”. ირან-თურქეთის ზავი გამორიცხავდა სამეფო-სამთავროთა გაერთიანებას.

საგარეო ფაქტორი (ირან-თურქეთის აგრესია პოლიტიკურად დაშლილი სამეფო-სამთავროების მიმართ, შინაფეოდალური შუდლი და ომები, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური დაქვეითება) შეუძლებელს ხდის არა მარტო მოელი ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას, არამედ სამეფო-სამთავროთა რამდენადმე მყარსა და ხანგრძლივ პოლიტი-

პურ კავშირსაც. შესაბამისად ამგვარი მდგომარეობა თავისთავად გამორიცხავდა ერთიანი საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავებას.

15. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება XV ს-ის ბოლოს და XVI საუკუნის დამდეგს

ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და უაღრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა გადახლართვის შედეგი იყო. იგი ძირითადად დასრულდა XV ს. II ნახევარში, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოს სახელმწიფოები გამოვიდნენ.

1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა ცნო საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი. მალე, 1491-1492 წწ., მეფეებმა და სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას და სახელმწიფო საზღვრები დააწესეს.

ქართლის სამეფო დარბაზის აღნიშნული გადაწყვეტილებით ძირითადად დასრულდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი.

ასეთი შინაპოლიტიკური ვითარების ფონზე ქართულ სამეფო-სამთავროებს უშუალო მეზობლები - ოსმალეთის და ირანის სახელმწიფოები დაპყრობით ემუქრებოდნენ. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა, ჩვენი ქვეყნის გარშემო მტრული მაპმადიანური ქვეყნების გარემოცვის რკალი შეიკრა.

ოსმალეთი (თურქეთი) შუა საუკუნეების ნამდვილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო იყო, რომლის არსებობისა და ძლიერების მთავარ წყაროს სხვა ქვეყნების დაპყრობა, ნადავლი და ხარჯი შეადგენდა. კონსტანტინეპოლისა და ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთი უშუალოდ გაუმეზობლდა საქართველოს სამხ-

რეთ-დასავლეთიდან, ხოლო 1475 წლიდან, როცა ყირიმის სახანო ოსმალეთის ვასალი გახდა – ჩრდილო-დასავლეთიდანაც. ოსმალეთის დაპყრობებმა უდიდესი დაბრკოლება შეუქმნა ევროპის აღმაგალ ქვეყნებს. ოსმალეთი გაძატონდა იმ მთავარ გზებზე, რომლებიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. ამ გარემოებამ დაჩქარა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რის შედეგადაც ძირფესიანად შეიცვალა მსოფლიო კავშირ-ურთიერთობათა ძველი სისტემა. ახალმა საერთაშორისო სავაჭრო გზებმა და კავშირ-ურთიერთობამ საქართველო თითქმის მთლიანად მოსწყვიტა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.

ოსმალეთმა თავისი ძლიერების ზენიტს XVI ს-ში მიაღწია. მისი უზარმაზარი იმპერია ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტზე იყო გადაჭიმული. მის შემადგენლობაში გარდა მცირე აზიისა შედიოდა საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბია, ალბანეთი, ბოსნია, პერცოგოვინა, მესოპოტამია, სირია, ჰიჯაზი, ეგვიპტები, ალჟირი და სხვა. მოლდავეთი, ვალახეთი და ყირიმის სახანო ოსმალეთის ვასალები იყვნენ. ასეთი უზარმაზარი და უაღრესად აგრესიული სახელმწიფო ემუქრებოდა საქართველოს და მის მეზობელ ხალხებს.

ჩრდილოეთით საქართველოს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი მრავალი ტომი და ხალხი ემზობლებოდა. ჩრდილო კავკასიის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი იმ დროს ჩერქეზთას საერთო სახელწოდებით იყო ცნობილი. ვრცელი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროებიდან ვიდრე მდ. სუნჯამდე დასახლებული იყო ადიღეურელებით, რომელთა საერთო სახელით მაშინ ცნობილი იყვნენ თანამედროვე ადიღეურელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები. XVI ს-ში ყაბარდოელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „დიდი ყაბარდო” - მდ. თერგის დასავლეთით და „მცირე ყაბარდო”- თერგსა და სუნჯას შორის. ქართულ წყაროებში ჩრდილო კავკასიის ადიღეურ-ჩერქეზული ტომები უმთავრესად ჯიქების სახელით იხსენიებიან, ხოლო ყაბარდოელები- ჩერქეზების სახელით.

ყაბარდოს სამხრეთით საქართველოს უშუალო მეზობლად ოსები ცხოვრობდნენ (თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთი). ჩრდილოეთ ოსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ყაბარდოს ფეოდალების გავლენის ქვეშ იყო, ხოლო მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი იმერეთის სამეფოს უკავშირდებოდა.

ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს მეზობლად დაღესტნის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მრავალი ტომი და ხალხი ცხოვრობდა.

XV-XVI ს.ს. მიჯნაზე დაღესტანში ყველაზე უფრო მსხვილი ფორდალური გაერთიანებები იყო ავარიის სახანო და ყაზიუმუხის საშამხლო (შამხალი ფეოდალური მმართველის ტიტული იყო). XVI ს-ში ზღვისპირა დაღესტანში დაწინაურდა მარჯვე სავაჭრო გზაზე მდებარე ტარკი (თარლუ), რომელიც საშამხლოს ცენტრად იქცა.

ჭრელ ეთნიკურ შემადგენლობასთან ერთად ჩრდილო კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელი იყო სოციალურ-ეკონომიური განვითარების შედარებით დაბალი დონე და სხვადასხვაობა. ამ ხალხებში ფეოდალური ურთიერთობის ძირითადი თავისებურება გვაროვნულ-თემური წყობილების ძლიერი გადმონაშობისა და პატრიარქალური მონობის არსებობით ხასიათდებოდა. ფეოდალიზმი განვითარების ადრეულ საფეხურზე იღგა. მხოლოდ დაღესტნის ზღვისპირა რაიონებში არსებობდა შედარებით განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა.

ჩრდილო კავკასიისა და დაღესტნის ტომებთან და ხალხებთან საქართველოს უძველესი დროიდანვე მჟიდრო ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობა პქონდა, მაგრამ მომთაბარე თურქებითა შემოტევების შედეგად და განსაკუთრებით, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, ეს კავშირ-ურთიერთობა საგრძნობლად შესუსტდა.

საქართველოს მეზობლად აღმოსავლეთით ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სახელმწიფოები, შაქი და შირვანი მდებარეობდა. შაქი და შირვანი განვითარებული სახელმწიფოები იყვნენ, განთქმული აბრე-

შემის წარმოებით, რომელიც გაცხოველებული საერთაშორისო ვაჭრობის საგანს შეადგენდა. საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში შაქი მის შემადგენლობაში შედიოდა, შირვანი კი საქართველოს ვასალური სახელმწიფო იყო. შემდეგში მონგოლთათართა შემოსევებისა და გაბატონების შედეგად შაქიც და შირვანიც საქართველოს ჩამოსცილდა და თურქმანულ სახელმწიფოთა ვასალებად იქცა.

საქართველოს სამხრეთის მეზობლებს, სომხებს, ამ დროს აღარ გააჩნდათ საკუთარი სომხური სახელმწიფოები. სომხეთი, ისე როგორც სამხრეთ აზერბაიჯანი, აღ-ყოინლუს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა და აქ თურქმანი მომთაბარე ტომების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად მეურნეობისა და პოლიტიკური ორგანიზაციის შესაბამისი წესები იყო დამკვიდრებული. აღ-ყოინლუს სახელმწიფოს (1468-1501 წწ.) ქართლისა და კახეთის მეფეები და სამცხე-საათაბაგოს მთავარი ხარეს უხდიდნენ. ამიტომ ქართველი მმართველები მათგან ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას ცდილობდნენ.

XV-XVI ს.ს. მიჯნაზე კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. ამ დროს ირანსა და აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა სეფიანთა ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც ენერგიული ბრძოლა დაიწყო ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს დასაპყრობად.

სეფიანთა სახელმწიფო აღ-ყოინლუს სახელმწიფოს დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა XVI ს-ის დასაწყისში. ამ სახელმწიფოს დამაარსებელი იყო ისმაილი – არდებილის (სამხრეთ აზერბაიჯანშია) შეის სეფი-ედ-დინის ჩამომავალი (ცხოვრობდა 1252-1334 წლებში).

არდებილის ფეოდალური სამფლობელოს სათავეში შეიხები იდგნენ. შეიხის თავის ხელში აერთიანებდა როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლებას.

არდებილის ფეოდალური სამფლობელოს გაძლიერება XV ს-ის II ნახევრიდან დაიწყო. ამ საუკუნის მიწურულის შინაფეოდალური ომების შედეგად დასუსტებული აღ-ყოინდუს სახელმწიფო ორად გაიყო უზუნჯასანის შვილიშვილებს, ალვენდსა და მურადს შორის. ალვენდს, რომელიც თავრიზში იჯდა, ერგო სამხრეთ აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი. ამან გაუადვილა შეის ჰეიდარის ახალგაზრდა მემკვიდრეს ისმაილს აღ-ყოინდუს სახელმწიფოს დამარცხება და მისი სამფლობელოების თავისი ძალაუფლების ქვეშ გაერთიანება.

1501 წ. შარურთან (ახლანდელი ნახიჩევანის ნორაშენის რაიონში) გადამწყვეტ ბრძოლაში ალვენდ აღ-ყოინდუს ლაშქარი განადგურდა. ისმაილი ზეიმით შევიდა თავრიზში და თავი შაქინშაჲად გამოაცხადა.

1503 წ. ისმაილმა დაამარცხა მურად აღ-ყოინდუს სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

ასე შეიქმნა ახალი სახელმწიფო, რომელსაც სეფი-ედ-დინის სახელის მიხედვით სეფიანების სახელმწიფოს ეძახიან. მისი დედაქალაქი თავრიზი იყო. მას ყიზილბაშების (წითელთავიანების) სახელმწიფოსაც უწოდებენ, რადგან ისმაილის მომხრე მომთაბარე თურქული ტომები წითელზოლებიან თავსაბურავს ატარებდნენ.

სეფიანების სახელმწიფო იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, რომელიც ადრე მონგოლ-თათრების, თემურიდების, ყარა-ყოინდუსა და აღ-ყოინდუს ხელისუფალთა მფლობელობაში იმყოფებოდა. ამიტომ სეფიანებს თავიანთი თავი მათ მემკვიდრეებად მიაჩნდათ და საქართველოსაც თავისად თვლიდნენ. ჯერ კიდევ მაშინ, სეფიანების სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში, ისმაილის დაპყრობით გეგმებში საქართველოც იყო შეტანილი.

ისმაილსა და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებსა და მთავარს შორის სამხედრო კავშირი დაიდო. მეფეებმა და ათაბაგმა ისმაილს 3-3 ათასი მხედარი გაუგზავნეს სულ 9 ათასი რჩეული მეომარი. თვით ისმაილს 7 ათასზე მეტი ჯარი არ ჰყავდა. ამრიგად, ისმაილის მთავარ ძალას ქართველი ცხენოსნები შეადგენდნენ. შარურთან ბრძოლაში

ქართველებს თავი გამოუჩნიათ; 1503 წელს, მურადთან ბრძოლის წინ ისმაილი ქართული რაზმების მეთაურებს სოხოვდა გაემსნევებინათ მათი მებრძოლები, რომ ახლაც ისე ებრძოლათ, როგორც ალვენდთან.

ასეთ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში კახეთის სამეფოს საგარეო-პოლიტიკური კურსის მიზანი იყო მორჩილება-გასალობის საფუძველზე მშვიდობიანობის შენარჩუნება. ქართლის სამეფო კი განსხვავებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ადგა. ის არ ურიგდებოდა სეფიანების სახელმწიფოს გასალობას და მთელი შესაძლებლობით იბრძოდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

დასავლეთისაკენ ირანის აგრესიული გეგმები ოსმალეთის ინტერესებს შეეჯახა. ორივე დაუინებით ცდილობდა მასლობელ აღმოსავლეთში გაბატონებას. ასე დადგა ერთმანეთის პირისპირ აღმოსავლეთის ორი დიდი სახელმწიფო, თურქეთი და ირანი, რომლებმაც XVI ს-ის დასაწყისიდანვე გააჩადეს ერთმანეთში დაუნდობელი ომი. ირან-ოსმალეთის ომები (XVI-XVIII ს.ს.) არაბეთის, ერაყის, ქურთესტანისა და განსაკუთრებით, ამიერკავკასიის კერძოდ, საქართველოს დაუფლებისათვის წარმოებდა, აგრეთვე მათზე გამავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე კონტროლის დასაწყისებლად მიმდინარეობდა.

საქართველოს პოლიტიკური ერთეულები თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩართული აღმოჩნდნენ აღნიშნულ კონფლიქტში.

XV ს-ის ქართული სამეფო-სამთავროების დიპლომატიაზე დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს შემდგომი ბედი. „საქართველოების გამგებლები ყველანაირად ცდილობდნენ ირანისა და ოსმალეთის შემოტევების მოგერიებას. დიპლომატიური მოქმედების არეალი, ფაქტობრივად, დახული იყო და „მოჯადოებულ სამკუთხედს” – ირან-ოსმალოეთ-საქართველოს არსცილდებოდა.

აღნიშნული ორი აგრესიული სახელმწიფოს გამეზობლება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარტო იმით კი არ განსაზღვრავდა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას, რომ ისინი გამუდმებულ თავდასხმებს აწარმობდენენ საქართველოზე და ქვეყანა გავლენის სფეროებად პქონდათ განაწილებული, არამედ იმითაც, რომ ევროპაში ფორმირებულ სისტემურ საერთაშორისო ურთიერთობებში, ევროპის პოლიტიკურ ერთეულთა ინტერესების შესაბამისად, ირანიც და თურქეთიც გარკვეულწილად განსაზღვრავდნენ ევროპის კონტინენტზე სისტემის სტაბილურობასა და წონასწორობას. ევროპის პოლიტიკური ერთეულები განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ ირან-ოსმალეთთან სტაბილური ურთიერთობების შენარჩუნებით. ვინაიდან ირან-ოსმალეთს შორის კონფლიქტი თუ სტაბილურობა პირდაპირ გავლენას ახდენდა ევროპაში საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაზე. ირან-ოსმალეთს შორის კონფლიქტით დაინტერესებული იყო ვენის სასახლე, ვინაიდან ეს იწვევდა ოსმალეთის სამხედრო ძალების აღმოსავლეთ ფრონტზე გადასროლას და ავსტრიის ჰაბსბურგების სამფლობელოებზე ოსმალეთის თავდასხმების შეწყვეტას. ასეთ პირობებში, კი ვენა თავის სამხედრო ძალებს საფრანგეთის წინააღმდეგ დასავლეთის ფრონტზე მიმართავდა. ვერსალის სასახლე კი პირიქით, დაინტერესებული იყო ირანსა და ოსმალეთს შორის სტაბილურობის შენარჩუნებით, რაც ქმნიდა პირობას ოსმალეთ-აგსტრიის კონფლიქტისას აღმოსავლეთ ევროპაში, რაც უზრუნველყოფდა საფრანგეთის აღმოსავლეთ საზღვრების უსაფრთხოებას. წინააღმდეგობის ეს კვანძი დიდწილად განსაზღვრავდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ მდგრამარეობას აღნიშნულ პერიოდში.

თავი II

საბარეო პოლიტიკური მდგრადარეობა ამიერკავკასიის
რეგიონში XVI–XVII საუკუნეებში

ამ პერიოდში ამიერკავკასიის რეგიონის პოლიტიკურ ერთეულ-
თა საგარეო პოლიტიკურ კურსს მნიშვნელოვანწილად განსაზღვ-
რავდა ირან-ოსმალეთის სამხედრო დაპირისპირება. აზიის ორი
უძლიერესი სახელმწიფო ცდილობდა აბსოლუტური უპირატესობა
მოვპოვებინა რეგიონში.

2.1. ირან-ოსმალეთის პირველი ომი (1514-1555) და ქართული
პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკა

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ირან-ოსმალეთის
ურთიერთობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სეფიანე-
ბის სახელმწიფო და ოსმალეთი იმ დროის აღმოსავლეთის ორი უდი-
დესი ფეოდალური მონარქია იყო. ორივე დაუინებით ცდილობდა მახ-
ლობელ აღმოსავლეთში გაბატონებას. იგი გარკვეულწილად დაკავ-
შირებული იყო ეკროპის წამყვანი სახელმწიფოების ინტერესებთ-
ანაც. ამ ორი აგრესიული სახელმწიფოს საქართველოს მეზობ-
ლად ყოფნა განსაზღვრავდა საქართველოს პოლიტიკური ერთე-
ულების მერყევ, ვითარების შესაბამისად გათვლილ საგარეო
პოლიტიკურ კურსს.

1510 წლისათვის შაჰ ისმაილის (1501-1524 წწ.) ხელში იყო უზარ-
მაზარი ტერიტორია ამუდარიდან ევფრატამდე. დასავლეთისაკენ
ირანის აგრესიული გეგმები ოსმალეთის ინტერესებს შეეჯახა. ორივე
დაუინებით ცდილობდა მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებას. ასე
დადგა ერთმანეთის პირისპირ აღმოსავლეთის ორი დიდი სა-
ხელმწიფო – თურქეთი და ირანი, რომლებმაც XVI ს-ნის დასაწ-
ყისიდანგვე გააჩადეს ერთმანეთში დაუნდობელი ომი.

ირან-ოსმალეთის ომები არაბეთის ერაყის, ქურთისტანისა და განსაკუთრებით, ამიერკავკასიის მდიდარი ქვეყნების ხელში ჩასა-გდებად, აგრეთვე, მათზე გამავლი ევროპა-აზიის დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანებს საფაჭო-სატრანსიტო მაგისტრალზე კონტროლის დასაწესებლად მიმდინარეობდა.

ამ ნიადაგზე მათ შორის 1514 წელს ომი დაიწყო, რომელიც დრო-გამოშვებით 1555 წლამდე გრძელდებოდა. საქართველოს პოლიტიკური ერთეულები თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ჩართული აღმოჩნდნენ ამ კონფლიქტში.

1514 წლის 20 აპრილს ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა სტამბოლი დატოვა და ყიზილბაშთა წინააღმდეგ სალაშქროდ გა-ქმართა. ხოლო 23 აგვისტოს ჩადდირანის (სამხრეთ აზერბაიჯანში) ბრძოლაში სულთან სელიმმა სასტიკად დაამარცხა შაჰ ისმაილის ლაშქარი და მალე თავრიზიც აიღო. ოსმალეთის ხელში გადავიდა დასავლეთ სომხეთი და ჩრდილო მესოპოტამია. არაბეთის ერაყი ქ. ბაღდადითურთ ირანს დარჩა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, სელიმმა ვერ შეძლო აზერბაიჯანში გამაგრება და უკან გაბრუნდა.

1515 წელს სელიმ I-მა ქურთესტანი დაიპყრო, შემდეგ კი ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობა განიზრახა. ამის გამო მისი უურადება დროებით ჩამოსცილდა ამიერკავკასიას.

1515 წ. დროებითი ზავით ოსმალეთმა მიიღო სომხეთის დასავლე-თი ნაწილი, ქ. ერზერუმი და მესოპოტამიის ჩრდილოეთი მხარე ქ. მოსულით.

ოსმალეთთან ომში დამარცხებული ისმაილ I შეეცადა შეექმნა ან-ტიოქრექლი კოალიცია. 1515 წელს შეიკრა კავშირი, რომელშიაც შევიძნენ ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის (ევფრატზე) მცირებელი ალ-ად-დოვლე და სამცხე-საათაბაგოს მთავარი ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535 წწ.). მოკავშირეები შეთანხმდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს, თუ ერთ-ერთ მათგანს თაგს დაესხმოდა სულთანი. მაგრამ აღნიშნული კოალიცია ეფექტური ვერ აღმოჩნდა. 1516-1517 წლებში სელიმ I-მა დაიპყრო ალბისტანი და მარაში,

დაამარცხა ეგვიპტის მამელუქი სულთანი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და ჰიჯაზი სელიმს დამორჩილდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავაკასიაში ირან-ოსმალეთის ინტერსთა შეჯახებისა და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლის გამოხატულება იყო სამცხე-საათაბაგოში განვითარებული მოვლებები, რომელშიც ეს ორი სახელმწიფო აქტიურ მონაწილეობას დებულობდა. კერძოდ, 1515 წელს მზეჭაბუკ ათაბაგის გარდაცვალების გამო სამთავროში ერთმანეთს დაუპირისპირდა პროირანული და პროოსმალური ჯგუფები. ორივე მათგანი საგარეო-პოლიტიკური ძალების დახმარებით ცდილობდა ხელისუფლების მოპოვებას და შენარჩუნებას სამთავროში. ამ კონფლიქტში ასევე ჩართული აღმოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა მეთაურებიც.

1515 წელს, მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგობა მიიღო მისმა მმისწულმა, ქაიხოსრო I-ის შვილმა ყვარყვარე III-ემ. ამ უკანასკნელს აუჯანყდა ბიძა-ქაიხოსრო I და მზეჭაბუკის ძმა – მანუჩარი. როგორც ჩანს, ათაბაგის სახლის წევრთა შორის განხეოვილება საგარეო ორიენტაციის სხვადასხვა კურსით იყო გამოწვეული. ყვარყვარე III ისმაილთან კავშირში იმყოფებოდა, ტახტის პრეტენდენტი მანუჩარი კი თურქეთის ორიენტაციისა იყო. მანუჩარმა და მისმა მომხერე ფეოდალებმა დაამარცხეს ყვარყვარე. ეს უკანასკნელი თავრიზში გაიქცა და შპს დახმარება სოხოვა. შპსმაც არ დააყოვნა და იმავე 1516 წელს, როცა ის ნახიჩევანში საზამთრო ბანაკად იმყოფებოდა, თავისი სარდალი დივ-სულთან რუმლუ გაბზავნა საათაბაგოში. სარდალს დავალებული ჰქონდა „საქართველოს მხარე გაეწინდა იმ უწმინდურთაგან“ ე.ი. ყვარყვარეს მოწინააღმდეგებისაგან. ბრძოლა მოხდა თმოგვის ციხესთან, სადაც ირანელებმა გაიმარჯვეს, ათაბაგობა ყვარყვარეს დაუმტკიცეს და უკან გაბრუნდნენ.

სამცხე-საათაბაგოში თავისი მდგომარეობის ასე ისე განმტკიცების შემდეგ, ისმაილ I ქართლ-კახეთის შემომტკიცებას შეეცადა. 1518 წ. შპს ნახიჩევანში იდგა საზამთრო ბანაკში. აქ მასთან გამო-

ცხადდა მისი მოკავშირე ყვარყვარე III. ეს უკანასკნელი შაჲმა ერევნის მმართველ დიფ-სულთან რუმლუსთან ერთად ქართლში გამოგზავნა. დივსულთან რუმლუს რაზმა სამცხე-საათაბაგოზე გამოიარა და გორი და სურამი დაიკავა. ქართლის სამეფოს აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით დავით მეფემ მორჩილება არჩია. შაჲის სარდალს თავისი შვილის, რამაზის ხელით დიდი ძღვენი გაუგზავნა.

ქართლის სამეფოს გართულებული საგარეო მდგომარეობით ისარგებლებ დევანის მომხრე კახელმა თავადებმა, რომლებმაც ახალგაზრდა ბატონიშვილი გამოიყვანეს ოჩანის ციხიდან (ივრის-თავს), სადაც ის იმალებოდა და კახეთში გაამეფეს. ამრიგად, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ერთიანობას ბოლო მოვდო. ქართლის სამეფო კარი ვერ ურიგდებოდა კახეთის დაკარგვას, მაგრამ ყიზილბაშთა მოსალოდნელი შემოსევის წინააღმდეგ თავდაცვითი დონის სძიებებით დაკაგშირებულ დავით მეფეს კახეთში ლაშქრობის მოწყობა არ შეეძლო. ბოლოს შაჲ ისმაილმა შეიწყნარა დავითის თხოვნა, რამაზი დაჯილდოებული დააბრუნა და ქართლის მეფეს ზავი აღუთქვა. მოხდა შეთანხმება, რომლითაც ქართლის მეფე მორჩილებას და ყოველწლიურ ხარეს, 300 საპალნე აბრეშუმს კისრულობდა. შაჲს მორჩილება და ხარე აღუთქვეს ლევანმა და ყვარყვარე ათაბაგმაც. ამრიგად, 1518 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეფები და სამცხის მთავარი სეფიანების სახელმწიფოს ვასალები გახდნენ.

1520 წელს, ისმაილთან დაზაგების შემდეგ, ქართლის მეფებ კახეთში გაილაშქრა. ლევანი იძულებული გახდა მაღრანის ციხეში (ახლ. ახმეტის რაიონი) ჩაკეტილიყო. ქართლის ლაშქარმა ციხეს ალყა შემოარტყა. ხანგრძლივმა ალყამ მეციხოვნეები უკიდურეს მდგომარეობამდე მიიყვანა. მათ სურსათი გამოელიათ და ის იყო დანებებას აპირებდნენ, რომ დავით მეფეს ცნობა მოუვიდა ქართლში ოსმალების შემოჭრის შესახებ. ამ ცნობას დავით მეფე საიდუმლოდ ინახავდა. მაღრანის ციხის მცველებიც დამორჩილებას აპირებდნენ. მეფემ ციხეში მოციქულებად გაგზავნა ამილახორი და

მთავარეპისკოპოსი დამორჩილების მოთხოვნით, მაგრამ მთავარეპისკოპოსი მოღალატე აღმოჩნდა. მან დედოფალს (ლევანის დედას) საიდუმლოდ გაუმჯდავნა ქართლის მეფის მძიმე მდგომარეობა და უთხრა, რომ ამაღამ ჯარი ქართლში მიდის. ამის გამო ციხის მცველებმა დანებებაზე უარი შეუთვალეს. დავით მეფე იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და ქართლში წამოსულიყო.

ქართლში გადმოსული დავითი შეებრძოლა ოსმალებს და ისინი ქართლის საზღვრებიდან გადარეკა. ამის შემდეგ, იმავე 1520 წ. მან ისევ გაიდაშქრა კახეთზე. ბრძოლა მოხდა მადაროსთან (ახლ. სიღნაძის რაიონი). ლევანმა გაიმარჯვა და ქართლის მეფე აიძულა თბილისში დაბრუნებულიყო.

დამარცხების მიუხედავად, დავით მეფეს უარი არ უოქვამს კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაზე, მაგრამ შინაგანმა და საგარეო მდგომარეობამ საბოლოოდ აიძულა იგი ხელი აელო ამ საქმეზე. კახეთიდან მობრუნებულ დავითს, იმავე 1520 წ. ქართლში დახვდა გურიის მთავარი მამია I (1512-1534) თავისი ლაშქრით.

გურიელი სამცხე-საათაბაგოდან გადმოვიდა სამცხის მთავრის თანხმობითა და ხელისშეწყობით. როგორც ჩანს, იმერეთის მეფე ბაგრატიც, რომელსაც ემორჩილებოდა გურიელი, ხელს უწობდა მას. მათ ეშინოდათ ქართლის სამეფოს გაძლიერებისა და გურიელის მოსვლის მიზანიც დავითსა და ლევანს შორის ზავის მიღწევა იყო. დავით მეფემ გზა გადაუჭრა გურიელს და მოხისთან (ქარელის რაიონი) მცირე რაზმით შეებრძოლა, მაგრამ დამარცხდა. იგი თბილის დაბრუნდა და ჯარის შეგროვებას შეუდგა. ამასობაში გურიელი მოხისიდან მუხრანისაკენ წამოვიდა, სადაც მას კახეთის მეფეც შეუერთდა. დავით X ახალი ლაშქრით ნიჩბისში (მცხეთის რაიონი) დადგა. აქედან მეფეს პირდაპირ უნდა დაერტყა გურიელის ლაშქრისათვის, ხოლო ბაგრატ მუხრანბატონს და ამილახორს ბაზალეთიდან (დუშეთის რაიონი) უნდა დაეწყოთ შეტევა, მაგრამ საქმე ბრძოლამდე არ მისულა. მამია გურიელმა დავითს მოციქულების პირით შეუთვალა:

მე იმისათვის მოგედი, რომ ოქვენსა და ლევანს შორის ზავი ჩამოვაგდო. პირველი ბრძოლა ჩვენს შორის რომ მოხდა, ოქვენ დაიწყეთ ისე, რომ მე არ გამაფრთხილეთ და არც ვიცოდი, თუ თვით მეფე მოდიოდა ჩემს წინააღმდეგ. ახლა კი გევედრებით „რათა ჰყოთ ზავი და სიუჟარული ოქვენს შორის, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყევნი, რომელი იპყრობს ქვეყანათა“. ქართლის მეფეს კათალიკოს-ეპისკოპოსებმა და საერო ფეოდალებმა დაზავება ურჩიეს. მეფეც დათანხმდა. დავითი და ლევანი დაზავდნენ, საზღვრები დაადგინეს და ხელშეკრულება დადეს კეთილმეზობლობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ.

ამრიგად, ქართლის ბრძოლა პოლიტიკური ერთიანობისათვის მარცხით დამთავრდა. ამაში მთავარი როლი, საგარეო ძალასთან ერთად, შინაურმა ფეოდალურმა რეაქციამ ითამაშა.

1520 წლის შემდეგ, ერთხანს ქართლის, კახეთის და სამცხე-საათაბაგოს გამგებლები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ყიზილბაშთა გავლენისაგან გათავისუფლებაც სცადეს.

1521 წ. ლევანმა (1518-1574 წწ.) „გამოიღო თავი მორჩილების უდლიდან და ურწმუნოთა ჯარი გაგზავნა შაქის მხარეზე თავდასასხმელად“. შაქი ყიზილბაშთა ვასალი იყო. მისმა გამგებელმა დახმარება სთხოვა ისმაილს. ამ უკანასკნელმა დივ-სულთან რუმლუ გამოგზავნა ჯარით. ყიზილბაშთა რაზმმა გადალახა აღაზანი, იორი და დაარბია ზეგამი და გრემი. ლევანი იძულებული გახდა დამორჩილებოდა მტერს. ამ დროიდან 1578 წლამდე კახეთი ირანის ვასალი იყო ქართლი კი, თავიდანგე ფაქტიურად იბრძოდა სრული დამოუკიდებლობისათვის.

მოკლე ხანში ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა აშკარად იგრძნეს, რომ ირანი მათ სუვერენიტეტს რეალურად დაემუქრა. ქართული საგარეო პოლიტიკის მიზანი ამ პერიოდში იყო ფიზიკური არსებობის შენარჩუნება და ამის შესაბამისად ერთადერთი გზა იყო ირანსა და ოსმალეთს შორის ბალანსირებული პოლიტიკის წარმოქადა. მირითადი ამოცანა იმით გამოიხატებოდა, რომ

უპირატესობის სასწორი რომელიმე დამპყრობლის მხარეზე მეტის-მეტად არ გადახრილიყო. ამგვარი ვითარება შეიქმნა 20-იანი წლების დამდეგს და საქართველოს სამეფო სამთავროების გამგებლებმაც სასწრაფოდ მოახდინეს რეაგირება. მათ, ირანისა-გან საიდუმლოდ, ოსმალეთთან დაკავშირება და წინანდებურად ორმაგი დიპლომატიის თამაშის აღორძინება სცადეს. მაგრამ აქ 1520 წლის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი დაირდვა: მეფე-მთავრებმა კვლავ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად იწყეს საგარეო პოლიტიკის წარმოება, რაც საქართველოს ინტერესებს მუდამ ზიანს აყენებდა.

პირველი დიპლომატიური ნაბიჯები ოსმალეთთან დაკავშირების გზაზე ყვაყარე III-ემ გადადგა. მართალია, XVI ს-ის 20-იან წლებში, როცა ირანი ქართლის დასამორჩილებლად იბრძოდა, ოსმალეთი დაკავებული იყო დაპყრობებით ევროპაში, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ოსმალეთს ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერესები აღარ გააჩნდა. ოსმალეთის პოლიტიკის გააქტიურება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

1524 წელს შაპ-თამაზი გარდაიცვალა და ირანში შინა არეულობა დაიწყო. ტახტზე იჯდა ისმაილის 10 წლის შვილი თამაზი. ამით ისარგებლა დავით X-ემ და იმავე წელს თბილისი დაიბრუნა, აიღო აღჯაყალას ციხე, დაანგრია ის და ამრიგად, შაპის ვასალობისაგან განთავისუფლდა. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანას არც ოსმალეთი და არც ირანი კარგა ხანს არ აწუხებდა.

ამასობაში საქართველოში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება მოხდა და შიდაპოლიტიკურ არენაზე ახლი ალიანსი შეიკვრა. 1525 წელს ქართლის მეფე დავითი X იძულებული გახდა ბერად აღკვეცილიყო, ხოლო სამეფო ხელისუფლების უზურპაცია მოხდინა მისმა მმამ გიორგი IX (1525-1527). ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ დავითის უფროსმა ვაჟმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს მიმართა. შეიქმნა კავშირი, რომელიც დინასტიური ქორწინებითაც განმტკიცდა – ლუარსაბმა ბაგრატ III-ის ასული შეირთო ცოლად. იმერეთის მეფის დახმარებით, 1527 წელს

ლუარსაბი სამეფო ტახტს დაეუფლა. ამის სანაცვლოდ ბაგრატ III-ემ ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილი (სურამი, ალი და ახალდაბა) მიიღო.

ამიერიდან იმერეთ-ქართლის პოლიტიკური კავშირი იქცა იმ ძალად, რომლის გარშემო იქრიბებოდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი პროგრესული ძალები. ბაგრატ III და ლუარსაბ I (1527-1556) მხოლოდ თავიანთი სამფლობელოების კერძო ინტერესებიდან არ ამოდიოდნენ და საკუთარ მოქმედებებათა საქართველოს საერთო ინტერესებთან შეხამებას ცდილობდნენ. ისინი საგარეო პოლიტიკის კუთხითაც შეთანხმებულ მოქმედებას აწარმოებდნენ, თუმცა, მკაცრი რეალობის გათვალიწინება და ამის შესაბამისად, მოქმედებაც უხდებოდათ.

XVI ს-ის 20-იან წლებში მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარმა მოვლენებმა დიდი გავლენა იქონია საქართველოს სამეფო-სამთავროების შემდგომ ბედზე.

როგორც ცნობილია, 1519 წლიდან ევროპაში დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ჰეგემონობისათვის საფრანგეთსა და ჰაბსბურგების იმპერიას შორის. საფრანგეთის მეფე ფრანსუა I (1515-1547) ხედავდა, რომ მხოლოდ მისი ძალები იმპერატორ კარლ V-ის (1519-1556) დასამარცხებლად არ კმაროდა. საჭირო იყო მოკავშირის გამონახვა. ამ დროს ჰაბსბურგების სამფლობელოს ევროპაში დაპყრობით დაემუქრა ოსმალეთის იმპერია. საერთო მტრის არსებობამ საფრანგეთისა და ოსმალეთის დაახლოებას შეუწყო ხელი. ამ პერიოდიდან საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის აქსიომა ოსმალეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამაშრომლობით, ჰაბსბურგების წინააღმდეგ ბრძოლა გახდა. 1529 წელს ოსმალებმა, საფრანგეთის ხელშეწყობით, ავსტრიის დედაქალაქ ვენასაც აღყაშემოარტყეს, მაგრამ ჰაბსბურგებმა დაიცვეს თავიანთი ქალაქი. ვენა სამუდამოდ დარჩა ოსმალეთის ექსპანსიის უკიდურეს წერტილად ევროპის მიმართულებით.

XVI ს-ის 20-იანი წლების მიწურულიდან ოსმალეთს უკვე აღარ შესწევდა ძალა თავისი აგრესიული პოლიტიკა ერთდროულად ორ ფრონტზე თანაბარი ძალით წარემართა. იგი არჩევანის წინაშე

ოდგა: ომი აღმოსავლეთში ან დასავლეთში. ასე რომ, ირანთან ზავი ფაქტობრივად აპირობებდა ოსმალეთის ომს დასავლეთში და პირიქით, ევროპულ სახელმწიფოებთან ზავი აპირობებდა ოსმალეთის ომს ირანთან.

ამიერიდან საფრანგეთიცა და ჰაბსბურგებიც თავიანთი პოლიტიკური ფეხმების რეალიზაციას სათანადოდ უხმამებდნენ თსმალეთის ვითარებას, რაც ევროპის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კომპონენტი გახდა. კონკრეტულად საფრანგეთს აინტერესებდა ოსმალეთის ლაშქრობა ჰაბსბურგების სამფლობელოზე. მას არ აწყობდა ოსმალეთის ურთიერთობების გამწვავება ირანთან. ჰაბსბურგების მიზანი კი პირიქით, ირან-ოსმალეთის ომებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა გახდდათ.

ამის გამო, კარლ V-ემ და მისმა ძმამ, ავსტრიის ერცჰერცოგმა ფერდინანდ I ირანის შაპთან ურთიერთობის დამყარება და სეფიანთა სახელმწიფოს თავის მოკავშირედ გახდომა სცადეს. მათი ჩანაფიქრით, ჰაბსბურგების და სეფიანების აქტიურ თანამშრომლობას უნდა გაენეიტრალებინა და მინიმუმადე დაევანა ოსმალეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ქმედითუნარიანობა.

1529 წელს ჯერ იმპერატორმა, შემდეგ მისმა ძმამ ირანში ელჩები გაგზავნეს. ისინი შაპთამაზს ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განახლებას სთხოვდნენ, რაც ჰაბსბურგების მდგომარეობას ევროპაში მკვეთრად გააუმჯობესებდა. შაპი ელჩებს თურქეთთან ბრძოლაში შემწეობას დაპირდა.

ფერდინანდ I-ის ელჩები, პეტრო დე ნეგრო და სიმონდე ლილი ირანის გასალს, კახეთის მეფესაც ეწვივნენ. ლევანდა ისინი დიდი პატივით მიიღო და როცა ფერდინანდის ოსმალებთან ომის მზად ყოფნის შესახებ შეიტყო, მთელი საქართველოს ფეხზე დაყენებას შეკპირდა.

სინამდვილეში შაპისა და მისი ვასალისათვის ჰაბსბურგების წინადაღება მიუღებელი იყო, რადგან მათ ოსმალეთთან ომის განახლება არ აწყობდათ. პირიქით, სეფიანთა ამოცანას ევროპაში ოსმალეთის აგრესისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობა წარ-

მოადგენდა, რათა ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ თავის-უფალი მოქმედების საშუალება მისცემოდა. აქედან გამომდინარე, ირანი ობიექტურად, საფრანგეთის მოკავშირის როლს ასრულებდა.

აღნიშნული გლობალური მასშტაბის მოვლენები საქართველოს სამეფო-სამთავროების მიმართ ირანისა და ოსმალეთის დამოკიდებულებაშიც აისახა. რასაკვირველია, ოსმალეთს საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ერთეულის წინააღმდეგ სადამსჯელო თპერაციის ჩატარება ევროპაში ომის დროსაც შეეძლო, მაგრამ მისი აგრესია ამ დროს მაინც შეზღუდული იყო. ეს ლაშქრობები საქართველოს მოსაზღვრე სანჯაყებისა და საბეგლარბეგოს ძალებით ხორციელდებოდა და მასში ოსმალთა ჯარის რეგულალური ნაწილები არ მონაწილეობდნენ.

რაც შეეხება ირანს, შაპი საქართველოს წინააღმდეგ მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ოსმალეთი ევროპული საქმეებით იყო დაკავებული.

30-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთსა და ჰაბსბურგებს შორის ომი გრძელდებოდა, მაგრამ მნიშვნელოვან წარმატებებს ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და ამიტომ უნგრეთის დამორჩილების შემდეგ 1533 წლის 22 ივნისს ზავი დაიდო. სულთან სულეიმანმა (1520-1566 წწ.) მთავარი ყურადღება ისვე ირანისაკენ მიმართა და 1533 წ. მასთან ომი განაახლა. მომდევნო წელს ოსმალებმა აიღეს ყიზილბაშების სატახტო ქალაქი თავრიზი, ქ. ბაღდადი, არაბეთის სანაპირო, მაგრამ ვერც ამჯერად შეძლეს სამხრეთ აზერბაიჯანში გამაგრება, თუმცა არაბული ერაყი და ბაღდადი მათ დარჩათ. გაჩნდა სამცხე-საათაბაგოს მხრიდან ოსმალთა შემოჭრის რეალური საფრთხე. ამიტომ ბაგრატ III-ემ და ლუარსაბ I-მა მათთვის დასწრება და ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პლაცდარმის გამაგრება გადაწყვიტეს. 1535 წელს ბაგრატ III-ემ სამცხის სამთავრო იმერეთის სამეფოს შემოუერთა. ყვარევარე III-ის მცირეწლოვანი შვილი ქაიხოსრო და დიდი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი დახმარების სათხოვნელად სულთანთან გაიქცნენ.

რადგან ირან-ოსმალეთის ომის დროს პაბსბურგებმა საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, ამ უკანასკნელმა აიძულა სულთანი, ისევ განეხელებინა ომი ევროპაში. სულეიმან I მოუცლელობის ქამს, სამცხე-საათაბაგოს პრობლემის გადაწყვეტა არზრუმის ახლადდარსებული საბეგლარბეგოს გამზებელს დაევალა. 1536 წელს ოსმალებმა ტაოსა და კლარჯეთში გარკვეული ტერიტორია დაიპყრეს და მასზე თოხი სანჯაყი დაარსეს. ეს იყო საქართველოს მიწაზე სანჯაყების შექმნის პირველი ფაქტი, რაც იმაზე მეტველებდა, რომ ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში თავიანთი მმართველობის დანერგვა დაიწყეს.

ირან-ოსმალეთის პირველი ომის დროს, ირანი უმთავრესად ქართლსა და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილს უტევდა, ოსმალეთი კი – დასავლეთ საქართველოსა და საათაბაგოს დასავლეთ ნაწილს.

ოსმალეთის აგრესია საქართველოს ამ ნაწილების წინააღმდეგ ჩრდილო-დასავლეთიდან და სამხრეთიდან წარმოებდა.

1536 წელს სულთანი სულეიმან I ირანში ლაშქრობიდან სტამბოლში დაბრუნდა და მთავარი ყურადღება ისევ ევროპა-აფრიკაში დაპყრობებს მიაქცია. ამით ისარგებლა ირანის შაჰი თამაზმა (1524-1576 წწ.) და შეეცადა თავისი ბატონობის განმტკიცებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. 1538 წ. ყიზილბაშებმა შირვანი დაიპყრეს. ამდროიდან შირვანის სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობას ბოლო მოედო და ის სეფევიდების პროვინციად – საბეგლარბეგოდ იქცა.

ქართლის მეფე ლუარსაბი (1527-1556 წწ.) ფხიზლად ადევნებდა თვალყურს საქართველოს გარშემო შექმნილ რთულ პოლიტიკურ კითარებას. საფრთხე დიდი იყო: აღმოსავლეთ საქართველოს ყიზილბაშები ემუქრებოდნენ, დასავლეთს – ოსმალები. საერთო საფრთხის წინაშე ლუარსაბი ცდილობდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებას მთელი საქართველოს მასშტაბით. გარდა იმისა, რომ ქართლი და იმერეთი დაკავშირებული იყვნენ, ლუარსაბს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კახეთის მეფე ლევანთანაც. ამის

გარდა, ირანის აგრესის მოგერიებას იგი შეიარაღებულ წინააღმდეგობასთან ერთად, დიპლომატიური გზითაც ცდილობდა. კერძოდ, 1540 წელს სულეიმან I ელჩი გაუგზავნა და ირანის წინაღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. ოსმალეთს მაშინ ირანთან ახალი ომის დაწყება არ აწყობდა და ამიტომ ქართლის მეფეს შემწეობის აღმოჩენაზე უარი უთხრა.

შირვანის დაპყრობისა და მისი შემომტკიცების შემდეგ, ოსმალეთის პასიურობით წაქეზებულმა ირანის შაჰმა 1540 წელს დიდხალი ჯარით ყარაბაღში მიიღიდა. აქ 12 ათასი მხედარი შეარჩია და 1541 წ. ქართლში შეიჭრა და თბილისი აიღო.

ლუარსაბ მეფე პარტიზანული ომის ტაქტიკას დაადგა. შაჰ თამაზი იმულებული გახდა შეეწყიტა საომარი მოქმედება და დიდხალი ტყვითა თუ სხვა ნადავლით ყარაბაღში დაბრუნებულიყო.

შაჰ თამაზის ამ პირველი შემოსევის შედეგად ყიზილბაშები თბილისს დაეუფლნენ. კახეთის მეფე ლევანმა შაჰს ნებაყოფლობითი მორჩილება გამოუცხადა და ქართლს დახმარება არ გაუწია. კახეთის სამეფოს დიპლომატიის მთავარი მიზანი XVI ს-ში იყო თავიდან აეცილებინა ის ნგრევა-აოხრება, რომელიც ირან- ოსმალეთის ომებს თან სდევდა.

1541 წელს, შაჰ-თამაზ I-ს ეახლა ბაგრატ II და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. შაჰმა მას გარკვეული ფინანსური და მატერიალური დახმარება გაუწია. ქართლ-კახეთის სამეფოში შაჰ თამაზის პირველი შემოსევის შემდეგ, სულთანი სულეიმანი საათაბაგოს დაპყრობას შეეცადა. 1543 წელს სულთანის ბრძანებით არზუუმის მმართველი მუსა ფაშა 22 ათასიანი ლაშქრით იმერეთ-საათაბაგოს მეფე, ბაგრატის წინააღმდეგ წამოვიდა. ბაგრატმა საჭირო ზომები მიიღო, ციხეები გაამაგრა, შეკრიბა ლაშქარი და მოუწოდა გურიელსა და დადიანს. ლევან I დადიანმა (1533-1572) განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ 1535 წ. ჭანეთი და აჭარა გურიელს დაუთმო, ომში მონაწილეობა არ მიიღო. მიუხედავად ამისა, ქართველუბმა 1543 წელს ოსმალები ქარადაქთან დაამარცხეს.

ქარადაქთან ოსმალთა ჯარის დამარცხებამ ვერ შეაჩერა ოსმალთა აგრესია. 1545 წ. სულთანმა დიდმალი ჯარი შემოუსია საათაბაგოს. ბასიანში სოხოისტას ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ოთარ შალიკაშვილის აქტიური დახმარებით ოსმალებმა დაიჭირეს საათაბაგოს ციხე-სიმაგრეები და ათაბაგად ქაიხოსრო III (1545-1573) დასვეს. ამ დროიდან ოსმალეთი შედარებით მტკიცედ ჩადგა სამხრეთ საქართველოში, რასაც შემდეგში მისი სრული დაპყრობა მოჰყვა.

შექმნილ ვითარებაში ქართველი მეფე-მთავრები XVI ს-ში დაუცხრომლად ეძებდნენ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზებს. მათ ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ბლოკადის გარდვევა ისევ დასავლეთ ევროპისა და რომის პაპის მეშვეობით სცადეს.

ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ქართული სამეფო-სამთავროებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს წარმოადგენდა რომის პაპთან დაკავშირება და მისი შემწეობით მაპმადიანთა ბატონობისგან თავის დაღწევა, კათოლიკური ეკლესიის მეთაურს კი საქართველოში არსებული მრევლის შენარჩუნება ეწადა.

1545 წლის 17 ივნისს, პაპმა პავლე III-ემ (1534-1549) ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს გამოუგზავნა წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ქართლის მეფესა და მის მეზობელ ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა გამგებელებს სურვილი გასჩენიათ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექციათ თავიანთი ქვეყნები.

ამრიგად, ქართული პოლიტიკური ერთეულები გარდა იმისა რომ თავის დაღწევისა და გადარჩენის საშუალებად ირან-ოსმალეთის აგრესიის პირობებში ამ ორ სახელმწიფოს შორის ბალანსირებული პოლიტიკის წარმოებაში ხედავდნენ, ასევე ფიქრობდნენ ალტერნატიულ გზებზე, კერძოდ, ევროპის დახმარებას. თუმცა რელიგიურ ფაქტორზე აქცენტის გაპეოება იმთავითვე მცდარი იყო, რადგან ევროპაში ამ დროს უკვე წნდება სერიოზული ნიშნები რომის პაპის ხელისუფლებასთან ევროპის გარკვეული პოლიტიკური ერთეულების დაპირისპირებისა. რომის პაპზე აქცენტი უკვე ნიშნავდა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ბოლომდე

ვერ ერკვეოდა ევროპაში დაწყებულ იმ ძვრებში, რომელმაც მოგვიანებით კონტინენტზე გლობალურ კონფლიქტს გაუწია პროვოცირება. რელიგიური ფაქტორი, უკვე ევროპულ პოლიტიკრ ერთეულთა შორის კარგავდა მნიშვნელობას. პაპის როლი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში თანდათან ეცემოდა.

ქართლის მეფე, ვიდრე ევროპიდან ქმედითი დახმარების მოლოდინში იყო ბრძოლას არ წყვეტდა ოსმალების წინააღმდეგ. სოხომისტას ომის შემდეგ, ქართლის მეფე ლუარსაბ I ისევ ინარჩუნებდა ძალაუფლებას ჯავახეთში, რასაც ვერ ურიგდებოდა ათაბაგი ქაიხოსრო II. ამავე დროს ეს უკანასკნელი მალე დარწმუნდა, რომ სულთნის მთავრობა საათაბაგოს სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა. ამგვარმა ვითარებამ სამთავროს პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა გამოიწვია. ქაიხოსრო II შპ თამაზს სოხოვდა დახმარებას. ვინაიდან შპს მოსვენებას არ აძლევდა ქართლის მეფის ურჩობა, ამიტომ ათაბაგის თხოვნას დაუყონებლივ გამოეხმაურა.

მოკავშირეებმა ოსმალეთის მირითადი სამხედრო ძალების ევროპაში ყოფნით ისარგებლეს და მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებები განახორციელს. 1547 წ. იანვარში თამაზი უამრავი ჯარით საათაბაგოში შევიდა და ახალქალაქში დაბანაკდა. ჯავახეთის დარბევის შემდეგ ქვემო ქართლს შემოესია. შპს იმერეთის მეფე ბაგრატი და კახეთის მეფე ლევანი ეახლნენ. შპმა ისინი უხვად დააჯილდოვა და თავთავიანთ სამეფოებში გამოისტუმრა.

ირანისა და სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურმა პატირება არა მარტო ქართველ მეფეებს მიაყენა დარტყმა, არამედ მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ოსმალეთის წარმატებები ამ უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონში.

სულთანი სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდა ავსტრიის წინააღმდეგ, მაგრამ საგრძნობ შედეგებს ვერ აღწევდა. თანაც, მის შემფოთებას იწვევდა აღმოსავლეთში შექმნილი ვითრება. ამიტომ სულეიმან I-მა 1547 წელს ზავი დაღო კარლ V-თან და ფერდინანდ I-თან და ყიზილბაშებთან ომისათვის სამზადისს შეუდგა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული „ოსმალეთ-პაბსბურგების ზავი უშუალოდ დაკავშირებული იყო სულთნის სერიოზულ პოლიტიკურ მარცხთან სამცხე-საათაბაგოში, რაც მასლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებას ირანის სასარგებლოდ ცვლიდა”.

ზავმა საფრანგეთის მეფე ანრი I-ის (1547-1559) შეშფოთება გამოიწვია. იგი თვლიდა, რომ იმპერატორი ოსმალეთის არმიის აღმოსავლეთში ყოფნით ისარგებლებდა და საფრანგეთის სამფლობელებს თავს დასხმოდა. 1548 წლის 29 მარტს სულეიმან I-მა ირანის წინააღმდევე მორიგი საომარი კამპანია წამოიწყო. ანრი I-ის მითითებით, სტამბოლში მყოფი მისი ელჩი დარამონისა ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა. მას უნდა აეძულებინა სულთანი ყიზილბაშებთან ომი, რაც შეიძლება, მალე დაემთავრებინა. ირანის შაპი გადიაზიანებული იყო სამცხე-საათაბაგოს შაპის მორჩილებაში შესვლით, რასაც კიდეც ატყობინებდა თავის მოკავშირე ანრი II.

მოვლენების ასე განვითარებამ სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ხელისუფალი აიძულა ორიენტაცია შეეცვალ და ოსმალეთის სულთნისათვის გამოეცხადებინა მორჩილება. თუმცა ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. სულთანს ადარ აკმაყოფილებდა სამთავროს ვასალური პირობით დამორჩილება.

1549 წლის აგვისტოში სულთანმა აჰმედ ფაშას სარდლობით დიდალი ჯარი გამოგზავნა საათაბაგოში. თვე-ნახევრის განმავლობაში მტერმა 25 ციხე-სიმაგრე აიღო, რომელთაგან 15 თავისოფის დაიტოვა, როგორც დასაყრდენი პუნქტი, დანარჩენი კი მიწასთან გაასწორა. აქ, ამ დროისათვის შექმნეს დიდი ადმინისტრაციული ერთეული – საბეგლარბეგო. 1550 წლისათვის ოსმალებმა მოლიანად დაამთავრეს ტაოს დაპყრობა, ხოლო 1551-1552 წწ. ანექსირებული იქნა კლარჯეთი და არტაანი.

ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს მესვეურთა მიერ წარმოებული უგნური საგარეო და საშინაო პოლიტიკის წყალობით, ოსმალეთმა საქართველოს მოსწყვიტა მისი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქუთხე-მესხეთის დასავლეთი ნაწილი. ათაბაგთა ძალები საკმა-

რისი არ აღმოჩნდა ამ დამდუპველი პროცესის შესაჩერებლად. მათ განკერძოებულ საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიას მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში შეეძლო მოეტანა გარეკვეული შედეგი, მაგრამ მთლიანობაში, იგი საქართველოს მტრების წილით ასხამდა წყალს და ჩანასახშივე უსპობდა ნიადაგს ერთინი საქართველოს აღდგენის იდეას.

შაჲ-თამაზმა საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში განცდილი მარცხის კომპენსაცია მის აღმოსავლეთ ნაწილში პოზიციების განმტკიცებით სცადა. მანამდე კი 1551 წელს შაჲ თამაზმა ლევან კახთა მეფის დახმარებით შაქი აიღო. შაქის სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობას ბოლო მოედო და ის სეფიანების უბრალო პროვინციად იქცა.

როგორც სამართლიანად შენიშნავდა აკად. ივანე ჯავახიშვილი: „თუ ლევან მეფე მთელი ამ საქმის შედეგს ჩაუკვირდებოდა, მას უნდა ეგრძო, რომ საქართველოს მდგომარეობა საარსთა შაქში გაბატონებით წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო გაუარესდებოდა და ამიტომაც საზიანო იყო”. მაგრამ ლევან მეფე ნაკლებად ზრუნავდა მთელი საქართველოს ინტერესებისათვის, მისი ინტერესები საკუთარი სამეფოს ფარგლებს არ სცილდებოდა. ქართლის გმირულ ბრძოლაში, რომელსაც სათავეში ლუარსაბ I ედგა, არც იმერეთის მეფე მონაწილეობდა და არც ათაბაგი. ათაბაგების ირანული ორიენტაცია იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ამ ნაწილის მიმართ ირანისა და ოსმალეთის პოლიტიკა დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მხარის უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, ერთიც და მეორეც ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ირანი ჯერ-ჯერობით ვასალობას სჯერდებოდა მეხარკეობის საფუძველზე, რადგან სრული დაპყრობისათვის ძალა არ ჰყოფნიდა და შიშობდა, რომ ათაბაგები ოსმალებს არ მიმხობოდნენ. ოსმალეთი კი, საათაბაგოს სრულ დაპყრობას ესწრაფოდა. „თურქეთისათვის მესხეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ქვეყნის მტკიცედ დამორჩილების გარეშე თურქეთის ყველა

პოლიტიკური წარმატება კავკასიაში საეჭვო ხდებოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ თურქეთი მესხეთის მიმართ სრულებით განსხვავებულ პოლიტიკას ადგა, ვიდრე სხვა ქართული ქვეყნების მიმართ.

1551 წელს შაქში მყოფ შაჰს ქაიხოსრო II ათაბაგისაგან ცნობა მოუვიდა, რომ ლუარსაბმა სამცხე-საათაბაგოს ბევრი ადგილი დაიპყრო და თუ სასწრაფო ზომები არ იქნებოდა მიღებული მთლიანად დაუუფლებოდა მას. ამას მოჰყვა შაჰ თამაზის ლაშქრის მესამე შემოსევა 1551 წელს. მან ილაშქრა სამცხე-საათაბაგოში, დაამარცხა ლუარსაბის მომხრევები და საათაბაგო ისევ ქაიხოსროს დაუმორჩილა. მერე ქართლში გადავიდა, მაგრამ ლუარსაბის შეპყრობა ვერ მოახერხა და უკან გაბრუნდა.

სანამ სულეიმან I ჰაბსბურგებთან ომობდა, შაჰ-თამაზმა 1551 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ რამდენიმე მიმართულებით წამოიწყო შეტევა. ამას 1553-1554 წწ. ირანის წინააღმდეგ სულთნის მორიგი, რიგით მესამე ლაშქრობა მოჰყვა.

ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514-1555 წწ.) მთავარი ასპარეზი სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო იყო. ორივე მხრიდან ომი შეუბრალებელი სისასტიკით წარმოებდა.

1554 წლის სექტემბერში შაჰ-თამაზმა არზრუმში მყოფ სულეიმან I ელჩები გაუგზავნა და ზავი შესთავაზა. მოლაპარაკების მთავარი საკითხი საქართველოს ურთიერთშორის განაწილების საკითხი იყო. ლუარსაბ I და ბაგრატ III ცდილობდნენ ზავის ჩაშლას, რადგან ორი აგრესორის ომი აადვილებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

1556 წლის 26 სექტემბერს არზრუმში დროებითი ზავი დაიდო. იგი ითვალისწინებდა ტერიტორიულ გამიჯვნას იმ მდგომარეობით, რომელიც ირანსა და ოსმალეთს 1554 წლის ლაშქრობამდე გააჩნდათ.

შაჰ-თამაზ I-ს ზავის დადება დროის მოსაგებად სჭირდებოდა, რათა საშუალება მისცემოდა დაემორჩილებინა ლუარსაბ I. ზავის დადებიდან მოკლე ხანში შაჰმა ქართლის სამეფოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. ყიზილბაშებმა ვერც ამჯერად მოახერხეს ლუარსა-

ბის შეპყრობა. ეს უკანასკნელი იმერეთში ბაგრატ III-თან გადა-
ვიდა. იმერეთში მათ შეიმუშავეს მოქმედების ისეთი ტაქტიკა, რო-
მელიც ირან-ოსმალეთის ახალი ომის პროვოცირებას ისახავდა
მიზნად. ბაგრატ III პრეტენზიას აცხადება სურამის ოლქზე, რო-
გორც თავის სამფლობელოზე (ეს ტერიტორია შაჰმა 1554 წელს
დაიკავა). ამით იმერეთის მეფე ერთხაშად ორი კურდღლის დაჭე-
რას ცდილობდა: 1. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სურ-
და ქართლის სამეფოს დასავლეთი ნაწილის მისაკუთრება, რომე-
ლიც ჯერ კიდევ 1523 წლის შეთანხმებით კუთვნოდა; 2. აქ უკვე
საერთო-ქართული ინტერესები იყო წამოწეული: ოსმალეთის ვა-
სალი ბაგრატ III თავის სიუზერებს, სულთანს ატყობინებდა, რომ
შაჰმა მას წაართვა იმერეთის კუთვნილი ტერიტორიები. დიპლმა-
ტიური გათვალა სწორი იყო – სულეიმან I-ს მთლიანად ქართლის
სამეფოზე თუ არა, მის გარკვეულ ნაწილზე მაინც უნდა განეცხა-
დებინა პრეტენზია. ისინი მოვლენების ამგვარ განვითარებას არ-
ასგზით არ შეურიგდებოდნენ. და ამით მთავარი მიზანი მიღწეუ-
ლი იქნებოდა – აგრესორებს შორის ომი გაგრძელდებოდა.

ქართველი მეფეების წინადადება სულთანს ჭკუაში დაუჯდა,
რის შესახებაც სეფიანებმა შეიტყვეს. შედეგად შაჰ-თამაზ I-მა
ელჩები არ გაგზავნა სტამბოლში ზავის დასადებად და მოსა-
ლოდნელი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, არაოფიცი-
ალური მოლაპარაკებები გამართა. შაჰის დიდებულებმა, სეფინდუქ-
ბეგმა და შაჰ ყულუ ბინ ჰამზა უსთაჯლუმ არზრუმის ბეგლარბეგ
აიაზ ფაშას დიპლომატიური ნოტა გაუგზავნეს, რომლის დედა-
აზრი შემდეგში მდგომარეობდა: უნდა აღკვეთილიყო ასეთი სიტუ-
აცია, რომელიც ქართლის და იმერეთის მეფეებს ორი მეტოქე
მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებითა და წინააღმდეგობით
სარგებლობის საშუალებას აძლევდა. ყიზილბაში ამირების
გულისწყრომას იწვევდა ის გარემოება, რომ შაჰისაგან დამარცხე-
ბული და ლტოლვილი ლუარსაბ I თავშესაფარს ყოველთვის იმე-
რეთის სამეფოში პოვლობდა. ისინი ოსმალეთის მხარისგან
ითხოვდნენ, რომ სულთანს ბაგრატ III აემულებინა ლუარსაბ I
ირანის შაჰისათვის გადაეცა. გარდა ამისა, ისინი ოსმალეთის მხა-

რეს უმტკიცებდნენ, რომ სურამის ოლქი ყიზილბაშთა გავლენის სფერო იყო და რომ იმერეთის მეფის ნამდვილ მიზანს მაქმადი-ანთა შორის კვლავ შუდლისა და მტრობის ჩამოგდება წარმოადგნდა. ბოლოს, ირანის დიდმოხელები აიაზ ფაშას არწმუნებდნენ, რომ ამის გამო არ დირდა ახალი ომის დაწყება, პირიქით, ერთმანეთში ზავი უნდა დაედოთ და საღვთო ომით ეპასუხათ ქართველებისათვის.

აღნიშნულმა ნოტამ სულთანზე გარკვეული გავლენა იქონია. თუმცა იმპერიის ინტერესები მას ისედაც კარნახობდა ირანთან ზავის დადებას. მას ამისკენ საფრანგეთიც კი აქეზებდა.

1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში (მცირე აზიაში) გაფორმდა ირან-თურქეთის საზავო ხელშეკრულება. დამპყრობლებმა ამიერკავასია გაინაწილეს. თურქეთს ერგო იმერეთის სამეფო სამეგრელო-გურიის სამთავროებითა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (უდიდესი) ნაწილი (მტკვრის აუზი); სეფიანებმა შეინარჩუნეს მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი. სომხეთისავე დასავლეთი კი (ვანის ტბის რაიონი) თურქეთს ერგო; სასაზღვრო ზონა – ყარსის ოლქი გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო, მისი მოსახლეობა ირანში უნდა გადაესახლებინათ; ყარსის ციხე-სიმაგრე მიწასთან გაასწორეს.

1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავით დამპყრობლებმა გაინაწილეს ჯერ კიდევ დაუპყრობელი და დაუმორჩილებელი ქვეყანა. საქართველოს არც ერთ ნაწილს არ აკმაყოფილებდა ზავის პირობები, მაგრამ თუ სხვა მეფე-მთავრები ასე თუ ისე შეურიგდნენ შექმნილ მდგრმარეობას, ქართლის მეფე ლუარსაბი ბრძოლას განაგრძობდა. მაგრამ 1556 წელს გარისთან ბრძოლაში დაიღუპა, ტახტზე მისი 19 წლის შვილი სიმონი ავიდა. სიმონ I-ს (1556-1569; 1578-1600) უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა ერგო. მამასავით ენერგიული, დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი სიმონ მეფე კარგი

მხედართმთავარი და პოლიტიკოსი იყო. გამეფების პირველი წლებიდანვე მან შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ირანელებს.

ამ ბრძოლაში მან სცადა ოსმალების გამოყენება. 1559 წელს სიმონ I-მა ოსმალეთის სულთანს წერილი გაუგზავნა, სადაც იგი სულთანს პპირდებოდა, რომ საქართველოს ააჯანყებდა ირანის წინააღმდეგ. თავის მხრივ, ქართლის მეფეს დახმარების იმედს აძლევდა და აქეზებდა მას ირანელების წინააღმდეგ. ოუმცა იგი იმავდროულად შაპთან დიპლომატიურ მოღაპარაკებას აწარმოებდა. ასეთი პოლიტიკით ოსმალეთი ვარაუდობდა, რომ გააძლიერებდა ბრძოლას ქართლსა და ირანს შორის და დაასუსტებდა ორივეს. ამას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალ ომში, რომელსაც ის ამიერკავკასიის დაპყრობის მიზნით ამზადებდა. უნდა ადინიშნოს, რომ სულეიმან I ირანთან მომავალ ომში მოკავშირეს შეა აზიაშიც, ოზბეგებთან ეძებდა.

სიმონის ბრძოლამ ირანელებთან და ხშირად დამარცხებებმა ზოგიერთი ქარველი დიდებული შაპის კარამდე მიიყვანა. სიმონს განუდგა ასევე მისი ძმა დავითი, რომელსაც ტახტის დაპყრობის სურვილიც ამოძრავებდა სხვა მოღალატე თავადებთან ერთად 1562 წ. ის ყაზვინში შაპს ეახლა.

ირანში დავითი გამაჰადიანდა და დაუთ-ხანის სახელი მიიღო. ქართლის სამეფო დინასტიის წარმომადგენლის მიმხრობა შაპმა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა და ქართლის მიმართ პოლიტიკა შეცვალა. მან გადაწყვიტა მისი სრული დაპყრობა, დაუთ-ხანს შვილის წოდებულება მიანიჭა, თბილისისა და ქექმო ქართლის გამგე-მოხელედ დანიშნა და საქართველოში გამოისტუმრა. ეს იყო სეფევიდების მიერ ქვემო ქართლის სახანოდ გადაქცევის პირველი ცდა, რომელიც მალე მარცხით დამთავრდა.

ამ მარცხის მიუხედავად, სიმონი და მისი მომხრეები წინანდელი ენერგიით განაგრძობდნენ ბრძოლას. ქართლის ბრძოლა სიმონის მფთაურობით ირანის შაპს მოსვენებას არ აძლევდა. 1569 წელს მან განჯაში თავი მოუყარა შაქრისა და ყარაბაღის ლაშქარს, დაიქირავა საშამხლოს რაზმები და საქართველოსაკენ გაგზავნა. ბრძოლა მოხ-

და ფარცხისთან (ალგეთის ხეობაში), სადაც ირანელებმა სიმონ მეფე ხელთ იგდეს. დატყვევებული სიმონ მეფე ყაზვინში გაგზავნეს.

შაჰი დიდხანს ცდილობდა სიმონის გამაპმადიანებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და იგი ალამუთის ციხეში დაამწყვდია.

ამ დროიდან 10 წლის განმავლობაში (1569-1578 წწ.) დაუთ-ხანი ქართლის გამგებლად ითვლებოდა, მაგრამ მოსახლეობამ რენეგატს მხარი არ დაუჭირა. დაუთ-ხანის ხელისუფლება მხოლოდ თბილისა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა.

XVI ს-ის განმავლობაში კახეთი საქართველოს სხვა ნაწილებთან შედარებით მდიდარი და დაწინაურებული ქვეყანა იყო. კახეთის სამეფო კარი საკუთარი სამეფოს ინტერესებიდან გამოღიოდა, ნაკლებად ზრუნავდა საერთო ქართული ინტერესებისათვის და სეფიანების სახელმწიფოს წარმოშობის დროიდანვე ირანისადმი ვასალური დამოკიდებულების გზით მშვიდობიანობის შენარჩუნებას ახერხებდა. ოსმალეთთან ომის დროს ირანიც კახეთის მხრივ შედარებით მსუბუქ ვასალობას სჯერდებოდა. მაგრამ 1555 წლის ზავის შემდეგ, ამით ადარ კმაყოფილდებოდა და კახეთს ჩამოაცილა წახურის სამფლობელო (წუქეთი), რომელიც დაღესტნის სამხრეთით და კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. სამურის ზემო წელზე მდებარეობდა და უძველესი დროიდანვე საქართველოს ეკუთვნოდა. 1562 წელს შაჰთამაზი აფრთხილებდა ლევანს, კახეთის მეფეს, რომ წახურის ბატონი არავის შეევიწოდებინა, რადგან იგი შაჰის უერთგულეს მსახურთა შორის ირიცხებოდა.

კახეთის მეფე ლევანი, ამასის ზავის შემდეგ, პალავ ერთგულების პოლიტიკას ადგა ირანის მიმართ. ლევანს მონაწილეობა არ მიუღია ქართლში ყიზილბაშების უკანასკნელ შემოსვებში და შიშობდა შაჰს ეს მიზეზად არ მიეღო და შური არ ეძია მასზე. ამიტომ მან 1556 წელს თავისი შვილი იესე ერთგულების დასამტკიცებლად შაჰ-თამაზთან გაგზავნა დიდი ძღვნით. როგორც ჩანს, შაჰმა კახეთის უფლისწული უკან არ გამოუშვა და მძევლად დაიტოვა. ლევანის

ორჭოფული პოლიტიკით უქმაყოფილო შაპი შეეცადა მის გადაყენებას და კახეთის ტახტზე იქცეს აყვანას. 1559/60 წწ. იქცე გამამადიანდა ისა-ხანის სახელით და შაპის კარზე დიდი წყალობა მიიღო. მალე იქცემ უარყო მამადიანობა და გაქცევა დაპირა, მაგრამ შეიპყრეს და 1562 წლის 23 დეკემბერს ალამუთის ციხეში ჩასვეს.

სხვათა შორის, 1571 წელს შაპ-თამაზთან მივიღა ვენეციის დესპანი დ'ალესანდრი, რომელმაც ირანის შაპს თურქების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება შესთავაზა. მაგრამ შაპ-თამაზ I თურქებთან დადებულ ზავს მყარად თვლიდა. მან ვენეციის წინადაღება არ მიიღო.

თურქეთს გადაწყვეტილი პქონდა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს ხელში ჩაგდება და ვოლგა-კასპიის სამდინარო მაგისტრალის გადაკეტვა. ამ მიზნით, სულთანმა სელიმ II-ემ (1566-1574) სცადა ვოლგა დონის შემაერთებელი არხის გაჭრა (1568) და ყირიმის ხანის დახმარებით ასტრახანის დაპყრობა(1569), მაგრამ ამცდას წარმატება არ მოჰყოლია.

ამრიგად, XVI ს-ის 50-60 წლებში ძალთა კონფიგურაცი ისე განაწილდა კავკასიის რეგიონში, რომ ინტერესთა კონფლიქტი აშკარად ქმნიდა ახალი ომის საშიშროებას ირანსა და ოსმალეთს შორის. თურქეთი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ამასიის ზავის დასარღვევად.

2.2. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო

ოსმალეთთან შედარებით ირანი სუსტი სახელმწიფო იყო და 1555 წლის ამასიის ზავის პირობათა დაცვას ცდილობდა, ოსმალეთი კი მთელი კავკასიისა და კასპიის ზღვის სანაპიროთა დაპყრობისათვის იბრძოდა. შაპ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ (1576 წ.), ირანში ტახტის დაუფლებისათვის საშინაო ომი გაჩაღდა. შაპის ტახტზე ავიდა სუსტი მმართველი – ხუდაბენდე (1577-1587 წწ.). ოსმალეთს ახალი ომისათვის ხელსაყრელი დრო დაუდგა.

1578 წელს ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ირანში სალაშქროდ გამზადებული ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა ლალა მუსტაფა ფაშა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსა და ქართლის დაპყრობის შემდეგ შირვანში უნდა გაჭრილიყო, სადაც მას ჩრდილო კავკასიიდან მომავალი ყირიმელთა ლაშქარი შეუერთდებოდა.

ოსმალეთი ცდილობდა ამიერკავკასიის ქვეყნების მესვეურთა-გან ანტიირანული კრალიცია შეექმნა. ლაშქრობის წინ მუსტაფა ფაშამ მოწოდებით მიმართა მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის ქართლ-კახეთ-იმერეთის მეფეებს და ოდიშ-გურიის მთავრებს, რომ ოსმალებთან ერთად გამოსულიყვნებ ირანელების წინააღმდეგ. ამ დროს სამცხე-საათაბაგოში შინაფეოდალური ომი დასრულებული არ იყო, თანაც ყვარყვარე ათაბაგს ხელისუფლებისათვის მისი ძმა მანუჩარი ებრძოდა. ოსმალთა სარდალმა ამ შედლის გამოყენება სცადა. იგი მანუჩარს დაუკავშირდა და შეკპირდა, რომ ოსმალეთის ვასალობისა და ერთგულების შემთხვევაში მთელ სამცხე-საათაბაგოს დაუმტკიცებდა.

1578 წლის აგვისტოს დასაწყისში ოსმალთა უზარმაზარი არმია მუსტაფა ლალა ფაშას მეთაურობით სამხერეთ საქართველოში შემოვიდა და არტაანში დაბანაკდა. მესხ დიდებულთა ერთმა ნაწილმა მტერს უბრძოლველად ჩატარა თავიანთი ციხე-სიმაგრეები. ოსმალებმა ახალქალაქიც დაიკავეს. საათაბაგოს მთავრობამ პასიური პოზიცია დაიჭირა და უცდიდა, თუ რით დამთავრდებოდა ოსმალთა და ყიზილბაშთა შეტაკება. სამაგიეროდ, აზნაურთა ერთმა ნაწილმა და გლეხებმა მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს.

1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირთან გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, ერთი მხრივ, ოსმალებსა და მეორე მხრივ, ყიზილბაშებსა და ქართველებს შორის. ბრძოლაში ოსმალებმა გაიმარჯვეს და ახალციხეც დაიკავეს. ამის შემდეგ ქართლისაკენ გზაც გახსნილი იყო და მუსტაფა ფაშა 24 აგვისტოს თბილისს მიადგა.

ოსმალებმა ობილისი დაიკავეს. ობილისი საფაშოდ გამოაცხადეს, გორი – სანჯაყად, ციხე-სიმაგრეებში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს და ობილისში ფაშა დანიშნეს.

ქართლიდან მუსტაფა ფაშა შაქი-შირვანისაკენ გაემართა. მას კახეთის მეფე ალექსანდრე სართიჭალასთან შემოუგება და მორნილება გამოუცხადა. ოსმალთა სარდალმა ალექსანდრეს მიანდო შაქის დაპყრობა. მეფემ მისი დავალება შეასრულდა, რისთვისაც შაქის გამგებლად ალექსანდრეს შვილი ერეკლე დანიშნეს. სულთანმა ალექსანდრეს უმაღლესი სიგელი უბოძა. ამიერიდან ის ინიშნებოდა კახეთის მმართველად ბეგლარბეგის სახელწოდებით. როგორც ვხვდავთ, კახთა მეფემ ამ დროსაც თავისი ნაცადი პოლიტიკა გამოიყენა, ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა და ახლა უკვე ოსმალეთის ვასალი გახდა. მალე, ამის შემდეგ, ოსმალეთის ჯარმა აღმოსავლეთი ამიერკავკასიაც დაიმორჩილდა. ოსმალთა ბატონობის ასპარეზი კავკასიონის მთაგრეხილებს მიწვდა.

ამრიგად, ოსმალეთმა დასუსტებული ირანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან გამოდევნა. ირანი, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეურიგდებოდა და ყოველ ზომას ხმარობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლთა რიგები გაეფართოვებინა.

ოსმალთა წარმატებებმა ამიერკავკასიაში აიძულა შაჰის მთავრობა შეეცვალა თავისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ და გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. შაჰმა დაინახა, რომ დაუთხანი ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად არ გამოდგებოდა, იგი არ სარგებლობდა მოსახლეობის მხარდაჭერით. ამიტომ შაჰ ისმაილი ცდილობდა სიმონ I-is გამოყენებას ოსმალთა წინააღმდეგ.

1578 წელს შაჰმა მას ქართლის მეფობა უბოძა და ყიზილბაშ სარდალ ალი ყული ხანთან ერთად, 5000 მხედრით და რამდენიმე ქვემენთ, საქართველოში გამოგზავნა.

1579 წლის 25 ივნისს, ოსმალეთის სულთნის ბრძანებით, სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დაარსდა.

1582 წ., ირან-ოსმალეთის საზაფო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ, მცირე ხნით სიმშვიდე დამყარდა. ამით ისარგებლეს სპარსელუბმა, რათა კახეთის მეფე ალექსანდრე II თავის მხარეს გადაებირებინათ. მართლაც, კახეთის მეფე განუდგა ოსმალებს და ირანის მხარეზე გადავიდა, მაგრამ სიმონ მეფესა და ალექსანდრეს შორის არსებული შუღლი და მტრობა ასუსტებდა ქართველი ხალხის ბრძოლის უნარს ოსმალთა წინააღმდეგ. ამიტომ შაპის მთავრობისა და ირანელი ორიენტაციის მომხრე თავადთა მეცადინეობით ალექსანდრე და სიმონი შეარიგეს.

80-იანი წლების მეორე ნახევარში ოსმალეთი თითქმის მთელ ამიერკავკასიას დაეუფლა. ირანის ახალი შაპი აბას I (1587 – 1629 წწ.) რუსეთს თოხოვდა დახმარებას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში და სამაგიეროდ დარუბანდისა და ბაქოს გადაცემასაც პპირდებოდა, მაგრამ ლივონიასთან ხანგრძლივ ომში დასუსტებულ რუსეთს, რომელსაც ომით ემუქრებოდა შვეცია, პოლონეთი და ყირიმის ხანი, არ შეეძლო ძლიერი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ომის წარმოება.

1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის წინასწარი დაზავება მოხდა. ამავე წელს სიმონიც დაეზავა ოსმალებს. სიმონი ვალდებული იყო ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარჯი ეხადა. ოსმალეთი სიმონს ცნობდა ქართლის მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში. ამრიგად, ქართლის თავდაღებულმა ბრძოლამ სიმონ I-ის მეთაურობით ოსმალეთი აიძულა ხელი აეღო ქვეყნის სრული დაპყრობის პოლიტიკაზე.

შაპ-აბასი მას შემდეგ, რაც რუსეთის მხრიდან დახმარების იმედი გადაეწყრა, იძულებული გახდა 1590 წ. 21 მარტს სტამბოლში საზაფო ხელშეკრულებისათვის მოეწყრა ხელი ოსმალეთთან. ზა-

ვის თანახმად, ოსმალეთის ხელში გადადიოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ქურთისტანი, სამხრეთი, აზერბაიჯანი არდებილსა და თალიშს გარდა და ლურისტანის ნაწილი.

2.3. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან

ირან-ოსმალეთის პირველი ომის შედეგად, როცა აღმოსავლეთ ამიერკავკასია ირანის გავლენის სფეროდ გამოცხადდა 1555 წლის ამასიის ზავით, შეიქმნა საშიშროება იმისა, რომ ირანი აღარ შეურიგდებოდა კახეთის ფორმალურ ვასალობას და მის სრულ დაპყრობას შეეცდებოდა. მით უფრო ,რომ ირანის მიერ შაქი-შირვანის სახანოების დაპყრობა ამის რეალურ წინაპირობას ქმნიდა. ცხადია, ასეთ პირობებში აუცილებელი იყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

შექმნილ როულ საგარეო ვითარებაში კახეთის სამეფო ხელისუფლება შეეცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა XVI ს-ის II ნახევარში კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები. ამ დროისათვის ეს მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. ამასიის ზავი დაემთხვა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს გამოსვლას მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე. კერძოდ, 1552 წელს ივანე IV-ემ ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის სახანოები დაიპყრო და რუსეთი ვოლგისპირეთს დაეუფლა. ამ დროისათვის მისი სახელმწიფო საზღვარი თერგის შესართავამდე გავრცელდა. რუსეთის ასე გაძლიერება აფერხებდა თურქეთის აგრესიული გეგმების განხორციელებას როგორც ჩრდილო ამიერკავკასიაში, ისე ირანშიც. ამ ნიადაგზე ხდება რუსეთისა და ირანის დაკავშირება. მართალია, ირანსაც და რუსეთსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, რომლებიც საბოლოო ანგარიშით ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო, მაგრამ თურქელი აგრესიის საფრთხის წინაშე საკმაოდ დიდხანს თრივე სახელმწიფო კავშირის პოლიტიკას ამჯობინებდა. ამავე

დროს დაიწყო ახალი ეტაპიც ირანის ურთიერთობისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. მათ ისევე, როგორც ირანს აწყობდა ურთიერთშორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება თურქეთის გვერდის ავლით. 1557 წელს რუსეთში ჩავიდა ინგლისური სავაჭრო კომპანია „მოსკოვის“ აგენტი ანტონი ჯენიქსინი, რომელიც მიიღო ივანე IV და გააგზავნა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად ჯერ ოზბეგებთან ბუხარაში(1559), ხოლო შემდეგ ირანში (1561-1563). ჯენიქსინი ყაზვინში წარუდგა შაჰ-თამაზ I როგორც ინგლისის ელჩი, თუმცა მას ელჩის რწმუნება არ ჰქონდა. სხვათა შორის ამ დროს შაჰ-თამაზ I მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთის მხარესთან. შაჰი მოერიდა სულთნის განაწყენებას და არ მოისურვა ინგლისთან და რუსეთთან თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ურთიერთობის დამყარება.

რუსეთის გამოჩენამ კავკასიის ასპარეზზე იმედები გაუდვიძა თურქეთის აგრესის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიელებს. 1557 წელს ყაბარდო რუსეთს შეუერთდა. ამ აქტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კავკასიის სხვა ხალხების რუსეთთან დაკავშირების საქმეში. ამ კავშირის აუცილებლობას მოითხოვდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიც.

1557 წელს მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები რუსეთის მთავრობას მოახსენებდნენ, რომ მათთან ერთად „ერთი ფიცითა და პირობით არიან შეკრულნი ივერიის მთავარი და ივერიის მთელი ქვეყანა“ და მათთან ერთად ქართველებიც ითხოვნო რუსეთის მფარველობასა და დახმარებას მათი მტრების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, საშამხლოს მხრიდან საფრთხეებს და თურქეთ-ყირიმის სახანოს მხრიდან მოძალებამ განაპირობა კახეთისა და ყაბარდოს დაახლოება.

1563 წელს კახეთის მეფემ ლევანმა ელჩები გაგზავნა მოსკოვში იაკობის მეთაურობით. ქართველ ელჩებს რუსეთის მთავრობა დახმარებას შეპირდა და მართლაც, მალე გამოგზავნეს რუსთა რაზმი, რომელიც ლევანმა კახეთის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა. 1567 წ. კავკასიაში

თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით ივანე IV-ემ მდ. სუნჯის თერგთან შესართავის ახლოს ციხე-სიმაგრე ააგებინა.

რუსეთის დონისძიებებს პროტესტით შეხვდნენ თურქეთ-ყირიმი, რომლებიც მოითხოვდნენ არა მარტო სუნჯის შესართავთან აგებული ციხე-სიმაგრეების მოსაპასას, არამედ ყაზანსა და ასტრახანსაც. 1571 წელს ყირიმის ხანმა დიდაბალი ჯარით გაილაშქრა მოსკოვის წინააღმდეგ და ქალაქის დიდი ნაწილი გადაწვა. ამ დროს მეტად მძიმე იყო რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ქვეყნის შიგნით დიდი ბრძოლა წარმოებდა მსხვილ ბოიარებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. 1558 წლიდან ომი მიმდინარეობდა ლიკონიაში. ასეთ პირობებში რუსეთს არ შეეძლო თურქეთთან ომში ჩაბმა. გარდა ამისა, შაპ-თამაზიც უქმაყოფილო იყო რუსეთის რაზმის გაგზავნით კახეთში. შექმნილ რთულ ვითარებაში კახეთის მეფე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი. მალე ამის შემდეგ რუსეთმა თერგის ციხე-სიმაგრეც დაანგრია.

ამრიგად, კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც XVI ს-ის 50-60-იან წლებში განახლდა, ისევ შეწყდა.

თუმცა, თურქეთის პოზიციების გაძლიერება კავკასიაში, რასაც ადგილი ჰქონდა ირან-თურქეთის მეორე ომის დროს, საგრძნობლად ლახავდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს. დაღესტანსა და შირვანში ბატონობა თურქეთ-ყირიმს საშუალებას აძლევდა მუდამ საფრთხის ქვეშ დაუყონებინა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ირანთან, ჩრდილო და ამიერკავკასიის ხალხებთან. ამიტომ რუსეთის მთავრობა ცდილობდა მოესპო თურქეთ-ყირიმის გავლენა ამ ქვეყნებში და განემტკიცებინა საკუთარი გავლენა. ამ მიზნით რუსეთი ცდილობდა თურქეთთან ომში ჩაბმულ ირანთან კავშირის დამყარებას და ამავე დროს მოკავშირების ეძებდა კავკასიის ხალხებში. თავის მხრივ, თურქელი აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ეს ხალხები დაინტერესებული იყვნენ გაძლიერებული რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირით.

ასეთ პირობებში მოხდა კახეთ-რუსეთის პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის განახლება XVI ს-ის 80-იანი წლებიდან. კახეთის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა მეფე ალექსანდრე II (1574-1605).

საქართველოს სხვა სამეფო ბისაგან განსხვავებით კახეთი ასტრახანისაკენ მიმავალ გზებთან უფრო ახლო იყო. კახეთი ფართოდ იყო ჩაბმული შაქი-შირვანის მეშვეობით აბრუშუმით საერთაშორისო გაჭარბაში. ამის გამო, საქართველო-რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გამბმელი ახლაც, უწინდებურადვე, კახეთის სამეფო იყო.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარჯვე და მოკლე გზა, კახეთიდან ასტრახანისაკენ მიმავალი, დაღესტან-საშამხლოს ტერიტორიაზე გადიოდა. საშამხლო კი თურქეთის ვასალი იყო. თურქეთის აქ გაბატონებამ მეტისმეტად გაამწვავა ურთიერთობა კახეთის სამეფოსა და დაღესტანის ფეოდალებს შორის. კახეთი მთიელ ფეოდალთა სისტემატიური რბევისა და აოხრების ობიექტი შეიქმნა. კახეთის სამეფოსათვის შეუძლებელი გახდა დაღესტნელ ფეოდალთა თარეშის ალაგმვა, რადგან ისინი აშერა და პირდაპირ ომს გაურბოდნენ, მოხერხებულ დროს ირჩევდნენ, როცა სამეფო ლაშქარი დაკავებული იყო და ყაჩაღურად, პატარ-პატარა ჯგუფებად გაერთიანებულნი მოქმედებდნენ. ეს იყო იმის მიზეზი, რომ საშამხლოსთან ურთიერთობა კახეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკიცნეული და საჭიროობო საკითხი გახდა.

ამრიგად, რუსეთისა და კახეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებს გავკასიაში ერთმანეთთან შეხვედრა-თანადამთხვევის საკმაო საფუძველი მოეპოვებოდა. რუსეთი ირანთან, კახეთთან და კავკასიის სხვა ხალხებთან კავშირით თავისი სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრების დაცვას და გავლენის სფეროების გაფართოებას ისევე, როგორც აღმოსავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებას, ცდილობდა. კახეთს კი რუსეთის მხარდაჭერა და დახმარება საგარეო მტრებისაგან საქუთარი უშიშროების უზრუნველყოფისათვის

სჭირდებოდა. მით უფრო, რომ 1585 წლისათვის ძალთა შეფარდება ამიერკავკასიაში ოსმალეთის სასარგებლოდ შეიცვლა. ამ წლის სექტემბერში ოსმალებმა თავრიზი აიღეს. თავრიზის დაკარგვის შემდეგ, ყიზილბაშთა როლი კავკასიის ფრონტზე შესუსტდა. რამაც ხელი შეუწყო თსმალეთის გააქტიურებას ქართლ-კახეთის მიმართ. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსი მოციქულების გამოჩენა კახეთში. კერძოდ, 1585 წელს რუსეთის მთავრობის დავალებით ასტრახანის მეთოვეთა ასისთავმა დანილოვმა საშამხლოში, შირვანსა და კახეთში იმოგზაურა. დანილოვის მოგზაურობის მიზანი იყო კავკასიის ხალხებთან ასტრახანის მეშვეობით სავაჭრო ურთიერთობის გაბმა. რუსეთის მთავრობა მას ავალებდა შეესწავლა საქართველოს და მისკენ მიმავალი გზები. დანილოვმა ალექსანდრეს კახეთის მეფეს, რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის სიგელი ჩამოუტანა, რომლითაც რუსეთის მეფე მას მფარველობას და პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა.

კახეთის მეფემ სიხარულით მიიღო დანილოვის მიერ ჩამოტანილი ცნობა. კახეთის მთავრობას იმედი მიეცა, რომ რუსეთის მფარველობით შესაძლებელი იქნებოდა ოურქეთ-ყირიმ-შამხალისა და სეფიანთა სახელმწიფოს აგრესისაგან თავის დაღწევა. ამ იმედებით გამხნევებულმა კახეთის მეფემ დანილოვს თავისი ელჩები - ოკიმე მდგველი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა გააყოლა თევდორე მეფესთან.

1586 წლის 9 ოქტომბერს კახეთის ელჩებმა რუსეთის მეფეს ალექსანდრე კახთა მეფის სიგელი გადასცეს. კახეთის მეფე რუსეთის მეფეს მფარველობას, კახეთის ყველა მტრისაგან დაცვას და ამ მიზნით ოურგზე ციხე-სიმაგრის აგებას, აქედან კი, საშამხლოზე გავლით კახეთისაკენ მომავალი გზის დაკავებას სთხოვდა. 1587 წლის აპრილში ქართველმა ელჩებმა დადებითი პასუხი მიიღეს რუსეთის მთავრობისაგან და რუსი ელჩების - ბირკინის, ბივოვისა და პოლუხანოვის თანხლებით ისინი სამშობლოში გაბრუნდნენ. თავისი მთავრობისაგან რუს ელჩებს დავალებული ჰქონდათ კახეთის მთავრობასთან მფარვე-

ლობითი კავშირის პირობებზე შეთანხმებულიყვნენ და ალექსანდრე მეფისათვის ფიცი მიეღებინებინათ. ელჩებს თან მოჰქონდათ მოსკოვში შედგენილი ფიცის წიგნი, რომელიც უნდა მიეღო კახეთის მეფეს.

1587 წლის 29 აგვისტოს რუსი ელჩები უკვე პირველ აუდიენციაზე იყვნენ ალექსანდრე მეფესთან. 28 სექტემბერს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა ფიცის წიგნს. ფიცის წიგნით რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში იღებდა და კისრულობდა კახეთის დაცვას საგარეო მტრებისაგან. ალექსანდრე მეფეც, თავის მხრივ, რუსეთის მტერს მტრულად უნდა დახვედროდა, მოყვარეს კი – მოყვრულად; კახეთის მეფეს რუსეთის მეფისათვის ყოველწლიური მოსაკითხი უნდა გგზავნა.

ფიცის წიგნზე ხელმოწერის შემდეგ, ალექსანდრემ რუს ელჩებს თავისი ახალი ელჩები გააყოლა მოსკოვში ყაფლან ვაჩნაძის მეთაურობით, რომლებიც 1588 წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩავიდნენ. ქართველმა ელჩმა მოსკოვის მთავრობას ალექსანდრეს სიგელი წარუდგინეს, რომლითაც კახეთის მეფე შამხალის წინააღმდეგ ჯარის გაღზავნას და საშამბლოს დაკავებას ითხოვდა. თევდორე მეფემ თხოვნის შესრულება აღუთქვა და თავის მხრივ ახალი ელჩები – ზვენიგოროდსკი და ანტონოვი გამოგზავნა კახეთში, რომლებმაც 1589 წ. ოქტომბერში კახეთის მეფეს რუსეთის მეფის წყალობის სიგელი მიართვეს. წყალობის სიგელში რუსეთის მეფე ადასტურებდა კახეთის სამეფოს რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში შესვლას და კისრულობდა იმ ვალდებულებათა დაცვას, რომლებიც ფიცის წიგნით მოსკოვის მეფეს უნდა შეესრულებინა. წყალობის სიგელის მიღებით დასრულდა კახეთ-რუსეთის მფარველობითი ხელშეკრულების დადგების ყველა ფორმალური მხარე. ამ დროიდან ვიღრე 1605 წლამდე, კახეთ - რუსეთს შორის სისტემატურად წარმოებდა ელჩების გაცვლა.

1587-1589 წლების კახეთ-რუსეთის ხელშეკრულება ნამდვილად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და რუსეთის ურ-

თიერთობის ისტორიაში. ეს ხელშეკრულება რამდენადმე ზღუდავდა კახეთის მეფის დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკის სფეროში. უფრო მეტიც, 1590-იანი წლებიდან რუსეთის მეფე თევდორე თავის თავს „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფების ხელმწიფეს” უწოდებდა. რუსეთი ცდილობდა კახეთის სამეფოსთან დადებული კაგშირის მსგავსად თავისი გავლენა მოეპოვებინა საქართველოს დანარჩენ ნაწილებზეც, მაგრამ ამ ცდას მაშინ პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

კახეთ-რუსეთის კავშირის დადების შემდეგ, რუსეთი შეეცადა თავისი პოზიციების განმტკიცებას კავკასიაში. 1588 წ. ისევ აგებულ იქნა ახალი რუსული ქალაქი და ციხე-სიმაგრე თერგის შესართავის ახლოს. თერგის ქალაქი რუსეთს მთელ კავკასიასთან აკავშირებდა. 1589-1591 წლებში რუსეთის ჯარმა დაიკავა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი მდ. ქოისუზე და ენდერი; 1593-1594 წლებში თერგის ქალაქიდან მოეწყო ხვოროსტინინის ლაშქრობა დადესტანში, მაგრამ საშამხლოს ცენტრში – ტარკში (თარღუ) გამაგრება რუსეთმა ვერ შეძლო.

ამრიგად, XVI ს-ის 80-იან წლებში რუსეთი აქტიურად ჩაება კავკასიის პოლიტიკურ პერიაეტიებში. ცხადია, კახეთ-რუსეთს შორის კავშირის დამყარებამ დიდი რეაქცია გამოიწვია თურქეთ-ყირიმ-შამხალის მხრივ. ისინი კახეთს ომით ემუქრებოდნენ, თუ ის კავშირს არ გაწყვეტდა რუსეთთან. 1591 წ. ყირიმის ხანმა დიდი ლაშქრობა მოაწყო რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ეს ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ თურქეთი კვლავ იმუქრებოდა თათართა ახალი ლაშქრობით და რუსეთისაგან ჩრდილო კავკასიაში ციხე-სიმაგრეთა მოშლას მოითხოვდა.

კახეთ-რუსეთის აღნიშნული კავშირი ჩაშალდა მრისხანე შაჟაბასმა XVII ს. დამდგეს.

2.4. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა
და ქართული პოლიტიკური ერთეულების პოზიცია

ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს საქართველოს გმირულმა
ბრძოლამ ოსმალეთის აგრესის წინააღმდეგ დიდი გამოხმაურება
გამოიწვია დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებში.

ამიტომ იყო, რომ ისინი რუსეთის სახელმწიფოსთან ერთად შეშ-
ფოთებით შეხვდნენ ირან-ოსმალეთის 1590 წლის ზავს. ირან-
ოსმალეთის ომის გაგრძელებით დაინტერესებული დასავლეთ ევრო-
პის ქვეყნები ზავის დადების შემდეგ შეეცადნენ ანტიორქესილი
კოალიციის მოწყობას. კოალიციის გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა
დათმობილი რუსეთს, საქართველოსა და ირანს. ეს უკანასკნელი,
რომელსაც ახლა სათავეში ედგა ნიჭიერი და გამოცდილი ხელმწიფე
შაჰ აბასი, ზავს უუკრებდა როგორც დროებით საშუალებას და
სათანადო მომზადების შემდეგ აპირებდა დაკარგული პოზიციების
ადგენას ამიერკავკასიაში. ოსმალების აგრესის წინააღმდეგ მებრძ-
ოლი ქართველი პოლიტიკოსებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძო-
ლის საკუთარ გეგმებს ამ საერთაშორისო სიტუაციას უკავშირებდ-
ნენ.

რუსეთმა ამ ზავის მიმართ თავისი უკმაყოფილება იმით გამოხ-
ტა, რომ დემონსტრაციულად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთ-
ობა ირანთან. 1590-იან წლებში რომის პაპის კლემენტი VIII-ის და
გერმანიის იმპერატორის რუდოლფ II-ის ინიციატივით დაიწყო მოლა-
პარაკება ანტიოსმალური კოალიციის შედგენის შესახებ. რომლ-
ებმაც წერილები გაუგზავნეს სიმონ I-ს. შედეგად 1595 წელს შე-
იქმნა ირანის, ქართლის და კახეთის კავშირი. ქართლის მეფის
სიმონ I მიერ 1596 წელს ესპანეთის მეფე ფილიპე II-დმი გაგზავ-
ნილი წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ამ კავშირის მიზანი ოს-
მალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ყოფილა. სიმონ I-ის
ფილიპე II-ეს სოხოვს შეამდგომლობას რუდოლფ II-თან, რათა
მან ოსმალებთან ზავი არ დადოს. ამავე დროს, სოხოვს იმასაც,
რომ ესპანეთის მეფემ ურჩიოს ირანის შაჰს, რათა ამ

უკანასკნელმა მხარი დაუჭიროს ქრისტიანთა ბრძოლას თურქების წინააღმდეგ და შეთანხმება არ დაარღვიოს. სიმონ მეფე ესპანეთის მეფეს ცილიპე II ასევე სწერდა: „უპვე გავერთიანდით და გადაწყვიტეთ თურქებს თავი გავუჭირეთ”. სიმონი ესპანეთის მეფეს მოუწოდებდა ასეთივე კავშირი შეექმნათ დასავლეთ ევროპაში, რათა ყველას საკუთარი ტერიტორიიდან აეტება ომი ოსმალეთისათვის. რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში სიმონი წერდა: „ვიდრე პირში სული მიდგას, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზეო”.

ანტიოქიანალურ კოალიციას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. დასავლეთ ევროპაში ანტიოქიანალური კოალიციის შედგენა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, შაპ-აბასი დიდ იმედებს ამყარებდა თავის შეთანხმებაზე ქართლისა და კახეთის მეფეებთან და შეეცადა გადაედგა ნაბიჯი ამ კავშირის მიზნების განხორციელებისათვის. კერძოდ, 1598 წელს სიმონ მეფემ, შაპ-აბასთან შეთანხმებით ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა გაანახლა, ხოლო ალექსანდრე მეფემ ხარკის ძლევა შეუწყიტა ოსმალებს. მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით ასევე აჯანყდა სამცხე-საათაბაგო. რასაც ოსმალეთის მხარემ სადამსჯელო რაზმის გამოგზავნით უპასუხა. ბრძოლაში ნახიდურთან სიმონი ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, სტამბოლში გაგზავნეს და იედიყულეს ციხეში ჩასვეს, სადაც 1661 წელს გარდაიცვალა.

თავი III

საერთაშორისო კოლიტიკური მდგრადებელი
აშინერპაპკასიაში XVII საუკუნეში და ძართული კოლიტიკური
მრთეულების საბარეო კოლიტიკა

3.1. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და საქართველო

XVII ს. დასაწყისისათვის საქართველოში, ისევე როგორც მთელ აშინერპაპკასიაში, ოსმალეთი ბატონობდა. თუმცა, ოსმალეთის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არა ერთგვაროვანი იყო.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, რომლებიც ჯერ კიდევ 1555 წ. ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროდ იყო გამოცხადებული, მის სიუზერენობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ქართლის მთავარ ციხეებში, თბილისში, გორში, დმანისში, ლორეში, ოსმალთა გარნიზონები იდგნენ.

კახეთის სამეფო XVI ს. ბოლოსათვის ფაქტიურად სამი დიდი სახელმწიფოს, ირანის, ოსმალეთის და რუსეთის ვასალი გახდა.

1602 წ. პირველ ივლისს კახეთში დაბრუნდნენ ალექსანდრეს II მიერ 1598 წ. რუსეთში გაგზავნილი ელჩები, თავადი სოლომონი და მდივანი ლევანი (ალექსანდრემ რუსეთის მეფეს კვლავ სთხოვა დაშარი გაეგზავნა საშამხლოს დასაპყრობად, რასაც თერგ-კახეთის გზის გახსნა უნდა მოჰყოლოდა). ქართველ ელჩებს რუსეთის ახალი მეფის ბორის გოდუნოვის ელჩები, ნაშოკინი და ლეონტიევი ჩამოყვნენ. ელჩებმა ჩამოიტანეს ბორის მეფის დაპირება, რომ გაილაშქრებდნენ საშამხლოზე და სამეფო კარს ახალი მეფის, ბორისის, ერთგულებაზე დაფიცება მოხსოვეს.

რუსეთის ელჩები დავით მეფემ მიიღო. აუდიენციას მონაზონი ალექსანდრეც ესწრებოდა. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, კვლავ დაეფიცათ რუსეთის მეფის ერთგულებაზე. მალე დავით მეფემ, მისმა მემკვიდრე თვიმურაზმა და ალექსანდრემ ბორის მეფის ერთგულების ფიცი მიიღეს.

1602 წ. 21 ოქტომბერს გარდაიცვალა დავით მეფე. ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა.

რუსი ელჩები ალექსანდრემ 1603 წ. ივნისში გაისტუმრა. თან თავისი ელჩებიც, ბერძენი არქიმანდრიტი კირილე ქსანტოპულო და მდივანი საბა გააყოლა. წარგზავნილები 1604 წ. 18 ოქტემბერვალს მივიღნენ მოსკოვში. ალექსანდრე კვლავაც შამხალზე ლაშქრობას სთხოვდა რუსეთის მეფეს. ამჯერად, კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გაფლენით, რუსეთის მთავრობა დადგებითად მოეკიდა ალექსანდრეს თხოვნას და მონდომებით შეუდგა საშამხლოზე ლაშქრობის სამზადისს.

ამასობაში ამიერკავკასიაში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 1603 წ. შაჰ-აბასმა (1587-1629) ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ ომისათვის მზადებას იგი ჯერ კიდევ 1590 წ. ზავის დადგებისთანავე შეუდგა. შაჰ-აბასმა თავისი ელჩების პირით რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებს კავშირს სთავაზობდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა.

ეს ომი მცირე ინტერვალებით 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰ აბასის მიზანი ამ ომში 1590 წ. ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა იყო. თუმცა, XVI-XVIII ს.ს. მიჯნაზე შაჰ-აბასს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, ახალი მეტოქე გამოუჩნდა ძლიერი რუსეთის სახით, რომელსაც უპევ დაედო მფარველობის ხელი კახეთისათვის. შაჰ-აბასს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში არანაკლებ სახითათვიდ ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთისა. მით უმეტეს, რომ ქართველი მოღვაწეები დიდ იმედებს ამყარებდნენ რუსეთის დახმარებაზე

როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანის ინტერესები მოითხოვდა ოსმალეთთან ერთად რუსეთის უკუგდებასაც. ამდენად, „გურჯისტანის საკითხის” მოგვარება (აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაპ აბასისათვის ახლად დაწყებულ ოში.

ირანისა და ოსმალეთის ჯარებს შორის პირველი დიდი შეტაკება მოხდა 1603 წ. ზაფხულში სალმასის ოლქში სოფელ. სუფიანთან. ოსმალები დამარცხდნენ. შაპ-აბასმა სწრაფად დაიკავა თავრიზი, გადმოლახა მდ. არაქსი, აიღო ჯულფა, ნახიჩევანი და ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. ერევნის ციხე-სიმაგრეში თავმოყრილი იყო ოსმალთა ძირითადი ძალები, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს შაპ-აბასის ჯარებს. ათი თვის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, ერევნის ციხე აიღეს ირანის ჯარებმა (1604 წ. ზაფხული).

შაპ-აბასი ფხიზლად ადვინებდა ოვალურს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის განვითარებას. მისთვის ცნობილი იყო რუსეთის 1602 წ. ელჩობა კახეთში და მისი შედეგები (ერთგულების ფიცი). 1604 წ. აგვისტოში კი, კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ახალი ელჩობა, რომელიც ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. ელჩებმა, ტატიშჩევმა და ივანოვმა, ბატონიშვილს აცნობეს, რომ რუსეთის ჯარი ბუტურლინის სარდლობით უკვე უმზადებოდა საშამხლოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. გიორგი ბატონიშვილისაგან კი, რუსეთის მეფის ერთგულების ფიცის მიღებას ითხოვდნენ. ამის გარდა, მათ დაგალებული ჰქონდათ შეერჩიათ საცოლე ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის, ხოლო მისივე ასულისათვის –საქმრო. მათ ამ მიზნით სურდათ ოემიურაზ ბატონიშვილის რუსეთში წაევანა. გიორგი ბატონიშვილი ელჩების მოთხოვნებს არ ასრულებდა, მაგრამ არც უარს ეუბნებოდა. ამავე დროს, შაპის ელჩი მაკმად-ბეგი უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში კახეთში იმუოფებოდა და თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის, ელენეს ირანში წაევანას ცდილობდა. კახელ ფეოდალთა ერთი ნაწილიც

ალექსანდრეს რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი იყო და შაპ-აბასთან დაახლოებას მოითხოვდა. ალექსანდრე მეფე კრაგად გრძნობდა მომენტის სირთულეს და გამოსავალს ეძებდა. მისი დასტურით გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზი და მისი და ელენე ირანში გაგზავნა. ელენე ცოლად შეირთო შაპ-აბასმა, მაგრამ მალე, 1605 წ. 1 იანვარს, რუსეთის ელჩების მოთხოვნით, გიორგი ბატონიშვილმა რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. ასეთი პოლიტიკის შემდეგ მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩებოდა.

1605 წ. დასაწყისში ოსმალეთის არმია ირანის წინააღმდეგ შეტყვისათვის ემზადებოდა. შაპ-აბასს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ომის წარმოების საშუალება არ ჰქონდა, ხოლო ალექსანდრეს ირანში გაჩერება კახეთის მესვეურების უკმაყოფილებას იწვევდა. ასეთ ვითარებაში შაპამა შესაძლებლად ჩათვალა ალექსანდრეს კახეთში დაბრუნება. 1605 წლის დასაწყისში ალექსანდრე საქართველოში გამოისტუმრება. მას შირვანიდან ოსმალების გაძევება და მისი დაპყრობა დავალეს. შაპ-აბასმა ალექსანდრესთან ერთად ჯარით გამოგზავნა მისივე ვაჟი კონსტანტინე-მირზა, რომელიც ბავშვობიდან ვე მძევლად იმყოფებოდა ირანში და იქ გასპარსებულიყო. იგი, შირვანის დაპყრობის შემდეგ, მისი მმართველი უნდა გამხდარიყო. ამ საქმეში ალექსანდრე თავის შვილს უნდა დახმარებოდა. კონსტანტინეს საიდუმლო დავალებაც ჰქონდა. იმ შემთხვევაში თუ ალექსანდრე სათანადო ერთგულებას არ გამოიჩნდა, კონსტანტინეს უნდა მოკლა ისიც, ბატონიშვილიც და კახეთი დაეჭირა.

ირანიდან გამოგზავნილი მამა-შვილი მარტის დასაწყისში ჩამოვიდა კახეთში. 8 მარტს ისინი უკვე ძეგამში იყვნენ. კონსტანტინე შირვანზე საჩქარო გალაშქრებას მოითხოვდა. ალექსანდრემ კი, კვლავ ყოფილი დაიწყო. ჯერ კიდევ ნათელი არ იყო ვინ გაიმარჯვებდა ირან-ოსმალეთის ომში. თან რუსეთის ჯარი საშამხლოსა და დაღესტანს შესეოდა და მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთი უშუალოდ კახეთს გაუმეზობლდებოდა. ასეთ ვითარებაში გადაჭრით ირანის

მხარეზე გამოსვლა სასურველი არ ჩანდა. ალექსანდრეც დროის მოგების მიზნით თავს იკავებდა და საქმეს აჭიანურებდა.

1605 წ. 12 მარტს ალექსანდრეს რუსი ელჩები უნდა მიეღო. ამ მიზნით ელჩები ოორდადან, სადაც ისინი ალექსანდრეს ჩამოსვლას ელოდნენ, ძეგამს მიიწვიეს. ელჩებამდე სხა მისულა: კონსტანტინეს გიორგი ბატონიშვილის შეპყრობა ან მოკვლა აქეს დავალებულიო. მათ გიორგი ბატონიშვილი გაუფრთხილებით კიდეც, მაგრამ გიორგის ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევია, შექრილი ჯარი დაუთხოვნია და თავად ძეგამს მისულა.

12 მარტს, დილადრიან, ელჩებთან აუდიენციის დაწყებამდე, კონსტანტინე და მისი მხელებელი ყიზილბაში ამირები ალექსანდრეს სადგომს ეწვივნენ. კონსტანტინემ მმაც იხმო შირვანზე გალაშქრების შესახებ თათბირის საბაბით. თათბირზე მწვავე კამათი გაიმართა. კონსტანტინემ, ისქანდერ მუნშის გადმოცემით, მამა-შვილს, „შირვანზე გალაშქრების შესახებ დაუწყო ლაპარაკი და მკვახე სიტყვებით მიმართა მათ. მოულოდნელად მან ხმალი იშიშვლა, მმას დაპკრა და იქვე გაათავა. ალექსანდრემ შვილზე მიშველება სცადა, მაგრამ ხმელებით აჩეხეს. თათბირის მონაწილენი, რუსთველი ეპისკოპოსი, მისი მმა აბელ ანდრონიკაშვილი და სხვა ხუთი თავადი, რომელთაც ხელი გამოიღეს ალექსანდრეს დასაცავად, იქვე დახოცეს.

შექმნილი ვითარების გამო, რუსეთის ელჩებმა დატოვეს კახეთი, ქართლ ში გადავიდნენ და გიორგი მეფეს ეწვივნენ, მაგრამ იქაც მათ საქმიანობას წარმატება არ მოჰყოლია. მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა. შირვანისაკენ ჯარით მიემართებოდა ყირიმის ხანი. ამ გარემოებამ რუსეთის ელჩები აიძულა სასწრაფოდ გასცლოდნენ ქართლს, ხოლო გიორგი მეფის მიერ 1605 წ. ივნისში რუსეთს გაგზავნილი ელჩები არაგვის ხეობიდან უკან დაბრუნდნენ.

ქართველებმა არ ისურვეს მეფედ მოდალატე კონსტანტინე, 1622 წლის 22 ოქტომბერს აჯანყდნენ და იგი მოკლეს. შაჳ აბასს თავრიზში აცნობეს მისი მოკვლა და ყიზილბაშთა ჯარის დამარ-

ცხება. იგი გამალებული ემზადებოდა ოსმალთა არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად და კახეთის ამბავს ყურადღება არ მიაქცია.

გადამწყვეტი ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის ჯარებს შორის მოხდა 1605 წ. 25 ოქტომბერს ურმიის ტბასთან. ოსმალთა 100 ათასიანი არმია, რომელსაც სინან ფაშა სარდლობდა, სასტიკად იქნა დამარცხებული შაპ-აბასის 60 ათასიანი არმიის მიერ. ამ გამარჯვებამ შაპ აბასს შესაძლებლობა მისცა კვლავ შემოჭრილიყო ამიერკავკასიაში.

1606 წ. გაზაფხულზე შაპ-აბასის ჯარებმა აიღეს ყარაბაღი. აქ შაპ აბასს ქეთვან დედოფლის ელჩები მოუვიდნენ, ერთგულება გამოუცხადეს და კახეთის მეფედ თეიმურაზი სთხოვეს. ოსმალეთთან ომის პირობებში შაპმა უკან დაიხია, კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი დამტკიცა.

შაპ-აბასმა ყარაბაღის შემდეგ განჯა აიღო და ქართლში შემოიჭრა, ადგილად განდევნა ოსმალო მეციხოვნები ლორესა და დმანისის ციხეებიდან და შიგ თავისი ხალხი ჩაყენა. თბილისის ციხის ოსმალთა გარნიზონი უბრძოლველად დანებდა ირანელებს, რომლებმაც თბილისი დაიკავეს.

ამ დროს ქართლის მეფე გიორგი უეცრად გარდაიცვალა და ქართლის დიდებულთა ერთი ჯგუფის თხოვნით, შაპმა ქართლის მეფედ გიორგის შვილი ლუარსაბი დამტკიცა. ეს ამბები 1606 წლის გაზაფხულზე მოხდა. შაპ-აბასმა ქართლის საქმეები მოაწესრიგა და ქართლიდან შირვანისაკენ წავიდა.

მართალია, შაპ-აბასმა ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები დაამტკიცა და ქართლის ციხეებიდან ოსმალები განდევნა, მაგრამ ქვეყანას თავისუფლება მაინც არ დირსებია. ქართლის ციხეებში (ლორე, აღმაშენებლა, დმანისი, თბილისი) ოსმალების მაგივრად ახლა ყიზილბაშები იდგნენ. ქართლ-კახეთის სამეფოები ირანის ვასალებად ითვლებოდნენ. ორივე სამეფო ვალდებული იყო საჭიროების შემთვევაში ირანის მხარეზე ჯარით გამოსულიყო.

1610 –1611 წწ. ოსმალეთი დიდი მონდომებით ცდილობდა ირანის შპუგდებასა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კვლავ გაბატონებას, მაგრამ მან ვერ შეძლო შაჰ აბასის ჯარების დამარცხება.

1612 წლის 20 ნოემბერს ქ. სტამბულში დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც ძირითადად აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. რაც შეეხება აღმოსავლეთ სამცხეს ქ. ახალციხითურთ, რომელიც ამასიის ზავის მიხედვით ირანს ეკუთვნოდა, ახალი ზავის დადგბის დროს ოსმალეთს ეპყრა და მასვე დარჩა.

ოსმალეთთან დაზავების შემდეგ, ირანმა გადაწყვიტა საბოლოოდ მოგვარებინა „გურჯისტანის“ საკითხი. ეს მოგვარება გულისხმობდა ქართლ-კახეთის ქართული ქრისტიანული სამეფოების ლიკვიდაციასა და მათ ადგილზე ყიზილბაშური სახანოების შექმნას. ქართული პოლიტიკური მოდვაწეები ყოველთვის კარგად სარგებლობდნენ ირან-ოსმალეთს შორის გაუთავებელი ომიანობით. ორი აგრესორის დაზავება კი საქართველოს კარგს არაფერს უქადა. სტამბოლის ზავის შემდეგ შექმნილი საფრთხე თითქოსდა სწორად იქნა შეფასებული ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურების მიერ და კავშირიც დადეს, რომელიც დინასტიური პრინციპით გაამყარეს. კერძოდ თეიმურაზმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის ლუარსაბის და ხორეშანი. თუმცა მათ ამ ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ-აბასის მიერ 1614-1617 წლებში განხორციელებული აგრესის წინააღმდეგ ქართლ-კახეთი უძლური აღმოჩნდა. ქართლ-კახეთის მეფებმა ლუარსაბ II-ემ და თეიმურაზ I-მა თავი იმერეთს შეაფარეს. აქედან მათ დახმარებისათვის ოსმალეთის სულთანს მიმართეს. შექმნილ ვითარებაში ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ოსმალეთი თავის მხრივ უქმაყოფილო იყო 1612 წლის ზავით და ახალი ომისათვის ემზადებოდა. ოსმალეთში კარგად ესმოდათ ის გარემოებაც, რომ ირანის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოების სრული დაპყრობა და იქ ირანული სახანოების შექმნა საფრთხეს შეუქმნიდა ოსმალეთის ინტერესებს ამიერკავკასიაში. ამ უკანასკნელს არ

სურდა ირანის უშუალო გამეზობლება რეგიონში. ოსმალეთის სულთანი ქართველ მეფეებს დახმარებას დაპირდა, თუმცა მოითხოვა დადიანისა და გურიელისაგან ზაფის დადება და ხარჯის გადახდა. რაც მიღწეული იქნა. ამის გარდა თეიმურაზ I-ის ინიციატივით საქართველოს მეფე-მთავრებმა შეკრეს კავშირი შაპაბასის წინააღმდეგ.

გარდა ოსმალეთისა, თეიმურაზმა დახმარებისათვის მიმართა ასევე რუსეთის ხელისუფლებას, თუმცა უშედეგოდ.

1615 წელს ირან-ოსმალეთს შორის კვლავ განახლდა ომი, რომელიც 1616 წლის დროებითი ზაფის დადებით დასრულდა. თუმცა 1618 წელს ოსმალეთმა ისევ გაანახლა საომარი მოქმედებები ირანის წინააღმდეგ. ისინი სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრნენ. მათ აიღეს თავრიზი. ალყა შემოარტყეს არდებილს. თუმცა ირანმა საბოლოოდ დაამარცხა ოსმალები. ოსმალეთი 1619 წლის სექტემბერში დაუზავდა ირანს, რითაც აღდგა 1612 წლის საზავო პირობები.

3.2. ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლიტიკური მდგრმარეობა XVII ს-ის 20-90-იან წლებში

ირან-ოსმალეთს შორის დაზავებამ რამდენადმე გაართულა ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლიტიკური მდგრმარეობა. ირანის შაპაბა სცადა, ოსმალეთთან საომარი კამპანიის შეწყვეტა გამოეყენებინა „გურჯისტანის საკითხის” გადაწყვეტისათვის. ამ პერიოდში თეიმურაზი უშედეგოდ ცდილობს სტამბოლში დახმარების მიღებას.

ირანის აგრესის კვალდაკვალ გააქტიურდა რუსულ-ქართული ურთიერთობები. თეიმურაზმა კვლავ სცადა რუსეთთან დაკავშირება. ამჯერად თეიმურაზის ინიციატივით რუსეთს თეიმურაზთან ერთად დახმარებისათვის მიმართავდნენ იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები რუსეთის მფარგელობას ითხოვდნენ. თეიმურაზი ამჯერად თით-

ქოს სამხედრო დახმარებას კი არ ითხოვდა, არამედ დიპლომატიურ მხარდაჭერას.

ამ პერიოდში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის მოლაპარაკებებიც. იგი ეხებოდა რუსეთისათვის მსხვილი ფულადი სუბსიდიის მიღებას ირანის მხრიდან. ცხადია, ასეთ პირობებში რუსეთი საქართველოს გამო მოერიდებოდა ირანთან ვითარების გართულებას. თუმცა 1621 წელს მოსკოვში მყოფ ირანის ელჩს საყვედური გამოუცხადეს იმის გამო, რომ ირანმა რუსეთის ხელდებული ქვეყანა ააოხრა. უფრო მეტიც, 1621 წელს მოსკოვის მიერ ირანში გაგზავნილი ელჩი შაჰ-აბასს სთხოვდა თავი შეეცავებინა საქართველოს მიმართ მტრული მოქმედებისაგან. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ რუსეთმა ხელი აიღო საქართველოს მფარველობაზე, რაც შაჰ-აბას საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. რუსეთმა უარი უთხრა თეიმურაზ I-ს სამხედრო და ფინანსურ დახმარებაზე. ეს არც იყო გასაკვირი. რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული სამოქალაქო ომისა და პოლონეთის და შვეციის ინტერვენციისაგან მიყენებული ჭრილობები. ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რუსეთის მთავრობა კი სუბსიდიებს ირანისაგან დებულობდა. ასევე რუსეთის ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევდა ირანთან ვაჭრობა. ამავე დროს ირანი რუსეთისათვის წამოადგენდა პოტენციურ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეს ოსმალეთის წინააღმდეგ. თეიმურაზისათვის დახმარების გაწევა ნიშნავდა რუსეთის მიერ ირანისთან ომის გამოცხადებას. რაზეც, ცხადი იყო, რუსეთი არ წავიდოდა არსებულ ვითარებაში.

1619 წელს შაჰ-აბასმა ქართლის მეფედ სიმონ ხანი დაამტკიცა. ქართლის გამგებლად კი გიორგი სააკაძე დანიშნა. გიორგი სააკაძეს სერიოზული გეგმები ჰქონდა. ქვეყნის გაერთიანებისა და მისი განხორციელებისათვის შესაბამის მოქმედებებსაც ახორციელებდა. მარტყოფის აჯანყებამ ნათლად აჩვენა გიორგი სააკაძის დამოკიდებულება ირანის შაჰის გეგმებისადმი, რომელიც მანამდე მის სამსახურში იყო. სააკაძეს კარგად ესმოდა, რომ შაჰი აჯანყებას

უპასუხოდ არ დატოვებდა და საგარეო დიპლომატიური ქმედებები გააძლიერა. გიორგი სააკაძემ ფართომაშტაბიანი გეგმა შეიმუშავა ირანზე თავდასასხმელათ და მისი განხორციელებისათვის ოსმალეთს კავშირი შესთავაზა. ამ გეგმის მიხედვით გათავლის-წინებული იყო ამიერკავკასიის ხალხის ერთობლივი გამოსვლა. თუმცა ოსმალურმა მხარემ გეგმის განხორციელებაზე უარი განაცხადა. ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლიტიკური მდგრომარეობა გართულდა. შაპმა ახალი დამსჯელი ჯარი გამოაზარნა საქართველოში. ბრძოლა მოხდა მარაბდის ველზე, სადაც ქართველები დამარცხდნენ. ერთხანს გიორგი განაგრძობდა ირან-ელების წინააღმდეგ ბრძოლას. იგი დაუკავშირდა ოსმალეთის სულთანს და დახმარება ხოთხვა ირანელების წინააღმდეგ. სულთანი მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლა. მას სურდა გიორგის საკუთარი ძალებით განეგრძო ბრძოლა შაპის ჯარების წინააღმდეგ. გიორგიმ შეძლო ქვეყნის გაწმენდა ირანელებისაგან. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტზე თეიმურაზი I იჯდა. რეალურად ისახებოდა საქართველოს გაერთიანების იდეის განხორციელება. მაგრამ შაპ-აბასის დიპლომატიური ხრიკების შედეგად მალე თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის განხეთქილება მოხდა. 1625 წელს მოლაპარაკება დაიწყო თეიმურაზსა და შაპ-აბას შორის. მოლაპარაკების შედეგად თეიმურაზმა უარი თქვა ოსმალეთთან თანამშრომლობაზე. სანაცვლოდ კი, შაპისაგან ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფობა მიიღო. აღმოჩნდა, რომ თეიმურაზი ირანის მომხსრე იყო ხოლო გიორგი სააკაძე ოსმალეთის. ბაზალეთის ომი, რომელიც თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძის მომხსრებს შორის გაიმართა რეალურად იყო პროირანული და პროსამალური ძალების დაპირისპირების ასახვაც. ამ ბრძოლაში გიორგი დამარცხდა და ოსმალეთში გაიქცა. გიორგიმ კვლავ სცადა სულთნისაგან დახმარების მიღება, მაგრამ უშედეგოდ. ასევე იყო მცდელობა ვენეციის რესპუბლიკისაგან დახმარების მიღებისა, რაზედაც უარი მიიღო. 1629 წელს გიორგი სააკაძემ ტრაგიულად დაასრულა სიცოცხლე თსმალეთში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოთქმული ვარაუდი, შაპ-

აბასის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი სააკაძემ საქართველოს გაერთიანების გეგმის განხორციელება ირანს დაუკავშირა და გადაწყვიტა ოსმალეთის დალატი, რის გამოც იგი სიკვდილით დასაჯეს.

შაპ-აბასთან დაზავების შემდეგ, თეიმურაზ პირველმა სცადა დახმარების მიღება ევროპიდან. ამ მიზნით 1626 წელს მან თავისი ელჩი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი (ნიკიფორე ირბახი) გაგზავნა ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სა და რომის პაპ ურბან VIII-თან. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ელჩობა არაერთგვაროვნადაა შეფასებული. ნაწილი თვლის, რომ ეს იყო არსებულ ვითარებაში ავანტურა, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი მიზნად თემურაზის საერთაშორისო ავტორიტეტის აღიარებას ისახვდა მიზნად. ასევე წინააღმდეგობრივია ამ ელჩობის მიზანიც – იგი ირანის წინააღმდეგ მოკავშირის მოქებნა იყო თუ ქართლ-კახეთის ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მიღებით იყო განპირობებული.

მკლევართა აზრით, ეს ელჩობა უფრო ანტიოსმალურ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობით იყო განპირობებული. მაგრამ აღნიშნული გაზიარება, ვფიქრობთ, იმთავითვე აზრს მოქლებულია, რადგან იმ მომენტისათვის ევროპაში რეალურად არ არსებობდა რაიმე სახის ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის საფუძველი. თემურაზი I ვერ ერკვეოდა ევროპულ საქმებში, არ იცოდა იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. მართალია მან გაგზავნა თავისი ელჩი და კავშირი შესთავაზა ესპანეთის მეფეს ოსმალეთის წინააღმდეგ დაგეგმილ ბრძოლაში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ესპანეთში ფრთხილად მოეკიდნენ ანტიოსმალური გამოსვლის იდეას. სამეფო საბჭომ რამდენჯერმე განიხილა ეს საკითხი და დადგითად გადაწყვიტა. ამის შემდეგ ქართველი ელჩი მაღრიდიდან რომში ჩავიდა და პაპს შეხვდა. რომის პაპმა დიდი დაინტერესება გამოიჩინა საქართველოს გაკათოლიკების იდეისადმი. ფაქტობრივად კი, უარყოფითად მოეკიდნენ ესპანეთის ეგიდით ოსმალების წინააღმდეგ რმის დაწყებას. ცხადია, ეს გამოწვეული იყო იმ წინააღმდეგობრებით, რომელიც ამ პერიოდში ევროპის კონტინენტზე მომწიფდა. არც ის უნდა დაგ-

ვავიწყდეს, რომ ქართველი მეფის ელჩობა დაემთხვა ევროპაში არსებულ უაღრესად რთულ საერთაშორისო ვითარებას. ევროპაში ამ დროს მიმდინარეობდა ოცდაათწლიანი ომი. ფაქტობრივად, ევროპა გაყოფილი იყო ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად. ოცდაათწლიანი ომი გამოწვეული იყო ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგების მისწრაფებით, შეექმნათ ევროპის უნივერსალური მონარქია ჰაბსბურგების ხელმძღვანელობით. ეს კი არ თავსდებოდა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების ინტერესებში. მათ შექმნეს ჩრდილოეთის პროტესტანტული სახელმწიფოების ლიგა და დაუპირისპირდნენ სამხრეთის პროკათოლიკურ გაერთიანებას. აშკარა იყო, რომ ევროპაში არსებული ასეთი ვითარების ფონზე, უმეტესობარი ანტიოსმალური კოალიციის შექმნაზე ლაპარაკი წარუმატებელი იქნებოდა. კონტინენტზე არსებული ინტერესთა კონფლიქტი და მოსალოდნელი დიდი ძვრები არ ქმნიდა ნოვიერ ნიადაგს ასეთი კოალიციის შექმნისათვის.

ანტიოსმალური კოალიცია ვერ შეიქმნა და ნიკიფორე ირბახიც სამშობლოში დაბრუნდა. უშედეგოდ დასრულდა თეიმურაზ I-ის მიერ 1630 წელს გაგზავნილი ელჩობაც რომის პაპთან. აშკარა იყო, რომ თეიმურაზ I-ს ვერც ნიკიფორე ირბახის ელჩობამ შეუქმნა წარმოდგენა ევროპაში არსებულ მდგომარეობაზე. იგი საერთოდ ვერ ჩაწერდა ევროპაში ამ დროს მიმდინარე მოვლენებში. მან ვერ აღიქვა წინააღმდეგობრივი კვანძის ის ნიუანსები, რომელიც კონტინენტზე შეიქმნა და რომელიც ამ ეტაპზე ევროპაში რაიმე სახის ანტიოსმალური ან ანტიორანული კოალიციის შექმნას თავისთვალ გამორიცხავდა. ცხადია, თეიმურაზის საგარეო პოლიტიკაც ავანტურისტულ ხასიათს ატარებდა ისევე, როგორც საშინაო პოლიტიკური ნაბიჯები.

თეიმურაზ I-ის მდგომარეობა საქმაოდ კრიტიკული იყო. ასეთ პირობებში მან არაერთი შეცდომა დაუშვა (ბარდას და ყარაბაღის დარბევა), რომელსაც შედეგად ირანთან ურთიერთობების გართულება მოჰყვა. თეიმურაზი I იმერეთში გაიქცა. ირანმა ქართლი ხოსრო-მირზას (როსტომი) უბობა.

XVII ს. I მესამედში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის გმირულმა ბრძოლებმა ირანის მესვეურები აიძულა ხელი აედოთ ქართლ-კახეთის სამეფოების მთლიანი მოსპობის გეგმაზე და კომპრომისის გზას დადგომოდნენ. ეს კომპრომისი გამოიხატა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადინანობის პირობითა და „ვალის“ ტიტულით. „გურჯისტანის ვალს“ ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის.

აღნიშნული კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომის მეფობა ქართლში (1632–1658). როსტომს სასტიკი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაეჭვანა. ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც თეიმურაზ I მეთაურობდა, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

XVII ს. ირანში სულ ოთხი ვალი (არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის და ქურთისტანის) ყოფილა, რომელნიც ადგილობრივ მექანიზმით დინასტიას ექუთვნოდნენ და ბეგლარბეგებთან, ხანებთან და ირანის სხვა მოხელეებთან შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქართლის ვალი კი ირანის სხვა ვალისაგანაც განსხვავდებოდა, რადგან შაჰმა ვერ მოახერხა ქართლის მიწების გამოცხადება ირანის დივანის (სახელმწიფოს) მიწებად.

როსტომს მემკვიდრე არ ჰყავდა. მას საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცოლად შეურთავს გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი, რომელიც, როგორც ჩანს, მალე გარდაცვლილა. მემკვიდრის საკითხი ძალიან აწუხედა როგორც როსტომს, ისე მის მომხრეებს. ამის გამო ახალი დედოფლის შერჩევისათვის ზრუნვა ქეთევანის გარდაცვალებისთანავე, იმავე 1633 წელს, დაუწყიათ. როგორც ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, საგანგებო თათბირს ქართლის დედოფლად ლევან დადიანის და მარიამი აურჩევია. ამ არჩევანს პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად. როგორც ცნობილია, თეიმურაზი, რომელიც

იმერეთის მეფის მოყვარე იყო, ირანელთა წინააღმდეგ მთელი თავისი ხანგრძლივი ბრძოლის მანძილზე მხარდაჭერას დასავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით, იმერეთში პოულობდა. როსტომის საქართველოში შემოსვლის დროსაც თემიმურაზი დახმარებას იმერეთიდან მოელოდა, მაგრამ ეს დახმარება ვერ მიიღო, რადგან სწორედ იმ დროს ლეგან დადიანი თაგა დაესხა იმერეთს. ამ ფაქტს კარგად უნდა დაეწიახებინა როსტომისა და მისი მომხრეებისათვის, რომ დადიანთან დამოკრებას და მასთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თემურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როსტომმა ლეგან დადიანს მოციქულები გაუგზავნა თბილელი ეპისკოპოსის მეთაურობით და მარიამი სადედოფლოდ სთხოვა. დადიანს ეს ამბავი თურმე „ნამეტნავად იამა“ და ჩვეულებისამებრ, „ნიშანი მიირთმიეს“.

ამ მოლაპარაკების დროს, როგორც ჩანს, დადიანის ირანთან პოლიტიკური დაკავშირების საკითხებიც განუხილავთ, რასაც შემდეგ მომხდარი ამბებიც ადასტურებს. დადიანისთვის უაღრესად ხელსაყრელი ჩანდა ირანთან კავშირი. ერთი მხრივ, მას ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა. მეორე მხრივ კი, როსტომი დადიანს იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. რაც შეეხება როსტომს, მისთვის მთავარი იყო თემურაზის იზოდიორება. ირანის პოლიტიკური მიზნებისათვისაც უაღრესად ხელსაყრელი იყო დადიანთან კავშირი. მას შემდეგ, რაც ირანმა აღმოსავლეთ საქართველო ასე თუ ისე დაიმორჩილა, დღის წესრიგში დასავლეთ საქართველო დგებოდა.

ადსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის დამოყვრებას ოსმალეთში უარყოფითი რეაქცია გამოუწვევია. თურქეთში ხმა გავრცელებულა: „ხოსრო-მირზა, დადიანისა და გურიელის დახმარებით, 30.000 ყიზილბაშით აპირებს შავი ზღვის ნაპირზე გაჭრას, გონიისა და ტირებულუს მიმართულებით“

ამ ქორწინებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოვით როსტომიც, რაც იქიდან ჩანს, რომ დადიანთან დამოყვრების დასტური ირანის შაჰისათვის უთხოვია. მას, როგორც ირანის ერთგულ „ყმადნაფიცსა” და ვასალს, საგარეო კავშირების დამოუკიდებლად შეკვრის უფლება არ ჰქონდა. ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, ირანის მთავრობას მოუწონებია როსტომის ნაბიჯი და მისთვის ძვირფასი საქორწილო საჩუქრებიც გამოუგზავნია ირანის დიდი მოხელის, შირვანის ბეგლარებების ფარუ-ხანის ხელით

თეიმურაზი დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე, რომელიც 1635 წელს დაიწყო და დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მისთვის სასურველი შედეგი არც ამ ლაშქრობას მოჰყოლია. 1639 წელს ზავი დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვითაც აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავი – ე.ი. აღმოსავლეთი საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი ოსმალეთს. რაც შეეხება სამცხეს, იგი მთლიანად ოსმალეთის ტერიტორიად იქნა ცნობილი (განსხვავებით 1555 წლის ზავისა, როცა სამცხეც შუაზე გაიყო). ამ ზავმა, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა, დიდი ხნით დაპარნა საქართველოს პოლიტიკური გათოშულობა. ირანი და ოსმალეთი ხელს უშლიდნენ იმიერ და ამიერ საქართველოს მეფე-მთავართა შეკავშირებას. არ ხურდათ, რომ ამით მათი დამყორებლური ინტერესები შელახულიყო.

იმ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი იყო. ამდენად, თეიმურაზს არც ოსმალეთის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა. მის ერთადერთ იმედად ისევ რუსეთი რჩებოდა.

თეიმურაზის აგიტაციის შედეგად იმერეთის მეფემ გადაწყვიტა ელჩი გაეგზავნა რუსეთის ხელმწიფისათვის და მისი მფარველობა ეთხოვა. იმერეთის ელჩს თეიმურაზმა თავისი ელჩიც გააყოლა და ისინი 1649 წლის 13 აგვისტოს მოსკოვში ჩავიდნენ. მანამდე, 1636 წელს, სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა გაგზავნა თავისი ელჩი რუსეთში დახმარების სათხოვნელად, რაც ოსმალეთის

აგრესიის საფრთხით იყო გამოწვეული, თუმცა მოგვიანებით თავადვე თქვა უარი რუსეთთან ურთიერთიერობაზე, რადგანმოერიდა ოსმალეთის გადაზიანებას.

იმერეთის მეფე რუსეთს მფარველობაში მიღებას სთხოვდა. მაგრამ რუსეთს ამჯერადაც არ აღმოაჩნდა საქართველოს საქმეებში ჩარევის ხალისი და საშუალება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, თითქმის მთელი XVII ს-ის მანძილზე ამიერკავკასიის საკითხი მეორე პლანზე იყო გადაწეული, რადგან საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრების მოწესრიგება იყო. რუსეთის სავაჭრო ინტერესები ირანთან (იგი აბრეშუმს აწვდიდა რუსეთს) კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას მოითხოვდა. როგორც ჩანს, თეიმურაზისა და მისი მომხრეებისათვის ეს ამბავი მაშინ მთლად ნათელი არ ყოფილა. რუსეთი, ითვალისწინებდა რა მომავალ გეგმებს, საქართველოსათვის მცირე მატერიალურ დახმარებას და უხვდაპირებებს არ იშურებდა.

1650 წლის 10 ივნისს რუსეთის მთავრობამ თეიმურაზთან და ალექსანდრეესთან საპასუხო ელჩობა გამოგზავნა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლივევის მეთაურობით. მათ თან გამოყვნენ თეიმურაზ-ალექსანდრეს ელჩებიც, რომლებმაც საჩუქრები და დაპირებები ჩამოიტანეს. ჯარი არც თეიმურაზს მიაშევდეს და არც ალექსანდრეს მიერ ნათხოვნი კაზაკები გაგზავნეს დადიანის წინააღმდეგ (ასეთი აქტი თურქეთს თავის საქმეებში ჩარევად მიაჩნდა. რუსეთი კი, როგორც ჩანს, ამას ერიდებოდა). რაც შეეხება ალექსანდრეს თხოვნას, ვასალად მიეღო რუსეთის მეფეს, მოწონება დაუმსახურებია რუსეთში და ელჩებიც დიდი მონდომებით ცდილობდნენ ალექსანდრეს სათანადო ფიცი მიეღო. ასეთი ფიცი დადებულ იქნა და ხელი მოაწერეს მას ალექსანდრემ და მისმა დიდებულებმა 1651 წ. 9 ოქტომბერს.

1658 წელს თვით თეიმურაზი გაემგზავრა მოსკოვში დახმარების სათხოვნელად. იგი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ დამხმარე ჯარზე

კვლავ ზრდილობიანად უარი უთხრეს. შემდეგ ის მისივე სურვილით ირანში გაემგზავრა, რათა შაჲს ხლებოდა.

ამრიგად, თეიმურაზის საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა სრული მარცხი განიცადა. რაც შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამაც განაპირობა გართულებულ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობასთან ერთად.

XVII ს. II ნახევარში მკვეთრად გამოვლინდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ერთიმეორისაგან განსხვავებული საგარეო პოლიტიკა და მისი მონაცემლებია სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისად. მუხრანელ ბაგრატიონთა სახლის მეფეებმა სცადეს ირანის უდლის გადაგდება და პირი ჩრდილოეთისაკენ იბრუნეს. უარყოფილი იქნა როსტომის მიერ შემუშავებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. კერძოდ, 1658 წელს როსტომის გარდაცვალების შემდეგ, ირანის შაჲმა ქართლში მეფედ ვახტანგ V (შაჲნავაზი) დამტკიცა. მან ისარგებლა ირანში არსებული შიდაარეულობით და სცადა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება. მისი მთავარი მიზანი ქვეყნის გაერთიანება იყო. მან იმერეთის შემოვრთებაც სცადა, თუმცა უშედეგოდ. დღითიდღე იძაბებოდა ქართლისა და ირანის ურთიერთობები. ვახტანგმა ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალეთს დახმარება სთხოვა, თუმცა უშედეგოდ. ვახტანგი დამარცხდა და გადაწყვიტა შაჲის კარზე გამოცხადებულიყო. იქ ვერ ჩააღწია და 1765 წელს გზაში გარდაიცვალა. ქართლის მეფე გიორგი XI გახდა. ის მამის პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდა. იგი ირანელებთან ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდა. მან ქარგად იცოდა, რომ თურქეთი იმხანად ასეთ მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. თურქეთს მაშინ ძალაც არ შესწევდა, გიორგისთვის დახმარების აღმოჩნის სურვილიც რომ პქონოდა. საქმე ის იყო, რომ 1683 წელს დაიწყო თურქეთ-აგსტრიის ომი. ავსტრიელებს დახმარება პოლონეთმა გაუწია. მუჰამედ IV-ის არმია მოლიანად განადგურდა. ვენის ბრძოლის შემდეგ შეიქმნა ანტითურქული კოლიცია. ე.წ. „საღვთო ლიგა“. ლიგაში შევიდნენ: ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია და მალტა. მოგვიანებით, ლიგას შეუერთდა რუსეთიც. „საღვთო ლიგაშ“ დაიწყო საომარი

მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ. თურქები მარცხს მარცხე განიცდიდნენ. ამას მოჟყვა ბალკანეთის ხალხის აჯანყება. საფრთხე შეექმნა კონსტანტინეპოლის. თურქეთი საბოლოო განადგურებისაგან იხსნა საფრანგეთმა. ავსტრიის გაძლიერება საფრთხეს უქმნიდა საფრანგეთის უშიშროებას და მან ჯარებს მოუყარა თავი ავსტრიის საზღვრებთან. ვენა იძულებული გახდა ძალების ნაწილი გადაეყვანათ რეინზე. თურქეთის სიძლიერე ამ ოში საფუძვლიანად შეირყა. ასეთ პირობებში გიორგი XI-ის პოლიტიკური ქურსი უფრო დასავლეთისკენ იხრებოდა. იგი ცდილობდა ევროპის სახელმწიფოების გამოყენებას თავისი მიზნების რეალიზაციისათვის. განსაკუთრებით ცხოველი ურთიერთობები ჰქონდა რომის პაპთან. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ რომის პაპს და ევროპის სახელმწიფოებს იმ დროს შორეულ ამიერკავკასიაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. უფრო მეტიც, ქართველი პოლიტიკოსების მიერ რომის პაპზე აქცენტის გაკეთება იმთავითვე მეტყველებდა, რომ მათ იღუზიური წარმოდგენა ჰქონდათ რომის პაპის ყოვლისშემძლეობაზე. იმ პირობებში, როცა ევროპელი მონარქები უკვე ადარ იყვნენ რომის პაპის მორჩილები და ოცდაათწლიანი ომის შედეგად რელიგიის ფაქტორი გელარ თამაშობდა უწინდებურად საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ როლს, ევროპიდან დახმარება ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. ევროპას საგაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კუთხით საერთო უფრო მეტი ირანთან გააჩნდა, ვიდრე საქართველოსთან. ევროპიდან დახმარების მიუდებლობის კვალიბაზე გიორგიმ რუსეთთანაც სცადა დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში მას მხოლოდ საკუთარი ძალების ამარა უნდა ებრძოლა ირანელების წინააღმდეგ.

ცვლილება დაეტყო კას ბაგრატიონებსაც. შეუპოვარი თემიურაზ I ნაშიერმა ერეკლე I-მა, თავისი „რუსული“ განსწავლულობის მიუხედავად, ქედი მოუხარა ირანის შპს და „ნაზარალი-ხანად“ გადაიქცა. გამაპმადიანებამ კას უფლისწულს დიდი ხნის ნანატრი ტახტი მოუტანა. ამიერიდან დასაწყისი მიეცა ბაგრატიონთა ორი შტოს (კახი და მუხრანელი ბაგრატიონების) ურთიერთწინააღმდეგობას, რაც

XVIII ს-ის მთელ მანძილზე გრძელდებოდა. ირანის შაჰმა შემორიგებული ერეპლე მამაპაპეულ ქვეყანაში, კახეთში კი არ დასვა, არამედ ირანის წინააღმდეგ „ამბოხებულ” გიორგი XI-es დაუპირისპირა და 1688 წელს ქართლის მეფედ დაამტკიცა. ენერგიული გიორგი XI ბეგრის ეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ მიზანს ვერ ეწია და ბოლოს მაინც ირანის მორჩილება არჩია.

1703 წელს შაჰმა „შეასრულა” ერეპლეს სურვილი, გაიწვია ქართლიდან და კახეთის მეფედ დანიშნა, მაგრამ ირანში დატოვა თავისი გვარდიის მთავარსარდლად, კახეთის „ჯანიშინობა” კი მისსავე შვილს, დავითს (იმამ ყულიხანს) უბოძა. ამავე დროს „მოწყალე” შაჰმა ქართლის მეფობა ისევ გიორგი XI-es დაუბრუნა. ამ უკანასკნელმა ავდანელ მეამბოხეთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით მოიპოვა შაჰის ნდობა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება არც მას ედირსა. ქართველი მეფე როგორც ყანდაარის მბრძანებელი და ირანის ჯარების მთავარსარდალი ქართული რაზმებითურთ ავდანეთის მმართველად დატოვეს, ხოლო ქართლში მეფის მოადგილედ (“ჯანიშინად”) გიორგი XI-is მმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნეს.

ამრიგად, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, რომელიც ევროპაში არსებობდა, იმთავითვე გამორიცხავდა საქართველოს ევროპული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის წარმატებას.

თავი IV

საქართველოს საბარეო პოლიტიკის განვითარების ტენდენციები XVIII საუკუნეში

4.1. ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლიტიკური
მდგრადი მომარტება XVIII საუკუნის დამდეგს

4.1.1 რელიგიის ფაქტორი ქართლის სამეფოს საგარეო-
პოლიტიკურ მრიენტაციაში

ავღანელ ტომებთან დაპირისპირებას შეეწირნენ ქართლის მეფეები გიორგი XI (1709) და ქაიხოსრო (1711). „გურჯისტანის ვალის” ტახტი თავისუფალი აღმოჩნდა. ირანში „მოღვაწე” მაჟმადიან ბაგრატიონთაგან ბევრს ჰქონდა პრეტენზია ქართლის ტახტისათვის. XVIII ს-ის დასაწყისისათვის „გურჯისტანის ვალის” მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო ირანის სახელმწიფოში. ამ დროს ეს „ვალი”, ანუ ქართლის მეფე, ერთდროულად ირანის მთავარსარდალი, შაჰის კარის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე და ავღანეთის მბრძანებელიც იყო.

შაჰის არჩევანი ვახტანგ VI-ზე შეჩერდა. „ჯანიშინი” ამიერიდან უმავი მეფე – „ვალი” უნდა გამხდარიყო. 1712 წელს, აპრილში, ქართლის „ჯანიშინი” შორეულ ისპაანში გაემზავრა ქართლის ტახტზე დასამტკიცებლად. ირანში ვახტანგს დიდი ამაღლა გაჰყვა, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი სულხან-საბა მობელიანიც.

ვახტანგ VI-ს მშვიდობიანი გზით სურდა აღედგინა საქართველო-ირანის ურთიერთობის როსტომის წინადროინდელი სტატუსი.

XVIII ს-დან ირანის იმპერიაში რელიგიური მომენტი თითქოს აღარ განსაზღვრავდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის შინაარსს, მაგრამ ქართლის ვალის ოფიციალურ მაჟმადიანობას შაჰის სახელ-

მწიფო მაინც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ქართლის მმართველის მაჰმადიანობა იმას ნიშნავდა, რომ ირანი „გურჯისტანს” თავის პროვინციად განიხილავდა; აღმოსავლეთ საქართველოსადმი ასეთი პოლიტიკით ირანი აშგარად უპირისპირდებოდა რუსეთისა და ოსმალეთის მიზნებს ამ ქვეყანაში. გარდა ამისა, „გურჯისტანის ქრისტიანიზმი”, რასაც ირანი საქართველოში რუსული ორიენტაციის გამარჯვებად მიიჩნევდა, გამოიწვევდა ირანში სხვა ქრისტიანთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომაც შაპი ბევრ დაომობაზე მიდიოდა „გურჯისტანის ვალის” წინაშე, უმატებდა მას ტიტულებს, უდიდებდა „ჯამაგირს”, აძლევდა სოფლებს ირანში, ოდონდ ირანის შაპისა და მისი ოფიციალური სარწმუნოების ერთგული ყოფილიყო.

ვახტანგ VI-მ იცოდა, რომ ირანში მას აიძულებდნენ გამაჰმადიანებას. შაპის ეს მოთხოვნა მისთვის მოუღლოდნელი არ იქნებოდა, მაგრამ ვახტანგი, იცავდა რა ქრისტიანობას, როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციაზეც ამყარებდა იმედებს, რასაც გარკვეული საფუძველი თითქოს ჰქონდა.

ამასობაში ვახტანგ VI ირანში გულხელდაკრეფილი არ იჯდა. მისი მომხრევები აქტიურად მოქმედებდნენ შაპის კარზეც და ქართლშიაც. პარალელურად, ქართველმა პოლიტიკოსებმა ევროპის ქვეყნებში დახმარება-მფარველობის მიღება სცადეს. ესეც უშედეგოდ.

XVII ს. II ნახევრიდან დაიწყო ევროპის საგაჭრო კაპიტალის შემოჭრა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ევროპელი (განსაკუთრებით ფრანგი და ინგლისელი) კომერსანტები მრავლად განხდნენ თურქეთსა და ირანში. ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში უნდა გაზრდილიყო ევროპელი კომერსანტების ინტერესი ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი, კერძოდ, საქართველოსადმი. უცხოულ ვაჭრებს ჩვეულებრივ თან მოჰყვებოდნენ რომის კათოლიკური ეპლესიის მისიონერებიც. ერთ-ერთი ასეთი იყო ლაზარისტი ფრანგი ჟან რიშარი, რომელიც 1711 წელს ქართლში ყოფნისას შეხვდა ვახტანგ VI-ესა და სულხან საბა ორბელიანს. ის ქართლიდან სპარსეთში მიემგზავრებოდა.

სწორედ 1711 წლის აგვისტოში, როცა ქართლში ჟან რიშარი შეხვდა ვახტანგ მეფესა და სულხან-საბას, მაშინ დამყარდა მათ შორის მეობრული ურთიერთობა და ჩაისახა იდეა საფრანგეთიდან დახმარებისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობის შესახებ. ამის შედეგი იყო ლურ XIV და გრაფი დე პონშარტენის მიერ ვახტანგ მეფისადმი წერილების მიწერა და პაპი კლიმენტი XI-ის აქტიურობა საქართველოს სასარგებლოდ სულხან-საბას პარიზში ყოფნის დროს.

XVIII ს-ის დასაწყისში ქართლის სახელმწიფოს მმართველი ზედაფენა თანდათან ცვლიდა თავის დამოკიდებულებას რომისადმი და კათოლიციზმისაკენ იხრებოდა. საქართველოში ეკროპული ორიენტაცია რელიგიურ ფაქტორს მჭიდროდ დაუკავშირდა. ეს უკანასკნელი ღრმად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. XVII ს-ის I მეოთხედში კახეთის ტრაგედია, როგორც ცნობილია, რუსთა მეფის მფარველობის ძიებას მოჰყვა. როდესაც რუსეთი უშუალოდ მოადგა კავკასიონს, ქართველთა მართლმადიდებლობა ირანისათვის კიდევ უფრო საშიში გახდა. მაშინადიანური „გურჯისტანი“, როგორც ხანგრძლივმა ისტორიულმა პრაქტიკამ ცხადყო, შეუძლებელი აღმოჩნდა და ახლა ირანი ალბათ ქართლის გაკათოლიკებას ნაკლებ საშიშროებად მიიჩნევდა. რასაკირველია, ირანელ და თურქ ასიმილაციურებს არც ევროპული სახელმწიფოების გავლენა აწყობდათ საქართველოში. მაგრამ, მათი აზრით, ორიენტაცია ევროპაზე შეაჩერებდა უფრო სახითაო და რეალურ საშიშროებას, რუსეთის დამკვიდრებას კავკასიაში.

გაკათოლიკების მომხრენი ჩანან გიორგი XI, ლევან ვახტანგის ძე ბატონიშვილი და მისი ვაჟი – ქართლის მეფე ქაიხოსრო. ეს პროცესი იმ დროისათვის იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ მას შეუდწევია ორთოდოქსალურ მართლმადიდებლობის მესვეურთა წიაღშიც. სულხან-საბა თრბელიანი აშკარად გადავიდა „ფრანგულ“ სარწმუნოებაზე. როგორც მკვდევარები მიიჩნევენ, ქართველებს კათოლიკური ევროპა ირანთან საკუთარი ურთიერთობის ნორმალი-

ზაციისათვის უნდოდა. იმ მიზნით, რომ ირანს (და ალბათ თურქეთსაც) აშკარად დაენახა ქართველების გამიჯვნა რესევტისაგან, მზად იქვნენ უარი ეთქვათ მარდმადიდებლობაზე ქათოლიკური ტიპიკონის სასარგებლოდ. ქართველი პოლიტიკოსები, ფიქრობდნენ, რომ ევროპაზე ორიენტაცია არ „გააღიზიანებდა“ ირანს, რადგან XVIII ს-ის დასაწყისში ევროპა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ჯერ კიდევ შორეული მეზობელი იყო.

დადგა საგარეო პოლიტიკის ახალი ქურსის გამოცდის დროც ქართველებმა ვახტანგ VI-ის საქართველოში დაბრუნების საკითხის მოგვარება ევროპის საშუალებით სცადეს, სადაც სპეციალურად იქნა გაგზავნილი სულხან-საბა თრბელიანი.

სულხან-საბას ევროპაში გაყვა ფრანგი მისიონერი ჟან-რიშარი.

4.1.2. სულხან-საბა თრბელიანის დიპლომატიური ვოიაჟი ევროპაში

სულხან-საბას მთავარი მიზანი ვახტანგის გამოსახსნელად ევროპის სახელმწიფოთა დახმარების მიღება იყო. იგი რომის პაპს შაპის წინაშე შუამდგომლობასა და ფულად დახმარებას თხოვდა. ეს ფულიც იმავე მიზნისათვის იყო საჭირო, რათა შაპის კარი მოქქროთამათ ვახტანგის დასახსნელად. ასეთი დახმარებისა და მფარველობის საზღაურად სულხან-საბა თრბელიანი პირობას იძლეოდა, რომ საქართველო კათოლიკურ სარწმუნოებას მიიღებდა და აღმოსავლეთში რომისა და საფრანგეთის ერთგული მოკავშირე იქნებოდა. რომის პაპმა კლიმენტ XI-ემ მხარი დაუჭირა სულხან-საბას და იშუამდგომლა კიდევაც საფრანგეთის იმპერატორ ლუი XIV-ის წინაშე, მაგრამ ამ პერიოდში „დიდი პაპის“ სიტყვას ძველი ფასი აღარ ჰქონდა. ევროპის დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ანგარიშიანობაზე იყო დამყარებული და, ბუნებრივია, რომ პარიზში შორეული „ქრისტიანი“ მეფის ბედი სრულიადაც არ აწუხებდათ. მაშინ საფრანგეთის მთავრ-

ობას აღმოსავლეთში უმთავრესად ირანისა და თურქეთის ბაზრები აინტერესებდა. ირან-საფრანგეთის 1708 წლის სავაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაცია წინასწარ გამორიცხავდა საბას ელჩობის წარმატებას და XVI-ის კარზე უფრო მეტიც, ეგროპა ყოველთვის თვლიდა ირანს თურქეთის პოტენციურ მოწინააღმდეგებ, ამიტომ ევროპის სახელმწიფოები თავს არიდებდნენ ირანთან ურთიერთობის გაუარესებას და ცხადია, ირანის წინააღმდეგ საქართველოს საქმეებში არ ჩაერეოდნენ.

1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი „ხელცარიელი” დაბრუნდა საქართველოში. ეს ფაქტიურად ეკროპული ორიენტაციის ჩაშლას გამოხატავდა. 1716 წელს ვახტანგმა, თუმცა დაგვიანებით, ანგარიში გაუწია შექმნილ ვითარებას და მაჰმადიანობა მიიღო.

სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში ვიზიტის წარუმატებლობა განპირობებული იყო იმ საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობით, რომელიც კონტინენტზე არსებობდა მოცემულ მომენტში. გარდა საფრანგეთ-ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებისა, ამ ორ ქვეყნას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიც არსებობდა. ევროპაში პოლიტიკურ ძალთა წონასწორობას ბევრწილად ირან-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობების ხასიათი განსაზღვრავდა. ირან-თურქეთს შორის სტაბილური ურთიერთობები პარიზის ინტერესებში შედიოდა, რათა ამ გზით საფრანგეთს თავისი აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოება უზრუნველეყო. კერძოდ, თუ ირანსა და თურქეთს შორის არ იქნებოდა საომარი მდგომარეობა, ეს სტაბილობა საშუალებას მისცემდა ებრძოლა ბალკანეთის ფრონტზე აგსტრიის წინააღმდეგ, რაც ამ უკანასკნელს აიძულებდა თავისი ქვეყნის დასავლეთი (საფრანგეთთან ახლოს) საზღვრებიდან ჯარის დიდი ნაწილი აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოესროლა. გარდა ამ ფაქტორისა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის ჩასვლა დაემთხვევა ევროპული მასშტაბის დიდი ომის დასრულებას, ე.წ. ომს ესპანეთის მემკვიდრეობისათვის. ამ ომში საფრანგეთს დიდ ევროპულ კოალიციასთან მოუხდა ბრძოლა. ომმა შეარყია საფრანგეთის, როგორც პეგამონი სახელმწიფოს პრესტიული მსოფლიო

პოლიტიკაში. ომის შედეგები არცოუ სახარბიელო იყო ვერსალის სასახლისათვის. ცხადია, ამ საერთაშორისო პოლიტიკური ასპექტების გაუთვალისწინებლობა სულხან-საბა თრბელიანის ვიზიტის წარუმატებლობის შეფასების დროს ისტორიზმის პრინციპის დარღვევა იქნებოდა. საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება არ იყო მაშინ ისეთი, რომ მას წარმატება მოეტანა ქართველი პოლიტიკოსების ჩანაფიქრისათვის. ვფიქრობთ, საქართველოს არ გააჩნდა შესაბამისი სამხედრო-პოლიტიკური რესურსი (ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცების, ირან-ოსმალეთის გავლენის სფეროებად დანაწილებისა და სხვა მსგავს საკითხთა გამო) ევროპასთან ინტენსიური და მჭიდრო ურთიერთობების საწარმოებლად, საკუთრივ კონტინენტზე შესაბამისი მზაობის არარსებობის გათვალისწინებით.

4.1.3. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში

XVIII ს-ის 20-იან წლებში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება. ქვეყანამ კიდევ ერთხელ გადაჭრით სცადა რუსეთთან კავშირის მეოსებით განთავისუფლებულიყო უცხოელ დამპყრობთა უდლისაგან. ამასთანავე, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ამ დროს უშუალო შედეგი იყო აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის გააქტიურებისა.

რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაიდო კასპიის ზღვის სანაპიროებზე პეტრე პირველის ლაშქრობის მზადების პროცესში და ნაკარნახევი იყო რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით. კერძოდ, კასპიისპირეთის შემოერთება რუსეთის მზარდ მანუფაქტურულ მრეწველობას უზრუნველყოფდა ნედლეულით. ამავე დროს, ხელს შეუწოდდა რუსეთის საგარეო ვაჭრობის განვითარებას ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ირანი, ინდოეთი და სხვა. ფაქტობრივად, რუსეთზე გაივლიდა სა-

ვაჭრო-სატრანსპორტო გზა ევროპასა და აზიას შორის. რაც შექება სამხედრო-პოლიტიკური კუთხით მის ინტერესს, კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ირანის დაცემის კვალ-დაკვალ აშკარად იკვეთებოდა თურქეთის პოზიციების გაძლიერება ამიერკავკასიაში, რაც რუსეთის განსაკუთრებულ შემფორებას იწვევდა.

1715 წელს პეტრე პირველმა ა. ვოლინსკი ირანში დესპანად გაგზავნა და დაიწყო მზადება თავისი მიზნის განხორციელებისათვის-დაუფლებოდა კასპიისპირეთს დაღვსტნის სანაპიროებიდან მოყოლებული ვიდრე გილანამდე. პეტრე პირველმა ა. ვოლინსკის დაუსახა დიპლომატიური და სამხედრო-დაზედვითი ხასიათის ამოცანები, დაავალა გამოერკვია ვახტანგ VI-ის ბედი და მასთან კავშირი დაემყარებინა.

ა. ვოლინსკიმ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ დავალებებს. მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ვითარებისა, მან ირანთან რუსეთისათვის სარფიანი სავაჭრო ხელშეკრულება დადო და ზედმი-წევნით შეისწავლა ირანის საშინაო და საგარეო ვითარება. პარალელურად, რუსეთს თურქეთის გაღიზიანება რომ არ გამოეწვია, 1720 წელს ხელშეკრულება გააფორმა სტამბოლთან, სადაც ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა, რომ არ დაერ-დვიათ ზავი.

1719 წ. ა. ვოლინსკი, როგორც ირანის საქმეებში კომპეტენტური პიროვნება, დაინიშნა ასტრახანის გუბერნატორად, რათა შედგომოდა უშუალო სამზადისს კასპიის ზღვის სანაპიროზე ლაშქრობისათვის.

რუსეთის მიერ დაგეგმილ დონისძიებათა შორის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსა და სომხეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას. პეტრე I ითვალისწინებდა იმ როლს, რომელიც შეეძლოთ შეესრულებინათ ქართველებსა და სომხებს რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომებში.

პეტრე I-ის მითითებების თანახმად, ა. ვოლინსკიმ დაიწყო მოლაპარაკება გახტანგ VI-თან, რომელიც მაჟმადიანური სარწმუნოების

ფორმალურად მიღების შემდეგ, შპკმა ქართლის მეფედ დანიშნა და 1719 წელს საქართველოში დაბრუნა.

ირანში ყოფინის დროს ვახტანგ VI თვალნათლივ დარწმუნდა სეფიანთა სახელმწიფოს დაძაბუნებაში. ახლა იგი ითვალისწინებდა აღმოსავლეთში რუსეთის ინტერესებს, მისი პოლიტიკის გააქტიურებას კავკასიაში და შექმნილი მდგომარეობა ხელსაყრელად შეაფასა.

რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების საკითხი ქართლის სამეფო დარბაზის სხდომაზე განუხილავთ. დარბაზის ყველა წევრი დასახული გეგმის მომხრე როდი იყო. ერთ ნაწილს ქართლისათვის ეს გეგმა სახიფათოდ მიაჩნდა იმ მოტივით, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან მტრებს შეეძლოთ ესარგებლათ შემთხვევით და რუსეთის ლაშქრის მოსვლამდე ქვეყნის აოხრება ეცადათ, მაგრამ მეფე თავისას არ იშლიდა. მაშინ დარბაზის წევრებმა წინადაღება შეიტანეს, რომ ემოქმედათ საიდუმლოდ, გამოყენანათ მცირერიცხოვანი ჯარი და ფარულად მიმხრობოდნენ პეტრე I. თვით ვახტანგ VI და მისი მომხრეები სხინას მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს გადამწყვეტ მოქმედებაში ხედავდნენ. რუსეთ-საქართველოს კავშირის წარმატების ერთ-ერთ ძირითადი პირობად ვახტანგი ქართლში რუსეთის ხუთათასიანი ჯარის შემოყვანას მიიჩნევდა. მისი ანგარიშით ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა ფეოდალური საქართველოს ძალების მობილიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, იძლეოდა იმის გარანტიას, რომ რუსეთი უფრო აქტიურად მოეკიდებოდა საქართველოს საკითხებს. ვახტანგ VI-ის მიერ დამუშავებული გეგმა ითვალისწინებდა იმ სანად შეა აღმოსავლეთში შექმნილ კონკრეტულ სიტუაციას.

ამრიგად, ოციან წლებში პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ხელშეკრულება საომარი მოქმედების შესახებ. მაგრამ იურიდიულად ეს შეთანხმება არსად იყო გაფორმებული, რადგან პეტრე I გაურბოდა ოფიციალური დოკუმენტების გაცემას. იგი, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობას გაურბოდა, მეორეს მხრივ, ფრთხილობდა შპკს არაფერი გაეგო.

ვახტანგ VI ამიერკავბასიაში რუსეთის ჯარის ჩამოსვლამდე არც აპირებდა მოქმედების აშკარად დაწყებას. მთელ მოსამზადებელ სამუშაოს იგი ახორციელებდა ფარულად და ცდილობდა არ გაემწვავებინა ურთიერთობა ირანთან ან თურქეთთან.

ვახტანგმა მიიღო პეტრე I-ის წინადაღება ერთობლივი მოქმედების შესახებ.

პეტრე I-მა, რომელსაც მოკავშირებად საქართველო და სომხეთი ჰყავდა, ლაშქრობის დასაწყებად ხელსაყრელი დრო შეარჩია.

ლევაბერძნება სურხაი-ხანისა და ჰაჯი-დაუდის მეთაურობით გაილაშქრეს ირანის შაჰის წინადმდებარება და დაიკავეს შამახია, გაძარცვეს იქ მყოფი რუსი ვაჭრები და ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელოები კასპიისპირეთში გაეფართოვებინათ. იმავე დროს ირანს ავღანელები შეესივნენ. 1722 წლის მარტიდან მათ ირანის დედაქალაქ ისპაანს ალექს შემოარტყეს. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგ VI-ის ძმა როსტომი, რომელიც შაჰის გვარდიის სარდალი იყო. შაჰი მძიმე მდგრმარეობაში აღმოჩნდა და პეტრე პირველმა სცადა გამოეყენებინა ეს ვითარება, დაესწრო თურქებისათვის და დაეწყო კასპიისპირეთის შემოერთება. თავის მოქმედებას იგი ლევა მეამბოხეების დასჯის აუცილებლობით ხსნიდა, ხოლო შაჰს კასპიისპირა პროვინციების დათმობის საკომპენსაციოდ, სამხედრო დახმარებას პპირდებოდა.

1722 წ. 2 ივლისს პეტრე I-მა ვახტანგს აცნობა, რომ რუსთა ჯარი მალე გამოჩნდებოდა კასპიის ზღვის ნაპირზე. ქართლის მეფეს იგი წინადაღებას აძლევდა, რომ ლევა წინადმდებარება და დაეწყო და თურქეთისათვის სამხედრო მოქმედების დასაწყებად რაიმე საბაბი არ მიეცა.

1722 წ. 3 აგვისტოს პეტრე ვახტანგს აუწყებდა, რომ მისმა ჯარმა კასპიის ნაპირებზე მოქმედება უკვე დაიწყო. დაახლოებით იმავე სანებში არზრუმის ფაშამ სულთნის სახელით ვახტანგს შეატყობინა, რომ თურქეთი ირანზე გალაშქრებას აპირებდა და მასთან კავშირი სასურველი იყო. ასეთი კავშირისათვის სულთანი ვახტანგს მთელ

საქართველოს პპირდებოდა. მაგრამ ვახტანგმა უარყო ეს წინადადება და უოველივე პეტრეს შეატყობინა.

ერთობლივი გეგმის შესაბამისად, რუსეთის ჯარი ქართველთა და სომებთა ლაშქარს, რომელსაც ვახტანგ VI მიუძღვდა, დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა. მაგრამ, სამწუხაოოდ, ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. პეტრე I-მა მიაღწია დარუბანდს, შემდგა კი იმულებული გახდა ასტრახანს დაბრუნებულიყო. ლაშქრობის გაგრძელება მან სახიფათოდ მიიჩნია სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობის გამო. ამავე დროს რუსთა ჯარებში ავადმყოფობა გაგრცელდა და რაც მთავარია, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა გამწვავდა, რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომი კი იმპერატორს აშინებდა.

პეტრე I დაბრუნდა ასტრახანში და გადაწყვიტა გულმოდგინედ მომზადებულიყო შემდგომი ბრძოლისათვის. იგი 1723 წლის გაზაფხულზე აპირებდა ლაშქრობის განახლებას.

1722 წლის კამპანიის შედეგად პეტრე I იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კასპიისპირეთში მის მიერ დასახული გეგმების განსახორციელებლად საკმაო ძალები არ ჰყოლია და სათანადოდ მომზადებულიც არ ყოფილა. 1723 წ. ლაშქრობის შესახებ ვახტანგთან მოლაპარაკება პოდპორუჩიკ ტოლსტოის დაევალა.

ვახტანგ VI-ემ მიიღო ი. ტოლსტოი და დაუთანხმა პეტრე პირველის წინადადებას, რომ საომარი მოქმედება განეხლებინათ 1723 წელს. ვახტანგი, რომელიც ფაქტიურად ჩაება ირანთან ომში, მოსალოდნელ საფრთხეს ითვალისწინებდა და პეტრესაგან მოითხოვდა საქართველოში რუსთა ჯარის ერთი ნაწილის შემოყვანას. პეტრეს წარმომადგენელი ტოლსტოიც მხარს უჭერდა ვახტანგის მოთხოვნას, მაგრამ პეტრე I არ ჩქარობდა საქართველოში ჯარის გამოგზავნას. როცა იგი ინსტრუქციას აძლევდა ი. ტოლსტოის, პირველ რიგში მხედველობაში პქონდა ბაქოს აღების აუცილებლობა, თუმცა იგი ბოლოს მაინც იმულებული გამხდარა დათანხმებულიყო საქართველოში ორი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გაგზავნაზე და

სათანადო ბრძანებაც კი მიუცია. როგორც ჩანს, პეტრე დაურწმუნებიათ, რომ არზრუმის ფაშა ყარსში ჯარებს თავს უკრის და ქართლში შემოჭრას აპირებს.

პეტრეს აღნიშნული ბრძანება მხოლოდ ქადაღდზე დარჩა და მის მთავრობას ფაქტიურად არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია იმის-ათვის, რომ ქართლი სახიფათო მდგომარეობიდან ეხსნა.

1722 წლის დამდევსა და 1723 წლის დამდევს ქართლში მდგომარეობა უაღრესად გართულდა. ირანის ახალი შაპი-თამაზი ჯარებს აგროვებდა ურჩი ვახტანგის დასახულებად. ამავე ღროს თურქეთიც თავს უკრის ჯარებს ქართლის საზღვარზე და იქ შესაჭრელად ემზადებოდა. ქართლის შიგნითაც უველავერი რიგზე როდი იყო. შინაფეოდალური კინკლაობა გრძელდებოდა; ვახტანგ VI-ება და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორისაც ურთიერთობა გამწვავდა. კონსტანტინე ცდილობდა ესარგებლა ვახტანგის გართულებული მდგომარეობით და ქართლის ტახტისათვის იბრძოდა. ვერაგი კონსტანტინე თავის გეგმას შაპს უთანხმებდა, რათა ვახტანგის განადგურების საზღაურად ქართლს დაუფლებოდა.

თბილისში მყოფმა ირანის გარნიზონმა შაპ-თამაზის სათანადო განკარგულება მიიღო და ქალაქს სროლა აუტეხა. მალე კონსტანტინეც მიადგა თბილისს თავისი ჯარით, რომელშიაც დაქირავებული ლეკებიც იყვნენ. კონსტანტინეს მხარეზე იბრძოდნენ აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანები. ვახტანგის საშველად კი, დასავლეთ საქართველოს მეომრები მოვიდნენ. ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა. კონსტანტინემ რამდენჯერმე იგემა დამარცხება, მაგრამ იარაღს არ ყრიდა და ლეკოა ახალ ძალებს იშველიებდა. 1723 წლის გაზაფხულზე ვახტანგის ბანაკში დალატის შედეგად კონსტანტინემ თბილისი აიღო. ვახტანგი იძულებული გახდა ცხინვალში გახიზნულიყო. არზრუმის ფაშამ ახლა უკვე კატეგორიულად მოითხოვა, რომ ვახტანგ VI-ეს სულთნის ძალაუფლება ეცნო, რათა მის სანაცვლოდ ქართლის ტახტი შევნარჩუნებინა.

ვახტანგმა მოიწვია დარბაზის სხდომა. ქართლის თავადებმა მეფეს თურქეთის წინადადების მიღება მოხსოვეს. ქართველ დარბაზელთა დიდი ნაწილი თურქეთან კავშირის გზით ფიქრობდა სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებას ქართლში. პეტრეს წარმომადგენელი ტოლსტოი და თურქებისანიშვილი რუსთა ლაშერის მალე ჩამოსვლის იმედით, დაჟინებით ეწინააღმდეგბოდნენ დარბაზელებს.

მდგომარეობა უაღრესად კრიზისული იყო. თურქებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაეწყოთ საომარი მოქმედება. ვახტანგ მეექვსემ გადაწყვიტა მიეღო ფაშას წინადადება და თავისი პირობები წამოაყენა. თურქებთან მოლაპარაქების გზით ვახტანგი დროის მოგებას ცდილობდა და ეგონა, რომ ფაშა მის პირობებს კონსტანტინოპოლითან შეათანხმებდა. ალბათ მეფეს რუსთა ლაშერის მალე ჩამოსვლის იმედიც პქონდა. ასეთ ვითარებაში ვახტანგ მეექვსის გადაწყვეტილება თითქოს სწორი იყო, მაგრამ ოსმალთა მოტყუებაც ძნელდა თუ მოხერხდებოდა. ასეთი რთული ვათარების შესახებ ვახტანგი პეტრე პირველსა და მის მოხელებსაც ატყობინებდა.

კონსტანტინესთან ბრძოლაში ვახტანგის დამარცხების შემდეგ ოსმალები ქართლში შემოიჭრენ და 1723 წლის ივნისში თბილისს მოადგნენ. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ქალაქი. თურქებმა დაიპყრეს ქვეყანა და იქ თავიანთი წესრიგის დამყარება დაიწყეს.

რუსეთის მთავრობამ დიპლომატიური ნაბიჯები გადადგა, რათა თავიდან აეცილებინა თურქების შეჭრა აღმოსავლეთ კავკასიაში, მაგრამ ბრძოლის ასეთი საშუალებები საკმარისი არ აღმოჩნდა. რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა მისწრაფება, არ დაეშვათ თურქეთის შემოჭრა, მხოლოდ ერთობლივი ბრძოლის გზით თუ განხორციელდებოდა. პეტრე პირველმა ქართლში რუსთა ჯარები არ გამოგზავნა. თურქეთმა ისარგებლა შეუაღმდეგ მექმნილი მდგომარეობით, დაიკავა ქართლი და მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. თურქეთი კი მოითხოვდა, რომ პეტრე პირველს კასპიისპირეთიდან ჯარები გაჟევანა.

პეტრე პირველმა გაითვალისწინა ვათარების სირთულე და ოურქეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადება დაიწყო, მაგრამ კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგარდა. 1724 წ. 12 ივლისს კონსტანტინოპლაში რუსეთ-თურქეთის შეთანხმება დაიდო.

თურქეთი ამ შეთანხმების საფუძველზე ცნობდა კასპიისპირეთის რუსეთთან შეერთებას და უარს ამბობდა მთელი ირანის დაპყრობის სურვილზე. პეტრე პირველმა სცნო თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობა, რუსეთი მეტად საგრძნობ დათმობაზე წავიდა, როდესაც თურქეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის დაპყრობა ცნო. თურქების მეზობლობა უშუალო საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მიერ შემოერთებულ კასპიისპირეთის პროვინციებს. აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში თურქეთის ბატონობას პეტრე I მხოლოდ დროებით შეურიგდა.

რაც შეეხება ვახტანგ მეექსეს, ის ყოველმხრივ იმედგაცრუებული 1724 წლის ივლისში ახლობელთა დიდი ამალით (1200 კაცი) რუსეთს გადაიხვეწა.

ამრიგად, 1724 წ. ივნისში კონსტანტინოპლაში დადებული ზავის საფუძველზე, რუსეთმა კასპიის ზღვის ნაპირები მიიღო, ხოლო აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია ოსმალეთს დაუთმო. ამიერ-კავკასიელი ხალხები, რუსეთის დახმარებით ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებაზე რომ ოცნებობდნენ, ამიერიდან უფრო უარესი დამპყრობლის უდელქვეშ აღმოჩნდნენ. დონემიხდილი ირანი აღნიშნულ ზავს არ ცნობდა.

სიტუაცია იცვლება XVIII ს-ის 30-იან წლებიდან. ამ დროიდან სპარსეთი რუსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. ახლაც მოსალოდნელი იყო, რომ ომი მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე წარმართულიყო. 1734 წ. ირანმა შირვანში ოსმალებს შეუტია და ქალაქი შემახა აიღო. რუსეთს მუქარის რეალური საფრთხე შეექმნა. უფრო გვიან (1735 წ.), განჯის ტრაქია-

ტით, რუსეთმა ხელი აიღო ბაქო-დარუბანდზე. ამიერკავკასიაში შექმნილმა როგორმა სიტუაციამ რუსეთის კარზე მყოფ ქართველ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნების იმედის ნაპერწერის ჩაუქრო.

სამშობლოში მყოფ ქართველებს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების იმედი მიეცათ. ქართლში გივი ამილახვრის მეთაურობით ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყება ირანთან შეთანხმებითა და კარნახით ხდებოდა. ყიზილბაშთა ჯარებმა იერიში ბაგავანთან (ერებნის ახლოს) ოსმალთა მთავარ ძალებზე გადაიტანეს. ოსმალები სასტიკად დამარცხენენ და ამის შემდეგ თბილისის ციხე უბრძოლველად დატოვეს. ამჯერად, ყიზილბაშურმა ძალამ გაიმარჯვა.

ქართველებს ყიზილბაშებთან კავშირი ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის სჭირდებოდათ, მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ახალი დამპყრობელი არანაკლებად ვერაგი იყო და აღნიშნული „კავშირი” ამ ახალი მოკავშირის წინააღმდეგ ბრძოლასაც არ გამორიცხავდა. ასეთი ხასიათის ბრძოლით იისხნებოდა ის, რომ „ვერც ნადირმა” (ისევე როგორც შაჰ-აბასმა) შეასრულა განაზრახი.

1736 წლის 26 თებერვალს მუდანში ნადირმა იხმო მთელი მაღალი საზოგადოება. ამიერკავკასიელი „ყმები”, მათ შორის, ქართველი ხელქვეითებიც. შეკრებილ საზოგადოებას მან თავი ირანის შაჰად აარჩევინა. დიდი წყალობის გაღების შემდეგ, ქართლ-კახეთის მმართველი აღექსანდრე თავისი ქვეყნისაკენ გაისტუმრა და მას ყიზილბაში სარდალი სეფი-ხანიც აახლა.

ამ დროს ნადირ-შაჰი გართული იყო თავის დამპყრობლური ომებით აღმოსავლეთში და საქართველოს საქმეებისაგან ჯერ კიდევ შორს იდგა. ამ გარემოებამ და ქართველთა თავგამოდებულმა ბრძოლამ აიძულა იგი, რომ საქართველოს მიმართ ძველი ყიზილბაშური პოლიტიკა შეეცვალა. მან დიპლომატიური გზით სცადა მოეგვარებინა საქართველოს საკითხი.

სეფი-ხანის მიერ შეპყრობილი მეფე თეიმურაზი და სხვა ქართველი დიდებულები ნადირმა თან იახლა აღმოსავლეთის ლაშქრობაში.

შემდეგ კი, როდესაც ინდოეთში სალაშქროდ მოქმზადა, თეიმურაზს ქალ-ვაჟი ირანში დაბარებინა. თეიმურაზის ასული ქეთევანი თავის ნათესავს შერთო ცოლად, ხოლო ვაჟი, ერეკლე. თან იახლა ინდოეთის ლაშქრობაში. თეიმურაზს კახეთის მმართველობა უბოძა და ქართველ დიდებულებთან ერთად სამშობლოში გამოისტუმრა.

ქართველი უფლისწულის ინდოეთის ლაშქრობაში ხლება მქევლობის ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ერეკლემ ნადირთან ლაშქრობაში ყოფნის დროს კარგი სამხედრო და დიპლომატიური გამოცდილება მიიღო. მან ძლიერ დამპურობელს თავისი ნიჭი და უნარი უჩვენა და ნადირ-შაპის ირანიც საფუძვლიანად გაიცნო.

თეიმურაზი ხედავდა, რომ ნადირ-შაპის ირანი ის აღარ იყო, რაც ადრე. ამავე დროს რუსეთისა და ოსმალეთის როლი საერთაშორისო ასპარეზზე მცირდებოდა. გაძლიერებული ირანი თამამად უპირისპირდებოდა როგორც რუსეთს, ისე ოსმალეთს. ამიტომ გადაიხარა თუ იმურაზის არჩევანი ამ ეტაპზე ირანისაკენ. თუმცა, მან ისიც იცოდა, რომ არც ირანი და არც ოსმალეთი ქართლ-კახეთს თავზე ხელს არ გადაუსვამდა.

ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო პოლიტიკაში ახალი ძვრების მანიშნებელი იყო ქართლში თეიმურაზის, ხოლო კახეთში ერეკლეს მეფედ დამტკიცება ნადირ-შაპის მიერ. ორივე მეფემ კარგად იცოდა, რომ ირანი აღარ იყო ძველი ძლიერების მქონე სახელმწიფო და დაიწყეს ბრძოლა რეგიონში პოზიციების განმტკიცებისათვის.

4.2. ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა და ძალთა ახალი კონფიგურაცია ამიერკავკასიაში

XVIII ს-ის შუა ხანებიდან ქართლ-კახეთის სამეფოები საცმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდნენ. ამ პერიოდში ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა უაღრესად ფრთხილი და თავ-შექავებული იყო. ქართლ-კახეთის მიერ ირანისაგან სრული გამიჯვნის კურსი, მაშინ ნამდვილად არ იქნებოდა ხელსაყრელი მზარდი სახელმწიფოსათვის.

ირანის დასუსტების კვალდაპვალ ამიერკავკასიის ასპარეზზე დაც გაჩადდა მყარი მომ. ირანის ტახტის მაძიებლები ფიქრობდნენ, რომ ქართლ-კახეთის, სომხეთ-აზერბაიჯანისა და მაზანდერანის დამორჩილება ისპაანისაკენ გზის გაკაფვისათვის აუცილებელი იყო.

1749 წ. შემოდგომაზე ერევნის სახანოს მუდანის ველზე მომთაბარე თურქმანული ტომები შეესივნენ მაკმად-ხანის სარდლობით. ერევნის სანმა დახმარებისათვის თეიმურაზ-ერებლეს მიმართა, რისთვისაც ლაშქრობის ხარჯების გადახდა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. მეფებმა ეს წინადაღება მიიღეს და სომქეთა მონაწილეობით მაკმად-ხანს შეუტიეს. ეს ლაშქრობა ქართველთა და სომქეთა გამარჯვებით დასრულდა. ამიერიდან ერევნის სახანო ძლიერი ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა და მისი პოლიტიკური ცხოვრების მოზიარე გახდა. სომები ხალხი და არისტოკრატია ამ წაქტით კმაყოფილებას გამოოქვემდნენ.

ერევნის შემდეგ ქართლ-კახეთის მფარველობა ნახიჩევანის სახანომაც აღიარა.

საქართველო კვლავაც იქცა ამიერკავკასიელი ქრისტიანებისა და პროგრესული ელემენტების მიზიდულობის ცენტრად.

ერევან-ნახიჩევანის შემოერთება ქართლ-კახეთის გაძლიერების მაჩვენებელი იყო.

ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში ქართლ-კახეთის სამეფოების წარმატებას რეგიონში შექმნილი მდგომარეობაც უწყობდა ხელს. კერძოდ, აზერბაიჯანელ ხანებს საშინაო განხეთქილება ჰქონდათ. ამ დროს მათ შორის მეტად გაძლიერებულიყო ყარაბაღის ფანა-ხანი, რომელიც განჯისა და ნახიჩევანის სახანოებს ავიწროებდა. ფანა-ხანმა განჯას ძლიერად შეუტია. მის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია, რომელშიაც შირვანისა და ბაქოს მმართველები და ყარაბაღელი მელიქები გაერთიანდნენ შაქის მმართველი აჯი ჩელების მეთაურობით, მაგრამ ვერაფერი დააკლეს.

განჯის შავერდი-ხანმა თეიმურაზ-ერეკლეს დახმარება ჯერ კიდევ 1749 წ. სექტემბერში სთხოვა, როცა განჯა ფანა-ხანის ჯარების მიერ ალყაშემორტყმული იყო. შავერდი-ხანი ისეთსავე სარკსა და მორჩილებას აღუთქვამდა ქართველ მეფეებს, როგორც ერევნის ხანი, მაგრამ ძლიერი ფანა-ხანის წინააღმდეგ გალაშქრება არცოუ ისე ადგილი იყო და როგორც ჩანს, თეიმურაზ-ერეკლემ მომზადება და ხელსაყრელი სიტუაციის შერჩევა გადაწყვიტეს.

1750 წ. ობერვალში ქართლ-კახეთის ჯარები ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ საომრად უპავ მზად იყვნენ. ამ ლაშქრობას, რა თქმა უნდა, უფრო ღრმა მიზეზი ჰქონდა, ვიდრე მატერიალური ინტერესი. განჯის აღების შემთხვევაში ფანა-ხანი უფრო გაძლიერდებოდა და ქართლ-კახეთს დაემუქრებოდა: „განჯას თუ დაიჭერდა, მერე ყაზახ-ბორჩალოსაც მოინდომებდა” შენიშნავდა პაპუნა ორბელიანი. განჯასთან თეიმურაზს შეუერთდნენ განჯის ხანი თავისი ლაშქრით ურთ, გულისტანის მელიქი თამაზი, განძასარელი (კარბადის სომეხთა) კათალიკოსი და სხვა მელიქები. გაერთიანებულ ლაშქარში იყვნენ აგრეთვე „იმერნი, ოსნი, კავკაზნი, ერევნელნი, ყაზანი, შამშადინნი, ლეკნი, რომელნი მონებდნენ კახ-ბატონს”.

ქართველი მეფეების ამ ლაშქრობას თანაგრძნობით უფრებდა ცბიერი აჯი ჩელებიც, რომელთაოთვისაც ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი ძლიერი მეტოქის ომი, უდავოდ, ხელსაყრელი იქნებოდა.

გაერთიანებულმა ჯარებმა გაიმარჯვეს. მდ. არაქსის ნაპირზე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გავლენა დამკვიდრდა. განჯის ხანმა ლაშქრობის საზღაური მთლიანად ვერ დაჰყარა (100 000 მანეთი) და ქართველმა მეფეებმა მას შამშადილის მხარე ჩამოაცილეს. ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს ადმინისტრაციულმა ფარგლებმა აღმოსავალეთით მდ. ძეგამზე გადაინაცვლა. შამშადილის დაკარგვით განჯის სახანოს შემდგომი გაძლიერების პირობები შეიზღუდა, ხოლო ფანახანის დამარცხებით ამიერკავკასიაში პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს ერთ-ერთი სახანო გამოაკლდა. მან თავის ძველ პრეტეზიებზე რამდენადმე ხელი აიღო და თეიმურაზ-ერეკლეს ბანაკში აღმოჩნდა.

ყარაბაღის ხანი თავის ხელისუფლებას ინარჩუნებდა, მაგრამ ამიერიდან ქართველი მეფის პირველობას ურიგდებოდა და კავკასიის ასპარეზზე მის მოკავშირედ გამოდიოდა. დამოუკიდებელი ყარაბაღის არსებობა მაშინ საჭიროც კი იყო. თეიმურაზის ამიერკავკასიულ პოლიტიკაში ფანა-ხანი ისეთი წონასწორობის შენარჩუნებისათვის გამოდგებოდა, რომელიც ქართლ-კახეთის გაძლიერებას ხელს არ შეუშლიდა.

ყარაბაღის ლაშქრობის ძლევამოსილი დასრულება უდავოდ გარკვეული ეტაპი იყო ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თბილისი თანდათანობით ხდებოდა საქართველო-ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი. იქ ჩამოდიოდნენ ქართველ მეფეებთან მოსათათობირებლად და ურთიერთობის მოსაგვარებლად ჭარელი აღალარები და კაკის სულთანი, ერევნისა და განჯის ხანები თუ შაქის ხანის დესპანები და სხვა.

თეიმურაზის პირველობა ამიერკავკასიაში ერთხელ კიდევ დაადასტურა ირანის ახალმა მბრძანებელმა შაჳ როპჳა — „ერანისა და აზერბაიჯანის სპასალარობა“ უბოძა მას, ერეკლე კი მის ნაიბად (მოადგილედ) აღიარა. ამას თეიმურაზის სასარგებლოდ ერთგვარი გავ-

ლენა უნდა მოქმდინა აზერბაიჯანის სახანოებზე, თუმცა ამ დროს აქაური ხანებისათვის შპის „რაყამებს” ძველი ფასი აღარ ჰქონდა.

ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი რთული პრობლემა ლეკთა თავდასხმების ალაგმვა იყო. თეიმურაზ მეფე თანამიმდევრულად ემზადებოდა ლეკთა პერმანენტული შემოსევების საბოლოო აღკვეთისათვის.

ჭარელ-დაღესტნელ ბელადთა მჭიდრო კავშირი ოსმალეთთან სუნიტურ-მაჰმადიანური სარწმუნოებრივი ერთობითაც სულდგმულობდა. ასეთი რელიგიური კოალიციები შიიზმის აღმსარებელი ირანისა და სუნიზმით „განათებული” თურქეთის თითქმის დაუძლეველ წინააღმდეგობათა ანარეკლი იყო. ეს აშკარად გამოვლინდა ნადირ შპის დროსაც. სავსებით გასაგები იყო, რომ ნადირის ორწლიანი ლაშქრობა დაღესტანში წინ უძლოდა მის სამწლიან ომს ოსმალეთთან.

XVIII ს. 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანის დამდეგს დაღესტნურ შემოსევებს კიდევ უფრო მეტი აქტივობა დაეტყო. ამ საქმეში ახლაც ოსმალეთის ხელი ერია. თურქეთი ფხიზლად უდარაჯებდა ირანის ამბებს და ქართლ-კახეთის არაჩვეულებრივ გაძლიერებას, რაც ემუქრებოდა მისი გეგმების რეალიზაციას ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს სულს დაფავდა ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა ლიხთიმერეთშიაც. ყოველივე ეს კი, საქართველო-რუსეთის შემდგომი დაახლოების პერსპექტივებთან ერთად, სულთნის დიპლომატებს მოსვენებას უკარგავდა.

ქართლ-კახეთი თანამიმდევრულად ემზადებოდა ჭარ-ბელაქნის საბოლოო დაპყრობისათვის. ჭარი და მისი დაღესტნელი მოქავშირები ამას გრძნობდნენ. ლეკები ახლა უფრო ფართო მასშტაბის ლაშქრობაზეც ფიქრობდნენ, რომ ქართლის გაძლიერებისათვის საზღვარი დაედოთ.

50-იანი წლების დასაწყისში დაღესტნელთა შემოსევები შედარებით უფრო გახშირდა და გაფართოვდა, ახლაც ოსმალთა მხარდაჭერით.

1750 წ. ლეკთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი კახეთს შეესია, დაარბია ყაზახი. ბრძოლა მოხდა იორ-ალაზნის შესართავთან, დანდისში, რომელიც მაშინ შაქის სახანოს ტერიტორიაზე იყო. ერეკლეს ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა, ხოლო შეძრწუნებული შაქის ხანი დიპლომატიურ ონებზე გადავიდა. მან ქართველებს გამარჯვება მიულოცა.

1751 წ. თებერვალში თეიმურაზე-ერეკლე თავიანთი ჯარებით ჭარის დასაპყობად დაიძრნენ. ჭარელები ზავის გუნებაზე დამდგარან, მაგრამ თეიმურაზმა ქართული მიწაწყლის მიმტაცებლებს უარი შეუთვალა. აღსანიშნავია, რომ ჭარის საბოლოო დაპყობით შაქის მმართველს დიდი საურთხე მოელოდა, ამიტომ იყო, რომ თეიმურაზისათვის მოულოდნელად მის ჯარებს პირველ რიგში შაქის ხან აჯი ჩელების ლაშქართან მოუხდა ბრძოლა მდ. აგრი-ჩაიზე. სწორედ იქ გადიოდა საზღვარი ჭარ-ბელაქანსა (ელისუს სასულთნოს ჩათვლით) და შაქის შორის.

აგრი-ჩაის ნაპირზე 1751 წ. 15 თებერვლის სუსხიან ორშაბათს ქართველები სასტიკად დამარცხედნენ. დამარცხების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თეიმურაზმა ამჯერად სათანადოდ ვერ შეაფასა შაქის ხანის პოზიცია. განჯის ჯარმა უდალატა მეფეს. ბრძოლის ბედზე ნაშდგილად უარყოფითი გავლენა იქონია იმანაც, რომ ქართველთა ჯარებს ფაქტიურად ორი სარდალი, თეიმურაზი და ერეკლე ჰყავდა. თეიმურაზი უფრო ნიჭიერი დიპლომატი იყო, ვიდრე სარდალი, ერეკლე კი, პირიქით. მათი ერთდროული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ერთიმეორეს ავსებდა, მაგრამ ბრძოლის ველზე ერთი სარდალი სჯობდა. ამით აიხსნებოდა, რომ მერმინდელ ბრძოლებში თეიმურაზმა სამხედრო ასპარეზი უმთავრესად შვილს დაუთმო.

აღნიშნულმა დამარცხებამ, რომელსაც დიდი მსხვერპლი შექმირა, ქართლ-კახეთის მოწინააღმდეგე ძალები აღაფრთოვანა. აჯი ჩელები ზეიმობდა, ჭარ-დაღესტნელებმა ქართლის სოფლებში თარეშს მოუხშირეს, მაგრამ მათი ზეიმი ნააღრევი იყო. ერეკლემ მუსრი გაავლო მოთარეშე რაზმებს მანავთან, მარტყოფთან, იორზე, საგურამოსთან და სხვა.

1751 წ. ქართველთა ჯარებს ომი ჰქონდათ აზატ-ხან ავღანთან, რომელიც ტახტისათვის იბრძოდა. ნადირის სიკვდილის შემდეგ, აზატ-ხანმა ავღანთა და უზბექთა ჯარებით დაიმორჩილა თავრიზი, ურმია, ხოი, ალმასი, ახლა კი, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონება მოინდომა და ერევანს შეუტია. ქართლ-კახეთის მდგომარეობა ამ დროს უაღრესად კრიტიკული იყო: „ალაგი აღარ იყო, რომ ლეკი არ იდგა“. აგრი-ჩაისთან დამარცხების შემდეგ ერევნის დაპარგვა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ქართლ-კახეთს კავკასიაში პირველობის პოზიციები უნდა დაეთმო. საფრთხე შეექმნებოდა მის დამოუკიდებლობასაც.

ერეკლეს სამხედრო ტალანტმა ამ დროს დიდი როლი შეასრულა. სამი თუ ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარით ქართველებმა შეძლეს ავღანელთა ალყისაგან ესხნათ ერევანი, მერე კი, ყირბულახთან, 1751 წ. ივლისში სასტიკად დაქმარცხებინათ აზატ-ხანის 18 ათასიანი კორპუსი. ყირბულახის იშვიათი ბრძოლა უდავოდ საპატიო ადგილს იკავებს XVIII ს. II ხახვრის საომარი ეპიზოდების ისტორიაში.

ყირბულახთან გამარჯვება აგრი-ჩაისთან მარცხის კომპენსაცია იყო. აზატ-ხანსა და ერეკლეს შორის დადებული ზავის მიხედვით, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ბატონობის სფერო მდ. არაქსამდე გავრცელდა.

აზატ-ხანზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგადაც უერ მოისვენა ქართლ-კახეთმა. რუსეთსა და ევროპაში მოარულმა ხმებმა თეიმურაზ-ერეკლეს გაძლიერების შესახებ ქართლის საგარეო მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ოსმალეთი შიშმა მოიცვა. თეიმურაზის

პოლიტიკის მაგისტრალური ხაზი, სასურველი კანდიდატის გამეფება ირანში და ირანის ძალების გამოყენება ქართლის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, გრძელდებოდა. ახლა ამას მიემატა ახალი იდეური ნიუანსი, მშვიდობა აღმოსავლეთი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებსაც არანაკლებად სჭირდებათ, ამიტომ ისინი უნდა გაერთიანდნენ და საერთო ძალებით „მოაწესრიგონ“ ირანის საქმეები. თეიმურაზი ირანის სასალარია და გაერთიანებაც მის გარეშე უნდა მოხდეს. ეს იდეა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქართლ-კახეთის მეზობლებს.

ამიერკავკასიაში პირველობისათვის იბრძოდა არა მარტო ერეკლე, არამედ გაძლიერებული შაქის ხანი აჯი ჩელები, მერყეობდნენ აგრეთვე ერეკლეს ვასალები, განჯისა და ერევნის ხანებიც. აჯი ჩელები ცდილობდა გაედგოვებინა სარწმუნოებრივი მტრობა და განხეთქილება ჩამოვალო ქართლის მეფესა და მის ვასალებს შორის. აჯი ჩელები განჯის დაპყრობაზე ოცნებობდა.

ძალზე ხშირად იცვლებოდა ძალთა თანაფარდობა ამიერკავკასიაში. 1752 წლის დასაწყისში ერეკლემ კვლავაც მრავალგზის შემუსრალებული რაზე და ზავის გუნებაზე დააყენა დადგესტანი. თითქმის შეიქმნა ხელსაყრელი სიტუაცია იმისათვის, რომ თეიმურაზ-ერეკლეს აჯი ჩელებისათვის სამაგიერო მიეზღოთ და მისი კოალიცია დაეშალათ. ამავე დროს შაჰის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანი ბრძოლას განაგრძობდა. მან ნახიჩევანი დაიკავა. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა განჯას, რომელიც შაქსა და ერევან-ნახიჩევანს შორის მდგბარეობდა.

როგორც წყაროებიდან ჩანს, თეიმურაზ-ერეკლეს 1752 წლის ლაშქრობისას უფრო ფართო გეგმები ჰქონდათ. ისინი ირანში „წესრიგის აღდგენას“ ცდილობდნენ. ერეკლე თითქმის თვითონ იბრძოდა შაჰის ტახტის დასაკავებლად და ამიტომ აზერბაიჯანის ხანების გულისწყრომა გამოიწვია. ბუტკოვის ცნობით, ერეკლემ მიმართა შაქის, შამახიის, განჯისა და კაბალის ხანებს — ირანში

შაჲი არაა, მე როგორც ვალი, მოწოდებული ვარ ვიზრუნო იქ წესრიგის დამყარებასა და შაჲის ხელისუფლების აღდგენაზეო. მაგრამ, დასძენს ბუტკოვი, სანებმა გაუგეს, რომ ერეპლეს „ირანის მონარქიის ნანგრევებზე აღზევება სურდა”, ამიტომ დახმარებაზე უარი უთხრეს და მის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება. ქართველი მეფები ირანში სასურველი კანდიდატის გამეფებისათვის იბრძოდნენ. თეიმურაზს ირანის შაჲად უფრო აწყობდა ბრძა შაჲ როპი, ვიდრე მამედ-ჰასან-ხანი თუ აზატ-ხანი ან სხვა ძლიერი მმართველი, რომელიც მის გავლენას ამიერკავკასიაში შეზღუდავდა.

ქართველთა ჯარები და მათი მოკავშირეები განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახიჩევანის ხანები და სხვ. განჯასთან იღგნენ, საიდანაც შაქში შეჭრას აპირებდნენ. ამ დროს თეიმურაზის მოკავშირე ხანებს ფარული კავშირი დაუმყარებიათ აჯი ჩელებთან. თეიმურაზის ბრძანებით მოღალატე ხანები შეიძყრეს, მაგრამ მათი ლაშქრის გამოყენება ვერ მოხერხდა. ასეთ ვითარებაში ბრძოლის დაწყება მომზადებული მტრის წინააღმდეგ შეუძლებელიც იყო და მეფეებმა უკან დაბრუნება გადაწყვიტეს, მაგრამ შაქის ხანის ჯარი ანაზდეულად წინ გადაედობა მათ. ახლა ბრძოლა გარდაუვალი იყო. გახურებულ ომში ერებლეს ერევნის ხანმაც უდალატა და ბრძოლის ველს გაეცალა.

განჯის ომში, რომელიც 1752 წ. აპრილში მოხდა, ქართველები სასტიკად დამარცხდნენ. ზარალი აურაცხელი იყო.

განჯასთან დამარცხებამ შეარყია თეიმურაზ-ერეპლეს ავტორიტეტი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. აჯი ჩელების ანგიქრისტიანულ პოლიტიკას ქართლ-გახეთის ვასალური სახანოებიც აჰყვნენ. შამშადილუს, ყაზახ-ბორჩალოსა და ბაიდარის თუ დემურჩი-ასანლუს თურქმანები ახლა შაქის ხანის ერთგულებაზე თავს დებდნენ, ქართველ ბატონებს ნუდარ ემსახურებითო, თორემ ყათლამს გიზამთო, თათარს ქართველ კაცს აღარ გაყმობო — მოუწოდებდა მათ აჯი ჩელები. ქართველთა დამარცხებით ისარგებლა აზატ-ხანმა და ბრძოლა კვლავ განაახლა, ერევნის ხანმა მას მორჩილება გამოუცხადა.

ქართველ მეფების სწრაფი და ენერგიული ღონისძიებების გატარება მართებდათ, რომ შედახული ავტორიტეტი კვლავ აღედგინათ, თორემ მომავალი უნუგეშოდ გამოიყურებოდა. ალბათ, განჯასთან მარცხის შორეული ექო იყო ის, რომ 1753 წ. საფრანგეთის საელჩო კონსტანტინპოლიში პარიზს აცნობებდა, პრესის ცნობები ერეპლეს გამარჯვებათა შესახებ სწორი არ იყო.

სამი თვის განმავლობაში ემზადებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო იმისათვის, რომ მოზღვავებული მტრები შეეკავებინა და შეტევაზე გადასულიყო. თეიმურაზმა და ერეპლემ რუსეთის სახელმწიფოს მიმართეს და ჯარით დახმარება სოხოვეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ქართლ-კახეთმა საკუთარი ძალითა და ჩრდილოეთ კავკასიაში დაქირავებული ჯარების მოშველიებით შეძლეს დიდი მარცხის გამოსწორება.

1752 წ. 1 სექტემბერს თულქითაფასთან ბრძოლაში (ყაზახ-შამშადილუს საზღვარზე) ქართველებმა სამაგიერო მიუზღეს შაქის ხანს და მისი ჯარი ერთიანად გაჟღლიტეს. თეიმურაზ-ერეპლემ სამაგალითოდ დასაჯეს ყაზახელი და შამშადილელი მოდალატები. აზატ-ხანმა შემე თავი დაუკრა გამარჯვებულ ქართველ მეფებსა და საქართველოს დამორჩილების გეგმაზე ხელი აიღო. მან ზავი შესთავაზა ქართლ-კახეთს. „საქართველოსათვის ეს ზავი მეტად სასურველი იყო“. იგი „ქართლ-კახეთის შინაპოლიტიკურ სიმტკიცესაც ხელს უწყობდა“. ამის შემდეგ ქართლ-კახეთმა კვლავ აღადგინა თავისი ბატონობა ერევნისა და განჯის სახანოებზე. ქართველ მეფებთან ისევ მოუხშირეს მოსვლა დესპანებმა შირვანიდან და სხვა პოლიტიკური ერთეულებიდან. ერეპლე-თეიმურაზის ავტორიტეტი ისევ აღდგა ამიერკავკასიაში.

1752 წ. შემდეგ ქართლ-კახეთი უმთავრესად დაღესტნის მხრიდან წვრილ-წვრილი და ზოგჯერ საკმაოდ ფართო, ორგანიზებული შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა.

დადგესტანში ამ დროს გაძლიერებული იყო ხუნძახის მფლობელი ნურსალი-ბეგი, რომელმაც ავარიელთა დიდი ნაწილი გააერთიანა და მეზობელი პროვინციების დამორჩილებას შეუდგა. საგარეო ომი ავარიელთა ასეთი ფართო გაერთიანებისათვისაც ჯერ კიდევ რჩებოდა შემოსავლის ერთ წყაროდ. ამიტომ იყო, რომ 1754 წ. ნურსალი-ბეგი მრავალრიცხოვანი ლაშქრით კახეთს მიადგა; ჰქადისჯვართან ბრძოლაში 1754 წ. 16 აგვისტოს მეფეებმა გაიმარჯვეს, დადგესტნელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი გაანადგურეს.

1755 წ. ავარიის ხანმა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ მთელი დაღუსტანი და ჭარ-ბელაქანი დარაზმა. მოიმხრო თარღუს შამხალის სამფლობელო, სურსაი-ხანი ყაზიყუმუხისა და 20 000-იანი ლაშქრით კახეთს შემოესია. პატივმოყვარე თავდამსხმელს ახლა მჸადისჯვართან სამარცხინო დამარცხების გამოსწორება და ქვეყნის გამარცვა, მისი ძლიერების საბოლოო მოშლის სურვილები ამოძრავებდა, მაგრამ მიზანს ვერ ეწია. ავარიის ხანი და მისი მოკავშირეები ამჯერადაც სასტიკად დამარცხდნენ ყვარლის ციხის კედლებთან.

1757 წ. დადგესტნელთა 4000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ზემო ქართლს შეესია, 2 წლის შემდეგ კი, ისინი 8 ათასიანი ჯარით, რომელსაც კოხტა ბელადი მოუძღვდა ისევ მოადგნენ ქართლს და ლიახვის ხეობა დაარბიეს. ქართველთა ჯარებმა მძარცველთა ეს პარტიებიც დაამარცხეს და სამშობლოში გადარეკეს.

ქართლ-კახეთის მიერ ზედიზედ მოპოვებულმა გამარჯვებებმა შიშის ზარი დასცა დადესტანსა და ჭარ-ბელაქანს. ჭარ-ბელაქანის არისტოკრატიული რესპუბლიკა და ელისუს სულთანი უკვე მორჩილებას უცხადებდნენ საქართველოს მეფეებს.

4.3. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და საქართველო

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი ერთდღოულად ორ, ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტზე მიმდინარეობდა. კავკასიის ფრონტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის, რომელიც ხელს უწყობდა თურქეთის ძალების დაქსაქსვას ორ ფრონტზე, რაც ბალკანეთის მიმართულებით რუსეთის წარამტებებს განაპირობებდა. კავკასიის ფრონტის გახსნას შექმნილმა სიტუაციამც შეუწყო ხელი. კერძოდ, ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას რუსეთში ეძებდნენ. იმერეთის სამეფო ტახტზე ასულ სოლომონ პირველს ენერგიული ბრძოლა მოუხდა ოსმალო დამპყრობლებისა და ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ. ახალგაზრდა მეფემ სცადა რუსეთის მთავრობისაგან დახმარების მიღება. თუმცა ეპატერინე მეორის მთავრობას არ სურდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება და სოლომონ პირველს დახმარებაზე დიპლომატიურად უარი შეუთვლა.

1768 წლის ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავების კვალდაკვალ, პეტერბურგი უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩაება საქართველო თურქეთის წინააღდღევა მშში.

ეპატერინე მეორის მთავრობა რუსეთ-თურქეთის ომში მიზნად ისახავდა შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობასა და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვებას. რუსეთს თურქეთთან ომში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა და ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას თურქეთის ბატონობის უდილქვეშ მყოფი ქრისტიანების ბრძოლას ანიჭებდა. რუსეთის მთავრობამ რელიგიური მოტივებით შენიდბა თავისი ნამდვილი მიზნები და მოწოდებით მიმართა ბალკანელ და კავკასიელ ქრისტიანებს, რომ იგი იძულებულია ებრძოლოს თურქეთს ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამგვარად, რუსეთი გეგმავდა თურქეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მოსახლეობის აჯანყებას ბალკანეთში და საქართველოს ომში ჩაბმას, რათა თურქეთის ძალები კავკასიაში შეებოჭა. როცა ეპატერინე მეორის კარზე თურ-

ქეთის წინააღმდეგ საქართველოს მონაწილეობის საკითხს იხილავდნენ, რწმენა გამოთქვეს, რომ იმერეთის მეფე ამ ბრძოლაში ჩაეტმებოდა, მაგრამ ერეკლე მეორის მონაწილეობას საეჭვოდ თვლიდნენ. ქართლ-კახეთის სამეფო თურქეთზე დამოკიდებული არ იყო და რუსი პოლიტიკოსების აზრით, ერეკლე არ მოისურვებდა თურქეთთან განხეთქილებას.

, ერეკლემ სათანადოდ შეაფასა შემქნილი ვითარება: მან გაითვალისწინა ის, რომ რუსეთი თურქეთს უკვე ეომებოდა, ხოლო ირანი, მისი აზრით, ოსმალეთის დასუსტებისა და მის ხარჯზე ქართლ-კახეთის გაძლიერების წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გაზიარებული, ირანი, მართალია, ერეკლეს თავის ვასალად თვლიდა, მაგრამ ოსმალეთის წინაშე ყოველთვის როდი აგებდა პასუხს გურჯისტანის ვალის მოქმედებაზე. სუსტი ირანისათვის ამ დროს წაყრუების პოზიცია უფრო მომგებიანი იყო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო თურქეთის წინააღმდეგ ყველა ქართული სამეფოს გაერთიანებული გამოსვლისათვის პირობების მომზადებას. ქართლ-კახეთის მეფემაც ომში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით თუ რუსეთი საქართველოში დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა. ანალოგიური მოხსოვნა დააყენა სოლომონ I-მაც.

ქართულ მხარეს მკვეთრად გამოკვეთილი მიზანი პქონდა. სოლომონ I ომში ჩაბმით ფიქრობდა რუსეთის ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა იმერეთის ურჩი მთავრები და თავადები, დაებრუნებინა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა საქართველოდან ოსმალო დამპყრობლები.

ერეკლე II კი იმედოვნებდა, რუსეთის დახმარებით დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-ჯავახეთი, დაემორჩილებინა ჭარბელაქანი და აღვევეთა დეკორაციები.

1769 წლის 21 მაისს ობილისში სოლომონ I ჩამოვიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

ეპატერინე მეორის მთავრობამ გადაწყვიტა იმერეთში ოთხასკაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გაგზავნა. ამ ჯარის სარდლად გრაფი ტოტლებენი დაინიშნა. საგარეო საქმეთა კოლეგიამ კი გადაწყვიტა საქართველოში გამოეგზავნა თავისი ოფიციალური წარმომადგენელი თავადი ანტონ მოურავოვი.

1769 წლის 29 აგვისტოს, სოფელ ხოდასთან ერეკლე ტოტლებენს შეხვდა. მოლაპარაკების დროს ერეკლემ თურქეთან ომში მონაწილეობასა და სოლომონ I-ის დახმარებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობა ხუთათასიან დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა.

ეპატერინე II თურქეთის წინააღმდეგ ომში ერეკლეს მონაწილეობით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, რადგანაც კავკასიის ფრონტზე სოლომონ პირველის ძალები საქმაო არ იქნებოდა. 1769 წ. 22 ოქტომბერს, ეპატერინემ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გაეგზავნათ, რასაც ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვდა.

1770 წ. თებერვალში კი, საქართველოში შეოფი რუსეთის ჯარი შევე 1228 კაცს ითვლიდა. 30 აპრილს მოზღვიდან საქართველო-საკენ დაიძრა სპეციალურად გამოყოფილი ტომსკის პოლკი, რომელშიც 2093 კაცი ირიცხებოდა.

ერეკლე II დარწმუნდა, რომ ეპატერინე მართლაც გზავნიდა საქართველოში ჯარს და თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება. მისი გეგმით, გაერთიანებულ ძალებს უნდა დაერტყათ თურქთა ძირითადი დასაყრდენისათვის – ახალციხისათვის, შემდეგ მოესპორ თურქთა მცირე გარნიზონები იმერეთში. ტოტლებენმა, ეს გეგმა მიიღო.

1770 წ. 17 მარტს ერეკლე II შეიდათასიანი ჯარითა და 3 ზარბაზნით სურამში ჩავიდა. იქ იდგა გენერალი ტოტლებენი 1 200 კაცით. 24 მარტს ერეკლესა და ტოტლებენის ჯარები ქვიშეთისაკენ გაემართნენ. ამ დროს სოლომონი დადიანთან ურთიერთობას აგვარებდა, რის შემდეგაც მას თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა

უნდა მიეღო, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ტოტლებენი ახალციხეში ლაშქრობას აჭიანურებდა.

14 აპრილს ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი საღერში იდგა. ტოტლებენმა ერეკლეს შესთავაზა სადგერის ციხეში ჯარის ერთი ნაწილის დატოვება, ხოლო დანარჩენით ლაშქრობის გაგრძელება. ბუნებრივია, ერეკლე ამაზე არ დათანხმდა და მთელი თავისი ლაშქრით აწყურისაკენ დაიძრა. ტოტლებენმა კი, სადგერში თავისი ჯარის ნახვარი დატოვა და მეორე დღეს ერეკლეს გზას გაჰყვა.

17 აპრილს ქართველებისა და რუსების ლაშქარი აწყურს მიადგა. ერეკლე II გეგმით, ლაშქარი ახალციხის მიმართულებით უნდა წასულიყო და მესხეთის განთავისუფლება დაეწყო. ერეკლეს უნდა დაესწრო ახალციხის ფაშასთვის, ვიდრე ის დამხმარე ლაშქარს მიიღებდა. ამავე დროს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო რუსთა დამხმარე ჯარის დანარჩენი ნაწილებიც. ტოტლებენი კი აწყურის ციხის აღებას კატეგორიულად მოითხოვდა, მაგრამ არ ჩაუკეტა თურქებს აწყურისაკენ მიმავალი გზა, რითაც ახალციხის ფაშამ ისარგებლა და 18 აპრილს ციხეში დამატებით ორათასიანი ჯარი შეიყვანა.

19 აპრილს ტოტლებენმა მოულოდნელად შეწყვიტა ბრძოლა და აწყურს გაეცალა. ერეკლესა და მოურავოვის თხოვნამ ტოტლებენზე არ გასჭრა. ბუნებრივია, რუსეთის დამხმარე ჯარის წასვლის ფაქტმა ცუდად იმოქმედა ქართველებზე, მაგრამ ერეკლემ შეძლო სიმტკიცის შენარჩუნება. აწყურთან ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა და ერეკლემ დაიწყო ლაშქრის გამოყვანა იქიდან. მაშინ თურქებმა გადაწყვიტეს მომენტით ესარგებლათ. ისინი გამოვიდნენ ციხიდან, ბრძოლა გააჩადეს, მაგრამ დამარცხდნენ და კვლავ ციხეს მიაშურეს.

ერეკლე II ასპინძისაკენ გაემართა. 1770 წლის 20 აპრილს მოხდა ასპინძის ცნობილი ბრძოლა.

ერეკლე II-ის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭმა ქართველებს გამარჯვება მოუტანა. ამ გამარჯვებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა

პქონდა. ოუმცა მოპოვებული წარმატება ერეკლემ ვერ გამოიყენა. ტოტლებენის ქართლში წასვლა საფრთხის მომასწავებული იყო და მეფე ჯავახეთის გზით თბილისისაკენ წავიდა.

გენერალმა ტოტლებენმა მალე გამოამჟღავნა ფარული გეგმები. მან იცოდა, რომ ზოგიერთი ქართლელი თავადი მეფეს ჩაოზიციაში ედგა და მათი დახმარებით გადატრიალების მოწყობა გადაწყვიტა. ტოტლებენს ეგონა, რომ ქართლის ხელში ჩაგდებასა და ერეკლეს დამხობას ადვილად მოახერხებდა. მან დაიწყო ქართლის ციხე-ქალაქების დაკავება და მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ძალით აფიცებდა.

ტოტლებენის ბნელი პიროვნება ჯერ კიდევ შეიდწლიანი ომის (1756-1763) დროს გამომჟღავნდა, როცა ის რუსეთის კორპუსს სარდლობდა. მაშინ ტოტლებენმა ფარული მიწერ-მოწერა გააჩაღა პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-თან და მას სამხედრო საიდუმლოებებს აცნობებდა. დალატში მხილებულს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგში ეკატერინებ იგი შეიწყალა. ასეთი ბოროტმოქმედი სარდლობდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსს საქართველოში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ეკატერინე II-თვის ესიამოვნებინა.

საქართველოში ტომსკის პოლკის ჩამოსვლის შემდეგ ტოტლებენი რუსთა ჯარით, რომლის შემადგენლობაშიც 4 000 კაცი იყო, 1770 წ. ივნისში იმერეთში გადავიდა.

სოლომონ I-მა ისარგებლა ასპინძასთან ახალციხის ფაშას დამარცხებით და თურქებისაგან ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. იმერეთის მეფემ ქალაქი ქუთაისიც დაიკავა და მის ციხეს ალექს შემოარტყა. 2 ივლისს სოლომონი და ტოტლებენი ბადდადის ციხეს შემოადგნენ. თურქეთის გარნიზონი, რომელსაც ახალციხის ფაშას დახმარების იმედი არ პქონდა, მეფეს დაწებდა. ამის შემდეგ სოლომონ-ტოტლებენის გაერთიანებულმა ძალებმა ქუთაისის ციხეს შეუტიეს. 6 აგვისტოს დამით თურქებმა დატოვეს ციხე და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარეს რუსთა საყარაულოებს შორის. ამ სადარაჯო პუნქტებში ტოტლებენმა სპეციალურად შეარჩია

გერმანელი ოფიცრები, რათა მათ ხელი არ შეეშალათ თურქი მეცი-
ხოვნების გაპარვისათვის.

მაღვე ტოტლებენსა და სოლომონს შორისაც გამწვავდა ურთი-
ერთობა. ჯიუტი გენერალი მეფის გონივრულ წინადადებებს არ
იდებდა.

ტოტლებენმა თავისი ნება-სურვილით 1770 წ. 3 ოქტომბერს ფო-
თის ციხის ალყა დაიწყო. გენერალი სოლომონ I წარმატებებს ციხე-
სიმაგრეების განთავისუფლებაში საკუთარ თავს მიაწერდა და
მლიქვნელურად აცნობებდა რუსთ ხელმწიფეს, რომ ფოთს მან ეკატ-
ერინეს სახელი უწოდა, ანაკლიას – ალექსეევგა, სოლო რუსს – წმინ-
და პავლეს სახელი მისცა. მაგრამ ფოთი კარგად იყო გამაგრებული
და ტოტლებენმა ის ვერ აიღო.

დეკემბრის ბოლოს თურქებმა გადაწყვიტეს ბათუმში ძალებისათ-
ვის მოყვარათ თავი და ფოთის გარნიზონს დახმარებოდნენ. სოლო-
მონმა დროულად შეიტყო ეს ამბავი და ტოტლებენს აცნობა. ამ დროს
მას უკვე მოესწრო იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მთავრებთან
კონტაქტის დამყარება. გასაგებია, რომ ავანტიურისტმა საერთო ენა
გამოძებნა დადიან-გურიელთან და სოლომონს არ დაუჯერა. ახლა კი,
როცა სოლომონის ცნობა გამართლდა და თურქთა ავანგარდიც
გამოჩნდა, რუსთა კორპუსის ოფიცრებმა: ნ. იაზიკოვმა და ი. ლოვოვმა
სოხოვეს სოლომონს, რათა თურქებისათვის გზა მოეჭრა გურიაში.
სოლომონმა გურიაში იღაშქრა, ოსმალებს გზა ჩაუკეტა, გადააყენა
გიორგი გურიელი და მის მაგიერ უფრო სანდო მამია დასვა.

ამ დროს პეტერბურგში განიხილეს საქართველოში შექმნილი
მდგომარეობა. გადაწყვიტეს საქართველოდან ტოტლებენის გაწვევა.
მის მაგივრად სუხოტინი დანიშნეს.

1771 წ. მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა. ერეკლემ მას
დუშეთსა და თბილისში საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ამის შემდეგ
გენერალი გაემგზავრა ქუთაისში, სადაც რუსთა კორპუსი იდგა. ივ-
ნისში, ხელთუბანში, ერეკლე II-ს, სოლომონ I-ს და რუსეთის

კორპუსის ახალ სარდალს თათბირი ჰქონდათ. სუხოტინმა მოითხოვა ფოთზე გალაშქრება ზაფხულში. ამ დროს ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს უნდა უზრუნველყოფოთ რუსეთის ჯარის დაცვა ზურგიდან, ახალციხის მხრიდან თურქთა შესაძლო თავდასხმებისაგან. ერეკლემ განაცხადა, რომ ზაფხულში კლიმატური პირობების გამო კოლხეთის ჭაობებში ჯარის მოქმედება შეუძლებელია. სამაგიეროდ, მან შესთავაზა ახალციხის აღება. სოლომონ პირველმა კი მხარი დაუჭირა სუხოტინის გეგმას. ის ფიქრობდა რუსთა ჯარის იმერეთში გადაყვანას და მის გამოყენებას საკუთარი ინგერესებისათვის. შემდგომ კი, როცა მეფენი ხელთუბნიდან გაემგზავრნენ, მან სუხოტინს ზაფხულში ფოთის ალყის შეუძლებლობაზე დაუწეო დაპარაკო.

ფოთის ალყა წარუმატებელი აღმოჩნდა. 1771 წ. ოქტომებრში სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა, ხოლო დეკემბერში ეკატერინე მეორის მთავრობამ თავის ჯარის საქართველოდან გაყვანის გადაწვეტილება მიიღო.

1772 წ. 5 მაისს რუსთა ჯარმა ქუთაისი დატოვა, 31 მაისს უკავიცხინვალში იყო, მერე კი, საქართველოს საზღვრებს გასცდა.

საქართველოდან რუსეთის ჯარის გასვლას თურქთაგან გურიის სამთავროს ერთი ნაწილის, ქობულეთის მხარის მიტაცება მოჰყვა.

1774 წელს ქუთაის-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების დადების დროს, ქვემო გურიის საკითხი ისევე, როგორც საქართველოს რიგი სხვა საკითხები, განხილული არ ყოფილა.

ამრიგად, თურქეთმა XVIII ს. 70-იან წლებში საქართველოს მიწების გარკვეული ნაწილი მიიტაცა და იგი მის მიერ დაპყრობილ ქართულ მხარეებს შეუერთა.

საქართველოში რუსთა ჯარის ყოფნამ ერეკლეს სამეფოს სარგებლობა ვერ მოუტანა. ამ ჯარის გენერლები ქვეყნის მოღალატეებთან უფრო ახლოს იყვნენ, ვიდრე მეფეებთან, ამიტომ 1771 წ. დეკემბერში ერეკლემ პეტერბურგში საგანგებო ელჩობა გაგზავნა. ამ ელჩობაში

მონაწილეობდნენ კათალიკოსი ანტონ I და ბატონიშვილი ლეონი. ეპატერინე II-დმი გაგზავნილ წერილში ერეკლე რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილს გამოოქვამდა და შემდეგ პირობებს სთავაზობდა: აღმოსავლეთ საქართველოში ეპატერინეს უნდა გამოეგზავნა ოთხათასიანი ჯარი; ამ ჯარის სარდლები ერეკლეს უნდა დამორჩილებოდნენ; საქართველოში სამეფო ტახტი აუცილებლად მის ჩამომავლობას უნდა შერჩენოდა, ხოლო ეკლესის სათავეში კვლავინდებურად კათალიკოსი უნდა ყოფილიყო.

ერეკლე ეპატერინე II-ეს სთხოვდა სამშობლოში დაებრუნებინა ის ქართველები, რომლებიც რუსთა ჯარმა გაათავისუფლა ყირიმის აღებისას.

ქართლ-კახეთის მეფე ფულად დახმარებასაც მოითხოვდა. თავის მხრივ, ერეკლე კისრულობდა: რუსეთში მძევლად გაეგზავნა თავისი რომელიმე შვილი, რამდენიმე თავადი და აზნაური. ახალციხის შემოერთების შემთხვევაში კი იქ გადასახადების აკრეფის გარანტიას იძლეოდა; ქართლ-კახეთის სასარგებლო წიადისეულის შემოსავლის ნახევარს ერეკლე რუსეთს პპირდებოდა. ამასთან ერთად, ერეკლე იმ მიზნით, რომ რუსეთის სახელმწიფო საქართველოს სამხედრო დახმარებით დაეინტერესებინა, მის სასარგებლოდ ყოველწლიური გადასახადის შემოღებას კისრულობდა: თითოეულ კომლს 14 შაურს შეაწერდა, ერთდროულად გადაიხდიდა 14 საუკეთესო ცხენს და ყიზლარში დიდი რაოდგნობით საუკეთესო ღვინოსაც გაგზავნიდა და სხვ.

დასასრულს, ერეკლე მოითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას ახალციხის მხარე დაეკავებინა 1772 წ. გაზაფხულზე რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დადებისას კი აუცილებლივ უნდა ყოფილიყო ნათქვამი ამ ტერიტორიის შესახებაც. მაგრამ ეპატერინე მეორის მთავრობა ერეკლეს წინადადებებით არ დაინტერესდა, რადგან თურქეთთან ომის გაჭიანურება მისთვის ხელსაყრელი არ იყო. რუსეთი ამ დროს უკვე ცდილობდა ომის დამთავრებას, ხოლო საქართველოში ბრძოლა თსმალეთთან გრძელდებოდა.

ჯერ კიდევ 1771 წ. ოქტომბერში, ერეკლე II-ემ ხერთვისის ციხე აიღო, ხოლო 1772 წ. დეკემბერში ახალციხის ფაშამ, მიუხედავად რუსეთსა და თურქეთს შორის დროებითი დაზავებისა, ქართლის რამდენიმე ხოფელი დაარბია.

1773 წ. ივნისში ერეკლემ და სოლომონმა აღადგინეს თავიანთი პავშირი, ხოლო ხელშეკრულების ტექსტის ასლი რუსეთის მთავრობას გაუგზავნეს.

1773 წ. ოქტომბერში ერეკლესა და სოლომონის ჯარები გორში შეერთნენ და ჯავახეთში გაილაშქრეს. ქართველთა ლაშქარი ყარსის მიმართულებით მიიწვდა და არტაანამდის მიაღწია, მაგრამ იქიდან ლაშქარი უკან გამობრუნდა. ამის მიზეზად სოლომონ პირველის ავად გახდომას თვლიდნენ.

დასავლეთ საქართველოში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ.

1774 წ. ნოემბერში სოლომონ I-მა პეტერბურგში საგანგებო ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. იმ სიგელსა და წერილებში, რომლებიც სოლომონმა დ. კვინისიძეს გაატანა, მან თფიციალური თხოვნით მიმართა ეკატერინე მეორის მთავრობას, რომ იმერეთის სამეფო თავის მფარველობაში მიეღო.

კვინისიძის ელჩობას წარმატება არ მოჰყოლია. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 21 ივნისს უკვე ხელმოწერილი იყო. საქართველოს საკითხი ამ ხელშეკრულებაში რამდენადმე აისახა და ახლა ეკატერინე II-ის მთავრობას აღარ სურდა თურქეთთან ურთიერთობის კვლავ გამწვავება.

ეკატერინე II-ემ სოლომონ I-ს გამოუგზავნა სიგელი, სადაც ნათეჭამი იყო, რომ იმერეთის ელჩობა რუსეთს გაეგზავნა მანამდე, იმერეთში თურქეთთან დაზავების ამბავი ჩააღწევდა. სიგელში იყო ცდა აქესნათ ის სარგებლიანობა, რაც იმერეთის სამეფოს უნდა მიეღო ქუჩუკ-კაინარის ზავით. ამ ხელშეკრულების 23-ე მუხლი დასავლეთ საქართველოს ეხებოდა. ამ მუხლში ნაჭამი იყო:

„საქართველოსა და სამეგრელოში მდებარე ციხეები: ბაღდადი, ქუთაისი და შორაპანი, რომლებიც რუსეთის იარაღით არიან მოპოვებული, რუსეთისაგან იმათ კუთვნილად იქნება აღიარებული, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; თუ ეს ქალაქები ნამდვილად ძველთაგანვე, ან დიდი ხანია, ბრწყინვალე პორტას ექვემდებარებოდნენ, მის საკუთრებად იქნებიან ცნობილი; ამ ტრაქტატის გაცვლის შემდეგ, დათქმულ დროს, რუსეთის ჯარები გამოვლენ დასახელებული პროვინციებიდან, საქართველოდან და სამეგრელოდან. ბრწყინვალე პორტა, თავის მხრივ, ტრაქტატის პირველი არტიკულის შესაბამისად ვალდებულებას იღებს ყველა იმათი სრული ამინისტრია გამოაცხადოს, რომლებმაც მას ომის მიმდინარეობის დროს ამ მხარეში რაიმე შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრწყინვალე პორტა საზეიმოდ და სამუდამოდ ამბობს უარს ხარკად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მოთხოვნასა და ყოველგვარ სხვა გადასახადზე; პორტა ვალდებულებას კისრულობს არც ერთი მათგანი არ ჩათვალოს თავის ქვეშევრდომად, იმათ გარდა, რომლებიც მას ძველთაგანვე ეკუთვნოდნენ; ქართველებისა და მეგრელების მფლობელობაში მყოფ ყველა ციხეს და გამაგრებულ ადგილებს დატოვებს მათ გამგებლობასა და დაცვაში; ასევე არავითარი სახით არ შეავიწროვებს ქართველთა სარწმუნოებას, მონასტრებისა და ეკლესიებს, არ შეუშლის ხელს ძველი ეკლესია-მონასტრების შეკეთებას და ახალთა აგებას, ჩილდირის ვალიშ და სხვა გამგებლებმა თუ ოფიცრებმა არ უნდა შეავიწროვონ ისინი ისეთი მოთხოვნებით, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს მათი მამულების დაკარგება. მაგრამ, რადგანაც დასახელებული ხალხები ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომები არიან, ამიტომ რუსეთის იმპერია შემდეგში მათ საქმეებში სრულიად არ უნდა ჩაერიოს და არც შეავიწროვოს ისინი”.

ამრიგად, რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომს საქართველო-სათვის გარეშეული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თურქეთის იმპერიის ძლიერება გატეხილ იქნა და იგი მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა. თურქებმა იმერეთსა და ქართლ-კახეთთან ბრძოლის უნარი დაკარგეს. მათ ვერ შეძლეს სოლომონ I-ის დამორჩილება და იმერეთის ციხეების პლავ დაკავება. სულთანი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რომ რუსეთმა სცნო მისი უფლებები დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ ეს უფლებები ნომინალური იყო. ოსმალეთს ამ ქვეყანაში ტყვე მონებითა თუ სხვა სახით ხარჯის აღება და ქრისტიანების დევნა აეკრძალა. მართალია, ყოველივე ეს სოლომონის თაოსნობით ბრძოლის შედეგად უკვე მოპოვებული იყო, მაგრამ ამიერიდან ეს მონაპოვარი რუსეთის ჩარევითა და საერთაშორისო ხელშექრულებით მტკიცდებოდა.

4.4. ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება. საგარეო პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში

60-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის სახელმწიფო კარზე ირანის პრობლემას განიხილავდნენ. მრავალწლოვანმა გამოცდილებამ თეიმურაზი დაარწმუნა, რომ მისი სამეფოს ბედ-იდბალი დიდმნიშვნელოვნად უკავშირდებოდა ირანში მომხდარ ცვლილებებს. ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ დროს ირანის საქმეთა სასურველი „მოგვარება“ რუსეთის დახმარებით სცადეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ შემთხვევაში ყოველგვარ გაუფრთხილებელ ნაბიჯს, შესაძლებელია, საბედისწერო შედეგი მოპოლოდა. რუსეთთან ურთიერთობა მაშინ არა მარტო ირანის, არამედ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებსაც მტრულად განაწყობდა. თეიმურაზ-ერეკლეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ, თუ როგორი შედეგი მოჰყვა აჯი ჩელების მიერ გაჩადგებულ ანტიქრისტიანულ პოლიტიკას და მაპმადიანობის დროშით

შექოწიშებულ კოალიციურ გამოსვლას ქართლ-კახეთის წინააღმდეგ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, შესაძლებელია, მართლაც დიპლომატიური სვლა იყო თეიმურაზესა და ერეკლეს შორის მაშინ საქმიოდ გახმაურებული კონფლიქტი, რომელიც სწორედ თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების წინ მოხდა. როგორც პროფ. ი. ცინცაძემ გვიჩვენა, თეიმურაზის გამგზავრება სამეფოს მესვეურთა თანხმობით, შემუშავებული დიდი გეგმის შედეგი იყო. ქართველები ფიქრობდნენ, რომ რუსეთისაგან ჯარს ან მის დასაქირავებლად სესხს მიიღებდნენ, ილაშქრებდნენ ირანში და იქ რუსეთისათვის სასურველ შაჰს აირჩივდნენ. სამწუხაროდ, ქართლ-კახეთის დიპლომატებმა მაშინ ელჩობისათვის ხელსაყრელი დრო ვერ შეარჩიეს და შედეგიც ვერ მიიღეს, მაგრამ თიგმურაზის რუსეთს გამგზავრება ინტერესს მოკლებული არ ყოფილა. აღორძინების გზით მავალი საქართველო ძლიერი ქრისტიანული იმპერიის საშინაო და საგარეო ცხოვრებას ეცნობოდა. პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა, უჟღველია, სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ იგი ნათლად ვერ გაითვალისწინებდა დიდი სახელმწიფოების მიზნებსა და ამოცანებს ამიტრკაპასიის ასპარეზზე.

თეიმურაზი 1762 წ. პეტერბურგში გარდაიცვალა. იგი ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაძლიერებისათვის. თეიმურაზი ასგრინა ასტრახანის მიძინების ტაძარში, ქართლისათვის წამებული ვახტანგ VI-ს გვერდით.

60-იანი წლებიდან ერეკლე II, ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე, კიდევ უფრო ძლიერი ენერგიით განაგრძობდა ტრადიციულ პოლიტიკას. ჯერ კიდევ თეიმურაზის პეტერბურგში ყოფნის დროს, 1760 წ. დეკემბერში, ერეკლემ ყარაბაღის ხანს ძლიერი დამარცხება აგემა, განჯაზე ბატონობა განამტკიცა, ხოლო თვით ყარაბაღული ხანი-ფანა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ქართლ-კახეთის უზე-

ნაესობა საჯაროდ აღიარეს აგრეთვე შაქის, შამახიის, ყარაბაღისა და ნახევანის მფლობელებმაც. კიდევ უფრო განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში.

60-იანი წლების ამბეჭდს საქართველოში ფხიზლად უთვალთვალებდნენ რუსეთიცა და ოსმალეთიც. შვიდწლიან ოში ჩამტყლ რუსეთს საქართველოსა და ოსმალებს შორის მოსალოდნელი კავშირის დამყარების ეშინოდა. რუსეთის იმპერიის პოლიტიკური კურსი საქართველოს მიმართ ვერ შეურიგდებოდა ოსმალეთირანთან ამ ქვეყნის კავშირს. ამავე დროს, რუსეთის მთავრობა აღიარებდა საქართველოს გაძლიერების ფაქტს და ერეკლეს ქართლ-კახეთის მეფედ ცნობდა.

მე-18 ს. 60-იანი წლებიდანვე ირანის საშინაო ვითარებაც შეიცვალა. 1762 წ. დეკემბრისათვის ქერიმ-ხანმა თითქმის მთელი ირანი გააერთიანა. სამხრეთ აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ გაძლიერებული ქერიმი საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდა. ირანის ეს გამგებელი (ვექილი) ერეკლეს მასთან იბარებდა და თანაც სამხრეთ აზერბაიჯანის ბატონობას სთავაზობდა.

თეიმურაზის რუსეთში გამგზავრებით შეშფოთებული ქერიმ-ხანი კი განმარტებას მოითხოვდა. ემინის ცნობით, ქერიმი ქართლ-კახეთში თითქმის ნადირ-შაჰის დროინდელი ბატონობის აღდგენას ფიქრობდა და გოგო-ბიჭებით ხარკვაც კი სთხოვდა ერეკლეს. ერეკლე ამ დროს თავს ძლიერად გრძნობდა, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩაუთვლია, რომ განმარტება მიეცა ქერიმისათვის თეიმურაზის ელჩობის გამო მისთვის შეუთვლია, რომ თეიმურაზი რუსეთში თვითნებურად წავიდა და ასი ათასი მანეთის ზარალიც მოგვაყენა, სარგებლად კი ვერაფერი მივიღეთო. ასეთი განცხადება უფრო დიპლომატიური ფანდი იყო, ვიდრე სინამდვილის ანარეკლი.

ირანის ახალი მბრძანებელი თითქმის ემზადებოდა საქართველოს წინადმდებ საომრად, იგი არაქსის ნაპირზე იდგა 60 ათასიანი ლაშქრით. ისიც კარგად იცოდა, რომ ერეკლესთან ომი ადვილი არ იყო.

არც ქერიმ-ხანის მდგომარეობა გამოიყურებოდა სტაბილურად. მოსალოდნელ შეტაკებას მისთვის საბეჭისწერო შედეგების მოტანა შეეძლო. აზერბაიჯანის სახანოებზე ბატონობის აღდგენის ცდებიც მარცხით დაუმთავრდა ირანელ დამპყრობელს. ხანები ერეკლეს გარშემო დაირაზმენ. შეაგულ ირანშიაც ქერიმის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო ზექი-ხანის მეთაურობით. გასაგებია, რომ ასეთ არახელსაყრელ ვითარებაში ქერიმ-ხანი უკან დაიხია და ერეკლესთან ურთიერთობის გაუარესებას მოერიდა.

ირანის მმართველთან ურთიერთობაში ერეკლეს წარმატებას საგრძნობლად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ირანის ტახტის ერთ-ერთი უძლიერესი მაძიებელი აზატ-ხანი ერეკლესავე ტყვეობაში, თბილისში იმყოფებოდა. აზატ-ხანი, რომელმაც დიდწლოვან ბრძოლაში დაპკარგა თავისი სახანო, თავრიზი, 1760 წ. ბოლოს ერეკლემ დაატყვევა. ახლა, 1762 წ. ქერიმ-ხანი დიდალი საჩუქრებით დატვირთული ელჩების პირით ერეკლეს სთხოვდა, რომ აზატ-ხანი მასთან გაეგზავნა. მეფემ ირანელი ხელმწიფის ეს თხოვნა 1763 წ. შეასრულა, რითაც ქართლ-კახეთის მთლიანობა და მისი დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განამტკიცა.

ამრიგად, ირანის ახალმა მბრძანებელმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა. იგი შეურიგდა ქართველი მეფის გავლენას ამიერკავკასიის სახანოებზე. ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური საზღვარი კვლავაც მდ. არაქსზე გადიოდა. ერეკლეს მიერ ქერიმ-ხანის ვასალობის აღიარება ამ დროს მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო და მის დამოუკიდებლობას არაფრით არ ზღუდავდა. ქერიმ ხანთან ერეკლეს შეთანხმება არსებითად ორი თანაბარი მხარის ზავს წარმოადგენდა და იმის დადასტურება იყო, რომ ირანის გამგებელი ქართლ-კახეთში ვერ გაბატონდებოდა. ერეკლეს სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა.

ირანისა და ოსმალეთის გარდა, საქართველოსა და მთელი კავკასიის საქმეებს ამ დროსაც უთვალთვალებდნენ დასაგლეთ ევროპის

სახელმწიფოები, ინგლისი და საფრანგეთი. როგორც ცნობილია, ინგლისის დიპლომატია ხშირად აქეზებდა ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ საომრად, რათა არ დაეშვა ამ უკანასკნელის შედწევა ამიერკავკასიაში. საქართველოს ამბებით დაინტერესებული იყვნენ ფრანგი დიპლომატებიც. მაგალითად, 1763 წ. ფრანგი კონსული ბერანევ სწერდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პერცოგ შუაზელს, რომ აუცილებელი იყო რუსეთისათვის დაბრკოლების შექმნა აზიის საზღვრებთან, რითაც იგი იძულებული გახდებოდა ხელი აედო ევროპის საქმეებზე. ბერანევ დასძრდა, რომ ამ მიზნით მას ხელსაყრელად მიაჩნდა კონტაქტის დამყარება ერეკლესთან.

საქართველოს გამლიერებამ 60-იან წლებში გამოაცოცხლა ახლო აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების, უპირატესად, ქრისტიანების განმათავისუფლებელი მოძრაობა (სომხები, აისორები, ქურთა ზოგიერთი ტომი, ანატოლიელი ბერძნები და სხვა), რომლებიც იმ დროს საქართველოს დახმარებით ფიქრობდნენ თავისუფლების მოპოვებას და ერეკლეს მფარველობას მოითხოვდნენ.

4.5. საერთაშორისო ვითარება ამიერკავკასიაში და ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა. ომის შედეგად ერეკლეს სახელმწიფომ არა მარტო ვერაფერი მიიღო, მატერიალური ზარალიც განიცადა, ოსმალეთი გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა. ერეკლეს მომხრე ამიერკავკასიელი ხანებიც ახლა აღმაცერად უყურებდნენ პატარა კახს. ერეკლეს სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან უაღრესად ფრთხილი დიპლომატიური სვლებით შეძლო მრისხანე სიტუაციიდან გამოსვლა და ძველი საგარეო პრესტიჟის

1768-1774 წწ. ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლით ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა. ომის შედეგად ერეკლეს სახელმწიფომ არა მარტო ვერაფერი მიიღო, მატერიალური ზარალიც განიცადა, ოსმალეთი გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა. ერეკლეს მომხრე ამიერკავკასიელი ხანებიც ახლა აღმაცერად უყურებდნენ პატარა კახს. ერეკლეს სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან უაღრესად ფრთხილი დიპლომატიური სვლებით შეძლო მრისხანე სიტუაციიდან გამოსვლა და ძველი საგარეო პრესტიჟის

ადდგენა მახლობელ აღმოსავლეთში. სახელოვან ხელმწიფეს მაშინ შექმნილი საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც ხელს უწყობდა. მისი პოლიტიკა ამ დროსაც საქართველო-ამიერკავკასიის გარშემო მოქმიშვე სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობას და საკუთარ ძალებს ემყარებოდა.

ერეკლეს სახელმწიფო იმ ხანებში რამდენიმე განსხვავებული გზებით განაგრძობდა ბრძოლას მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნებისა და ქვეყნის პოლიტიკური ფარგლების გაფართოებისათვის; მას ხელი არ აუღია საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ცდებზე. ქართლ-კახეთის მესვეურთა ფართო გეგმებში ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეპავა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას, საინგილოს შემოერთებას თუ ლიხითომერეთის დამორჩილებას, ისევე როგორც ბატონობის განმტკიცებას ამიერკავკასიაში.

რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაბმული ერეკლე ყოველნაირად ცდოლობდა, რომ ქერიმ-ხანთან ურთიერთობა არ წაეხდინა. ჯერ კიდევ ომის წინ მას შირაზში მყოფი ქერიმისთვის მოსაკითხიც კი გაუგზავნია 60 ჯარისკაცის სახით, რასაც ქერიმი აღტაცებით შეხვედრია, მაგრამ საქართველოში რუსთა ჯარის შემოსვლით ირანის გამგებელი, როგორც მოსალოდნელი იყო, განრისხებულა და ამ ჯარის საქართველოდან გაძევება მოუთხოვია. მართალია, ერეკლე ქერიმისადმი წერილში ხაზს უსვამდა ირან-ოსმალეთის საუკუნოვან მტრობას და ქერიმს ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ქერიმი მაშინ ოსმალეთთან ომს არ აპირებდა და რუსთა აქ შემოსვლის წინააღმდეგი იყო.

რუსეთის მთავრობა, რომელსაც ირანის გადაკიდება არ უნდოდა, ქერიმ-ხანს განუმარტავდა, რომ საქართველოში მისი ჯარი მხოლოდ დროებით იდგა. რუსეთმა ეს დაპირება შეასრულა, მაგრამ იმავე დროს გაიუარესა ურთიერთობა ქართლ-კახეთთან, რომელსაც დანაპირები არ შეუსრულა. რუსეთის იმპერია ამ დროს უმთავრესად ყირიმისათვის იბრძოდა და ერეკლეს პრეტენზიებს სამცხე-

საათაბაგოზე მხოლოდ ამ მიზნით იყენებდა. ყირიმის დამოუკიდებულობას რუსეთმა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ო. მარკოვა, ერეკლეს მოთხოვნაზე უარის თქმით მიაღწია. ამით აიხსნებოდა, რომ ერეკლემ აღნიშნული ომის დამთავრების შემდეგ, მთელი გულისყვრი ოსმალეთს მიაჰყრო და უმთავრესად, საკუთარი ძალების ანაბარა ცდილობდა დიდი პრობლემების გადაწყვეტას.

რუსეთის იმპერია მაშინ ქართლ-კახეთის ინტერესებისათვის თავს არ იწუხებდა, ხოლო აღმოსავლეთის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობა, რუსეთთან სამხედრო დაკავშირების გამო, გამწვავდა. ქართლ-კახეთისათვის განსაკუთრებით საშიში გახდა ოსმალეთი, რომლის წინააღმდეგაც ერეკლეს ჯარი რუსეთის მხარეზე იბრძოდა. ამიტომ გასაგები იყო, რომ პირველ რიგში ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ოსმალეთთან ურთიერთობა უნდა მოეგვარებინა, რითაც შეიძლება მოხერხებულიყო დადესტან-ჭარ-ახალციხის მხარეებიდან მოდენილ თავდამსხმელთა ალაგმვა.

ოსმალეთის სახელმწიფო XVIII ს. II ნახვარში შინაგანი დაშლის გზით მიექანებოდა. იზმირის, ანკარის, ლაზისტანის, ახალციხისა და სხვა საფაშოები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კერძოდ, ახალციხის ფაშები თვლიდნენ, რომ ეს მხარე ოსმალეთის უბრალო პროვინცია კი არა, ჯაყელთა სამემკვიდრეო მამული იყო და საქართველოსთან ურთიერთობის შემჭიდროებაზე ფიქრობდნენ.

1776 წ. ერთი ცნობით, ახალციხის გუბერნატორთან ერეკლე მეორისა და სოლომონ I-ის წარმომადგენლები მისულან. ისინი შეერთებული ძალებით აპირებდნენ ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლას.

ღონებისდილი ოსმალეთისათვის ირან-რუსეთთან მეტექობაში ერეკლეს განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა. მოვლენათა მსვლელობამ ერეკლე თითქოს მიზიდულობის ცენტრად აქცია აღმოსავლეთში, სადაც რუსეთის გარდა, ინგლის-საფრანგეთის ინტერესებიც თავს იყრიდა. 1776 წ. ქერიმ-ხანის ჯარებმა ოსმალეთს ქ.

ბასრა წაართვეს. სწორედ ამ წელს მომხდარა საიდუმლო შეთანხმება ერეკლეს მთავრობასა და ოსმალეთს შორის.

ერეკლეს წარმომადგენელი სტამბულში 1776 წ. დეკემბერში ჩასულა ახალციხის ფაშას წარმომადგენელთან ერთად. როგორც ჩანს, ერეკლე ახლა თხმალეთის მფარველობის აღიარების გზით ფიქრობდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. ახალციხის ფაშას მონაწილეობა ამ საქმეში, სავარაუდოა, განპირობებული იყო იმ საფრთხით, რომელიც ამ უკანასკნელს ტრაპიზონელი ჯანიძელი ფაშასაგან მოვლოდა. საფიქრებელია ისიც, რომ ახალციხის ფაშა მაშინ ერეკლესადმი დამორჩილების გზით ფიქრობდა სულთანის ყმობისაგან განთავისუფლებას. რაც შეეხება თურქეთს, იგი სიამოვნებით შეხვედრია ერეკლეს ინიციატივას და ამით უცდია, რომ რუსეთისათვის საქართველოსაკენ მომავალი გზები ჩაეკეტა. მიუხედავად ამისა, რუსეთ-ირანის რიდით თხმალეთის მთავრობას განუცხადებია, რომ იგი საქართველოს წინააღმდეგ არ გამოვიდოდა იმ შემთხვევაში, თუ ერეკლე სულთნის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობას არ მიიღებდა. ერეკლე თხმალეთთან შეთანხმებით არა მარტო ირანს, არამედ რუსეთსაც უპირისპირდებოდა, თუმცა, როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, ირანის განაწყენება მოჩვენებითი უნდა ყოფილიყო. ვინაიდან, ერეკლემ ირან-თურქეთის საომარი თპერაციების დროს ნება არ მისცა ანატოლიის ლაშქარს გაევლო საქართველოსა და მისი მორჩილი სახანოების მიწებზე და ქერიმ-ხანის სამფლობელოებში ზურგიდან შეჭრილიყო.

ოსმალეთთან შეთანხმებამ 1778 წელს უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო. მაშინ დაბრუნდა თხმალეთიდან ელჩი გურგინა ენაკოლოფაშილი და სულთნის მიერ ერეკლესთვის გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები მოიტანა. თანამედროვის გადმოცემით, ამ დროიდან ერეკლეს განსაკუთრებული მოკრძალებით უყურებდნენ რუსეთი, თხმალეთი და ირანი. მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძალთა თანაფარდობა მაღლე შეიცვალა.

ყუბის სანმა ფათ ალიმ ჩრდილოეთი აზერბაიჯანი გააერთიანა. მან დაიმორჩილა დარუბანდის, შემახის, ბაქოს, სალიანისა და სხვ. სახანოები, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ერეკლეს პოლიტიკურ გავლენას იმ ქვეყანაში. კავშირი ოსმალეთთან თითქოს აადვილებდა ერეკლეს პოზიციებს ფათ ალი-ხანის წინააღმდეგ, მაგრამ შორსმჭვრებულ ხანთან ბრძოლა არცოუ ისე იოლი იყო. ამით აიხსნებოდა სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა ერეკლესა და ყარაბაღელ იბრეიმ-ხანს შორის.

როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფე 1778-1779 წლებში ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის ემზადებოდა და ამ საქმეს საიუმლოდ ინახავდა.

ერეკლეს ჯარები ერევანში სალაშქროდ მზად იყვნენ, როცა განჯის სანმა ფათ ალი-ხანის კარნახით, ერეკლეს ხარქსა და სამსახურზე უარი შემოუფალა. მაშინ ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის შეერთებულმა ჯარმა 1778 წ. სახეიკად დაამარცხეს ფათ ალი-ხანი და განჯა გაინაწილეს. ამიერიდან განჯაში ორი გუბერნაციორი იყო. – „მეფებმან ირაკლიმ დაადგინა ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან-ბეგი, ხოლო იბრეიმ ხანმან დაადგინა ვეზირი თვისი აზრათ-ყული-ბეგი, მარტყოფელი (წარმოშობით ქართველი, - რედ.)... და ესენი მართავდნენ განჯას ურთიერთას კითხვითა და ხარგსაცა ჰყოფდნენ ყაბულ”. ქაიხოსროს განკარგულებაში, როგორც ჩანს, 3000 შეიარაღებული მეომარი გამოუყვიათ. საფიქრებელია, რომ ამდენი ლაშქარი იქ ერეკლემ დორებით, ერევანში ლაშქრობის პერიოდში ჩააყენა.

1779 წ. ქართლ-კახეთის ჯარებმა ერევნის სახანო დალაშქრეს. ერეკლე ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის იბრძოდა. ამ განზრახვას საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზები პქონდა. სომხეთის ეს მხარე მაშინ საერთაშორისო ინტრიგების ხლართში მოქცეულიყო. ერეკლეს არ სურდა, რომ ერევანში ირანის უშუალო ბატონობა ადმდგარიყო. მისთვის არც ის იყო მისადები, რომ ამ დროს სომები

პოლიტიკური მოღვაწეები ერეკლესაგან დამოუკიდებლად აბამდნენ ქავშირს რუსეთთან და რომანოვთა სახელმწიფოს თაოსნობით ცდილობდნენ ამიერკავკასიაში სომეხთ-ალბანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღდგენას. ერეკლეს არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო ერევნის სახანოს პოლიტიკური მდგომარეობისადმი. მოძმე სომხეთის ეს ძირითადი მიწა-წყალი საქართველოს სამხრეთიდან ეპვროდა თავისი სტრატეგიული გზებით და იქ ძლიერი ერეკლეს გავლენას ქრისტიანი სომხებისათვის მშვიდობა მოჰქონდა. 1779 წ. ლაშქრობის დამპყრობლურ ხასიათს მიუხედავათ, სომქები პოლიტიკური მოღვაწეები დიდი მოკრძალვით ეპყრობოდნენ ერეკლეს და მას სომეხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლ მოღვაწედ მიიჩნევდნენ, რომ ერეკლეს დროს ათასობით დევნილმა სომხებმა ქართულ მიწაზე პპოვა თაგშესაფარი და ცხოვრების საშუალება.

ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის ბრძოლა გამოწვეული იყო ერევნის ხანის საქციელითაც. იგი უარს ამბობდა ერეკლეს მორჩილებასა და ხარკზე კავშირს აბამდა მის პოლიტიკურ მტრებთან.

1779 წ. აგვისტოში ერეკლეს ჯარებმა ერევანს ალყა შემოარტყეს. ცბიერმა ხანმა კათალიკოს სიმეონ ერევნელის პირით ერეკლეს მორჩილება გამოუცხადა და ხარკი იგისრა, მეფე კი სრულ კაპიტულაციას მოითხოვდა. მეფის ჯარებმა ერევანი დაარბიეს, რამდენიმე ათასი სომქები პყარებს და საქართველოში გადმოასახლეს. ერეკლემ ერევანში ხანის გვერდით თავისი გუბერნატორი დააყენა, საკუთარი სიძე იოანე ქონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. 1780 წ. ერეკლეს კვლავაც მოუხდა ერევანში ლაშქრობა და იქ თავისი ბატონობის აღდგენა. ერევნის საკითხის გართულების ერთი სერიოზული მიზეზი რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება იყო.

სწორედ იმ მომენტში, როცა ერეკლე ერევანში იბრძოდა, იმერეთში ქართლის ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე გამოჩნდა. რუსეთიდან „აშვებული“ იგი ირანს (შირაზში) ჩასულიყო,

იქიდან კი სოლომონ მეფემ იმერეთში გადმოიყვანა. ერევანში ერებ-ლემ თბილისიდან წერილი მიიღო: „მოეშველე ქართლს, თუ არა საქართველო აირევა”. ალექსანდრე ბაქარის ძის ზურგში რუსეთის დიპლომატები და სოლომონ იმერთა მეფე იდგნენ. ეს გასაგებიც იყო, რადგან თვითმეტყობელური იმპერია, იმ შემთხვევაში თუ ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის კავშირი განხორციელდებოდა და ერებლე გაძლიერდებოდა, ამიერკავკასიაში გავლენას უნდა გამოოხოვებოდა. რაც შეეხება სოლომონ მეფეს, იგი განუწყვეტლივ ებრძოდა ოსმალეთს და პქონდა საფუძველი, რომ ერევანის ახალ საგარეო პოლიტიკაში საფრთხე დაენახა.

ალექსანდრე ბაქარის ძის იმერეთში გამოჩენის მიზეზთა გარემო-ვაში, მკვლევარებმა სხვადსხვა თვალსაზრისი გამოთქვეს. არსებული ფაქტების უფრო სწორ ანალიზს იძლეოდა აკად. ნ. ბერძენიშვილი. იგი წერდა: „ჩანს, რუსეთის კარი შეშფოთებულია ერებლეს პოლიტიკური ნაბიჯებით. უეჭველია, რუსეთი შეეცდება სათანადო ღონისძიებანი მიიღოს, რომ ერევანის გეზი შეაცვლევინოს (ჩერქეზ გადმოსახლებულთა დაკავება, ალექსანდრე ამილახვრის აშვება, ალექსანდრე ბაქარის ძის ფათალი-ხანთან გაჩენა და თვით ფათალი-ხანის აქტიურობა ერევანის წინააღმდეგ - ყველა ეს რუსეთის მეფის მიერ მიღებული კონტრზომები ჩანს)”. რა გასაკვირია, რომ მაშინ ფეოდალურ სახელმწიფოებს სხვადასხვა მიზანი და ამოცანები პქონდათ და ძველი მოკავშირები ხშირად ერთიმეორის მტრულ ბანაკში იდგნენ. მაგალითად, უცილობელია, რომ მეფის რუსეთმა ჩაშალა ერევანის დიდი ღონისძიება, კერძოდ, ყაბარდოელთა ერთი ნაწილის გადმოსახლება საქართველოში. ქართლ-კახეთის სახელმწიფომ ამით მნიშვნელოვანი სამხედრო რეზერვები დაკარგა. ეს იყო 1778 წ. კრიტიკულ მომენტში, როცა „ერევანის მოაქლდა ის ძალა, რომლითაც იგი ხშირად წარმატებით იგერიებდა მტრების საშიშ შემოსევებს”.

ერევნის სახანოს უშუალო შემოერთების გაბეჭდული ღონისძიება, საგარეო და საშინაო მიზეზთა გამო, ვერ განხორციელდა. ერეკლეს მიერ ოსმალეთან კავშირის დამყარება უპირისპირდებოდა არა მარტო რუსეთის გეგმებს ახლო აღმოსავლეში, არამედ იმერეთის მეფის სოლომონის დამოუკიდებლობასაც ემუქრებოდა. სწორედ ამ კონკრეტულ ფაქტზე ნათლად მოჩანდა საგარეო და საშინაო-პოლიტიკური ხასიათის იმ მიზეზთა ერთობლიობა, რომლებიც XVIII ს. ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდნენ. ამიერკავკასიაში ერეკლეს წარმატებები მეტწილად მის უშუალო მოწინააღმდეგეთა სისუსტით განპირობებული ჩანდა. ქართლ-კახეთის მფარველი რუსეთის იმპერია უკვე საზღვარს უდებდა ერეკლეს გაძლიერებას. რომლის დამოუკიდებელი პოლიტიკაც მას ადარ აწყობდა. ერეკლეს სახელმწიფოს უყურებდნენ როგორც საშუალებას, იმპერიის ბატონობის გავრცელებისათვის ამიერკავკასიაში. საშინაო ხასიათის მიზეზთაგან, ცხადია, ყველაფერი იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველო პოლიტიკურად დაშლილი იყო. ამ დროს ხომ ორი მეტ-ნაკლებად ძლიერი ქართული სახელმწიფო ერთმანეთისაგან განსხვავდებულ საგარეო პოლიტიკას მისდევდა.

რაც შეეხება ქერიმ-ხანს, იგიც ბოლმით უყურებდა ერეკლეს წარმატებებს და ერევნიში მისი ლაშქრობის გამო შეშფოთებას არ მაღლავდა. მნელია იმის თქმა, თუ რას აპირებდა ქერიმ-ხანი. იგი გარდაიცვალა 1779 წ. და ირანში ახალი არეულობა დაიწყო. ამავე დროს მომხდარა ერეკლესა და სოლომონის შერიგება; თუმცა მეფებს ძველი ნდობა ვეღარ აღუდგენიათ.

80-იანი წლების დასაწყისში ერეკლე II-ემ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება სცდა. ამ მიზნით მან კათოლიკე მისიონერები დაიახლოვა. მან კათოლიკე მისიონერების ხელით სპეციალური თხოვნა გაუგზავნა ვენეციის სენატს და ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ ორივე ელჩი გზაში გარდაიცვალა და მეფის თხოვნას იმ ქვეყნებამდე არ მიუღწევია. 1782 წ. 18 ოქტომბრის წერილში ვენე-

ციის რესპუბლიკისადმი ერეკლე წერდა: „ჩვენის სათხოვარის პაზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშვოვოთ და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოთ რომ სცნობს, ვერას დროს ჩვენს მტრობას ვეღარ გაბედავს”. ასეთივე შინაარსისა იყო ერეკლეს წერილი ლუდოვიკო XVI-დმი, რომელიც აგრეთვე 1782 წ. 18 ოქტომბრითად დათარიღებული. აშკარაა ერეკლე II-ეს ევროპიდან არმიის შექმნისათვის ფულადი სახსრები სჭირდებოდა.

80-იანი წლების დასაწყისში ერეკლეს ეტჟობოდა, რომ იგი კვლავაც რუსეთისაკენ იხრებოდა. როგორც ჩანს, მისთვის უცნობი არ ყოფილა ფართო გეგმები ეპატერინეს სახელმწიფო კარზე რომ შეიმუშავეს ეწ. „ბერძნული პროექტის” სახით. რუსეთის იმპერია ამიერკავკასიისაკენ მოიწვედა. ალბათ ამით აისხნებოდა, რომ ერეკლემ ეპროპაში გასაგზავნად გამზადებული წერილების შინაარსი რუსეთის მთავრობას აცნობა. ერეკლე სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, რომ მის მიერ ავსტრიასთან ურთიერთობის დამყარება რუსეთის დიპლომატებში საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში მეფის მოლოდინი გამართლდა. მართლაც, კანცლერი ბეზბოროვი ერთ თავის ინსტრუქციაში ერეკლეს აღნიშნული ურთიერთობის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ქართლ-კახეთის დიპლომატები უკვე გრძნობდნენ, რომ რუსეთის იმპერია დღეს თუ ხვალ მაინც ერეკლეს სახელმწიფოს მოაკითხავდა.

4.6. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი

XVIII ს-ის 70-80 -იან წლებში რუსეთი აგსტრიასთან ერთად ამჟამაცებდა „დიდ გეგმას”, რომელსაც ევროპელმა დიპლომატებმა „საბერძნეთის პროექტი” უწოდეს. ამ გეგმით ევროპიდან სრულიად უნდა განედევნათ თურქები და ადედგინათ საბერძნეთის იმპერია, რომლის მეფედ რუსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელს მოიაზრებდნენ. გეგმა მიზნად ისახავდა აგრეთვე, რომ მოლდავეთისა და ვლახეთისაგან შექმნილიყო რუსეთზე დამოკიდებული სახელმწიფო დაკიის სახელწოდებით, მაგრამ მის სარეალიზაციოდ არაფერი გაკეთებულა და იგი გაქრა იმ საერთაშორისო ვითარებასთან ერთად, რომელმაც ეს გეგმა წარმოშვა. ქუჩა-კაინარჯის ზავის დადების შემდეგ, რუსეთის აღმოსავლეური პოლიტიკა მიმართული იყო ყირიმის საბოლოოდ შემოერთებისა და ამიერკავკასიის საკითხის გადაჭრისაკენ.

ირანში ქერიმ-ხანის გარდაცვალებას შემდეგ დაწყებული არგულობით ისარგებლა რუსეთის მთავრობაში და ამიერკავკასიაში საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლა გააჩადა. მან, პირველ რიგში, მიზნად დაისახა მფარველობაში მიედო ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეექმნა ორი ბუზერული სახელმწიფო, აღედგინა სომხეთისა და ალბანეთის (ჩრდილო აზერბაიჯანის) სახელმწიფოები. ამავე დროს, ეკატერინე მეორის მთავრობა, უწინარეს ყოვლისა ყირიმის შემოერთებას რომ ცდილობდა, თურქეთის მოტყუებაზე ფიქრობდა. ამ მიზნით 80-იანი წლების დამდეგს ხმა დაირხა, რომ თითქოს რუსეთი ირანში ლაშქრობას ამზადებდა და იქ თავისი კაცის, ყირიმის ხან შაჰინ-გირეის გახელმწიფებას აპირებდა. თურქეთთან ომის შემთხვევაში კი ამ დროსაც, ისევე როგორც ადრე, რუსეთის მთავრობა ითვალისწინებდა დივერსიების მოწყობას ქართველებისა და სომხების დახმარებით.

ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას იხევ ამიერკავკასიის ხალხთა სამხედრო ძალების გამოყენებით გეგმავდა. ბუნებრივია, რომ მთელ ამ პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ეთმობოდა ქართლ-კახეთის სამეფოს. ამიტომაც შეა აღმოსავლეთში ეკატერინე მერის მთავრობის პოლიტიკის წარმატება თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო იმ პოზიციაზე, რომელსაც ერეკლე II დაიკავებდა.

ამიერკავკასიის საქმეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდნენ რუსეთის მთავრობისათვის და ამიტომაც მათი მოგვარება სპეციალურად დაევალა თავად გრიგოლ ალექსანდრეს დე პოტიომპინს, ხოლო კავკასიის საქმეებში თანაშემწერება დაეკისრა მისსავე ახლო ნათესაკს გენერალ-პორუჩიკ პავლე სერგის დე პოტიომპინს, რომელიც წინა კავკასიაში განლაგებული ჯარის სარდლად დაინიშნა. 1782 წლის ნოემბერში პავლე პოტიომპინი თავის შტაბ-ბინაში – გეორგივ გერებაში ჩავიდა.

გ. პოტიომპინმა გადაწყვიტა საქსონელი (უნგრეთში გაზრდილი) იაკობ რაინგესის მეშვეობით მოლაპარაკება დაეწყო ერეკლე II-თან. რაინგესმა ჯერ კიდევ 1776-1778 წლებში, კონსტანტინოპოლში მოგზაურობის დროს გაიცნო ენაკოლოფაშვილი, რომელიც იქ ერეკლეს საგანგებო დავალებით იმყოფებოდა. 1779 წელს რაინგეგსი საქართველოში ჩამოვიდა. ერეკლე II-ემ იგი სამსახურში აიყვანა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ რაინგეგსის საჟღვო ქცევამ ქართლ-კახეთის მეფის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც რაინგეგსი 1781 წელს რუსეთს გაემგზავრა, პეტერბურგში ჩავიდა, შემდეგ კი აღმოჩნდა გ. პოტიომპინთან. რომელმაც იგი 1782 წელს საქართველოში სპეციალური დავალებით მოავლინა. რაინგეგსის მეშვეობით გ. პოტიომპინმა წინადაღება მისცა ერეკლეს, რათა რუსეთის მფარველობის მისაღებად დაეწყო მოლაპარაკება, ხოლო იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს ურჩია შერიგებოდა ერეკლეს და მასთან ერთობლივად ემოქმედა საერთო მტრების წინააღმდეგ.

ეკატერინეს მთავრობას აწყობდა, რომ საქართველოს მფარველობაში მიღების აქტი ერეპლეს მოთხოვნის საფუძველზე გაფორმებულიყო. ამიტომ ერეპლეს შესთავაზეს, რომ ამ საკითხზე ოფიციალური თხოვნა დაეწერა. თვითმპყრობელობის დიპლომატია ამ დროს ყოველ დონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ერეპლესთან მომგებანი ხელშეკრულება გაეფორმებინა და იგი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა ქართლში შექმნილი ვითარების თავისებურება და ქართლის ტახტის მაძიებელს, ალექსანდრე ბაქარის ქეს თავისი დამპყრობლური მიზნებისათვის იყენებდა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თუ ერთი მხრივ, გ. პოტიომპინი პავლე პოტიომპინს სწერდა, სასურველი არ არის ალექსანდრეს წარმატებებით, მეორე მხრივ, რუსეთის ხელისუფალნი სრულებით არ ჩქარობდნენ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი კავკასიიდან გაემჟებინათ. შემთხვევითი როდი იყო, რომ ფათ ალი-ხანმა ალექსანდრე რუსეთის ხელისუფალთ მხოლოდ 1783 წლის ნოემბერში – გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ გადასცა.

ძირითადი მიზეზი, რამაც განსაზღვრა ერეპლე მეორის მიერ გადაწყვეტილების მიღება, იყო ისეთი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევა, რომელიც ქვეყანას მშვიდობას მოუზანდა და უზრუნველყოფდა მის შემდგომ პროგრესს ეპროპული განვითარების გზით.

ერეპლე II-ეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ სახელმწიფო ეპოქის ცხოვრების ეპროპულ ყაიდაზე გარდაქმნას, ეპონომიურ პროგრესსა თუ სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებას შეეძლო უზრუნველყო საქართველოს მომავალი წარმატება. იგი ნათლად ხედავდა, რომ სამი დიდი სახელმწიფო - ირანი, თურქეთი და რუსეთი, ამიერკავკასიაში ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდა და არც ერთი მათგანი საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს არ დატოვებდა. ამიტომაც საქართველოს აუცილებლად უნდა გაეკეთებინა არჩევანი ამ სახელმწიფოებს შორის. რუსეთთან საქართველოს ბედის დაკავშირებით ერეპლე იმედოვნებდა, რომ თავის ქვეყანას სამუდამოდ ააცდენდა ჩამ-

ორჩენილი თურქეთ-ირანის აგრესიას და რუსეთის მეშვეობით უზრუნველყოფდა კვროპული გზით განვითარებას.

რუსეთის საიმპერატორო სახლის სახელშე 1782 წლის 21 დეკემბერს გაგზავნილ წარდგინებაში ერეკლე II ოფიციალურად ითხოვდა, რათა ქართლ-კახეთის სამეფო მიეღოთ რუსეთის იმპერიის მფარველობაში ისე, რომ არც სულთანსა და არც შაჟს არ შეძლებოდა საქართველოს მტრობა. თუ რუსეთს თურქეთთან ან ირანთან ომი მოუხდებოდა, ერეკლე II რუსთა მხარეზე გამოსვლის პირობას იძლეოდა, თღონდ რუსეთს უნდა ეზრუნა, რომ საქართველოსათვის ოსმალთა და ლეკოთა მიერ მიტაცებული მხარეები დაებრუნებინა.

რუსეთის იმპერატორს ერეკლე თხოვნით მიმართავდა, რათა ოფიციალურად გამოცხადებულიყო რუსეთის მფარველობა მისდამი ისე, რომ მის შვილებს და მათ შთამომავლობას „პაპების სამკვიდრო და... ამდენის გარჯით და დგაწლის დადგებით აშენებული ქვეყანა“ არ დაპარგვოდათ, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მსგავს ბედის მაძიებლებს უმცირი ხალხი არ აჰყოლოდა. დასასრულ, ერეკლე II ითხოვდა, რომ საქართველოში მუდმივად ყოფილიყო რუსეთის რეგულარული ჯარის ორი პოლკი.

რუსეთის მთავრობამ დეტალურად განიხილა ერეკლეს წინადაღებები, ბოლოს კი საგარეო კოლეგიის წევრმა ა. ბეზბოროვკომ, ეპატრიინ წ-თან შეთანხმებით, ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი ჩამოაყალიბდა და ერეკლეს გამოუგზავნა დასამტკიცებლად. ერეკლემ იგი თავის დარბაზის წევრებთან ერთად განიხილა და მისი მიღება გადაწყვიტა.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში შედგა ხელშეკრულების ხელმოწერის პროცედურა. ტრაქტატს ხელი მოაწერეს ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, თავადმა ი.კ. მუხრანბატონმა და თავადმა გ.რ. ჭავჭავაძემ, რუსეთის მხრიდან, გენერალმა პავლე პოტიომინმა.

ხელშეკრულების ტექსტი შედგებოდა პრემბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლის ანუ არტიკულისაგან. მათ დართული ჰქონდა ტექსტი ფიცისა, რომელიც ერეკლე მეფეს უნდა მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშნად და ტექსტი დამატებითი არტიკულისა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეთა კურთხევის წესს შექებოდა. საქართველოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა მას ხელი მოაწერეს უკვე თბილისში, 1784 წლის 24 იანვარს, ერეკლე მეორის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის დღეს.

ტრაქტატი, რომელსაც „მეგობრობითი პირობა” ეწოდებოდა, ძალაში შედიოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. 1784 წლის 22 იანვარს ერეკლე II-ემ მიიღო ეკატერინე II-ის სარატიფიკაციო სიგელი, ხოლო 1784 წლის 24 იანვარს ერეკლემ თავის სარატიფიკაციო სიგელს მოაწერა ხელი და გადასცა იგი რუსეთის წარმომადგენლეს ვ. ტამარას. ერეკლემ მაშინვე წარადგინა სია ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა, რომელთაც ხელშეკრულების მეცხრე მუხლის თანახმად რუსეთში ჩასვლის შემთხვევაში უფლება ეძლეოდათ ესარგებლათ ყველა იმ პრივილეგით, რაც რუსეთის თავადაზნაურობას ჰქონდა.

ხელშეკრულების პირველ და მეორე მუხლებში ერეკლე ეკატერინე II-ის მფარველობას აღიარებდა, ხოლო რუსეთის მთავრობა კისრულობდა, რომ ერეკლესა და მის მემკვიდრეების უფლებებს დაიცავდა. ამავე დროს, რუსეთის მთავრობა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენის იმედს იძლეოდა.

ტრაქტატის საფუძველზე საქართველოში ტახტზე ახლად ასულ მემკვიდრეს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები - გვირგვინი, სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელ-შიაც ჩახატული უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოს გერბიც; მასვე უნდა გამოეგზავნა ქართველი მეფისათვის ხმალი, კვერთხი და „მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა”.

ამ ნიშნების მიღების შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფეებს, რუსეთის მინისტრ-რეზიდენტის თანდასწრებით, იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცათ.

ტრაქტატის საფუძველზე იზღუდებოდა ერეკლე მეორის სუვერენული უფლებები საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომლებიც ამიერიდან მას რუსეთის იმპერატორთან უნდა შეეთანხმებინა. იგივე ტრაქტატი ქართლ-კახეთის საშინაო დამოუკიდებლობის გარანტიას იძლეოდა. მექქვე მუხლის მესამე პარაგრაფში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის სამეფო საშინაო საქმეებში. რუს სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებს საქართველოში ეკრძალებოდათ ქართველი მეფის დაუკითხავად რაიმე განკარგულების გაცემა.

ტრაქტატის მიხედვით ნავარაუდევი იყო აგრეთვე ურთიერთზრუნვა ქართველი და რუსი ტყვეების სამშობლოში დაბრუნებასა და რუსეთში ჩასული ქართველი თავად-აზნაურებისათვის ისეთი პრივილეგიების მინიჭებაზე, როგორიც რუს ბატონებს პქონდათ. ქართველ გაჭრებს რუსეთში თავისუფალი გაჭრობის უფლება და რუსი გაჭრებისათვის დაწესებული შედაგათი ეძლეოდათ.

ტრაქტატს ახლდა ე.წ. „სეპარატული არტიკულები”, რომლებშიაც არსებითად აისახა მხარეთა სამხედრო-პოლიტიკური მიზნები. საუბარი იყო ერეკლესა და სოლომონ მეფის შერიგების შესახებაც, რაშიაც რუსეთი მომრიგებლის როლს კისრულობდა. იქვე იყო ნათქვამი საქართველოში რუსთა ჯარის ჩაყენების, საგარეო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისა თუ საგარეო ომის შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ზრუნვის შესახებ და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოოქმულია სხვადასხვა მოსაზრება 1783 წლის ხელშეკრულების ხასიათისა და იურიდიული ბუნების შესახებ.

მკვლევართა ნაწილი მას მიიჩნევდა ისეთ აქტად, რომელიც აქ რუსეთის პროტექტორატს ამყარებდა (მ. ხელოფლიშვილი, ნ. კორგუნვილი, ბ. ნოლდე, გ. ვეშაპელი და ა. შ.).

ზ. ავალიშვილი ამ ხელშეკრულებას განიხილავდა როგორც ისეთ აქტს, რომელიც ამყარებდა პროტექტორატსაც და ვასალიტეტსაც, ამასთან იგი ხაზს უსვამდა ამ ცნებათა არსის მთელ წინააღმდეგობრიობას.

ფ. ლისტი მას „პროტექტორატ-სიუზერენიტეტს” უწოდებს, ხოლო ო. ნიპოლდი და ო. მარკოვა — „პროტექტორატს ვასალიტეტის ფორმით”, თუმცა როდესაც ო. ნიპოლდი ამბობს, საქართველო ვასალური სახელმწიფოს სტატუსს იღებდაო, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრაქტატი მას არ ართმევდა სუვერენული სახელმწიფოს ხარისხს და იგი საერთაშორისო სუბიექტის უფლებას არ კარგავდაო.

და ფიურის აზრით, 1783 წლის ტრაქტატი იყო არა მარტო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, არამედ მეგობრობისა და კავშირის შესახებაც.

1963 წ. ლ. ალექსიძე სპეციალურად შეეხო 1783 წლის ტრაქტატის იურიდიული ბუნების საკითხს. მან სწორად შენიშნა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არ ხებული წინააღმდეგობა, რომელიც იურიდიულ დახასიათებასა და ტერმინოლოგიაში გამოიხატება, ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი ავტორი იყენებს XIX-XX ს. დამკაიდრებულ ტერმინებსა და ცნებებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ ისინი შინაარსით განსხვავდებიან მსგავსი ტერმინებისაგან, რომელიც XV—XVIII ს.ს. იხმარებოდნენ.

ის სამართლებრივი ნორმები, როთაც საქართველო და რუსეთი ტრაქტატის დადებისას ხელმძღვანელობდნენ, დამახასიათებელი იყო ფეოდალური ეპოქის საერთაშორისო სამართლისათვის. 1783 წ. ტრაქტატი იყო ხელშეკრულება ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში სუსტი ფეოდალური სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შესვლის შესახებ. ამავე დროს იგი წარმოადგენდა „მეგობრულ ხელშეკრულებ-

ბას”, რომელიც რუსეთთან საქართველოს კავშირს განამტკიცებდა. ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში გეორგიევსკის ტრაქტატი უარყოფითადაა შეფასებული, რომ ეს იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკის უდიდესი მარცხი და რუსეთის დიდი გამარჯვება. რამაც ამ უკანასკნელს საშუალება მისცა საკმაოდ დიდი ხნით მოეკიდა ფეხი ამიერკავკასიაში (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, გ. გურული, მ. გაჩნაძე და ა.შ.).

1783 წ. აქტით ქართველი პატრიოტები შეეცადნენ რუსეთის იმპერიისაგან მიეღოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნების იურიდიული გარანტია, უზრუნველეყოთ ქვეყნის უშიშროება გარეშე მტრების შემოსევებისაგან. რუსეთის იმპერიამ კი, აღნიშნული აქტით დიდი გამარჯვება მოიპოვა ამიერკავკასიაში. მან უომრად გადალიახა კავკასიონის მთაგრეხილი და მის სამხრეთით უადრესად ხელსაყრელი პლატფარმი მიიღო.

4.7. ტრაქტატის პოლიტიკურ შედეგები და წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი ამიერკავკასიაში

1783 წელს რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან საბოლოოდ განდევნა ოსმალეთი, შეიერთა ყუბანის მხარე და მფარველობაში აიყვანა ქართლ-კახეთის სახელმწიფო. ეკატერინე II-ის მთავრობაში ამავე დროს კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ბატონობა ყაბარდოში და ამიერკავკასიას უშუალოდ შემოადგა. ამის შემდეგ იმპერიის დიპლომატები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანელთა განდევნაზე ფიქრობდნენ და ემზადებოდნენ იმისათვის, რომ თურქეთის წინააღმდეგაც გადამწყვეტი შეტევა დაეწყოთ, დაეპუროთ კონსტანტინოპოლი და სრუტეები.

ამიერკავკასიასა და ყირიმში რუსეთის პოზიციების განმტკიცების კვალდაკვალ შეიცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია რეგიონში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ცხადია, რუსეთის წარმატებები არ იქნებოდა ადვილად შესაგუებელი არც ირანისა და მით უფრო, არც თურქეთისათვის, რომელთა უკან ხშირად დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესები და პოზიციები იკვეთებოდა.

1783 წ. 2 ნოემბერს სახეიმოდ მორთული თბილისი აღტაცებით შეხვდა რუსთა ორ ბატალიონს, რომლებიც ტრაქტატის საფუძველზე ერვალე მეფის განკარგულებაში გამოვზავნეს. ამ აქტით რუსეთის იმპერიის დიპლომატები თითქოს იწყებდნენ „დიდ ექსპერიმენტს”, რომელიც, როგორც ეს შემდეგში ცხადი გახდა, ამიერკავკასიის მოქიშე ძალთა თანაფარდობის მოსინჯვას ისახავდა მიზნად. ჯარის გამოჩენას ხომ უშუალო გამოძახილი მოჰყვებოდა და პრაქტიკულად გაირკვეოდა, თუ როგორ შეხვდებოდნენ ამ მოვლენას ირანი, ოსმალეთი და მათი ხელდებული ქვეყნები, მათმადიანური პოლიტიკური ერთეულები აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში.

რუსთა ჯარის შემოყვანიდან ორიოდე თვის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამფარველო ტრაქტატის საბოლოო გაფორმება-დამტკიცების მიზნით, საქართველოში საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა მოავლინა. მისი ჩამოსვლა 1784 წ. 22 იანვარს თბილისელებს რუსული ზარბაზნების გრიალით აუწეს. მეორე დღეს ტამარამ ერეკლესა და მისი სამეფო სახლის წარმომადგენლებს იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და საჩუქრები გადასცა. იქვე მიიღო ერეკლემ სამფარველო სიგელი და ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის განხორციელება. ამავე დღეს საზეიმო ცერემონია გაგრძელდა სიონის ტაძარში, სადაც ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული ტრაქტატის ტექსტების გაცვლა მოახდინეს, ხოლო ერეკლე II-ემ ამ ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ერთგულებაზე დაიფიცა.

რუსული ზარბაზნის ხმაურის ექთ თბილისიდან ქართლის მეზობლებს მისწვდა, ამიერკავკასიის ფარგლებსაც გასცდა და შორეულ ქონსტანტინოპოლიში სულთნის მთავრობაც შეაშფოთა. ეს ხმა ირანსაც მოედო, მაგრამ იგი იმ დროს ისეთ ბებერ ლომს მიაგავდა, რომ ელსაც მდგლევარე ამბებზე რეაქციაც კი დაჰკარგვოდა. შიში დაუუფლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მმართველ ხანებს, რომლებიც თვითმმკურობელური იმპერიის ოფიციალური ისტორიკონის აკად. ნ. დუბროვინის შენიშვნით, 1783 ტრაქტატს მტრულად შეხვდნენ და ყოველ ზომას ხმარობდნენ რუსეთის „დამპურობლურ გეგმათა წინააღმდეგ”.

დროთა განმავლობაში ხანები ცდილობდნენ საერთო ენა გამოენახათ რუსეთის მთავრობასთან და მის საფარველში შეხვლის გზით აეცდინათ მოსალოდნელი საფრთხე. რუსეთი და ოსმალეთი ცალ-ცალკე ცდილობდნენ ჰჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ ღონების დილი ირანის ვასალებთან, მაგრამ ასეთ შეჯიბრში მაშინ ოსმალეთს გარკვეული უპირატესობა პქონდა, რაც უმთავრესად სარწმუნოებრივი ნათესაობის ნიადაგით აიხსნებოდა. ერთხანს ოსმალეთი საჭიროდაც კი თვლიდა, რომ ხელი გაეწოდებინა ერთმორწმუნე ირანისათვის, სადაც რუსეთის გავლენა თანდათანობით უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

ევროპის სახელმწიფოები შეშფოთებით ადევნებდნე თვალყურს რუსეთის წარმატებას კავკასიაში. 1783 წ. ტრაქტატს ინგლის-საფრანგეთში განიხილავდნენ როგორც რუსეთის დიპლომატიის ტრიუმფს აღმოსავლეთში. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთი, რომელიც თურქეთთან ერთად ყოველ ზომას ხმარობდა, რათა ჩაეძლა რუსეთის კავშირი ისპაპანის მფლობელ ალი მურად-ხანთან და შაჟეგდო რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში.

ოსმალეთის სახელმწიფოს შეშფოთება საგსებით გასაგები იყო. რუსეთის მიერ მრავალგზის დამარცხებულ, ყირიმიდან და ჩრდილო ჯავკასიიდან გამოდევნილ ოსმალეთს ახლა მისი უშუალო თუ მინატა-

ცებ-დაპყრობილი მიწების დაკარგვა მოელოდა. ძლიერმა რუსეთმა გავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშეალოდ დაუმჯ-ზობლდა სულთნის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მჯ-ორე ფრონტი” გაუხსნა (პირველი და ტრადიციული ფრონტი ბალკან-ეთის მიმართულებით იყო), რითაც დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს.

ოსმალეთი თავის პოლიტიკას ამიერკავკასიაში უმთავრესად ახალციხის ფაშას მეშვეობით ახორციელებდა. ახალციხელ ფაშა სულფიმანს არ გამოჰქმდია ის გარემოება, რომ ერეკლე რუსეთის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა მიერ მინატაცები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. სულეიმან ფაშა თავის თავს „საათაბაგოს — საქართველოს ამ ძველი პროვინციის — მექვიდრე-მფლობელად თვლიდა”. სამფლობელოს დაკარგვის შიშით და სულთნის მთავრობის დავალებით, „განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა”.

ახალციხის საფაშო ამიერიდან ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ოსმალეთის ფარული თუ აშკარა შეტევის ბაზად იქცა და იქიდან წამოსული მძარცველური რაზმები განსაკუთრებული აქტივობით არ-ბევრენ ქართლის სოფლებს. ქართლ-კახეთის განადგურებისათვის ბრძოლის მეორე ფრონტი ჭარ-ბელაქანზე გადიოდა. ახალციხის საფაშო, ჭარ-ბელაქანი და დაღესტანი მაშინ ერთი მთლიანი ლერძი იყო, რომელსაც სათავე კონსტანტინოპოლიში ჰქონდა. ამიერიდან საქართველოს წინააღმდეგ შემოსევებმა უფრო ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიიღო.

რუსეთის მთავრობა დიპლომატიური დემარშებით ცდილობდა ქართლ-კახეთის გადარჩენას. მრავალგზის მოაგონეს სულთნის მთავრობას, რომ თავდასხმები იმ ქვეყანაზე, რომელიც რუსეთის საფარველში შევიდა, ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ურთიერთობას არ შეეფერებოდა.

1784 წ. 8 იანვარს რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების საფუძველზე, ოსმალეთმა პირობა დადო, რომ ერეკლეს სახელმწიფოს ოსმალეთის მხრიდან აღარ შეავიწროებდნენ. ამის შესახებ ახალციხის ფაშასაც მისწერეს, მაგრამ ფაშამ, როგორც ჩანს, “აუხსნა” სულთნის მრჩევლებს, რომ საქართველოს “გაძლიერება” ყოვლად მიუდებელი იყო. ამრიგად, ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, ხოლო რუსეთი კვლავაც პასუხს მოითხოვდა კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით.

1784 წ. დეკემბერში ეგვიპტის საქმეებზე შეკრებილ სულთნის საბჭოს ისევ განუხილავს რუსეთის პროტესტი. მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა პასუხი გაეცათ მისთვის. საბჭოს აღუნიშნავს, რომ ოსმალეთი არ ცნობდა რუსეთის ხელისუფლებას „თბილისის ხანზე”, რომ იგი ქართლ-კახეთს, ისევე როგორც იმერეთს, თავის სამფლობელოდ თვლიდა. სულთნის საბჭოს ადნიშნული გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალი ომი-სათვის პირობები იქმნებოდა.

ერეკლეს არ გამოჰქარია, რომ რუსეთის სახელმწიფო კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ ძლიერ ლაშქრობას ამზადებდა. ჯარის ერთი ნაწილი ყიზლარიდან დარუბანდში უნდა შეჭრილიყო და იქაური ძლიერი მფლობელი ფათალი-ხანი შეეპყრო. ამის მერე უნდა დაეკავებინათ კასპიის ნაპირები გილანამდე. რუსთა ჯარების მეორე კორპუსი ქართლის მიმართულებით უნდა წამოსულიყო. ვარაუდობდნენ სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოების აღდგენას რუსეთის მფარველობით. ამასთან დაკავშირებით 1784 წ. 3 მაისს პავლე პოტიომპინისათვის გაგზავნილ წერილში ერეკლე აყალიბებდა „საქართველოს გაძლიერების” გეგმას. მისი აზრით, ძლიერ საქართველოს „შეეძლო დახმარებოდა რუსეთს მისი დამპურობლური მიზნების განხორციელებაში”. მაგრამ განხორციელება არ ეწერა როგორც სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოთა აღდგენის გვგმებს, ისე ერეკლეს ცდებს

თვითმპურობელობის
გაძლიერებისათვის.

დახმარებით

საქართველოს

საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებისა თუ განთავისუფლების ეწ. გეგმები არსებითად იმპერიის საზღვრებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობდა. ეს იყო რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა საქართველოს „მშვიდობიანი” გზით მოთვისებისათვის.

რუსეთის მთავრობის მიერ 2 ბატალიონი ჯარის აქ გადმოსხმის გამო ოსმალეთმა და მისმა მოკავშირეებმა განგაში ატეხეს, რუსეთს კი ომის კერის შემდგომი გაფართოება მაშინ, როგორც ჩანს, არ შექმდო. თვით ოსმალეთი ნამდვილად ძალიან სუსტი იყო და რუსთა ჯარების დამარცხებას ვერ შეძლებდა, თუმცა იგი ჯარებს მაინც აგროვებდა საქართველოსა და სომხეთის მისადგომებთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა თუ დაღესტანში მზარდი ანტირუსული მოძრაობით გამხევებული. რაც შეეხება ირანს, იქ შაჰის ტახტისათვის ბრძოლა გრძელდებოდა და მას ჯერჯერობით რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო.

ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ, ზენდებს შორის ატეხილი ბრძოლა ალი მურად-ხანის გამარჯვებით დასრულდა. მან ისპაჰანში თავი შაჰად გამოაცხადა. ამავე დროს ირანის ჩრდილოეთში, მაზანდერანსა და ასტრაბადში, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი გაძლიერდა. იგი ზენდების წინააღმდეგ დაუნდობელ ომს განაგრძობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიამ მეგობრობის ხელი გაუწოდა ალი მურად-ხანს, რომელიც ამ დახმარებით დაინტერესებული იყო და კასპიის ზღვის ნაპირებსაც კი უთმობდა მას, ოღონდ რუსეთის მთავრობას იგი შაჰად ეცნო და მხარი დაეჭირა მისთვის. მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდებოდნენ და მათ შესაბამისად იცვლებოდა თვითმპურობელობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. 1785 წ. 7 თებერვალს ალი მურად-ხანი გარდაიცვალა და გამარჯვების სასწორი უპავ აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე იხრებოდა.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა დღე-დღეზე უარეს-დებოდა. რუსთა ორი ბატალიონის დახმარება ვერაფრით ამსუბუქებ-და მის მდგომარეობას. ამიტომ იყო, რომ განსაცდელში ჩავარდნილი ერეპლე თავის მფარველს დამატებითი ჯარების გამოგზავნას სოხ-ოვდა, რუსეთი კი ხელსაყრელ სიტუაციას ელოდა ადრედასახული მიზნების განხორციელებისათვის.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ყმადნაფიცები და მოკავშირეებიც ალმაცერად უყურებდნენ ერეპლეს და ოსმალეთს უკავშირდებოდნენ. ერზერუმის, ყარსისა და სხვ. ფაშები მოციქულებს გზავნიდნენ ერეპ-ნის ხანთან და მას რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ერთობ-ლივ გამოსვლაში მონაწილეობის მისაღებად მოუწოდებდნენ. მერ-ყეობდა ყარაბაღის სახანოც.

ყარაბაღის ხანსა და რუსეთს შორის მაშინ უთანხმოება გარდაუვ-ალი იყო. რუსეთი ყარაბაღელ სომებს ქრისტიანებს მფარველობდა. ასევე მფარველობდა მათ ერეპლე მეფეც, თუმცა იგი ამავე დროს იბრეიმ-ხანთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ეს გარემოება ერეპლეს მიმართ ყარაბაღელი მელიქების ერთი ნაწილის უგმყო-ფილებას იწვევდა. ბუნებრივია, რომ სომებთა მეფის ტიტულისათვის მებრძოლი ერეპლე თავის მხრივ კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა სომხური სამეფოს ცალკე გამოყოფის იდეას. უკეთეს შემთხვევაში თვით სომებს პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ მფარველად აღიარებული ერეპლე, რა თქმა უნდა, ამჯობინებდა, რომ სომებთა მფარველობის საქმეში მას მეტოქე არ ჰყოლოდა. სწორედ აქ იჩენდა თავს რამდე-ნადმე შენიდბული წინააღმდეგობა ერეპლესა და რუსეთის მთავ-რობას შორის. მოვლენათა მთელი მსვლელობა უკვე აშკარად მოწ-მობდა, რომ ამიერკავკასიის არაქართველ ქრისტიანებზე ერეპლეს ბატონობა რუსეთს აღარ აწყობდა და ამიერიდან იგი ქართლ-კახეთის გაძლიერებასაც აღარ ისურვებდა.

ქართლ-კახეთს უკვე ლეკ-ოსმალთა საქმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარები უტევდნენ. მათ წინააღმდეგ ახლა ქართველები და რუსები

ერთად გამოდიოდნენ. ერთობლივი ბრძოლა 1784—1785 წწ. მეტნაკ-ლები წარმატებით მიმდინარეობდა. ქართლ-კახეთის მსხვერპლი კი ამ ბრძოლაში განუზომელი იყო.

ერეკლემ განჯის სახანოზე თავისი შერყეული ბატონობის აღდგენისათვის ბრძოლა გააჩადა.

1785 წ. დასაწყისში ერეკლეს ჯარი განჯის გუბერნატორ ანდრონიკაშვილისა და შამშადილის ალი სულთნის სარდლობით განჯას მიაღდა. განჯელები ციხეში გამაგრდნენ. ერეკლე განჯასთან ყარაბაღელი ხანის მაშველ ლაშქარს მოელოდა, მაგრამ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ფათ ალი-ხანი წამოვიდა. მაშინ ერეკლემ მას თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით სცადა შექერება. გამოირკვა, რომ ფათ ალი-ხანს ერეკლესთან ერთად სურდა გაენაწილებინა თავისი ბატონობა ყარაბაღის სახანოზე და ამ პირობით იღებდა ხელს განჯაში ბატონობაზე. ერეკლე არ ჰყვა ცბიერ ფათ ალი-ხანს, მაგრამ იძულებული გახდა განჯის ალყა მოეხსნა და იქ მეტრმოლი ლაშქარი ყარაბაღის ხანის საშველად გა-დაუყვანა. ამით განჯელებმა ისარგებლეს და ერეკლეს მაპმადიანური ქვეშვერდომები მოიმხრეს. ფათ ალი-ხანი ახლა განჯის ხანს თავის მფარველობას აღუთქვამდა და ამხნევებდა. ასეთ როგორ ვითარებაში ერეკლეს საშველად ამოძრავდნენ რუსთა ასეულები და მეფებ ბოლოს და ბოლოს შეძლო განჯაზე ძველი ბატონობის აღდგენა, მაგრამ ბრძოლა მაინც არ ცხრებოდა. განჯის ამბებს ლეგ-ოსმალთა ახალი შემოსევა მოჰყვა.

ასეთ პირობებში ერეკლე ისევ მოაგონებდა რუსეთის მთავრობას, რომ დამატებითი ჯარის მოშველიება აუცილებელი იყო. ახლა რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი ბოლკოვნიკი ბურნაშოვიც ამასევე მოითხოვდა, მაგრამ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. 1785 წ. დასაწყისში ჩრდილო კავკასიაში მდგომარეობა შეიცვალა და რუსეთის მთავრობას ჯარის გამოგზავნაზე უარის სათქმელად ახალი მიზეზი გაუწნდა. სახაჩნოში დაიწყო მაპმადიანურ-რელიგიური მოძრაობა, რომელიც რუსეთის თვითმპურობელობას „სადვოთო ომს” უცხადებდა.

იგი, როგორც ჩანს, თურქეთის წაქეზებით ატყდა და მისივე დახმარებით ვითარდებოდა.

1785 წ. მარტიდან „საღვთო ოში“ სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. შეიხ მანსურთან (უშურმასთან) კავშირი დაამყარა ომარ-ხან ავარიელმა, რომელიც ამ დროს დიდ ლაშქრობას ამზადებდა საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობას ამიერკავკასიის სახანოების უმრავლესობა უჭერდა მხარს.

მანსურის მეთაურობით გაჩაღებულმა მოძრაობამ საფრთხე შეუქმნა რუსეთის გეგმებს ამიერკავკასიაში. ამ გარემოებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს მდგომარეობაზე.

ოსმალეთის აგენტმა ომარ-ხანმა საქართველოში დიდი ლაშქრობისათვის უაღრესად ხელსაყრელი დრო შეარჩია; შეიხ მანსურმა წინა კავკასიაში რუსთა ჯარების დიდი ხაწილი ბრძოლაში ჩაითრია, ხოლო რუსეთ-საქართველოსადმი მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულები, ოსმალეთის სახსრებით თუ სხვა დაპირებებით გამხნევებულები, იარაღს ისხამდნენ. 1785 წ. დალესტნელები ახალციხის ფაშას სწერდნენ, რომ მალე ომარ-ხანი დიდძალი ჯარით საქართველოს შეესეოდა, მაგრამ ფაშა მის მხარეზე თითქოს აშკარად გამოსვლას ვერ ბედიავდა, რადგან ეშინოდა, რომ ერეკლე გამარჯვების შემთხვევაში მას დასჯიდა. თუმცა ფაშას ეს შიში დაუძლევია და ქართლის განსაცდელის უამს კვლავაც გაუხსნია მისთვის მეორე ფრონტი.

1785 წ. ომარ-ხანი ქართლ-კახეთს შემოესია. ბრძოლაში ქართველები დამრცხდნენ და ქართლ-კახეთის სახელმწიფო იძულებული გახდა, რომ ომარ-ხანისათვის ყოველწლიური ჯამაგირის დანიშვნით ეყიდა მშვიდობა და ამ გზით დაუცვა დარბეული ქვეყანა.

აღნიშნული მარცხის შემდეგ რუსეთის მთავრობა კვლავაც დახმარების დაპირებით კვებავდა ქართლ-კახეთის ელჩსა და თვით ერეკლეს. პავლე პოტიოდეკინი ახლა ჯარის გამოგზავნაზე უარს უგზობით ხსნიდა. თითქმის უშედეგოდ საქმიანობდა რუსეთის სამეფო

კარზე ქართველთა ელჩი გარსევანიც. ხან რას იგონებდა და ხან რას. იმასაც კი ფიქრობდა, რომ რუსეთის დიდმოხელე გრიგოლ პოტიომეკინი საქართველოში მიწისმფლობელობით დაეინტერესებინათ და სწორედ რუსეთიდან აქ შემოსასვლელ დიდ მაგისტრალზე, დარიალ-ანანურის მიდამოებში, მისთვის ქართლის მეფის ხელქვეითი “მცირე რუსეთი” შეექმნათ. გარსევანის აზრით, გ. პოტიომეკინი მაშინ უფრო მეტად მიხედავდა საქართველოს და მის გაძლიერებაზე იზრუნებდა. ჭავჭავაძე დასძენდა, რომ თუ ეს წინადაღება მისაღები არ იქნებოდა, მაშინ ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დახმარების რომელიმე სხვა გზა უნდა მოეძებნა. ერეკლემაც. ეს უკანასკნელი წინადაღება მიიღო და თავისი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა დაიწყო.

4.8. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა

ტრაქტატის დადების შემდეგ, ქართლ-კახეთი კრიტიკული მდგრმარეობა აღმოცნდა. ამას კარგად ხედავდნენ როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთსა და მის მეტოქე სახელმწიფოებშიაც, მახლობელ აღმოსავლეთსა თუ ევროპაში. გასაგებია, რომ ასეთ სახიფათო პერიოდში თავი წამოჰყვეს 1783 წ. ტრაქტატისადმი კრიტიკულად განწყობილმა დაჯგუფებებმა, რომლებიც რუსეთის მფარველობის მიღებას მაშინ მხარს არ უჭერდნენ და ირან-ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტას საქართველოსათვის სახიფათოდ მიჩნევდნენ.

საქართველოში არსებობდა საქმაოდ გავლენიანი დასი, რომელიც ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას კრიტიკული თვალსაზრისით განიხილავდა და მიაჩნდა, რომ უცხო სახელმწიფოებთან კავშირის გაბმა ან გაწყვეტა ყოველთვის კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად უნდა მომხდარიყო. ეს დასი ქართლ-კახეთის მეფეს სიფრთხილისა და

ზომიერებისაკენ მოუწოდებდა, ზოგჯერ კი მის გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა.

„ოპოზიცია, წერდა ს. კაკაბაძე, ხედავდა რუსეთის გულგრილობას, რომ პეტერბურგის მთავრობას მხოლოდ მაშინ მოაგონდებოდა საქართველო, როდესაც კასპიის ზღვაზე ბატონობის საკითხი წინ წამოდგებოდა და ამიტომ არჩევდა მეზობელ მაპმადიან ქვეყნებთან და უპირველეს ყოვლისა თხმალეთსა და საპარსეთთან კავშირის დაჭერის დამოუკიდებელ გზაზე სვლას. ამ ჯგუფს სათავეში ედგა მდივანბეგი სოლომონ ლეონიძე და სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი, სიძე ერეკლე II-ისა, მხენვა, მამაცი და გონიერი კაცი”.

რუსეთის თვითმკურობელობა ცრუ დაპირებებით პვებავდა იმერთა მეფე დავითს, რომელიც ამის გამო პავლე პოტიომპინს 1786 წ. 15 იანვარს სწერდა: „მე ეს ჩვენი ქვეყნები მისთვის შეგავედრეთ და ამას ვეცადე, რომ უსჯულოოთაგან პირველისებრი აოხრება არ შემოსულიყო. თუ ასე დიდხანს არ უნადვლიდით, ამას არ მოველოდით... თუ შემწეობა და ჩვენი ქვეყნის შეწევნა გნებავსთ, დრო და ჟამები ახლა არის. და თუ ახლავე საჩქაროდ არ მოგვაშველეთ ჯარი და ჩვენს ქვეყნებს შეწევნა არ დაემართება, ამისი ვალი ჩვენ აღარ მოგვეთხოვს და კეთილი არ იქნება”.

ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკისადმი კრიტიკული მიმართულების წარმომადგენლები XVIII ს. 80-იან წლებში რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხში განსაკუთრებულ სიურთხილეს მოითხოვდნენ, რადგანაც „მფარველობა რუსეთისა დაშორებული იყო”, ანუ საქართველოდან შორს მყოფი რუსეთის დახმარების მიღებამდე მტრული მეზობლები ჩვენს ქვეყნას გაანადგურებდნენ. ახლა კი, როცა თვით რუსეთის დიპლომატები და სამხედრო მოხელეებიც არ მალავდნენ, რომ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გამო ქართლ-კახეთი გაჩანაგდა, აღნიშნული დასის წარმომადგენლებს საგარეო ორიენტაციის გადასინჯვისათვის საჭირო არგუმენტების ძებნა აღარ სჭირდებოდათ.

ამოძრავდნენ ვიწროფეოდალური ინტერესებით აღჭურვილი პირებიც. მათი აზრით, ქართლ-კახეთის ყოველგვარი უბედურების წერო აღნიშნული ტრაქტატი და რუსთა ჯარის აქ ყოფნა იყო. ასეთი შეხედულება ტრაქტატისადმი სუბიექტური და ცალმხრივია. 1783 წ. ტრაქტატს მოკავშირე ქვეყნების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა პქონდა. ამ შემთხვევაში კრიტიკული დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი მხოლოდ იმის გამოხატულება იყო, რომ მოკავშირე მხარეთა დიდი იმედები ობიექტური მიზეზების გამო ვერ გამართლდა.

1786 წ. 8 აგვისტოს რუსეთში მყოფ გარსევან ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში ერეპლე კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ მას ჯარს მიაშევლებდნენ. ერეპლე აგრძნობინებდა გარსევანს, რომ დიპლომატიური ტონით დაერწმუნებინა რუსეთის მთავრობა, რომ 1783 წ. ტრაქტატის შემდეგ, მას არც ოსმალეთი ენდობოდა, არც ირანი თუ დაღესტანი. თუმცა ოსმალეთი ყოველ ზომას ხმარობდა, რათა ერეპლე მიემხროთ. ირანის ტახტის მაძიებელი აღა-მაჰმად-ხანიც კი ერეპლეს მეგობრობას სთავაზობდა და ეხვეწებოდა, რომ მისთვის რუსეთის მოწყალება გამოეთხოვა.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობის გამწვავება რამდენადმე ხელს უწყობდა ოსმალთა მიერ დამონებული ხალხის ბრძოლას თაგისუფლებისათვის. ასეთი ბრძოლა მიმდინარეობდა ეგვიპტეშიც, სადაც მაშინ წარმოშობით ქართველი (მამელუკი) ბეგები პირველობდნენ. ერეპლეს სახელი მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რუსეთის მთავრობა, ისევე როგორც ერეპლე II, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებით დაინტერესებული იყო. სწორედ ამან გამოიწვია 1786 წ. აგვისტოში ერეპლეს მიერ არტილერიის პორუჩიკ კაჭკაჭიშვილის გაგზავნა ეგვიპტეში, რომელმაც იქ ერეპლეს სარეკომენდაციო წერილები წაიღო. კაჭკაჭიშვილს სიხარულით შეხვდნენ გაოსმალებული ქართველი მმართველები, მაგრამ ამას რაიმე არსებითი შედეგები არ მოჰყოლია.

1786 წ. ზაფხულში თურქეთი ანატოლიის ჩრდილოეთში ჯარებს აგროვებდა. ბათუმსა და ფოთშიაც სერსათის დიდ მარაგს ეზიდებოდნენ. რუსთა სარდლობა ოსმალთა დასაშინებლად სამხედრო მანევრებს მიმართავდა. ჯარების ერთი ნაწილის კონცენტრაცია ძაუგში და სამხედრო გზის შეკეთებისათვის ზრუნვა უდავოდ დიდ გავლენას ახდენდა ახალციხის ფაშაზე. სულეიმან ჯაფელს ამ დროს მისი პირადი მტერი, ტრაპიზონელი ბათალი ფაშაც მოსვენებას უკარგავდა. ოსმალების მთავრობა ბათალი ფაშას ავალებდა საქართველოს საზღვრებთან განლაგებული ჯარების სარდლობას და ბუნებრივია, რომ ახალციხის ფაშას ხელისუფლების დაკარგვა მოყლოდა. ამიტომ მან ერეკლეს ზავი და თანამშრომლობა შესთავაზა და ამით სცადა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება. ქართლ-კახეთთან მშვიდობის დამყარების შემთხვევაში ოსმალთა ჯარების ახალციხეში შესვლა საჭირო ადარ იქნებოდა და სულეიმან ჯაფელი მის მტერს თავის ქვეყანაში აღარ იხილავდა. რაც მთავარია, სულთნის მთავრობა ერეკლესთან სამშვიდობო ურთიერთობით დაინტერესებული იყო, რათა იგი რუსეთისაგან ჩამოეცილებინა.

1786 წ.12 სექტემბერს ქართლ-კახეთსა და ახალციხის საფაშოს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება. ამიერიდან მოკავშირეები ხელს იდგბდნენ ერთიმეორის მტრობაზე. ერეკლე კის-რულობდა, რომ თავის სამეფოში მანამდე არსებული რუსის ჯარის გარდა მეტს არ შეიყვანდა. ახალციხის ფაშა კი მოვალე იყო, სულთნის ჯარები ქართლ-კახეთის საზღვრებთან არ დაეყენებინა.

ახალციხის ფაშასთან ასეთი ზავის გაფორმებით ერეკლემ ერთმანეთს შეათავსა რუსთა ჯარის ყოფნა თავის სამეფოში და სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება ოსმალების საფაშოსთან, რომელიც მაშინ დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. სულთნის მთავრობისათვის ეს ზავი უცნობი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი იძულებით ურიგდებოდა ერეკლეს სამეფოს, რაღაც ეშინოდა, რუსეთს იქ დამატებითი ჯარები არ შეეყვანა. ადნიშნული ზავი დიდხანს ვერ გაგ-

რძელდებოდა, რადგანაც რუსთა ჯარის რაოდენობის განსაზღვრული ნაკისრი ვალდებულების მიუხედავად, ერებლე მაინც დამატებით ჯარებს მოითხოვდა თავისი მფარველისაგან. ერებლე იმასაც კარგად გრძნობდა, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომის მომწიფების ვითარებაში მისი სამეფოს პოზიციას ორივე მხარისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და შექმნილი სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენებისათვის ზრუნავდა.

1786 წ. 18 დეკემბერს ერებლემ საგარეჯოში დიდებულთა თათბირი მოიწვია. დღის წესრიგში საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, კერძოდ კი, ოსმალეთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი იდგა. მეფეს აუცილებლად მიაჩნდა დიდებულთა მხარდაჭერა, მათი თანხმობა ახალციხესთან საზაგო მოლაპარაკების დასაზუსტებლად. დიდებულთა თათბირს გიორგი ბატონიშვილი და საქართველოს კათალიკოსიც ესწრებოდნენ. გადაწყდა რომ ფაშასთან მძვლები გაეგზავნათ. ერებლე ki რუს რეზიდენტს ბურნაშოვს ამშვიდებდა, რომ კველაფერს პოტიომკინს შეატყობინებდა.

1786 წ. სექტემბრის ზავი ახალციხესთან და საგარეჯოს თათბირის გადაწყვეტილება იმის მომასწავლებელი იყო, რომ ერებლე მეფე დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას აპირებდა.

ახალციხის ფაშასთან შეთანხმების შესახებ წერილობითი ინფორმაცია ერებლემ გენერალ პ. პოტიომკინს 3 თვის დაგვიანებით, 1786 წ. 26 დეკემბერს გაუგზავნა. შესაძლებელია, მეფე ინფორმაციის დაგვიანებას არც კი ანიჭებდა არსებით მნიშვნელობას, რადგანაც იგი 1783 წ. ტრაქტატს თითქოს არ არღვევდა. თუმცა, ფაშასთან მისი შეთანხმება სეპარატული იყო და გენერალ პავლე პოტიომკინის მიერ გამოთქმული გაკვირვება ერებლეს აღნიშნული ნაბიჯის გამო მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. პოტიომკინი ივიწყებდა, რომ 1783 წ. ტრაქტატი ორშერივ ვალდებულებას ითვალისწინებდა. კერძოდ, მფარველი მოვალე იყო დროულად დაეცვა საქართველო.

ქართველი პოლიტიკოსები არ ივიწყებდნენ ირანის ამბგბსაც. სპარსული წყაროების ცნობით, 1786 წ. ზაფხულში, როცა აღა-მაჰმად-ხანი ირანის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში გაბატონებული იყო, მას ისპაჰანის ახლოს დიდი პატივით მიუდია ქართველი თავადი ზაქარია-ხან-გურჯი – ციციშვილი. ერეკლეს მთავრობა კი აღა-მაჰმადის საბოლოო გამარჯვებას მოელოდა და მასთან ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდა. იმავე წელს, დეკემბერში, გარსევან ჭავჭავაძის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი გაგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო, რომ ციციშვილი სპარსეთში თითქოს თავისი ნათესავების სანახავად წავიდა. აღა-მაჰმადმა იგი ერეკლესთან გაისტუმრა და მეგობრობის სურვილი შეუთვალი მეფეს. აქედან ისიც ჩანდა, რომ შაპობის მოლოდინში მყოფი ეს ხანი აღიარებდა ერეკლეს მბრძანებლობას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ამ უანასკნელის მეშვეობით ცდილობდა რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას.

ბუტკოვის ცნობით, აღა-მაჰმადმა ციციშვილის მისიის საპასუხოდ ერეკლესთან გაგზავნა თავისი საგანგებო რწმუნებული – მეიდული – ხანი და ამის პირით აუწყა მეფეს მეგობრობის შესახებ. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის სახელმწიფო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა.

საგარეო ორიენტაციის გადასინჯვას მისი შეცვლა არ მოჰყოლია. საგარეჯოს თათბირი ახალი ორიენტაციის ძიების მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი იყო და რთული სიტუაციისაგან თავის დაღწევის მიზანს ემსახურებოდა. რუსეთთან კავშირის მაგისტრალური გზა ისევ დიარჩებოდა.

მეზობლებთან მორიგების დაწყება იქნებ იმითაც აიხსნებოდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ისტორიის ძველ გაკვეთილებს იხსენებდნენ. ფიქრობდნენ, ვაითუ რუსთა ჯარებმა კიდევ უფრო მძიმე განსაცდელის დროს მოლად მიგვატოვოს. ვახტანგ VI-ის მწარე ხვედრი მათთვის უცხო არ იყო.

მალე ცხადი გახდა, რომ ოსმალეთთან სეპარატული შეთანხმება ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსთა ორი ბატალიონი აქ იმყოფებოდა, აუცილებელი იყო და მომავალში, უფრო უარესი საფრთხის პირობებში, ქართლ-კახეთის მდგომარეობას რამდენადმე მაინც შეამსუბუქებდა. ახალციხის ფაშასთან სამშვიდობო ურთიერთობა უფრო განმტკიცდა 1787 წ. ოქბერვალში, როცა ყარაბაღის, ხოისა და აგარის ხანგმა მისი ჩაშლა სცადეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ფაშა მეგობრობასა და მმობას უთვლიდა ერეკლეს.

ახალციხის ფაშა კიდევ უფრო დაუტკბა ერეკლეს მაშინ, როცა ამიერკავკასიაში ხმა დაირხა, თითქოს საქართველოში რუსეთს 30 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსი გადმოჰყავსო, ხოლო ოსმალეთი ჩრდილოეთ ანატოლიის ფაშებს 60 ათასიანი ლაშქრის მობილიზაციას ავალებდა და სულეიმან ჯაფელს აფრთხილებდა, ერეკლესთან მეგობრული ურთიერთობა არ მოშალოო. მაშინ, 1787 წ. 13 ივლისს, ჯაფელს ერეკლესათვის არ დაუმალავს, რომ რუსთა გამარჯვების შემთხვევაში იგი მათ მიემხრობოდა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის წინა დღეებში ოსმალეთის მთავრობა ძალზე ფხიზლობდა კავკასიაში და თავისი აგენტი ხანების მეშვეობით იქ პოზიციების განმტკიცებისათვის იბრძოდა. ერეკლესადმი მეგობრული ტონი, მისდამი ნდობის გამოხატულებით კი არა, შექმნილი ვთორებით იყო ნაკარნახევი.

1787 წ. ზაფხულში ყარაბაღელმა იბრეიმ-ხანმა ერეკლეს საბატონო განჯა დაიკავა, ყაზახელი და შამშადილელი მომთაბარეების დიდი ნაწილიც მოიმხრო და ყარაბაღში დაასახლა. ერეკლესავე განმარტებით, ხანმა ეს „ოსმალეთის შთაგონებით გააკეთა“. მაშინ, 1787 წ. ივლისის ბოლოს, ქართველთა და რუსთა ჯარებმა განჯაში გაერთიანებული ლაშქრობა მოაწყვეს და განჯელები კვლავ დაიმორჩილეს, მაგრამ ყარაბაღის ხანი არ ცხრებოდა. ამ ხანით უკმაყოფილო ყარაბაღის სომები მელიქები ერეკლესთან გამოცხადდნენ და სოხოვეს, რომ მათი ქვეშევრდომი სომხები, რომელთაც იქ აღარ ედგომებო-

დათ, საქართველოში გადმოესახლებინა. ერეკლემ მელიქებს თავისი ჯარის დიდი ნაწილი გააყოლა. ქართველთა ჯარმა დაამარცხა ყარაბაღის ხანის ლაშქარი. ამის შემდეგ ყარაბაღში გადასული ყაზახ-შამშადილელებიც უკან ბრუნდებოდნენ და სომეხი ქრისტიანებიც წამოსვლას აპირებდნენ, მაგრამ ყველაფერი ჩაიშალა. განჯასთან მყოფმა ბურნაშოვმა ბრძანება მიიღო, რომ რუსთა ჯარი საქართველოდან სასწრაფოდ გამოეყვანა. ბევრს ეცადა ერეკლე, რომ ათი დღით მაინც შეეჩერებინა რუსები, მაგრამ ვერაფერი გააწყო. “მას რომ ჩემთვის დაეჯერებინა, - სწერდა ერეკლე წინა კავკასიის ჯარების სარდალ ტეკელის (იგი 1786 წ. აგვისტოში პავლე პოტიომპინის ნაცვლად დანიშნეს, ხოლო მოვალეობის შესრულებას 1787 წ. 4 ოქტომბერს შეუდგა), მაშინ ჩვენ, ჩვენსავე გლეხთა უკან დაბრუნებას შევძლებდით”. რაც შეეხება სომებს მელიქებს, ისინი თავიანთი ოჯახებითა და ქვეშევრდომთა მცირე ნაწილით ერეკლეს სამეფოში გადასულან. მელიქ აბოს ფერდალური სამფლობელოდანაც 500 ოჯახი გამოქცეულა და მაშინ ერეკლეს სამეფო ფარგლებში მყოფ შამქორში (ახლა აზერბაიჯანშია) დასახლებულა. რუსთა ჯარის წასვლის შემდეგ, განჯელებმაც ერეკლეს მორჩილებაზე უარი განაცხადეს.

1787 წ. აგვისტოს დამდეგს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ულტიმატუმი წაუყენა ბულგაკოვს, რუსეთის ელჩს კონტსანტინოპოლიში. ოსმალეთის მთავრობა კატეგორიულად მოითხოვდა, რომ რუსეთს ეცნო ოსმალეთის ბატონობა ქართლ-კახეთში, დაებრუნებინა მის-თვის ყირიმის ნახევარკუნძული და საბოლოოდ აედო ხელი ოსმალეთის ყოფილ სამფლობელოებზე. ბულგაკოვს კი ასეთი პრობლემების გადაწყვეტა არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, იგი 5 აგვისტოს ციხეში ჩასვეს. რუსეთთან ომისათვის ოსმალეთს ბევრი მიზეზი პქონდა. ამ შემთხვევაში მისი ქართლ-კახეთზე ბატონობის პრეტენზია ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

არც ერთ დიდ მტაცებელს მაშინ აზრად არ მოსვლია ეფიქრა იმის შესახებ, რომ საქართველო დამოუკიდებელი არსებობისათვის იბრძოდა. მათი წარმოდგენით ეს ქვეყანა მეომარი მხარეებიდან რომელიმე ერთის კერძი უნდა გამხდარიყო. საერთოდ, იმ პერიოდში ძლიერ სახელმწიფოთა მგლური მორალი პატარა სახელწიფოების დამოუკიდებლობას გამორიცხავდა.

რუსეთის მთავრობა ოსმალეთთან ომის თავიდან აცილებაზე ზრუნავდა და მზად იყო ხელი აეღო საქართველოს მფარველობაზე, ოდონდ თსმალეთი დაემშვიდებინა. გრიგოლ პოტიომეტინი რუსეთის იმპერატორ ეპატერინეს ურჩევდა ყირიმის დათმობას. ეს უკანასკნელი ამას არ დათანხმდა.

ოსმალეთის ოფიციალური ისტორიკოსის ჯევდეთ-ფაშას აზრით, „ომის გამოცხადების მთავარი საბაბი სწორედ ეს გურჯისტანის საკითხი იყო“.

1787 წ. სექტემბერში რუსთა ჯარები საქართველოდან გავიდნენ და საქართველო საკუთარი ძალების ანაბარად დატოვეს.

საქართველოდან რუსთა ჯარის გაყვანას რუსეთის მთავრობა იმით ამართლებდა, რომ 1783 წ. ტრაქტატი ნაჩქარევი იყო და სათანადოდ მომზადებული არ ყოფილა, ხოლო საქართველო აღნიშნული ჯარის წასვლის შემდეგ უფრო კარგად მოაგვარებდა ურთიერთობას თავის მეზობლებთან და მოისვენებდა. ასეთი იყო ოფიციალური თვალსაზრისი, რომელსაც რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები შეშფოთებული ერეპლეს დასამშვიდებლად გამოთქვამდნენ. საქართველოდან ჯარის გაყვანის დასაბუთება აშკარად თვალთმაქცერი იყო.

სინამდვილეში რუსეთის მთავრობამ ჯარი საქართველოდან საქართველოს ინტერესებისათვის კი არა, საკუთარი მიზნებისათვის გაიყვანა. ჩრდილოეთ კავკასიაში შეის მანსურის თაოსნობით ატეხილი „სადვოო ომი“ გრძელდებოდა. რუსთა ჯარებმა მათთან ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწიეს. ცხადია, რუსეთი მაშინ, როცა მის

საკუთარ სამფლობელოებს საფრთხე მოქლოდა და საერთოდაც საქართველოსათვის უანგარიშმ მსხვერპლს არ გაიღებდა.

მიმდინარე ომის პერიოდში საქართველო კვლავაც რჩებოდა ჩათრებული იმპერიის დიდ გეგმებში. გრიგოლ პოტიომეინის აზრით, ერებლეს სამეფოს ახლაც, ისევე როგორც ოსმალეთან წარსული ომის დროს, მთავარ ფრონტზე რუსთა წარმატებისათვის ხელი უნდა შეეწყო. მხოლოდ ერებლეს წინდახედულებით უნდა აისხნას ის გარემოება, რომ იგი პოტიომეინის რჩევას არ აჰყვა და ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა არ დაიწყო.

რუსთა ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ თავდასხმები არ შეწყვეტილა და თითქმის ძველი აქტივობითაც კი გრძელდებოდა.

გასაგები იყო, რომ ოსმალეთი, ისევე როგორც რუსეთი, ომის დაწყების მოქენებში ანატოლიის ფრონტის მოგვარებაზე ფიქრობდა. მიუხედავად კონსტანტინოპოლის ოფიციალური მიმართვებისა ერებლეს მიმართ, იგი ფარულად მაინც მტრობდა ქართლ-კახეთს. ახალციხის ფაშა სულეიმანის ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ და წინააღმდეგობა ამ ფაშასა და ანატოლიის სხვა ფაშებს შორის, რაც სულთნის სახელმწიფოს დეცენტრალიზაციაზე მიუთითებდა, მხოლოდ ნაწილობრივ ამსუბუქებდა ერებლეს მდგომარეობას.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტის მოგვარების საქმეში თავს არ ზოგავდა ცხობილი ომარ-ხანი, რომელიც სულთნის მოხელეებს ურჩევდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დამაკავშირებელი არტერიები გადაეჭრათ და ერებლეს სამეფო ყოველი მხრიდან შეევიწროვებინათ. ომარ-ხანმა სულთნის მთავრობის დაგადებით ერთხელ კიდევ მოითარება ქართლში, განსაკუთრებით კი, დარიალის გზის სიმაგრე – ანანური გააოხრა.

ომარ-ხანი და დადესტნელი სხვა ხანები თავიანთი ჯარებით ალაზნის ნაპირს მოადგნენ, მაგრამ ქართველები მზად დაუხვდნენ და მტრები ნუხისაგენ წავიდნენ, იქიდან კი ფათ ალი-ხანის წინააღმდეგ

ბრძოლას აპირებდნენ, რათა ერეკლე მეორის ეს ახალი მოკავშირე გაენადგურებინათ, მაგრამ ყარაბაღის ხანი საქმეში ჩარეცლა, მათი შერიგება და ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლის მოწყობა უცდია. ამის შესახებ ერეკლე მეფე გენერალ ტეკელის 1787 წ. 22 ნოემბერს ატყობინებდა და დასძნდა, რომ მიმდინარე წლის ზა-მთრისათვის საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრობა მზადდებოდა. ერეკლე კალავაც ჯარით მოშველიერას მოითხოვდა. ამასთან მეფე არ ივიწყებდა საყვედურებს მფარველის მიმართ, რომ მის მტრულად განწყობილ მეზობლებთან მარტო მიმოწერა საკმაო არ იყო; საქართველო ოქვენს მფარველობაში რომ არ შედიოდეს, „არ შეგაწუხებდით“. გრიგოლ პოტიომეტინი კი ისევ და ისევ ამშვიდებდა ერეკლეს, ნუ გეშინიათ, თურქებს ავტსრიამაც გამოუცხადა ომი და ისინი საქართველოს ველარ შეაწუხებენო. იმედგაცრუებული ერეკლე უამა დამოუკიდებლად მოქმედებდა და მეზობლებთან ურთიერთობას აგვარებდა.

ბევრს ცდილობდა ყარაბაღის ხანი, რომ ფათ ალი-ხანსა და ერეკლეს შორის მტრობა ჩამოეგდო, მაგრამ მიზანს ვერ ეწია. ომარ-ხან-თან მტრობამ და რუსეთთან კავშირმა აიძულა ფათ ალი-ხანი, რომ ერეკლესთან სამხედრო კავშირი დაემყარებინა. ახლა ეს ხანი ფხიზ-ლობდა და თავისი ლაშქრის მოძრაობას ერეკლესთან ათანხმებდა, რათა გაერთიანებული ძალებით უკუგდოთ ომარ-ხანისა და ყარაბა-აღის მფლობელის შემოტკიცები.

მიუხედავად იმისა, რომ პოტიომეტინი ერეკლეს ოსმელეთის წინა-აღმდეგ ბრძოლის გაჩადებას ურჩევდა, ერეკლე მის მოწოდებას არ აკეთა და ოსმალეთთან სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება არჩია. თავის მხრივ ოსმალეთი, ახალციხის ფაშას მეშვეობით ცდილობდა, რომ რუსორმე ერეკლე რუსეთისაგან ჩამოეცილებინა. ჯერ იყო და 1788 წ. 2 ნოემბერს ოსმალეთი ულტიმატუმის ტონით უთვლიდა ქარ-თლ-კახეთის მეფეს, რომ რუსეთთან უყველგვარი კავშირი გაეწყვიტა, განჯა-ერეგანზეც ხელი აედო და ორი ბატონიშვილიც მასთან მევ-

ლად გაეგზავნა. ერეკლემ კატეგორიული უარი შეუთვალა სულთანს, რომელიც იძულებული გახდა მეგობრული სიყვარულით მიემართა მისთვის. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთის მთავრობა ერეკლესთან ზავით დაინტერესებული იყო. ერეკლემაც არ დააყოვნა და რუსეთისაგან დამოუკიდებლად ოსმალეთთან სამეგობრო-საზავო ხელშეკრულება გააფორმა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ერეკლემ ასმალეთთან სამეგობრო ურთიერთობის აღდგენით, ფაქტობრივად, თავისუფალი მოქმედების უფლება მიიღო აზერბაიჯანში. ფათ ალი-ხანთან შეთანხმებითა და მისივე მხარდაჭერით მან აღადგინა თავისი ბატონობა განჯის სახანოზე.

1789 წ. იანვარში მდ. შამქორის ნაპირზე ერეკლე აზერბაიჯანის ერთ-ერთ უძლიერეს მფლობელს ფათ ალი-ხანს შეხვდა. აღმოსავლეთი ამიერკავკასიის ეს ორი გავლენიანი ხელმწიფე შეთანხმდნენ და ერთობლივი გეგმა შეიმუშავეს ყარაბაღის სახანოსა და სამხრეთი აზერბაიჯანის დასამორჩილებლად. მათ გაინაწილეს გავლენის სფეროები. ერეკლეს ამიერკავკასია, ფათ ალი-ხანს კი სამხრეთი აზერბაიჯანი ხვდა, რომელსაც მაშინ ირანის ტახტის მაძიებელი აღა-მაჰმად-ხანი დაპყრობით ემუქრებოდა. როგორც ჩანს, მოკავშირეებს მართლაც საინტერესო გეგმები უნდა ჰქონოდათ ირანის მიმართ და აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი შემოტევების წინააღმდეგ ემზადებოდნენ. მაშინ თბილისში თურმე დიდი პატივისცემით იფარავდნენ ირანის ტახტის ერთ-ერთ პრეტენდენტს – ნაზარალი-ხანს, რომელიც ნადირ შაჰის შვილი შვილი იყო. შესაძლებელია, მართლაც, რაიმე არსებითი წარმატება მოჰყოლოდა აღნიშნულ გეგმებს, რომ ენერგიული ფათ ალი-ხანი მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო (54 წლის ასაკში, 1789 წ. 29 მარტს) და ამიერკავკასიის ფეოდალურ ძალთა გაერთიანებისათვის ხელსაყრელი ობიექტური პირობები შექმნილიყო.

ამრიგად, დამოუკიდებელი პოლიტიკის გაგრძელების თვალსაზრისით ერეკლეს ცდები საინტერესო იყო, რამდენადაც ის

საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვას ისახავდა მიზნად. აშკარა იყო, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი არ აღმოჩნდა ის ხელშეკრულება, რომელიც ქართლ-კახეთს დაეხმარებოდა.

4.9. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. აღა-მაჟად ხანის შემოსევა 1795 წელს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

1791 წ. აღა-მაჟად-ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა, მალე მის მხარეზე შირაზის მმართველიც გადავიდა. 1794 წ. მან საბოლოოდ დაამარცხა ქირმანში გამაგრებული ლუტი ალი-ხან ზენდი. ამიერიდან აღა-მაჟადი ირანის ყველა ძირითადი პროვინციის მბრძანებელი გახდა.

ტახტისათვის თავგამოდებული ბრძოლის პერიოდში, აღა-მაჟად-ხანი ქართლ-კახეთის მბრძანებელს „მეგობრობას“ სთავაზობდა, შემდეგ კი, როცა გაძლიერდა, ერეკლესადმი მისი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. იგი უკვე ქართლ-კახეთზე ირანის ძველი ბატონობის აღდგენის ცდილობდა და ერეკლესაგან რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. ერეკლეს მთავრობა გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს და ხშირად მიმართავდა თავის მფარველ რუსეთს, რათა დროული დახმარება აღმოეხინა.

1791 წ. ირანის მბრძანებლის მიერ აზერბაიჯანის დამორჩილების შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა განჯის სახანო. ერეკლეს მხარეზე რჩებოდნენ შუშის (ყარაბაღის) და ერევნის სახანოები. მათ ირანის ხელმწიფებს მორჩილებასა და ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალეს. ერევნის ხანმა ჰუსეინმა შეახსენა აღა-მაჟადს, რომ იგი საქართველოს მეფის, ირაკლის ვასალი იყო.

ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ირანში არსებული არეულობის გამოყენება და წინადაღებით მიმართავდნენ რუსეთის მთავრობას, რომ ირანის საქმეებში

ჩარეულიყო. მათი აზრით, რუსეთის მიერ დამარცხებული ოსმალეთი ირანს ვერ დაეხმარებოდა, ხოლო საქართველო-სომხეთის მხარდაჭერით რუსეთი ირანის საქმეებს თავის სასარგებლოდ მოაგვარებდა. მაგრამ რუსეთის მთავრობამ ოსმალეთთან ომი სწორედ იმ მომენტში დაასრულდა და ასე უცებ ომის დაწყებას არ აპირებდა. 1792 წ. ერეკლეს აცნობეს, რომ აქეთ ჯარის გამოგზავნას არ აპირებდნენ. რის შესახებაც, 1792 წ. 8 მაისს, წინა კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარის სარდალ გუდოვიჩსაც მისწერეს.

იმ დროს, როდესაც აღა-მაჰმად-ხანი ლუტე ალი-ხან ზენდის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა, საქართველო-ში ეშინოდათ, რომ ცბიური დამპყრობელი მოულოდნელად შეცვლიდა თავის გეგმას და თბილისის მიმართულებით წავიდოდა. ამის შესახებ ერეკლე რუსეთში მყოფ თავის შვილს მირიანს სწერდა, რომ დაესვა საკითხი რუსეთის მთავრობის წინაშე, რათა აღა-მაჰმადს საქართველოს წინააღმდეგ ბოროტ წამოწყებაზე ხელი აეღო.

რუსეთის სახელმწიფო მართლაც გამოეხმაურა ერეკლეს მოთხოვნას. გენერალ გუდოვიჩს დაევალა აღა-მაჰმად-ხანის გაფრთხილება, რომ მის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევაში რუსეთი სათანადო ზომებს მიიღებდა. ამავე დროს გუდოვიჩს ავალებდნენ, რომ სიტუაციის შესაბამისად მოქცეულიყო და „დიდი ხარჯებისა და დავიდარაბის გარეშე“ ემოქმედნა; მასვე უნდა “გაემსხვევებინა” ქართლ-კახეთის ხელმწიფე, რომ რუსეთი ყურადღების გარეშე არ დატოვებდა. როგორც ვხედავთ, მფარველი რუსეთი საქართველოსათვის საჭირო სამსედრო დახმარების საკითხს ჯერჯერობით დიად ტოვებდა. დახმარება არსებითად დიპლომატიური იქო, რასაც იმ მომენტში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. მოსალოდნელი საშიშროება კი ამით არ მოხსნილა. რუსეთსა და აღა-მაჰმად-ხანს შორის სამშვიდობო ურთიერთობის მოუგვარებლობისა და მტრის გაძლიერების პირობებში ქართლ-კახეთის მდგომარეობა დღითიდღე უფრო სახიფათო ხდებოდა.

1793 წ. ოსმალეთი აქტებდა აღა-მაპაძ-ხანს ქართლ-კახეთში ირანის ქველი ბატონობის აღდგენისათვის. იგი მას ჰპირდებოდა, რომ ირანის მმართველად სცნობდა იმ შემთხვევაში, თუ ქართლ-კახეთს დაიპყრობდა და იქ რუსეთის გავლენას მოსპობდა. გასაგებია, რომ ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველოში სუსტი ირანის გავლენა ერჩია, ვიდრე ძლიერი რუსეთის გაბატონება, რასაც ამიერკავკასიის ასპარეზიდან ოსმალეთის სრული განდევნა მოჰყვებოდა.

შექმნილ ვითარებაში, როცა რუსეთიდან დახმარება არ ჩანდა, ქართველ პოლიტიკოსებს ტრადიციული ხერხისათვის მიუმართავთ. ირან-თურქეთის წინააღმდეგობის გამოყენება უცდიათ და თურქეთისათვის დახმარება უთხოვიათ. ასევე მოქავულიან ერეკლეს ვასალებიც – ყარაბაღისა და ერევნის ხანებიც, მაგრამ ამას რაიმე სანუგაშო შო შედეგი არ მოჰყოლია.

ქართლ-კახეთის მდგომარეობა კრიზისული გახდა. ცხადად შეიმჩნეოდა, რომ დიდი მფარველის დახმარების შემყურე ერეკლეს საკუთარი ძალებისადმი რამდენადმე უყურადღებობის ტენდენცია დასხემდა. ახლა ხომ ოსმალეთის მხრიდან იმერეთსა და ქართლ-კახეთს წინანდელი საშიშროება არ მოედოდა. დასავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის მეფის შვილიშვილი მეფობდა და იქ ერეკლეს გავლენა უცილობელი იყო, საიდანაც მაშველი ჯარის მიღებას არაფერი აბრკოლებდა. საკუთრივ ქართლ-კახეთს კი, დორულ დონისძიებათა შედეგად, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეგროვება შექმნო. ასე რომ, კრიზიკულ ვითარებაში უცხო და საკმაოდ შორეული ძალებისადმი მინდობას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. რუსეთის მფარველობით დაიმედებული ერეკლე კვლავაც მოლოდინს არჩევდა და ასე გრძელდებოდა მანამდის, ვიდრე ირანელ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ამიერკავკასიისაკენ არ დაიძრა.

1794 წ. იანვარში ერეკლემ რუსეთში ისევ გარსევან ჭავჭავაძე მიავლინა და მის გამჭრიახობაზე ამყარებდა იმედს, რომ იგი ბოლოს და ბოლოს მიზანს მიაღწევდა და საქართველოს რუსთა ჯარს მიაშ-

ველებდნენ. გარსევანი 1794 წ. 21 მაისს ეკატერინე II-ის შეხვდა. იგი ერეკლეს პირით დაუყოვნებლივ დახმარებას მოითხოვდა.

1795 წლის მაისში აღა-მაჟად-ხანი თავის ჯარებს უკვე არდებილ-ში აგროვებდა. მისი მიზანი აზერბაიჯანის სახანოების სრული და-მორჩილება და საქართველოს დაპყრობა იყო. ერეკლე ახლა წინა კავ-კასიაში მყოფი რუსთა ჯარების სარდალს მიმართავდა და 1783 წ. ტრაქტატის საფუძველზე 3000 კაცის გამოგზავნას ითხოვდა. გენერალ გუდოვიჩს საქართველოში ჯარის გაგზავნის უფლება არ პქონდა. მან ქართლ-კახეთის მეფის თხოვნა თავის მთავრობას აცნო-ბა რუსეთის მთავრობა კი არ ჩერობდა.

1795 წლის ივნისში ერეკლემ შუშისა და ერევნის სახანოების და-სამორჩილებლად აღა-მაჟად-ხანის მიერ გამოგზავნილი 8 ათასიანი ჯარის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქარი გაგზავნა ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით. შუშისა და ქართველ მეომართა გაერ-თიანებულმა ლაშქარმა ყარაბაღის ვიწროებში სასტიკად დაამარცხა ირანელები.

1795 წ. ივლისის ნოტით ქართველი ელჩი რუსეთის კანცლერ ბეზ-ბოროდკოს სთხოვდა, რომ გადაჭრით ეცნობებინათ მისთვის, აპირებ-და თუ არა რუსეთი საქართველოსათვის 1783 წ. ტრაქტატით გათვა-ლისწინებული დახმარების აღმოჩენას. რუსეთის მთავრობა ასეთ კატეგორიულ მოთხოვნაზე პასუხის გაცემასაც მოერიდა. როგორც ჩანს, იგი ამიერკავკასიაში დაძაბული ვითარების ისეთ ფინანს მოელოდა, რომ ამ ქვეების საშინაო საქმეებში ჩარევა მისთვის უფრო ხელსაყრელი ყოფილიყო. ერეკლე როგორც ტრაქტატის ერთგული დამცველი, უხერხულადაც კი თვლიდა თავს, რომ მფარველის დაუკითხავად დამოუკიდებელი ზომები მიედო და საამისო თანხმობის უფლებასაც კი სთხოვდა ეკატერინე II-ეს რომ საქართველოს საშუალება პქონოდეს „უწინარეს მიღებად საჭიროთა ზომათა პირისპირ წინააღმდეგისა თვისისათ“. მაგრამ ერეკლე ამ შემთხვევაში მთლად გულწრფელი არ ყოფილა. იგი ხომ

მფარველისაგან დამოუკიდებლადაც ხშირად აგვარებდა თავის საგარეო საქმეებს.

1795 წ. ივლისის შუა რიცხვებში აღა-მაპმად-ხანი საომრად უკვე მზად იყო. ამავე წლის 4 აგვისტოს ირანელებმა მდ. არაქსი გადმოლახეს და სამი მიმართულებით დაიძრნენ. ჯარის ძირითადი ნაწილი, რომელსაც თვით შაპი მიუძღვოდა, შუშის ციხისაკენ წამოვიდა, ხოლო მეორე და მესამე ნაწილები ბაქო-ყუბისა და ერევნისაკენ გაემართნენ. ერეკლესათვის უკვე ცნობილი იყო, რომ შუშისა და ერევნის აღების შემდეგ შაპი თბილისს შემოუტევდა, მაგრამ ცბიერ ყაჯარს, რომლის განკარგულებაშიც 70 ათასამდე მეომარი იყო, შუშა-ერევნის აუდებლადაც შეეძლო ქართლისაკენ წამოსვლა. ერეკლემ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ვერ გაითვალისწინა და დროული ზომები არ მიიღო დამატებითი ლაშქრის შესატევდად.

აგვისტოს დასაწყისში ყაჯარმა აღვიდად შემორტყა ალყა მოუკალ შუშის ციხეს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. თითქმის ერთი თვის განმავლობაში იდგა შაპი გარემოცულ ციხესთან და აქედან ზეპრავდა არა მარტო ერეკლეს მოქმედებას, არამედ გენერალ გუდოვისაც. აღა-მაპმად-ხანისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გაეგო, გაუგზავნიდნენ თუ არა რუსები ერეკლეს მაშველ ჯარს.

შუშის ციხესთან მდგომარეობა II-ეს ულტიმატუმი გაუგზავნა. იგი მისგან რუსეთის მფარველობაზე სამუდამოდ ხელის აღებას, სპარსეთის ვასალობასა და ხარკს მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დამპყრობელი ქართლ-კახეთში შემოსევით იმუქრებოდა. ერეკლემ მას პასუხი არ გასცა. აღა-მაპმად-ხანი კი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე განხეთქილებას თესდა, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეთა შორის თავისი მომხრები ეშოვნა და ამ გზით ერეკლეც დაემორჩილებინა.

ერეკლეს მთავრობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ რუსეთისაგან სამხედრო დახმარება მიეღო. ამ მიზანს ემსახურებოდა პეტერბურგში სხვადასხვა დროს გაგზავნილი წერილები (ერეკლე მფ-

ორის, სოლომონ მეორის, დარეჯან დედოფლის, მირიან ბატონიშვილის, გაიოზ არქიმანდრიტისა და სხვ.). პეტერბურგში თუ წინა კავკასიაში დაგზაფნეს მალემსრბოლები (თავადი აფხაზი, გ. ავალიშვილი, ს. მელიქოვი, ფ. ხუციშვილი და სხვ.), რომლებიც პირადი კონტაქტებითაც მოაგონებდნენ რუსეთის სახელმწიფო მოხელეებს, რომ დახმარების დაყოვნება არ შეიძლებოდა, მაგრამ ყოველგვარი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

დაგვიანებით, 1795 წლის 4 სექტემბერს, რუსეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის საშველად 2 სრული ბატალიონი გაეგზავნათ, მაგრამ ამის შესახებ განკარგულება გენერალ გუდოვიჩმა მიიღო 1 ოქტომბერს, როცა თბილისი უკვე დანგრეული იყო.

შუშის ციხესთან მდგომი აღა-მაჰმად-ხანი ელოდა, თუ როგორ გამოქმაურებოდა რუსეთი ერეკლეს თხოვნას. 1795 წ. ივნისში მან დიპლომატიური სვლით სცადა ამის გაგება და რუსეთისში ელჩები გაგზავნა. როცა ისინი კავკასიის ხაზზე გენერალ გუდოვიჩთან გამოცხადდნენ, გამოირკვა, რომ მათ ელჩობის დამადასტურებული რწმუნების სიგელები არ აღმოაჩნდათ. სინამდვილეში ეს ელჩები ციიერმა შაჰმა განგებ გაუშვა უსაბუთოდ და მათ დაავალა გაერკვიათ, ემზადებოდნენ თუ არა წინა კავბასიაში საქართველოს დასახმარებლად. გუდოვიჩმა „ელჩები”უკან გააბრუნა და უთხრა, რომ საქართველო რუსეთის „საფარველ ქვეშ იმყოფებოდა და აღა-მაჰმად-ხანმა არ უნდა გაბედოს მასზე თავდასხმა”.

შაჰის წარგზავნილები სექტემბრის დასაწყისში უკვე უუბაში იყვნენ და აქედან აცნობეს შუშის ციხესთან მყოფ თავის ბატონს სასიხარულო ამბავი, რომ საქართველოს დასახმარებლად რუსთა ჯარს არ აგზავნიანო. ეს ცნობა კი ეხლა ყველაზე მთავარი იყო აღა-მაჰმად-ხანისათვის.

ერეკლე მეორის შვილიშვილების ცნობით, რომლებიც წარმატებით იბრძოდნენ ირანელ დამპყრობლების წინააღმდეგ 1795 წ. აღა-

მაკმად-ხანი დიდალ საჩუქრებს უგზავნიდა წინა კავკასიაში განლაგებულ რუსთა ჯარის სარდალს გენერალ გუდოვიჩს და ამიტომ მან რუსთა მაშველი ჯარი არ გამოგზავნაო. გუდოვიჩს საქართველოში ჯარის უნებართვოდ გამოგზავნა არ შეეძლო. მას თავისი მთავრობა ავალებდა, რომ ქართლ-კახეთის სასარგებლოდ ემოქმედნა „დიდი ხარჯებისა და დავიდარბის გარეშე” სიტუაციის შესაბამისად. გუდოვიჩის უტაქტობა თუ უულხარბობა საქართველოსათვის იმ საბედისწერო მომენტში ხელს უწყობდა აღამაკმად-ხანს ადვილად დარწმუნებულიყო იმაში, რომ რუსთა მაშველ ჯარს არ აგზავნიდნენ. ასეთი საქციელი კი ნამდვილად საქვთო იყო. ის გარემოება, რომ სპარსულ წყაროებში გუდოვიჩის მამხილებელი რამ ჯერჯერობით მიკვლეული არაა, ამ ბრალდებას ვერ ხსნის. ყოველ დღესა და საათს მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გენერალს აღა-მაკმად-ხანის საქვთო აგენტები („ელჩები“) რომ დაეკავებინა, ან თავისი ჯარების მოჩვენებითი მოძრაობა დაწყო, არავინ უშლიდა, მაგრამ არაფერი მსგავსი არ გაუკეთებია. გამოდის, რომ გუდოვიჩმა საქართველოზე ამხედრებულ მტერს მისთვის აუცილებელი ცნობის მიღებაში, ნებსით თუ უნებლიერ, ხელი შეუწყო. არსებულ მასალებში გუდოვიჩი ზოგჯერ ანგარებიანისა და გაუმაძლარის ეპითეტებით იხსენიება.

1795 წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ერეკლე და მის დასახმარებლად ჯარით მოსული იმერეთის მეფე სოლომონ II ერების საშველად გაემართნენ. ამ ლაშქრობით ერეკლე თავის სავასალო ერების სახანოს დაცვასა და ფაჯარის ჯარების იქ დამარცხებას ფიქრობდა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში აღა-მაკმად-ხანმა შუშასთან მცირერიცხვანი ჯარი დატოვა და მთავარი ძალებით განჯის გავლით თბილისისაკენ დაიძრა. ერეკლეს ყოფილი გასალი ჯავად-ხან განჯელი დამპყრობელს გვერდში ამოუდგა და საკუთარი ჯარიც მიაშველა. აღა-მაკმად-ხანის მხარეზე გადავიდნენ ერეკლეთი უმაყოფ-

იღლ ყარაბაღელი სომეხი მელიქები, მეჯლუმი და ჰაბოვი. მაღლ ერევნის ხანმაც ქედი მოუხარა დამპურობელს, ხოლო სომეხთა კათალიკოსმა დიდქალი თანხის გადებით „იყიდა“ მშვიდობა.

თბილისისაკენ ირანელთა დაძვრის შესახებ ერევლემ 4 სექტემბერს გაიგო. მდგომარეობის ასე სწრაფად შეცვლას მეფე არ მოელოდა. საფრთხე გარდაუვალი ჩანდა. შესაძლებელია დამატებითი ჯარის შევრა კიდევ მოესწორო, რომ მაშინდელი ქართლ-კახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უფრო მოქნილი და ცენტრალიზებული ყოფილიყო.

ეპატერინე მეორისაგან დახმარების მოიმედე ერევლე ახლა დიდი ბრძოლისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა და სახელდახელოდ შეფრილი 5000 მეორით უნდა შებმოდა მტერს, რომელიც 35000 მოლაშქრით თბილის უახლოვდებოდა.

მდ. ხრამის ნაპირზე, იაღლუჯასთან, სოლანდულთან და ბოლოს, კრწანისის მინდორზე 10 სექტემბერს გამართულ ბრძოლებში ქართველები დამარცხდნენ. 11 სექტემბერს, დამით, თბილისი მტერმა დაარბია.

ყაჯარის ჯარებმა თბილისი მოაოხრეს, გაძარცეს ეკლესიები, სასახლეები. მიწასთან გაასწორეს სტამბა, ცეცხლს მისცეს წიგნთსაცავები და მოსახლეობის დიდი ნაწილი დაატყვევეს. ერევლეს სასახლიდან თავდამსხმელებმა სამეფო ხაზინასთან ერთად გაიტაცეს მეფის მიერ რუსეთისაგან მიღებული საბუქრები - სამეფო კვერხი, გვირგვინი, დროშა და სხვ. კრწანისის ომით გამოწვეული ზარალი მარტო ამით როდი ამოიწურებოდა.

ცხადი გახდა, რომ დამპურობები ქართლში დიდხანს ვერ იბოგინებდნენ. მთიულეთში მყოფი ერევლე ძალებს იკრებდა.

უშედეგოდ დამთავრდა საზაფო მოლაპარაკება ყაჯარსა და ერეკლეს შორის. მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ურთიერთნდობის აღდგენა გამორიცხული იყო. შაპის სახელმწიფოსა და ქართლ-კახეთს

შორის პოლიტიკურ კავშირს საფუძველი გამოეცალა. 20-21 სექტემბრ-ის აღა-მაჟად-ხანი თავისი ლაშქრით თბილისს გაეცალა.

90-იანი წლების მიწურულში ამიერკავკასიის ასპარეზზე და ირანში შედარებით უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა იმისათვის, რომ რესევტის იმპერიას აქ თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის უშუალო ბრძოლა განეხლებინა.

1795 წ. დეკემბერში, დაგვიანებით, რუსთა ორ-ორი ბატალიონი საქართველოსა და დაღესტანში შევიდა. ერეკლემ და ყარაბაღის ხანმა იბრეიმმა აღადგინეს თავიანთი ბატონობა განჯაზე. ამასობაში ხორასანში აჯანყებაც დაიწყო და აღა-მაჟად-ხანი ირანისკენ გაეშურა.

აღნიშნულ ვითარებაში რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ირანში ძლიერი ლაშქრობა მოეწყო და ამიერკავკასიაშიც თავისი პოზიციები საბოლოოდ განემტკიცებინა. ირანის წინააღმდევ ბრძოლა „აღა-მაჟად-ხანის დასჯის საბაბით“ ეწყობოდა. ნამდვილად კი, რუსეთის მთავრობა ცდილობდა თავის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების დაცვას ირანსა და ინდოეთში. ამისათვის საჭიროდ მიიჩნიეს ირანის საბოლოო განვითარება ამიერკავკასიიდან და ბაქო-დარუბანდის ოკუპაცია რუსთა ჯარების მიერ. რუსეთის ასეთ გეგმებში ქართლ-კახეთს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ფიქრობდნენ „აღედგინათ ერეკლეს ხელისუფლება მის ყველა სამფლობელოში“. რუსეთის იმპერია ამ ეტაპზე თითქოს მართლაც აპირებდა დროებით გაეძლიერებინა ერეკლეს იმ მიზნით, რომ მას, რუსთა ჯარებით ზურგიამაგრებულს, ამიერკავკასიაში რუსეთისაგე პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის უკეთესად ებრძოლა.

რუსეთის გეგმები ამ დროს საეჭვოდ გამოიყერებოდა. ფიქრობდნენ, რომ ერეკლეს საბატონო მხარე, განჯა მომავალ დაპყრობათა პლაცდარმად გადაექციათ და იქ სამხედრო-რუსული კოლონია მოეწყოთ. განჯაში 2000 ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცი უნდა დაესახლებინათ, რომლებიც იქვე ოჯახებს შექმნიდნენ და იმპერიის მიზნების შემდგომ რეალიზაციას ხელს შეუწყობდნენ.

ამიერკავკასიაში რუსთა ლაშქრობა 1796 წ. აპრილში დაიწყო. ჯარებს სარდლობდა ვალერიან ზუბოვი (ეკატერინე მეორის ფავორიტის – პლატონის ძმა). რუსთა ჯარებმა, ქართველებისა და ამიერკავკასიელი სხვა ხალხების ერთი ნაწილის მხარდაჭერით, დაიგავეს დარუბანდი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქები. ამას მოჰყვა ერეკლეს სახელმწიფოს მდგომარეობის კვლავ განმტკიცება. 1796 წ. 30 აპრილის წერილით პლატონ ზუბოვი ამხნევებდა ერეკლეს, რომ მისი სამეფოს ფარგლები მდ. არაქსიდან ოსმალეთის საზღვრებამდე უნდა გაფართოებულიყო. ეკატერინე II აცხადებდა, რომ საქართველოს გაძლიერება მას რუსეთის სარგებლობისათვის სჭირდებოდა, მაგრამ ყველაფერი ეს ისევე სწრაფად გაქრა, როგორც აღმოცენდა.

ეკატერინე II-ის გადაცვალებისთანავე (1796 წ. 6 ნოემბერს) ახალმა იმპერატორმა პავლე ირანში ლაშქრობა მოშალა.

პავლე თავის დედის დამპურობელურ გეგმებზე საქვეყნოდ უარს აცხადებდა და მოჩვენებითი მშვიდობისმოყვარეობით ცდილობდა ახალი პოლიტიკის წარმართვას. შიუხედავად ამისა, მალე ცნობილი გახდა, რომ პავლე I ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებზე ოდნავადაც ხელს არ იღებდა და ფიქრობდა, რომ ამ ასპარეზზე პოზიციების განმტკიცება ამ დროს აშკარა ომის გზით კი არა, შენიდბული დიპლომატიური გზით სჯობდა. ასეთი უკან დახევა რუსეთის ფეოდალური იმპერიის შინაგანი სიმნილეებით აიხსნებოდა. რუსეთის ხელმწიფე ნაპოლეონთან კავშირისაკენ იხრებოდა და ამავე დროს ინგლისთან ურთიერთობის წახდენასაც ერიდებოდა. ირანში ლაშქრობის მოშლის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ რუსეთის მოკავშირე ინგლისი ამ ლაშქრობას ეჭვის თვალით უყურებდა.

საქართველოს საქმეებისადმი თავისი დამოკიდებულება პავლე I გამოხატა წინა კავკასიის ჯარების სარდალ გუდოვიჩისადმი განკარგულებით 1797 წ. 5 იანვარს. იმპერატორი მოითხოვდა, რომ სათანადო ურთიერთობა არ გაეწყვიტათ ქართლ-კახეთის მეფესთან და იმ ქვე-

յնեბის მმართველებთან, რომლებიც რუსეთის მფარველობას ამჯობინებდნენ, რათა საჭირო შემთხვევაში „ყველა მათგანი ერთად გამოსულიყო რუსეთის მტრების წინააღმდეგ”, რომ რუსეთს რაც შეიძლება ნაკლებად დასჭირვებოდა იარაღით გამოსვლა მათ მხარეზე. პავლეს აზრით, რუსეთის მომხრე მფლობელთაგან უნდა „შექმნილიყო რუსეთზე დამოკიდებული ფედერაციული სახელმწიფო”, რომელიც საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი იქნებოდა.

ამრიგად, რუსეთი ამ ეტაპზე არახელსაყრელი ვითარების პირობებში ამიერკავკასიაში ქართველი და სხვა ხალხების პოლიტიკური დაქვემდებარებისა და მათი საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზით ფიქრობდა თავისი ბატონობის განხორციელება. ამაზე შორს წასვლას is ჯერჯერობით არც აპირებდა.

რამდენადმე მედიდური იყო იმპერატორის დამოკიდებულება ირანის შაპისადმი. გუდოვის ევალებოდა განეცხადებინა აღა-მაჰმადხანისათვის, რომ თუ მას „რუსეთთან მშვიდობის შენარჩუნება სურდა”, კასპის ზღვის დასავლეთ ნაპირებსა და საქართველოზე ხელი უნდა აედო. განსხვავებული იყო ურთიერთობა ოსმალეთისადმი. გენერალ გუდოვის აფრთხილებდნენ, რომ ოსმალეთისათვის უქმაყოფილების რაიმე საბაბი არ შეიცა, რათა მასთან დადგებული სამშვიდობო ზავი არ დარღვეულიყო.

1795 წ. შემოსევის შემდეგ, ირანი საქართველოს მფარველ-მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. ირანელ დამპყრობთადმი ხალხის სიძლვეების საზღვარი აღარ ჰქონდა. ერეკლე II-ემ გადაჭრით უარყო ირანთან მორიგების გზა და რუსეთთან კავშირის შემჭიდროებით კიდევ უფრო გააღიზიანა საქართველოს კართან მომდგარი მრისხანე დამპყრობელი. ირანის შაპი ახლაც მუქარას მუქარაზე უგზავნიდა ერეკლეს; კვლავაც რუსეთთან კავშირის გაწყვეტასა და ირანისადმი მორჩილებას მოითხოვდა, მაგრამ ახლა უკვე გვიანდა იყო. კრწანისის საბედისწერო ომის შემდეგ არც აღა-მაჰმადხან და არც ერეკლეს არ სჯეროდა, რომ მათ შორის შერიგება მოხერხდებოდა და ირან-

საქართველოს ურთიერთობის ძველი, ნადირ შაჰის და ქერიმ-ხანის დროინდელი სტატუსი აღდგებოდა.

გენერალმა ზუბრვამა იმპერატორის ბრძანება ჯარის გაყვანის შესახებ 1796 წ. 6 დეკემბერს მიიღო. ზამთრის პირობებში დარიალის გზით ჯარების გაყვანა ვერ მოხერხდებოდა და ეს საქმე დაყოვნდა, მაგრამ დაყოვნების მიზეზი მხოლოდ ამინდი როდი იყო. რუსეთის მთავრობა და მისი სარდლობა ჯარების გაყვანას პოლიტიკური მიზნებითაც აბრკოლებდნენ. ირანის შაჰი თავს ჯერ კიდევ ძლიერად გრძნობდა და ჯარების სწრაფი გაყვანა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ რუსეთის მთავრობა საბოლოოდ უნდა გამოთხოვებოდა თავის გავლენას მის მომხრე ერეკლესა და აზერბაიჯანის ხანებზე. არსებული „ბრძანება“ კი ძალაში შევიდა იმით, რომ ლაშქრობა ირანისაკენ შეწყდა და პოლკების საეჭაპუაციოდ მოძრაობა დაიწყო განჯიდან, ერთი მხრივ - საქართველოსა და მეორე მხრივ - ბაქოსაკენ.

რუსთა ჯარების უკან დახვით შეშფოთებულმა ერეკლემ გარსევან ჭავჭავაძე ისევ პეტერბურგში მიავლინა. იგი პაგლე პირველს სთხოვდა, რომ საქართველოში 4000 მეომარი გამოეგზავნა და აქ დაეტოვებინა მანამდის, სანამ მისი სამეცო „საკუთარი ძალებით თავის დაცვას“ შეძლებდა. ამასთანავე, ერეკლე რუსთ ხელმწიფეს ადამიად-ხანის მიერ გამოგზავნილი მუქარის წერილს უგზავნიდა, რომლითაც ირანის შაჰი საქართველოდან რუსთა ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა და 1795 წ. სისხლისლვრაში დამნაშავედ ერეკლეს აცხადებდა - მთელი უბედურების მიზეზი შენ ხარ, რადგან ირანს გადაუდევი და მის საყმოში რუსები შემოიყვანეო!

რუსეთის მთავრობა არანაკლებ იყო დაინტერესებული ირანის შაჰის შემდგომი გეგმებით, ამიტომაც იგი ჯარის გაყვანას აყოვნებდა. შაჰის მეორედ ლაშქრობა ნამდვილად შეცვლიდა ამიერკავკასიელ მფლობელთა ორიენტაციას რუსეთზე. ამის ნიშნები ნათელი გახდა უკვე მაისში, როცა რუსთა პოლკებმა ჩრდილო კავკასიაში გადასვლა დაიწყეს. შუშის, ნუხისა და შამახიის ხანებს თითქოს თავისი ელჩები

გაუგზავნიათ ირანის შაპთან და მორჩილება გამოუცხადებიათ მისთვის, მაგრამ, როგორც შემდეგში ცხადი გახდა, შაპს მათი არ სჯეროდა.

ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ იმყოფებოდა 1795 წ. დეკემბერში შემოყვანილი რუსთა რაზმი. რუსთის მთავრობა ჯერჯერობით არც აპირებდა მის გაყვანას. ამიტომ ერველე II-ის მომადლიერებას იმით, რომ ეს ჯარი იქ კისევ დარჩებოდა, ნამდვილად არაფერი ხელს არ უშლიდა. თითქოს ასეც მომხდარა და ამის შესახებ ერველესთვისაც უცნობებიათ 1797 წ. 7 მაისს, როცა ირანის ხელმწიფე თავის ჯარებს უკვე არდებილისა და ყარაბაღისაკენ აგზავნიდა. 1797 წ. ივნისის დამდეგს ირანის შაპთა ისევ გაუმჟორა ულტიმატუმი ერველეს და ურჩობის შემთხვევაში კვლავ ქვეყნის აოხრებით იმუქრებოდა. ერველემ ეს მუქარაც უპასუხოდ დატოვა.

რუსთა ჯარების ძირითადი ნაწილების წასვლით გამხნევებულმა აღა-მაჟმალ-ხანმა ივნისის პირველ რიცხვებში მდ. არაქსი გადმოლახა და 12 ათასიანი ცხენოსანი ლაშქრით შუშისაკენ დაიძრა. ერვენის ხანმა ისევ ქედი მოუხარა დამპურობელს, ემირაძინმაც კვლავ დიდი კონტრიბუციით ისხნა თავი, ხოლო იბრეიმ ყარაბაღელმა გაქცევით უშველა თავს. ასე რომ, შაპთა მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილი სახანოს ცენტრი შუშა დაიკავა. აქედან საჭურისი ხანი საქართველოს კვლავ მოსაოხრებლად ემზადებოდა, მაგრამ ქართლისათვის საბეჭინეროდ, იგი შეთქმულებმა მოჰკლეს 1797 წ. 6 ივნისს. წყაროების ცნობით მის მკვლელობაში ქართველების ხელი ერია.

ამიერიდან ერველეს ადგილად შეეძლო თავისი ბატონობის აღდგენა უკვე მერამდენეჯერ დატარგულ განჯისა და ერვენის სახანოებზე ისევე, როგორც ჭარელ მძარცველთა სამაგალითო დასჯა, რასაც იგი ჯერ კიდევ რუსთა ჯარის დახმარებით აღწევდა.

ერველეს ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა დაუინებით მოეთხოვა რუსთის მთავრობისაგან ჯარითა და ფულით დახმარება დანგრეული ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისათვის და ითხოვდა კიდეც. რუსეთის მთავრობა მისგან დიდად დავალებული იყო იმით, რომ ქართლ-

ქახეთის სახელმწიფომ აურაცხელი მატერიალური და მორალური მსხვერპლი გაიღო დიდი იმპერიის მიზნების განხორციელებისათვის ამიერკავკასიაში. მართალია, ერეკლე რუსეთის ძალთა გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის ცდილობდა, მაგრამ ასეთი ცდების ობიექტური შედეგი ქართლ-კახეთის საბოლოო გაძლიერება კი არა, რუსეთის გავლენის გაფართოება და აქ პოზიციების განმტკიცება იყო.

რუსეთში გაგზავნილ 1796 წ. 11 ივლისის ნოტაში, ერეკლე კიდევ არ კარგავდა იმედს, რომ რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთისა და პირადად მისი დამსახურების საზღაურად ამ ქვეყნის გასაძლიერებლად დახმარებას არ დაიშურებდა. ამავე დროს უკვე მერამდენევჯერ მოაგონებდნენ რუსეთის მთავრობას, რომ 90-იან წლებში ეკატერინე მეორის მიერ ნაჩუქარი ზარბაზნები ქართველებს ჯერ კიდევ არ მიუდიათ. ეს თხოვნა გარსევან ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ აღმდრა 1797 წ. დეკემბერში, მაგრამ ისევ უშედეგოდ.

90-იანი წლების რუსეთთან ურთიერთობის მთელი ისტორიაც იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთი მხოლოდ საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით განიხილავდა საქართველოზე დახმარებას, რაც საბოლოო ანგარიშით აქ იმპერიის სრული გაბატონებით უნდა დასრულებულიყო; მაშინ ჯარიც, ზარბაზნებიცა და ფინანსებიც საქმაოდ გამოჩნდებოდა. რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, ისევე როგორც ამ ეპოქაში ეს მიღებული სხვა სახელმწიფოებისთვისაც ევროპაში.

ერეკლეს მოთხოვნები უშედეგოდ დარჩა. 1797 წ. შემოდგომაზე საქართველოში დარჩენილი რუსთა ჯარიც გაიყვანეს. ფულადი სესხიც არ მისცეს მეფეს და სხვა სახელმწიფოდან მის მიღებაზედაც ხელი შეუშალეს: „ყოველნაირად კცადეთ, რომ მან სხვისგან სესხი არ მიიღოს, დააიმედეთ, რომ რუსეთი ყველაფერს გააკეთებს მის სასარგებლოდ”, - ავალებდნენ გენერალ რიმსკი-კორსაკოვს, რომელიც 1796 წ. რუსთა ჯარებით განჯისაკენ მიემართებოდა.

აღნიშნულ ვითარებაში ქართველი ელჩი გარსევანი 1797 წ. 31 დეკემბრის ნოტით რუსეთის მთავრობისაგან გადაჭრით მოითხოვდა 1783 წ. ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას ან მასზე უარის თქმას. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ამ ტრაქტატის გამო საქართველოს მეფე შეზღუდულია და ამიტომ საჩქაროდ უნდა გარკვეულიყო, ინარჩუნებდა თუ არა ეს ტრაქტატი თავის ძველ მნიშვნელობას. ელჩი დასძგნდა, რომ ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა იმ მომენტში, როცა მას „მთლიანი დანგრევა“ მოექოდა, გადაუდებლად მოითხოვდა მეზობელთან ურთიერთობის მოგვარებას, რისთვისაც მის მეფეს, იმ შემთხვევაში თუ რუსეთი საქართველოს ადარ დაიცავდა, „მოქმედების თავისუფლება“ ესაჭიროებოდა. არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი, რუსეთი კვლავაც ახალი და უფრო ხელსაყრელ სიტუაციას უცდიდა იმისათვის, რომ ამიერკავკასიის საქმეებში ისევ ჩარეცდიყო.

„მოქმედების თავისუფლების“ მოთხოვნა ქართველი ელჩის მიერ ამ შემთხვევაში მხოლოდ დელიკატური მიმართვა იყო. ქართლ-კახეთის მესვეურები თბილისში ფხიზლად ადევნებდნენ თვალს თავიანთ მეზობლებს და მათთან მშვიდობის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

ისტორიული გამოცდილება უცილობლად ადასტურებდა, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები გაცილებით უკეთესად აგვარებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას იმ სანმოკლე პერიოდში, როდესაც დიდი სახელმწიფოები თავიანთი დამპყრობლური მიზნებით მათ საქმეებში არ ერეოდნენ, მაგრამ უბედურების სათავე სწორედ იმაში იყო, რომ სხვათა საქმეებში ჩაურევლობის ბერნიერი თუ სანგრძლივი ეპოქა მაშინ არ ყოფილა და პატარა სახელმწიფოები ძლიერ მფარველს ეძებდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფო წლითიწლობით დაქვეითების გზით მიღიოდა და ისევე კარგავდა ძალ-დონეს, როგორც მისი მოხუცი მეფე ერეკლე, რომელიც პოლიტიკური ავტედობით გულმოკლული შეკურებდა თავისი სამშობლოს განსაცდელს. 80-იანი წლების დას-

აწყისში ქართლ-კახეთში დაახლოებით 350 ათას სულს ითვლიდნენ, საუკუნის მიწურულს კი, ეს რიცხვი 200 ათასამდე შემცირდა.

არსებული სიმნელეებისა და ომის პერიოდში ამოძრავდნენ ცენტ-რალური ხელისუფლებით უგმაყოფილო ჯგუფები. ერეკლეს მომ-ხრეთა ბანაკშიაც მერყეობა დაიწყო. საგრძნობლად გაიზარდა ირანის მომხრე ფეოდალთა რიცხვი. 1797 წ. მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, მაგრამ ამას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა მაშინ, როცა მას ერეკლე მეორის დიდი ავტორიტეტი და გამოცდილება მოაკლდა. იგი გარდაიცვალა თელავში, 1798 წ. 11 იანვარს, 78 წლის ასაკში. ეს მით უფრო საბედისწერო იყო, რომ ტახტის მემკვიდრე გიორგის იმ როულ ვითარებაში სახელმწიფო საქმეთა დირექტორად გაძლოლის უნარი არ გააჩნდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გართულებული საშინაო და საგარეო მდგომარეობით ისარგებლა რუსეთამ და 1801 წელს განახორციელა მისი ანექსია. დასრულდა აღმოსავლეთ-ქართული სახელმწიფოს ისტორია. შესაბამისად, მან დაკარგა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებაც. დრო რუსეთის სასარგებლოდ მუშაობდა და ისიც თანდათან ამჟარებდა თავის პოზიციებს ამიერკავკასიაში, რასაც საქმაოდ სანგრძლივად მოჰყვა ამ უაღრესად სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონის ჩართვა ერთიან რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორბიტაში. რუსეთის ეს წარმატება განპირობებული იყო ასევე ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობთაც. კერძოდ, ევროპაში ამ დროს მიმდინარეობდა რევოლუციური და ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრძოლაში რუსეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

დასკვნის სახით

XV ს-ის II ნახევარში საქართველო დაიშალა ცალქეულ სამეფო-სამთავროებად. მოისპო ერთიანი საგარეო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა, ადარ არსებობდა ერთიანი მიდგომა საგარეო საფრთხის მოგერიების სტრატეგიის და ზაქტიკის შემუშავებაში.

საქართველოს პოლიტიკური დაშლა თან დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარ კარდინალურ ცვლილებებს. ევროპაში განხორციელებულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობების და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსისა და ხასიათის სრული გარდაქმნა. მოხდარმა ცვლილებებმა საფუძველი დაუდო სისტემურ საერთაშორისო ურთიერთობებზე გადასვლას კონტინენტზე, რასაც მოჰყვა სხვა ფასეულობებისა და ღირებულებების შემოტანა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. ეს ცვლილებები არ შეხებია აღმოსავლეთის რეგიონს. სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები მკვეთრად ევროცენტრისტულ ხასიათს ატარებდა. ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოს მახლობლად ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში, მართალია, ჩამოყალიბდა ცენტრალიზებული სახელმწიფოები ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოების სახით, მაგრამ ისინი მოკლებული იყვნენ საგარეო პოლიტიკის გატარებაში იმ წესებისა და პრინციპების დაცვას, რომელიც ვესტფალიის ზაფმა დაამკვიდრა. ირანმა და ოსმალეთმა ამიერკავკასიის რეგიონთან მიმართებით საკუთარი თამაშის წესები შეიმუშავეს, რაც ძალის პოლიტიკას ემყარებოდა და რეგიონის გავლენის სფეროებად გაყოფას გულისხმობდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში განიხილებოდა როგორც ირანის და ოსმალეთის კუთვნილი გავლენის სფეროები.

ევროპულ საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები ვერ პოულობდა ადგენატურ ასახვას აგვასიის რეგიონზე

გარდა იმ გამონაკლისისა, რომ ირან-ოსმალეთს ამ რეგიონში, მა-
ლე რუსეთიც დაუპირისპირდა. კავკასიის გეოპოლიტიკური რეგი-
ონი იქცა ამ დიდ სახელმწიფოთა დაპირისპირების ასპარეზად.

XVI–XVIII საუკუნეებში ქართული პოლიტიკური ერთვულების
მიერ შემუშავებული საგარეო პოლიტიკური კურსი, მართალია,
სიტუაციის ადექვატური იყო, მაგრამ მისი წარუმატებლობა
მდგრმარეობდა იმაში, რომ კავკასიის რეგიონში გარე ძალების
ძალისმიერი პოლიტიკა დაფუძნებული იყო თამაშის წესების
შემთხვევითობაზე, რომელსაც განსაზღვრავდა კონკრეტული სახ-
ელმწიფოს სიძლიერის ფაქტორი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე
მის ფარგლებს გარეთ.

XVI–XVIII საუკუნეების პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში
სტატუს ქვო ირან-ოსმალეთის სასარგებლოდ არსებობდა, XVIII ს.
II ნახევრიდან კი, არსებული სტატუს ქვო რუსეთმა დაარღვია.

მოცემულ პერიოდში ევროპაში სახელმწიფოთა შორის ურთი-
ერობები სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა. მიმდინარეობდა
სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირება. ეს სის-
ტემა ცნობილია ვესტფალიის სახელწოდებით. სისტემა სახელმ-
წიფოებს თამაშის საერთო წესებს და პრინციპებს სოვაზობდა.
სამწუხაროდ, ეს სისტემა, მაშინ ევროცენტრისტულ ხასიათს ატა-
რებდა და იმ ეტაპზე გამორიცხავდა მის გავრცელებას მსოფ-
ლიოს სხვა რეგიონებზე. ამ სისტემის ფარგლებს მიღმა მყოფი
ტერიტორიები და სახელმწიფოები იყო პოტენციური კოლონიური,
ან კიდევ მოკავშირე სამფლობელოები ევროპის წამყანი
სახელმწიფოებისათვის. მოცემულ პერიოდში ირან-ოსმალეთიც ამ
უკანასკნელის სტატუსით განიხილებოდა ევროპაში. ევროპა კი
ანგარიშს უწევდა ირან-ოსმალეთის ფაქტორს მათი ინტერესების
გატარებაში და არ ერეოდა ამ სახელმწიფოების გავლენის სფე-
როებში.

დიდი ფრანგული რევოლუციის და ნაპოლეონის ომების ეპო-
ქამ დაასრულა მერყევი ვითარების შესაბამისად მოწყობილი ძალ-
თა ბალანსი ევროპაში, რომელიც ერთჯერადი კოალიციის შექ-
მნის პრინციპს ეფუძნებოდა. ნაპოლეონის განადგურებით ევროპ-

ის წამყვანმა დიდმა სახელმწიფოებმა აშკარად გამოამჟღავნეს მისწრაფება, რომ უზრუნველყეოთ მარადიული მშენებლები კონტინტნებზე რუსეთის, პრუსიის, ბრიტანეთისა და ავსტრიის ინტერესთა განსაზღვრული ბალანსის საფუძველზე.

ევროპის ისტორიასა და საერთოდ, მსოფლიოში, დაიწყო მიზანმიმართული პოლიტიკა ოვითმყოფადი პოლიტიკური წონასწორობის ინსტიტუციონალური სისტემისა და შესაბამისი მექანიზმის შექმნის ძიებისათვის, იმ საერთაშორისო წესრიგისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა წამყვანი დიდი ევროპული სახელმწიფოების თანასაწორობას და განამტკიცებდა იმ მომენტისათვის შექმნილ *status quo*. ამ თავსატეხის გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ვენის კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა ხანმოკლე შესვენებებით 1814 წლის ოქტომბრიდან 1815 წლის ივლისის ჩათვლით, სადაც შეიმუშავეს და მიიღეს მყარი მსოფლიო წესრიგის მსგავსი მექანიზმი და რომელმაც ახალი ფურცელი გახსნა სისტემურ საერთაშორისო ურთიერთობებში.

კონგრესის მუშაობის შედეგებმა, წინა და შემდეგ პერიოდში მიღებულმა საერთაშორისო მნიშვნელობის ზოგიერთმა აქტმა შექმნა „ვენის სისტემის“ ჩონჩხი, რომელმაც იარსება ევროპაში 40 წლის განმავლობაში, ყირიმის ომამდე XIX ს-ის შუა ხანებიდან კი, სისტემა სერიოზულ კრიზისში შევიდა, დაიწყო სისტემის ტრანსფორმაცია და ევროპა სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებად გაიყო. ამ პერიოდში კი, საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ბურნებრივია მოკლებული იყო დამოუკიდებული საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლებას. მიუხედავად ამისა, XIX ს-ის მანძილზე ამიერკავკასიის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საერთაშორისო პოლიტიკაში.

ამ ახალმა საერთაშორისო სისტემამ და მასში არსებულმა წესრიგმა კიდევ უფრო განამტკიცა რუსეთის პოზიციები მსოფლიო პოლიტიკაში. ევროპის ფანდარმის ფუნქციის მატარებული რუსეთი არ დაუშვებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. მით უფრო, რომ საქმაოდ მყარად პქონდა ფეხი მოკიდებული კავკასიაშია.

XVI–XVIII საუკუნეებში საქართველო ირან-ოსმალეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა და ასე აღიქვამდნენ მას ევროპის პოლიტიკური ერთეულები, ხოლო XVIII ს-ის ბოლოს და XIX ს-ის დასაწინიდან იგი უკვე საერთაშორისო პოლიტიკაში განიხილება როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი. ბუნებრივია, ასეთ პიროვნებებში საქართველოს საგარეო პოლიტიკა გარკვეული წინააღმდეგობრივი ტენდენციის მატარებელი იყო, რაც ხშირ შემთხვევაში ქვეყნისთვის სავალალო შედეგების მომტანი იყო.

1783 წლის გეორგიესტის ტრაქტატი და მისი შედეგები არ უნდა შეფასდეს ცალმხრივად და კონკრეტული პერიოდის თანმდევი უარყოფითი მოვლენების ფონზე. აუცილებელია ზოგადად გავიაზროთ XVI–XVIII ს.ს. და XIX ს-ის საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, მოვახდინოთ არსებითი მსგავსება-განსხვავების დანახვა როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში და ქვეყნის განვითარებაში დავინახოთ ის პროგრესი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ქართული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენაში. ის ფაქტი, რომ საქართველომ 1918 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა როგორც ერთიანმა სახელმწიფომ და არა როგორც ცალკეულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა, იმერეთმა, ქართლ-კახეთმა და სამცხე-საათაბაგომ ცალ-ცალკე, ბევრს მეტყველებს XIX ს-ში საქართველოში განხორციელებულ ცლილებებზე. ხანგრძლივი მშვიდობიანობა, ისტორიული ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, ქართველი ერის კონსოლიდაცია, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირება, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და რეგიონების ერთმანეთთან დაკავშირება, კაპიტალიზმის განვითარება, მოსკოვის გავლით ეპროპული იდეების გაცნობა, რეგიონებს შორის ფეოდალური საზღვრების მოშლა და ა.შ. ეს ყველაფერი საქართველომ რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს განიცადა და ფაქტობრივად, ამ ცვლილებებმა განსაზღვრა ქვეყნის განვითარების ვექტორიც შემდგომ პერიოდში.

(XVI–XVIII)

1648

XV

XVI

180

status qvo.

XV

XIII-XV

1490

XV-XVIII

« »

XVI

« »

XVI

.. « »,

, -

1555

80-90- XVI

, , XVII

20- XVII
VI

VI,
I,

XVII-XVIII

, 20- 40- XVIII

, —

XVIII

XVI

,

,

,

II

30-50-

XVIII

,

,

,

1783

,

,

,

1783

,

,

,

,

,

,

80-

90-

XVIII

1789

,

,

;

1790

1795

,

1801

I (1784 .)

1789

184

II,

(1810 .),

1801

I.

185

1783

не должны быть

оценены односторонне

XVI–XVIII . . . XIX . . .

, , , , , , , , , , , ,

1918

, , , , , , , , , , , , ,

, , , , , , , , , , , , ,

, , , , , , , , , , , , ,

, , , , , , , , , , , , ,

Irakli Manvelidze

**Tendencies of development of foreign policy of Georgia
(XVI-XVIII centuries)**

Summary

Occurring sweeping changes in the new period of historical development of the European people in political, social and economic, religious and cultural spheres promoted essential change of the international relations, character and value of foreign policy of the states.

In sphere of the international relations the system is the important and known phenomenon. In 1648 the Peace of Westphalia became a basis of formation and development of system of the international relations. The system of Westphalia was a transition period of the international relations between a medieval (feudal) and new (capitalist) epoch. It was the first unstable international system in which have been presented as old (e.g., dynastic) and, characteristic for system international relations (e.g., the state interests) principles.

By the end of XV century Europe has entered a new stage of development of the international relations. During this period the large centralized states were generated: Spain, Portugal, France, Poland, Austria (with the earth's of the Habsburg court yard) which were a part of Sacred Roman empire of the German nation earlier, and also Turkey, the Scandinavian countries - Denmark, Sweden, Norway, East German small princedoms, the Italian cities-states and the small European states, have been presented on a political card of continent. In the east gradually strengthened the positions the Moscow princedom which has appeared on the European arena in second half XVI centuries. During this period it has finished process of political association and was generated as the centralized state, later – as an absolute monarchy.

The European states with the state interests became the main subject of system international relations. These interests caused formation of the centers of opposition in world politics. Formation of system relations in Europe has coincided with development of capitalist relations, and the economic mercantilism has strengthened opposition between the European states. The

epoch of the French revolution and Napoleonic wars has broken balance of forces of Europe which was based on a principle of creation of disposable coalitions. Long and bloody wars have weakened old continent. In system of the international relations in the conditions of opposition and the conflicts, leading European powers aspired to reach political balance of France, Poland, Sweden, Russia, Prussia, England, Austria, etc. on the basis of balance of certain interests.

Relations between the states on the European arena tested tectonic and geopolitical shifts. Leading European powers became witnesses of the easing that has naturally generated thought on necessity of creation of the European balance. For the first time in world politics, for an establishment of the international order, purposeful carrying out of a course on creation Institutional mechanisms which as a result would provide equality among the leading European states and which would legalized for the concrete moments developed status quo has begun. The Peace of Westphalia world has reversed a foreign policy situation in Europe. He has created distinctive balance of forces, has generated other political priorities and values. As a whole, it has brought the international legal bases in system of the European international relations and has defined its character the next centuries.

Cardinal changes occurring in Europe should be reflected on external and a domestic situation of Georgia. It is necessary to notice that internal and external position of Georgia considerably differed from those events which occurred in Europe. Here return processes were observed: Georgia represented not centralized state, and has been broken on some political units. The country economic situation was too heavy, to speak about its further development was senseless – feudalism experienced deep crisis. On a political arena there were no new social strata of a society. All it, naturally, was reflected in state foreign policy.

It is necessary to notice that from the end of XV century the subsequent development of Georgia was influenced by following two circumstances. The first that for the given period Georgia did not represent a uniform political organism. The second circumstance consisted that in XIII-XV centuries the social and economic and political phenomena promoted disorder of separate princedoms. In 1490 imperial council has legalized existence of Kakheti,

Kartli, Imereti kingdoms and a princedom of Samtskhe. Struggle for country association proceeded and subsequently. Any tsar has not reconciled to the fact of disintegration of the country and everyone wished to become at the head of movement for native land association.

In XV-XVIII centuries Georgia remained a tidbit for wild and "civilized" aggressors. An essence of foreign policy history of the Georgian people in late feudal epoch was fair permanent war for the existence.

XVI century became an epoch of the state unification when positions of internal enemies to which were promoted by external forces have amplified. In the middle of the century Iran and Turkey have divided the isolated state that has served as a barrier to country consolidation.

Till XVI century Georgia remained the isolated "whole" state since "Georgia", despite political borders existing between them, all the same represented the Georgian earth. That fact testified to it also that any kingdom in Georgia was not considered as the lawful. The Georgian people did not recognize Iran-Turkish agreement 1555 on which, in two divided Georgia, was a part of the states-aggressors the border between which passed between mountains Samtskhe Are dashing also.

For the given period Georgia as any small state in the foreign policy orientation was based on century-old life experience. Search of the external defender was time action for the people which have failed in struggle for independence. Really, during a separation epoch, it was necessary for kingdoms to make a choice of political orientation, taking into account features of the country-defender.

In 80-90-s' years of XVI century Ottoman Empire has grasped almost all Transcaucasia and, in particular, a princedom of Samtskhe in Georgia. The Georgian people have lost the one third part of the country.

In first half of XVII-th century Ottoman Empire sovereignty in East Georgia was replaced by the Iranian tyranny of Shah Abbas. In the beginning of 20-s' years of a XVII-th century the Georgian politicians led by Vakhtang VI with assistance of Russia have tried to get rid of Iran-Turkish sovereignty. With that end in view Vakhtang VI, preceding their own interests, has joined in Peter I foreign policy plans, but Turks have completely won Georgia, and Vakhtang with the numerous retinue has moved to Russia.

In the XVII-XVIII centuries the Georgian politicians tried to use time and again the European vector for improvement of foreign policy position of the country; however Europe then has refused this request.

From the beginning of 20-s' and till the end of 40-s' years of a XVIII-th century East Georgia was in hands Ottomans, later – the Iranian conquerors. The Georgian people indefatigably were at war with foreign aggressors. This struggle has come to the end with clearing of the Iranian enslavers. The Imereti kingdom could find independence from Ottomans conquerors. In second half of XVIII-th century there was a successful struggle for political association of the country. Association of Kartli and Kakheti in one kingdom, social and economic lifting, clearing of the Iranian domination and submission of the South Azerbaijan khanate, strengthening of the imperial power in East Georgia was an obvious indicator of that Georgia gradually becomes the independent state.

With the middle of XVI century when Russia has become stronger in nearby territory of Volga, has approached with the Caucasian region and has opposed Iran and Turkey, the Georgian princedoms have tended to cooperation with it. Historical experience of the subsequent period confirmed that Iran and Turkey would not become defenders of interests of Georgia, could not promote country development. Orientation to Russia in the Georgian society that amplified decreased, depending on activity of Russia in Transcaucasia.

Georgian politicians adhered to a course of change of political orientation in XVIII-th century, soon, proceeding from the developed international situation in the Near East, the Georgian politicians, steels on a way of rapprochement with Russia. This tendency has been fixed by the Treaty of Georgievsk.

The Russian empire used cooperation with Georgia in the aggressive purposes, often leaving the allies in the field of fight. In struggle for a domination establishment on Caucasus between the at war states, Russia was stronger and centralized.

For the given period the orthodox religion was one of determinatives, rapprochement of Georgia with Russia. Georgia assigned high hopes to conditions of the treatise of 1783 hoped that Russia will protect it from external enemies. The Russian empire has involved Kartl-Kakheti in the plans and has

denied assistance, then when it was vital for Georgia. Oppositions between the large powers, arisen round Georgia, were very difficult. After four years after treatise signing, Russia has temporarily left Transcaucasia and has withdrawn two battalions from the country. By own strength to resist to Iran and Turkey Georgia, actually, could not.

The end of 80-s' and the beginning of 90-s' years of a XVIII-th century were the heaviest for the Georgian people. The advanced representatives of a society used all forces for overcoming of the ripened crisis. In 1789 there were all preconditions for association of Kartl-Kakheti and Imereti, but, despite support of the top feudal layers of it has not occurred; the military-political union of tsars and princes Iberian in 1790 could not become the consolidating factor. In 1795 the numerous Iranian army has destroyed Tbilisi, has ruined Kartli. The weakened Kartl-Kakheti kingdom could not protect the statehood. In 1801 it has been abolished and declared by province of the Russian empire.

After death of Solomon I (1784) the intense situation was created and in the Western Georgia. Since 1789 grandson Iraklija Solomon II that has not improved a current situation became tsar Imeretin. Internal opposition between the tsar and princes did not stop. Imperial Russia successfully used then, developed international situation. Frightened of Napoleon's campaign to Egypt, Ottoman Empire, is weakened at that time, has been compelled to become the ally of Russia. For Russia there was a possibility freely to operate in territory of the Western Georgia It took under the protection of the tsar and princes, has abolished The Kingdom of Imereti (1810), liquidated the princely power in Guria, Samegrelo, Svaneti and Abkhazia later. Thus, The Russia Empire has extended the domination in all territory of Georgia, has abolished local board and almost everywhere has entered an order existing in the Russian provinces of empire. Cancellation of the Georgian statehood in the history of a political life of Georgia became tragedy.

At the given historical stage when the Georgian people were threatened with physical destruction, despite violence of Russia Empire, rapprochement with rather developed Russia has led to progressive results. Russia could unite all Georgian earths in the structure. Since 1801 and all during three ten years after end of internal and external wars of Russia in Georgia and behind its

limits, the Georgian people have got the stable world and possibility of economic development.

Cancellation of the Georgian statehood has coincided with disorder of Westphalia system and creation of new, Viennese system of the international relations. This system has brought new an order in world politics which is known under the name «Legitimists». It provided restoration of old monarchic modes in Europe that was desire of Russian emperor Alexander I.

In Georgia it has not occurred, on the contrary Russia has cancelled here monarchic management. In the present state of affairs the important role has played international political situation which has developed in Europe and in the east. In system of the international relations Russia was one of the main players and with it other states were considered. The situation existing in these conditions was equitable in Transcaucasia to interests of the Russian empire and promoted carrying out of its imperial politics.

In 1783 the Treatise of Georgievsky and its consequence, against adverse coincidence of circumstances, should be objectively estimated. It is necessary to comprehend internal and external political position of Georgia in XVI_XVIII centuries and in a XIX-th century, to see that positive that has occurred both in social and economic, and in a cultural-political life, to see that progress which has played the big role in rescue of a cultural-historical heritage of the country. That fact that Georgia declared independence in 1918 as the uniform state instead of as separate Imeretias, and Samtshe visually says Kartl-Kaheti that in a XIX-th century, the occurred changes in Georgia – a lasting peace, returning of the historical Georgian earths, consolidation of the Georgian people, formation of uniform economic space, development of a road infrastructure, acquaintance with the European innovative ideas through Moscow, deleting of feudal borders between regions etc. - All it occurred when the country was in structure of the Russian empire and, actually, these changes in the subsequent period have defined a vector of development of the state.

ბამოჟენეგული რეართვები და ლიტერატურა

ალექსიძე ლ., საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV–XVIII სს-ში, თბ., 1983;

ანთელავა ილ., ლევან II დადიანი, თბ., 1990;

ახალი ქართლის ცხოვრება, III ტექსტი, წიგნი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959;

აკოფაშვილი გ., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი – ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977;

ასათიანი ნ., მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973;

ასათიანი ნ., გზა გამოხსნა აღდგომისაკენ (რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე), თბ., 1983;

ანჩაბიძე ზ., ბოცვაძე თ., თოგოშვილი გ., ცინცაძე მ., ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკევები, ნაკვეთი I, თბ., 1967;

ბაგრატიონ-ორსინი ქ., ტაბაღუა ილ., ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბახი – XVII ს), მრავალთავი, ტ. X, თბ., 1983;

ბატონიშვილი დ., ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1951;

ბატონიშვილი გ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973;

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973;

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, I ტექსტი, წიგნი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959;

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965;

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971;

ბოცვაძე თ., ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში XV-XVIII სს, თბ., 1990;

გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი) ნაკვეთი, თბ., 1954;

გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, საქართველო და ანტიოქმალური კოალიციები XVI–XVII სს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ., 31, თბ., 1954;

გაბაშვილი ვ., სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, წიგნი – სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბ., 1959;

გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ., 1965;

გელაშვილი გ., რაინეგსი საქართველოში და მისი დიპლომატიური საქმიანობა, - ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995;

გელაშვილი ნ., ქართლ-კახეთის სამეფოთა ურთიერთობა ირანთან XVI ს-ის 70-80-იან წლებში, - ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995;

გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები და ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბ., 1973;

გიგინეიშვილი ო., საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, - თსუ შრომები, ტ73, თბ., 1959;

გორგიჯანიძე ფ., ისტორია, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925;
დადიანი ნ., ქართველთა ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ., 1962;

ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გორგაძემ, თბ., 1964;

ღონ კრისტოფორე დე კასტელის; ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჭან გობაძემ, თბ., 1976;

ღონ პიეტრო ავიტაბელე, ცნობები საქართველოზე, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჭან გორგაძისა, თბ., 1977;;

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი”, გ. ფუთურიძის გამოცემა, ნაკვეთი I, თბ., 1971;

ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, ტ. I, თბ., 1975;

ვაჩნაძე მ; გურული ვ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, ისტორია, შედეგები, გაკვეთილები, თბ., 2001;

ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007;

თაპერი მ. ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოცემა. იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბ., 1954;

თვალიაძე ვ., ახალი ისტორია, 1640-1815 წლები, ნაკვ. 1, თბ., 1999;

თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველობები, 1577-1581, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ელდარ მამისთავლაშვილმა, თბ., 1987;

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლაძიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969;

იმნაძე მ., საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII) თბ., 2006;

იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1978;

კაჭარავა დ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVII ს. 50-იან წლებში, მაცნე, თბ., 1968;

კაჭარავა დ., ვახტანგ V საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებული „ქართული სამეფო-სამთავროების საგრეო პოლიტიკის ისტორიიდან”, ტ. I, თბ., 1970;

კაჭარავა დ., გიორგი სააკაძის დიპლომატიური მოღვაწეობიდან, ქართული დიპლომატია, წელიწდებული, III, თბ., 1996;

კაგაბაძე ს., საქართველოს ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა), თბ., 1922;

კაციტაძე დ., XVI-XVII ს-თა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, ტ. II, თბ., 1962;

ლომსაძე დ., ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტ-ორია, 1600-1870, თბ., 1998;

მანველიძე ირ., სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების გენეზისი და ევოლუცია, წიგნი I, თბ., 2008;

მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968;

მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957;

მაჭარაძე ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983;

მაჭარაძე ვ., ივერიელ მეფეთა და მტავართა 1790 წლის შეთანხმება, - ქართული დიპლომატია, წელიწდებული, II, თბ., 1995;

მაჭარაძე ვ., მასალები XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, თემიზუაზ II ელჩობა რუსეთში, თბ., 1968;

მაჭარაძე ვ., მასალები XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი II, რუსეთ-ურქეთის 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1988;

მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის II ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981;

მენოვაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, უძველესი დროიდან - 1799 წლამდე, თბ., 2000;

მენოვაშვილი ა., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, 1799 წლიდან 1918 წლამდე, თბ., 2002;

ნაიმი მ., ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ნ. შენგალიას გამოცემა, თბ., 1979;

ორბელიანი პაპუნა, ამბავი ქართლისანი, ე. ცაგარევიშვილის გამოცემა, თბ., 1981;

პაიჭაძე გ., საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს-ის I მეოთხედი), თბ., 1960;

პაიჭაძე გ., ვახტანგ მექქესე, თბ., 1981;

პაპაშვილი მ., საქართველოს საგრეო პოლიტიკური ურთიერთობანი (XVIII ს-ის პირველი მეოთხედი), თბ., 1992;

რუმლეს პ., ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1966;

საითაძე გ., ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVIII ს-ის 50-იანი წლები) – ქართული დიპლომატია, წელიწდებული III, თბ., 1996;

საითაძე გ., რუსეთისა და ოსმალეთის სამეფოებს შორის დიპლომატიური კავშირურთიერთობის დამყარების ძირითადი ფაქტორები (XVII ს-ის 40-50-იან წლებში), - ქართული დიპლომატია, წელიწდებული, VII, თბ., 2000;

სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პროცესი და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეებში, თბ., 1988;

საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1948;

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973;

სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორია (XV–XVII სს.), თბ., 1971;

სიხარულიძე ფრ., მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან, თბ., 1989;

სურგულაძე ა.; სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1991;

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII–XVI სს.), თბ., 1984;

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII–XX ს-ის პირველი მეოთხედი), (1600-1628 წ), II, თბ., 1968;

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII–XX ს-ის პირველი მეოთხედი), ტ. III, თბ., 1987;

ტაბაღუა ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I ნახევარში), თბ., 1972;

ტიფაძე თ., XVI-ს-ის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის, მაცნე, 3, თბ., 1983;

ტიფაძე თ., თეიმურაზ I საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990;

ტიფაძე თ., საქართველოს და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977;

ფეხუაძე ი., ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ს. ჯიქიას გამოცემა, თბ., 1964;

ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1998;

ქართული დიპლომატიის ისტორია, ქრესტომათია, თბ., 2004;

ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბ., 1958;

შარდენი ჟ., მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), მ. მგალობლიუმის გამოცემა, თბ., 1975;

ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობის ტრაქტატი, თბ., 1960;

ცქიტიშვილი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფო მოღვაწეობა, თბ., 1982;

ხერხეულიძე ომან, მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქიაშვილის გამოცემა, თბ., 1989;

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967;

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. V, თბ., 1953;

ჯავახიშვილი ივ., თხულებანი, ტ. XII, თბ., 1998;

ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964;

.. . I. – .., 1990;

.. . XIV. – .., 1991;

.. . (

) (ელექტრონული ვერსია იხ. საიტზე

http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/Vachn/index.php)

Всемирная история (ელექტრონული ვერსია იხ. საიტზე

http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/vsem_ist/12.php)

, XIII-XIX . 3 . 1. 2 ,
, XIII-XVII . 2003;

XIII-XIX . 3 . 2. , 2003;

: . – 8- . – . 4.

(XVII-XVIII). – .., 1994;

XV-XVII (

). – .., 1999;

VIII . – .., 1991;

ს ა რ ჩ ე ვ ი

შმსაგალი.....	3
 თავი I	
საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია ევროპაში XVI – XVIII საუკუნეებში და საქართველო.....	11
1. ევროპის პოლიტიკური რეგია XVI საუკუნეში	
1.2. საერთაშორისო ურთიერთობების პერიოდიზაფია XVI–XVIII საუკუნეებში და ევროპის სახელმწიფოების ძირითადი საგარეო პოლიტიკური ძურისი.....	14
1.3. საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუცია და თავისებურებები ახალ პერიოდში.....	17
1.4. საქართველოს პოლიტიკური რეგია XVI–XVII სს.	21
1.5. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება XV ს-ის ბოლოს და XVI საუკუნის დამდეგი.....	24
 თავი II	
საბარეო პოლიტიკური მდგრადარეობა აშიერ-კავკასიის რეგიონში XVI–XVII საუკუნეებში.....	31
2.1. ირან-ოსმალეთის პირველი ომი (1514-1555) და ქართული პოლიტიკური ერთეულების საგარეო პოლიტიკა.....	31
2.2. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო.....	52
2.3. კახეთის სამეფოს ურთიერთობა რესეთთან.....	56
2.4. ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა და ქართული პოლიტიკური ერთეულების პოზიცია	63

თავი III

საერთაშორისო პოლიტიკური მდგრადარეობა ამ- ერკავკასიაში XVII საუკუნეები და ქართული პოლი- ტიკური მრთებულების საბარეო პოლიტიკა.....	65
3.1. ირან-ოსმალეთის ახალი ომი და საქართველო.	65
3.2. ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლი- ტიკური მდგრადარეობა XVII ს-ის 20-90-იან წლებში.....	72

თავი IV

საქართველოს საბარეო პოლიტიკის განვითარების ტენდენციები XVIII საუკუნეებში.....	84
4.1. ქართლ-კახეთის სამეფოების საგარეო-პოლი- ტიკური მდგრადარეობა XVIII ს-ის დამდეგს.....	84
4.1.1. რელიგიის ფაქტორი ქართლის სამეფოს სა- გარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაში.....	84
4.1.2. სულხან-საბა თრბელიანის დიპლომატიური ვოიაჟი ევროპაში.....	87
4.1.3. ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში.	89
4.2. ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკა და ძა- ლთა ახალი კონფიგურაცია ამიერკავკასიაში.....	99
4.3. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომი და საქართველო.....	109
4.4. ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება. საგარეო პოლიტიკური ვითარება XVIII ს. 60-იან წლებში.....	119
4.5. საერთაშორისო ვითარება ამიერკავკასიაში და ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საგრეო-პოლი- ტიკური ვითარება 70—80-იანი წლების მიჯნაზე.....	123

4.6. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი.....	132
4.7. ტრაქტატის პოლიტიკურ შედეგები და წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი ამიერკავკასიაში...	139
4.8. საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა.....	148
4.9. საქართველო-ირანის ურთიერთობის გამწვავება. ადა მაჟმად ხანის შემოსევა 1795 წელს. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება.....	160
 დასპანის სახის.....	176
რეზოუნდ რამელ ხნაზე.....	180
რეზოუნდ ინგლისში ხნაზე.....	187
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	193